თამაზ აძუბარდია

ძალაუფლებისათვის

მეცნიერულ-პუბლიცისტური ესსე

თბილისი
2017

თამაზ აქუბარდია
„ძალაუფლებისათვის“ - მეცნიერულ-პუბლიცისტური ესსე
გამომცემლობა **„ივერიონი“**, თბ., 2017, გვ. 212.

ნაშრომში, ანტიკური ხანის სამი უდიდესი რომაელის, - **გნეუს პომპეუს მაგნუსის, გაიუს იულიუს კეისარის და ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსის,** - მოღვაწეობის მაგალითზე, მოცემულია სახელისუფლებო ძალაუფლების მწვერვალებისკენ მიმავალი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულების ანალიზი. ნაშრომი, პირველ რიგში, გამიზნულია იმ ახალგაზრდებისადმი (და არა მხოლოდ ახალგაზრდებისადმი), რომელთაც ძალაუფლების მოპოვების საკრალური სურვილი ამოძრავებთ. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვართ, იგი ასევე საინტერესო იქნება ყველა იმ მკითხველისათვის, ვინც სახელისუფლებო ძალაუფლების კულუარული ლაბირინთების დამკვირვებლის როლში ყოფნას არჩევს.

რედაქტორი: **შოთა დოღონაძე,** პროფესორი

რეცენზენტი: **ვლადიმერ პაპავა**
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ტექნიკური
რედაქტორი: **ლევან ბოჭორიშვილი**

ISBN 978-9941-27-463-3

სარჩევი

ავტორისაგან ---------- 4

შესავალი ---------- 9

თავი პირველი

უჩინარი ძალა ---------- 14

თავი მეორე

„კრიტიკული მასსა“
და „მუხტის შენახვის კანონი“---------- 19

თავი მესამე

ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი---------- 32

თავი მეოთხე

გნეუს პომპეუს მაგნუსი ---------- 80

თავი მეხუთე

გაიუს იულიუს კეისარი----------147

თავი მეექვსე

„ნარჩენი მოსახლეობა“ ----------202

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა----------206

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა----------212

სახელისუფლებო ძალაუფლების მნვერვალებისკენ მიმავალ საშინელებათა გზაზე,
მხოლოდ ის აღწევს წარმატებას, ვისაც შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ასპიტსად ევამბოროს!

უცნობი ავტორი

ავტორისაგან

წინამდებარე შრომა ერთგვარი გაგრძელებაა ჩვენს მიერ ადრე გამოცემული ნაშრომისა, - **„ძალაუფლების ბედისწერიდან ბედისწერის ძალაუფლებამდე.“** საფუძვლად ავიღეთ დიდი ბერძენის, - **პლუტარქეს (ახ.წ. 46-127 წწ.)**, საქვეყნოდ ცნობილი ნაშრომიდან - **„პარალელური ბიოგრაფიები“** - სამი დიდი რომაელის, - **გაიუს იულიუს კეისარის, გნეუს პომპეუს მაგნუსის და ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსის** ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფაქტები. ცხადია, ეს არ იყო ჩვენი საბოლოო მიზანი და, ამდენად, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ნაშრომით შემოვიფარგლეთ, თუმცა ძირითადად მაინც მის ხაზს მივყვებოდით.

ნაშრომის მიზანია, ერთის მხრივ, ზღვარგადასული ამბიციების მქონე (ეს თვისება აუცილებელია ძალაუფლების მანიაკალური სურვილით შეპყრობილი ადამიანისათვის - თ.ა.) დამწყებ პოლიტიკოსებს დავანახოთ, თუ რა მძიმე (მძიმე, რადგან იგი მთელი შენი სასიცოცხლო ძალების ყოველწამიერ მობილიზებას მოითხოვს), უმადური (უმადური, რადგან შე-

საძლოა ერთი უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა და პოლიტიკურ მოუსავლეთში აღმოჩნდე) და საშიში (საშიში, რადგან, შესაძლოა ცხოვრება ფატალურად დაამთავრო) საქმეა ძალაუფლების მწვერვალებისკენ მიმავალი გზა და, ამიტომ, საზოგადოებისათვის სამწუხაროდ, ამ გზაზე მხოლოდ განსაკუთრებული პატივმოყვარეობის უნარით დამღადასმული ადამიანები აღწევენ წარმატებას, თუ კი ამას წარმატება ჰქვია, რადგან იმდენი უნდა გაიღო, იმდენი უნდა გააკეთო და იმდენი პროცესის მონაწილე გახდე, მათ შორის უამრავი უკეთური და ბინძური საქმეებისა, რასთანაც ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ადამიანს აუცილებლად მოუწევს შეხვედრა, რომ ჩვეულებრივი, სტატისტიკურად ნორმალური ტვინის მქონე ადამიანი ამას უბრალოდ ვერ გაუძლებს. აქ საჭიროა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, - „საშუალო სტატისტიკური ტვინისგან" მნიშვნელოვანი გადახრის მქონე ტვინი და, როგორც წესი, ეს გადახრა უფრო მარცხნივ(?) გვხვდება. მეორეს მხრივ, თუკი ეს ყველაფერი ძალაუფლების მსურველს მეტ-ნაკლებად გააზრებული აქვს, შესაძლოა ბევრი უბედურება ამ გზაზე თავადაც აიცილოს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ქვეყანასაც აიცილოს. ამისათვის კი, ჩვენი ღრმა რწმენით, სასარგებლო უნდა იყოს ანტიკური ხანის იმ სამი უბრწყინვალესი მხედართმთავრისა და პოლიტიკოსის ცხოვრების გაცნობა, რომელთა შესახებ ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამას ემსახურება.

ორიოდე სიტყვა თავად ამ დიდი ბერძენის შესახებ. იგი დაიბადა ცენტრალურ საბერძნეთში მდებარე **ბეტონიის** პატარა ქალაქ **ქერონეაში**, ქალაქში, რომელიც საბედისწერო გამოდგა ბერძნებისათვის. საქმე იმაშია, რომ **ძვ.წ. 338 წელს** ქერონეასთან გამართულ ბრძოლაში **ფილიპე მაკედონელმა** დამოუკიდებლობა წარსტაცა ელადას და, შესაძლოა გარკვეულწილად სიმბოლურიც იყოს პლუტარქეს ამ ქალაქში დაბადება, რადგან მისი ცხოვრება იმის შესანიშნავი მაგალითია, რომ

დაპყრობილი ქვეყნის პირობებშიც შესაძლოა ბევრი რამ კარგი გააკეთო შენი ქვეყნისათვის, მითუმეტეს, თუკი უფალმა სათანადო თვისებებიც დაგაბედა.

პლუტარქე გაიზარდა დიდი ტრადიციების მქონე, წარჩინებული გვარის, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის საბერძნეთი რომის იმპერიის პროვინციას წარმოადგენდა, იგი მაინც იყო ანტიკური სამყაროს კულტურული, სამეცნიერო და სწავლა-განათლების უალტერნატივო ცენტრი. ნებისმიერი, ცოტად თუ ბევრად განათლებული რომაელი, როგორც წესი, ბერძნულ ენას ფლობდა და განათლებას, თუ კი ამის საშუალება ჰქონდა, ათენში ღებულობდა. ამიტომ, საბერძნეთი, რომის იმპერიის სხვა პროვინციებთან შედარებით, მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობდა, ხოლო თავად ბერძნები, არც თუ იშვიათად, რომშიც შესაფერის თანამდებობებს იკავებდნენ და აქტიურადაც მონაწილეობდნენ იმპერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომაც, პლუტარქე საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა საბერძნეთში და ძირითადად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, თუმცა არც საკუთარი განათლების სრულყოფას ივიწყებდა. ფილოსოფიის გარდა მან შეისწავლა მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა, რიტორიკა, მუსიკის თეორია და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პლუტარქემ მხოლოდ სიჭარმაგის ასაკში დაიწყო ლათინურის შესწავლა და ამავე პერიოდში, რომში ბევრი ცნობილი რომაელი გაიცნო, რომელთა შორის იყვნენ **ლუციუს მესტრიუს ფლორუსი,** რომელიც **იმპერატორ ადრიანეს (ახ.წ. 117 – 138 წწ.)** მეინახე იყო, **კვინტუს სობიუს სენეციონი, - იმპერატორ ტრაიანეს (ახ.წ. 97- 117 წწ.)** პირადი მეგობარი და ოთხჯერ კონსულად ნამყოფი, და მრავალი სხვა სახელოვანი რომაელი. ამ რომაელმა მეგობრებმა მას ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს, რისი წყალობითაც მან მოახერხა რომის მოქალაქე გამხდარიყო და, იმდენად გამოიჩინა თავი, რომ იმპერატორმა ტრაიანემ, **პროვინცია აქაიის** გამგებელს აუკრძა-

ლა რაიმე გადაწყვეტილების მიღება პლუტარქესთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, პლუტარქე საიმპერატორო კარის მასწავლებლადაც მიიწვიეს. ცნობილია, რომ იგი ასწავლიდა ადრიანეს, რომელიც შემდეგ იმპერატორი გახდა და პლუტარქე **აქაიის**, ანუ, სრულიად საბერძნეთის საგამგებლოს, **პროკონსულად** დანიშნა. ცხადია, ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, მის უზადო დიპლომატიურ ნიჭზე მეტყველებს, უფრო მეტი რომ არ ვთქვათ და, ამდენად, პლუტარქეს ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ, ნამდვილად არ უნდა იყოს გასაკვირი მისი, არც თუ მთლად სასახელო განცხადება, - **„იძულებისადმი დამორჩილება სამარცხვინო როდია!".**

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოშობით ბერძენი იყო, პრაქტიკულად მთელი შეგნებული ცხოვრება რომის სამსახურს შეალია. ერთის მხრივ, თავად ასე რომ არ მოქცეულიყო, ადვილი წარმოსადგენია, კაცობრიობის მსოფლიო გონი რამდენს დაკარგავდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს შეგონება მას ღირსებას ნამდვილად არ მატებს, რადგანაც, როცა ადამიანი თავისი არც თუ მთლად სასახელო საქციელის გამართლებას ამგვარი ფორმით ცდილობს, ეს ნამდვილად მიუღებელი უნდა იყოს ისეთი განათლებისა და ნიჭიერების მქონე ადამიანისათვის, როგორიც პლუტარქე იყო. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ნამდვილად გამორჩეული ნიჭიერების მიუხედავად, ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეები მასაც ახასიათებდა! თუმცა, შესაძლოა, ეს სიტყვები მისი დიპლომატიური საქციელის ერთ-ერთი ადვილად ასახსნელი ნიუანსიც ყოფილიყო!

გარდა იმისა, რომ პლუტარქემ „ხორციელად" ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა, იგი „სულიერადაც" ბედისგან გამორჩეული პიროვნებაც იყო. როგორც ისტორიის ანალებიდან არის ცნობილი, მისი ნაშრომების ნუსხა 227 ერთეულს შეადგენს და აქედან ჩვენამდე 154-მა მოაღწია. რაც შეეხება მის უმთავრეს ნაშრომს, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით დღე-

საც სარგებლობს, ესაა ე.წ. **„პარალელური ბიოგრაფიები.”**

ჩვენამდე მოღწეულია „პარალელური ბიოგრაფიების” **ორმოცდაათი ბერძენ-რომაელი მოღვაწის ბიოგრაფიის აღწერა.** აქედან **ორმოცდაექვსი ბიოგრაფია** დაწყვილებულია და პარალელიზმის პრინციპით არის აგებული, ხოლო ოთხი ბიოგრაფია შეწყვილების გარეშეა აღწერილი. ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ სამი მათგანის ცხოვრების ერთგვარი ანალიზით შემოვიფარგლეთ. ორი მათგანის გვარი ყველასათვის ცნობილი პიროვნებაა, ხოლო მესამე, რომელიც თავისი მხედართმთავრული ნიჭით ამ ორ გიგანტზე არაფრით ნაკლები არ იყო, ხოლო სიმდიდრით და, რაც არანაკლებ ხაზგასასმელია,- ამ სიმდიდრის გამოყენების უნარით, ბადალი არ ჰყავდა იმდროინდელი რომის იმპერიაში, - **ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსია**, რომელიც იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მოექცეს ჭირვეული ქალის კაპრიზებივით უსამართლო ისტორია, ასეთ ადამიანებს.

შესავალი

ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდი, როდესაც ხელში ჩამივარდა **ნორბერტ ვინერის** წიგნი **„კიბერნეტიკა.“** ცხადია, ბოლომდე ვერ წავიკითხე, რადგან მაშინ დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას ჯერ კიდევ გაცნობილი არ ვიყავი, მაგრამ ის რაც წავიკითხე, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ჩაბარება გადამეწყვიტა, ოღონდ ბიოკიბერნეტიკის სპეციალობით, ანუ, მართვის პროცესები ცოცხალ ბუნებაში. და, მაშინ, როდესაც მთელი საბჭოეთი კორუფციის ჭაობში ცურავდა, თქვენს მონა-მორჩილს ასეთი იდეალისტური აზრები აწუხებდა. თოთხმეტი წლის შემდეგ, - კარგად მახსოვს ის დღე, - 18 აგვისტოს გაზეთში წავიკითხე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი აცხადებდა ასპირანტურაში მიღებას და ძმებმა ერთად ჩავაბარეთ კიდეც. ჩემი სპეციალობა იყო მათემატიკური მეთოდები ეკონომიკურ კვლევებში და დღესაც ვკითხულობ ლექციებს ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მიმართულებით.

დაახლოებით ორასამდე სტატია, წერილი და ათამდე წიგნი მაქვს გამოქვეყნებული ეკონომიკის სხვადასხვა საკითხებზე და, უკანასკნელი სამი წელია იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეკონომიკის ასეთი სამარცხვინო ზრდის ტემპები, ქვეყნის განვითარების ოცდახუთ წლიანი სამარცხვინო დონის მიზეზი, ეკონომიკაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ იმ ადამიანების სამარცხვინო, უფრო მეტიც, დანაშაულებრივ, ქმედებებში, რომლებიც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოდიან!

არც ერთი მაღალჩინოსანი, ვინც კი ხელისუფლებაში ყოფილა, არც ერთს, - ან, არ ადარდებდა, ან, არ შეეძლო, ან, ორივე ერთად, - არც ადარდებდა და არც შეეძლო, - ქვეყნის განვი-

თარების გამოწვევებს გამკლავებოდა და, თუ კი ამ მიმართულებით რაიმე კეთდებოდა, მხოლოდ იმდენად და მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სკამი შეენარჩუნებინა.

არ გვყოლია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ინტელექტი მათ თანამდებობას ნამდვილად არ შეესაბამებოდა (ბოლოს და ბოლოს ამერიკას ჰყავდა პრეზიდენტი, თუ პრეზიდენტები არა, რომელთა განათლება...), არამედ იმიტომაც, რომ მათ მართვის ანა-ბანა არ იცოდნენ! მართვა, ეს ხელოვნებაა, ხოლო მართვის უნარ-ჩვევების შეძენას, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, ხანგრძლივი დრო და მართვის იერარქიული საფეხურების ყველა დონის გავლა სჭირდება.

ერთი რამ კი უდავოა, - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გასაღები, სამწუხაროდ, ეკონომისტების პროფესიონალური დონის არსებობაში არ უნდა ვეძებოთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ მოდის ხელისუფლების სათავეში; რამდენადა აქვს მას ქვეყნის მართვის ნიჭი და ქვეყნის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ამას გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენად მომზადებული, განათლებული და გაუხრწნელი (ეს ყველაზე მნიშვნელოვანია!) სამართალმცოდნეები ჰყავს ქვეყანას. რამდენად მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე კანონების შექმნა შეუძლია ქვეყნის პარლამენტს და იქ თავმოყრილ ინტელექტუალურ ძალებს და, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, - რამდენად შეუძლია ქვეყანას ცხოვრებაში გაატაროს ეს კანონები!

ამ სტრიქონების ავტორს, რამდენიმე, მეტ-ნაკლებად ცნობილ, უმაღლეს სასწავლებლებში მოუწია იურიდიულ ფაკულტეტზე ეკონომიკის საფუძვლების კურსის სწავლება, თავადაც აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნის დიპლომი და ერთი საერთო დამახასიათებელი

ტენდენცია იქნა დანახული, - აქ სამართალდამცველები კი არ იზრდებიან, არამედ უშუალო უფროსის ნების აღმსრულებლები; პირველივე კურსიდან ხდება მათში თავისუფალი სულის ოდნავი გამოვლინების ჩაკვლა და მონური მორჩილების წახალისება. ის ფაქტი, რომ ეს ყველას არ ეხება, არაფერსაც არ ნიშნავს, რადგან ძირითადი მასსა ასეთი სულისკვეთებით ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, რომლის ტრაგიკულ შედეგებსაც უკვე მეოთხედი საუკუნეა ვიმკით.

სწორედ ამიტომ, ჩვენი ყურადღება, უკანასკნელ წლებში, მართვისა და მმართველისათვის საჭირო აუცილებელ ნიშან-თვისებებზე გამახვილდა, რისთვისაც ანტიკური ხანის უბრწყინვალესი წარმომადგენლების, - **გნეუს პომპეუს დიდის, გაიუს იულიუს კეისარის და ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსის** ცხოვრებასა და მოღვაწეობას განვიხილავთ, რომელთა მაგალითზე შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ის უმთავრესი ნიშან-თვისებები, რომელიც აუცილებელია მმართველს ჰქონდეს, რათა ქვეყანა (და არა მხოლოდ საკუთარი თავი - თ.ა.) წარმატებულად აქციოს.

ნუ ვიქნებით ისეთი მიამიტები, თითქოს ვინმე მოდიოდეს ხელისუფლების სათავეში მხოლოდ იმისთვის, რომ, როგორც ამბობენ, - „ხალხს ემსახუროს." პოლიტიკაში მოდიან ძალაუფლებისათვის და, რამდენიც საჭიროა ამ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, იმდენივე კეთდება ქვეყნისთვისაც, რადგანაც ძალაუფლებისათვის პრეტენზიას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული ძალები აცხადებენ, არამედ, და შესაძლოა კიდევ უფრო, ქვეყნის გარეთ მყოფი ძალებიც. სწორედ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის კეთდება ყველაფერი და, მათ შორის, ქვეყნის აღმშენებლობის პროცესიც, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი. ამის საუკეთესო მაგალითი რომის ისტორიაში გვაქვს და კაცობრიობის ისტორიასაც კარგად ახსოვს, - ეს არის

ოქტავიანუს ავგუსტუსის იმპერატორობის ხანა, რომელიც **„ოქროს ხანად"** ინოდება, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რომის იმპერიის ამ სიდიადეს, გარკვეულწილად ამ სამმა დიდმა რომაელმა ჩაუყარას საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ისტორიულ და თავიანთი მოღვაწეობის მასშტაბებით გამორჩეულ პიროვნებებზე ყურადღების აქცენტირებით, იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მაგალითებმა შესაძლოა გარკვეული, - გადამწყვეტი თუ არა, - როლი შეასრულოს ქვეყნის განვითარების საქმეში, რადგან შესაძლოა ახალგაზრდებს გაუღვივოს სურვილი მართვის საკითხებით დაინტერესდნენ და ხელისუფლების სათავეში განსწავლული და მართვის საკითხების მცოდნე ადამიანები მოვიდნენ.

ამ სამი დიდი რომაელიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი, - ყველასათვის ცნობილი პიროვნებაა, - **გაიუს იულიუს კეისარი** და **გნეუს პომპეუს მაგნუსი,** ხოლო მესამე, - **ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი,** ნაკლებად ცნობილი, - მეტი რომ არ ვთქვათ, მაგრამ, შესაძლოა სწორედ ამ შემთხვევისათვის, არ იქნებოდა ზედმეტი იმის გახსენება, რომ, როგორც იტყვიან, - „ზოგის ბამბაც ჩხრიალებსო." მართლაც, ვისაც დიდი ბერძენის, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები" (რომელსაც რატომღაც ქართულად „რჩეული ბიოგრაფიები" ჰქვია და, ალბათ იმის გამო, რომ ყველა გამოჩენილი ბერძენის და რომაელის ბიოგრაფია არ არის თარგმნილი - თ.ა.) წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ **ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი (ძვ.წ. 118-56 წწ)** არანაკლები მხედართმთავარი იყო მის თანამედროვე უდიდეს რომაელებზე, - გაიუს იულიუს კეისარსა და გნეუს პომპეუს დიდზე, ხოლო **ლუციუს კორნელიუს სულა** იმდენად დიდ პატივს სცემდა მის განათლებულობას, რომ თავისი **„ცხოვრების აღწერა"** მას გადასცა **„მოწესრიგებისა და დალაგებისათვის"**, ხოლო ე.წ. **„მარსების ომში"** გამოჩენი-

ლი „სიმტკიცისა და უბოროტო ხასიათისათვის, შეიყვარა და უმნიშვნელოვანეს საქმეთა შესრულებას ავალებდა.“ უფრო მეტიც, რამდენადაც ლუკულუსი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან მოყოლებული, სრულყოფილად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, როგორც პლუტარქე აცხადებს - **ვექილ ჰორტენზიუსსა და ისტორიკოს სიზენას**, სანაძლეო დაუდო, რომ ნებისმიერზე ამ ენებიდან, რომელსაც ისინი მოისურვებდნენ, პოეტურად აღწერდა ე.წ. **„მარსების ომს“ (Bellum Marsicum**,- იტალიკების საერთო აჯანყება, ანუ **„მოკავშირეთა ომი“ (ძვ.წ. 91-88 წწ)** - თ.ა.) და, მათი თანხმობით, მან ეს დაპირება ბერძნულ ენაზე შეასრულა კიდეც.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმითაც არის საყურადღებო, რომ მან, ერთის მხრივ, **მითრიდატე დიდი ევპატორი** და მისი სიძე, **მეფე ტიგრან მეორე დიდი**, არა მხოლოდ დაამარცხა ბრძოლებში, არამედ მათი მმართველობა ისე დაასუსტა, რომ გნეუს პომპეუსს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია საქართველო და სომხეთი შეემუსრა, რის შემდეგაც რომში ტრიუფატორად დაბრუნდა, ხოლო მეორეს მხრივ, როდესაც იულიუს კეისარმა **მეფე ფარნაკი**, მითრიდატე დიდი ევპატორის შვილი, ორი ლეგიონით (პლუტარქესთან, - სამი - თ.ა.) დაამარცხა, და რომში სულ სამ სიტყვიანი, ჩვენთვის არც თუ საამაყო უსტარი გააგზავნა, - **„მივედი, ვნახე, დავამარცხე!“**, ეს იმდენად მათი დამსახურება არ იყო, რამდენადაც ლუკულუსის მიერ ჩატარებული ლაშქრობების შედეგი.

თავი პირველი
უჩინარი ძალა

ადამიანი... თვითცნობა აზრი, ყველა—თვის ჩასახვამდეც, გაჩენამდეც, ჩაროლ მნიშვნელ—ვან აზრს მცირავს თაჩემ, მაგრამ ვერახლებს ვერ ეზიარება იმის ხიდიარეს, ვიდრე არ ამცნობება, ვიდრე არ დაფარიალირება აქმეცნებას, გაფრენ—ებას, ხიმნელ—ეს

ოთარ ჭილაძე, „რკინის თეატრი“

რა არის ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანებს აიძულებს აბსოლუტურად ყველაფერი გაიღონ ძალაუფლებისათვის და მისი უკიდურესი გამოვლინების, სახელისუფლებო ძალაუფლებისათვის?

ადამიანთა მოდგმამ, მიუხედავად განვითარების წარმოუდგენლად მაღალი სიმაღლეებისა (რასაც, სამწუხაროდ, სულიერების სფეროზე ასევე გადაჭრით ვერ ვიტყვით), ვერ მოიშორა სხვა ადამიანზე ბატონობის საკრალური სურვილი. ადამიანში ეს, რატომღაც იმანენტურად ძევს და, ეს იმისდა მიუხედავად, რომ დღეს იგი უფრო სოციალური არსებაა, ვიდრე ბიოლოგიური.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, **აბრაჰამ მასლოუს** საყოველთაოდ ცნობილ, ე.წ. **„მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების“ ხუთ საფეხურიან მოდელში,** ეს, პრაქტიკულად თითოეული ჩვენთაგანისათვის დამახასიათებელი „მოთხოვნილება“ რატომღაც (?) არ არის გათვალისწინებული.

დიახ, დიახ, კიდევ ერთხელ უნდა მოვახდინოთ იმ ფაქტის კონსტანტირება, რომ აბრაჰამ მასლოუს საყოველთაოდ ცნობილ „მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების“ ხუთ საფეხურიან

მოდელში, კაცთა მოდგმის ეს საკრალური სურვილი, - იბატონოს თავისი მოდგმის რაც შეიძლება მეტ წარმომადგენელზე, გათვალისწინებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არსად მინიშნებაც კი არ არსებობს.

სიტუაციას კიდევ უფრო დრამატულს ხდის ის ფაქტი, რომ ეს უსაშინლესი სურვილი ახასიათებს არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ ადამიანთა ნებისმიერ ორგანიზაციას, მისი გამოვლინების ნებისმიერი ფორმით.

ეკონომიკაში ეს სურვილი გამოვლინდება თითოეული კომპანიის მონოპოლიზაციისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილით, რასაც მსოფლიო საზოგადოებამ ანტიმონოპოლიური სამსახური დაუპირისპირა (ცალკე საკითხია მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ავ-კარგიანობა, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობა წინ აღუდგა ამ ეკონომიკურ ნონსენსს).

პოლიტიკაში კი, ეს სურვილი გამოვლინდება ქვეყნის ერთპარტიულად, უკეთეს შემთხვევაში, ხოლო, ცალკეულ შემთხვევაში, ერთპიროვნულად მართვის დაუოკებელ სურვილში, რასაც საზოგადოებამ **შარლ-ლუი მონტესკიეს** მიერ შემოთავაზებული, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და მრავალპარტიულ მონაწილეთა საარჩევნო სისტემა დაუპირისპირა.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ გარდა ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, ეს საკრალური სურვილი ქვეყნებს შორის ურთიერთობის დონეზეც გამოვლინდება, რაც განსაკუთრებით არაადამიანურად გამოიყურება დიდი და მცირე ქვეყნების ურთიერთობებში, ხოლო ძალზე საშიში ფორმებით, - დიდი, ზემძლავრი სახელმწიფოების ურთიერთობებში.

საშიში ფორმები აქ იმ გაგებით ვახსენეთ, რომ რომელიმე ფსიქოპატის მმართველობისას, შესაძლოა კაცობრიობის საე-

რთოდ ფიზიკური არსებობასაც კი, საფრთხეც შეექმნას, რისი არაერთი მაგალითი, მსოფლიო ისტორიაში არაერთხელ გვქონია და, სამწუხაროდ, დღესაც გვაქვს.

ადამიანთა რასსაზე (აქ, ამ სიტყვის გრიგოლ რობაქიძისეულ ფონეტიკას ვიცავ - თ.ა.) ბატონობის ამ, თავისი მასშტაბით ყველაზე სერიოზულ, და, ყველაზე საშიშ გამოვლინებას, მსოფლიო საზოგადოებამ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა დაუპირისპირა, რომელთა ძალისხმევის შედეგიც უნდა იყოს იმ შემაკავებელი ძალის ფორმირება, რომელიც ხელს უშლის ზესახელმწიფოებს, ყოველ შემთხვევაში აშკარად მაინც, ხელი აიღონ სხვა ქვეყნებზე ბატონობის გარდაუალ და საკრალურ (უკვე მერამდენებ ვიმეორებ ამ სიტყვას) სურვილზე.

თუ კი ადამიანთა განვითარების საწყის ეტაპზე, არსებობისათვის ბრძოლით მოტივირებული, სხვაზე ბატონობის სურვილი გამოვლინდებოდა დამარცხებულის ფიზიკური განადგურებით (რიგ შემთხვევებში კი მათი საკვებად გამოყენებით, რისი სამწუხარო მაგალითები, არც თუ ისე შორეულ წარსულში, ქვეყნის პრეზიდენტის დონეზეც კი გამოვლინდებოდა, მაგალითად - **ჟან ბედელ ბოკასსა, ცენტრალური აფრიკის დიქტატორი,** რომელმაც, ოფიციალური მონაცემებით, თავისი ქვეყნის, სულ ცოტა ათი (?) წარმომადგენელი, უკაცრავად გამოთქმისათვის და, შესანსლა, თავისი მზარეულის ჩათვლით - თ.ა), უფრო მოგვიანებით მათი ცოცხლად დატოვება და უფასო სამუშაო ძალად გამოყენება დაიწყეს.

საკმაოდ ცნობილი მეცნიერების აზრით, ანტიკური ხანის ერთ-ერთი უჭკვიანესი ტვინის, - **ჰერონის** მიერ, რეალურად გამოგონებულმა ორთქლის ძრავამ პრაქტიკული გამოყენება და, მითუმეტეს, მისი შემდგომი სრულყოფა, იმიტომ ვერ ჰპოვა, რომ მონური შრომის წარმოუდგენელი სიიაფე ამის საჭიროებას არ მოითხოვდა (?).

ამ ფაქტიდან, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მონობა, ადამიანის ადამიანზე ბატონობის ძალდატანებითი ფორმის პირველი ორგანიზაციული გამოვლინება იყო. თუმცა, რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ ლეგენდარული სპარტაკის მიერ მონათა აჯანყების ორ წლიანი სახელოვანი ეპოპეა, სრულიად გაუგებარს ხდის, თუ რატომ არ გადავიდა იგი ალპებს გადაღმა და არ მისცა თავისუფლება აჯანყებულებს? რატომ შემობრუნდა უკან იტალიისკენ, რითაც პრაქტიკულად უარი თქვა ნანატრ, სისხლითა და ოფლით მოპოვებულ, თავისუფლებაზე? უბრალოდ, ეჭვის დონეზე მაინც, გვინდა ვივარაუდოთ, - ხომ არ იმძლავრა მასშიც, სხვაზე ბატონობის დაუძლეველმა სურვილმა?

არ ვიცი, შესაძლოა იმის დამტკიცების სურვილი მალაპარაკებს, რომ აბრაჰამ მასლოუს მოდელში სერიოზული ხარვეზია, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც უნდა მოვახდინოთ იმის კონსტანტირება, რომ ადამიანში ეს იმანენტურად ძევს, - ამა თუ იმ ფორმით იბატონოს სხვაზე, - სულერთია, იქნება ეს ფიზიკური ძალადობა, პოლიტიკური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა და ა.შ. (მინდა იმედი ვიქონიო, რომ ძალადობის ეკონომიკურ ფორმებზე მომავალში აუცილებლად ვისაუბრებთ).

თუ ეს ასეა, და, სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ ეს ასეა, ადამიანთა საზოგადოება პირობითად მაინც, დღესაც იყოფა „ მონებად და მონათმფლობელებად.“ აბა, სხვანაირად, რით უნდა აიხსნას იმ წარმოუდგენელი უსამართლობა, როცა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების უკვე დღეს არსებული დონე იმის საშუალებას იძლევა, რომ მსოფლიო მოსახლეობა დაკმაყოფილებულ იქნეს მასლოუს იერარქიული მოთხოვნილებათა ნუსხის, სულ ცოტა პირველი ორი დონით მაინც, - არ შიმშილობდეს ადამიანი და თავზე ჭერი ჰქონდეს და, ამ დროს, ორ მილიარდზე მეტი ადამიანის დღიური შემოსავალი ერთ დოლარზე ნაკლებია, ხოლო კიდევ იმდენივეს დღი-

ური შემოსავალი - ორი დოლარი (ანუ, პრაქტიკულად ყველა ჩვენი პენსიონერი, აღარაფერს ვამბობ უმუშევრებზე), ხოლო ე.წ. „ოქროს მილიარდმა“, ამ ცოდვილ დედამიწაზე ნამდვილი სამოთხე მოიწყო.

რა არის ის უჩინარი ძალა, რომელიც ამას ყველაფერს წარმართავს? და, თუ ეს, ის უბედურებაა, რაც ადამიანში შინაგანად ძევს, - ერთი ადამიანის მეორეზე ბატონობის სურვილი, მაშინ კიდევ დიდხანს იქნებიან მონებიც და მონათმფლობელებიც, რაც არა მხოლოდ ძალზე სამწუხაროა, არამედ ძალზე დამამცირებელიც.

თავი მეორე

„კრიტიკული მასსა“ და „მუხტის შენახვის კანონი“

ვიღაც აი დაარწმუნებდა, კაცის მცვა—ა-ნაფხიცნება ჩემ კვა—ებდა იმას და აჰა ცხენებში გზაამბნყა—და, ხაჰბდა, მეშფაქა—და, მეღოყაჰდა აყლ—ა, ჩემე—და ხაშეშე—ლი იქ აჰის, სადაც გაძღომიან და აჰა იქ, სადაც ბევრ ჩამეზე ყნდა თქვენ ყაჰი და, შიძ—ება, საჰდილი ცაჰიე—ი მყლ—იდ ჩავიდნენ საფ—ავში, შნე—ლი იმიტომ, დავიანდი კვაჰი ჩემ აჰ დაივიწყნენ და კულ—ტიე—ების მა—ახი გ—იჭნენ წვეებაყ— ემებში დაღაყნა—და საფ—ავებზე, მაშინაც კი, ჩნდა მკვდარი კი აჰა, ცნცხა—იც ატაჰავის ახსნავს, ჩნდა ძალ—ი ნაფხიცნს ეჰ ცხენებს და, ჩაც მდავაჰია, ჩნდა აჰავინ აჰ იცის დამჭიდებიდ, ჩნდა საჰდილ იქნება დაც აჰა ხვა— ან კვაჰი, ან საფ—ავი.

ოთარ ჭილაძე, „რკინის თეატრი“

ანტიკური ხანის რომის პოლიტიკური ცხოვრების გაცნობისას, გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ ის, თუ რამდენად დემოკრატიული იყო რომის პოლიტიკური მოწყობის სამართლებლივი საფუძვლები, არამედ ისიც, თუ რამდენად დიდი გავლენა ჰქონდათ ამ ცხოვრებაზე უბრალო რომაელ მოქალაქეებს. უფრო მეტიც, თუ იმ პერიოდს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას შევადარებთ, დავინახავთ, რომ დღეს ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილი პრაქტიკულად ინდიფერენტულია, როგორც საერთოდ პოლიტიკური ცხოვრების მიმართ,

ისე მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინების, - არჩევნების მიმართაც, მაშინ როდესაც ძველ რომში მოქალაქეთა გავლენა არჩევნების შედეგებზე განუზომლად დიდი იყო.

მოსახლეობის ასეთ დამოკიდებულებას პოლიტიკური ცხოვრებისადმი, ანუ მათ პოლიტიკურ პასიურობას, მრავალი მიზეზი აქვს, რომელთა შორის ერთ-ერთი, ჩემი აზრით ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი ისიც არის, რომ დღეს სიცოცხლე, როგორც ბუნებისგან მოვლენილი უდიდესი საჩუქარი, წარმოუდგენლად უფრო ფასეული გახდა და, რადგან, თუ ადრე მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდათ და პრაქტიკულად დედამიწაზე სამოთხე შეექმნათ, დღეს მათი რიცხვი წარმოუდგენლად გაიზარდა და მათი რაოდენობა მსოფლიო მაშტაბით თითქმის მილიარდს აღწევს. ამდენად, პოლიტიკური აქტივობის ის დანახარჯები, რასაც წინათ, როგორც წესი, ხშირად სისხლისმღვრელი შეხლა-შემოხლით მიმდინარეობდა, დღეს უკვე ფინანსური რესურსების „შეხლა-შემოხლით" მიმდინარეობს და, თუ კი მაინც აქვს ადგილი ვანდალურ ფაქტებს, ეს მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ხასიათდება და არ ატარებს სისტემურ ხასიათს, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

მსოფლიო მოსახლეობის ამ ბედნიერი მილიარდის რიცხვში შემავალი ადამიანები, ე.წ. „ოქროს მილიარდის" სახელით მონათლეს და ისინი, ერთის მხრივ, ცდილობენ შეინარჩუნონ ეს საოცნებო ადგილი და, რაც მთავარია საკუთარი სიცოცხლე, რის გამოც ძალას და ენერგიას არ იშურებენ, რათა ისე მართონ პროცესები, რომ არა მხოლოდ სტაბილურობის განცდა ჰქონდეთ, არამედ უზრუნველი ხვალინდელი დღე და, მეორეს მხრივ, დანარჩენი მსოფლიო მათი ინტერესების გათვალისწინებით იმართებოდეს.

სწორედ იმის გამო, რომ დანარჩენი ნაწილი მსოფლიო მოსახლეობისა, მათგან იმართება და ისინი ამას ნათლად ხედავენ, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი პოლიტიკურად პასიურია.

ცხადია ხსენებული მიზეზი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ისეთი მიზეზია, რომელიც ამ მოვლენის ზედაპირზე ძევს, ყველასათვის ცნობილია და ცხადად ჩანს, მაგრამ არსებობს სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ამომრჩეველთა პოლიტიკური პასიურობისა. კერძოდ, თუ კი ანტიკური ხანის რომში არჩევნების ჩატარების პროცესში ხმის მიცემის პროცედურა და ამ ხმების დათვლა პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს ხდებოდა, დღეს, ეს ორი, ადრე პრაქტიკულად ერთდროულად მიმდინარე პროცედურა, დროსა და სივრცეში განცალკევებულად მიმდინარეობს. ანუ, უშუალოდ ერთსა და იმავე დროში და ერთსა და იმავე ადგილას მიმდინარე პროცესები ერთმანეთს დაშორდა, როგორც დროში, ასევე სივრცეში. ანუ, დღეს, საარჩევნო პროცესში, დროსა და სივრცეში გაშუალებული მეთოდოლოგია (და არა მეთოდი), გამოიყენება, რამაც საშუალება მისცა ამა თუ იმ ქვეყნის წარმმართველ ძალას, უსისხლოდ, მხოლოდ მისი უდიდებულესობა „დოლარის ძალით" გადაწყვიტოს ქვეყნის მმართველობის მათთვის ხელსაყრელი „მოხაზულობა" და მოიყვანოს ის ხალხი, რომელიც მისთვის ხელსაყრელია.

ამაშია ის მეთოდოლოგიური თავისებურება, რითაც დღევანდელი არჩევნები ანტიკური ხანის რომის არჩევნებისაგან განსხვავდება. თუ ძველ რომში ხალხს უშუალოდ ითვლიდნენ ტიბრებში, რის გამოც ვიზუალურად ჩანდა ვინ ვის მისცა ხმა და რამდენმა, დღეს ეს პროცესი განცალკევებულია, ანუ ხმის მიცემის პროცედურა და ხმების დათვლის პროცედურა დროსა და სივრცეში ერთდროულად კი არ ხდება, არამედ დროის სხვადასხვა პერიოდში და სივრცის სხვადასხვა ადგილას.

ცხადია, შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ანტიკური ხანის რომში არჩევნები სრულ სიმშვიდეში და ობიექტურად ტარდებოდა. იქაც ხშირად ჰქონდა ადგილი უკანონობას, ხმების მოსყიდვით დაწყებული და სისხლისმღვრელი შეხლა-შემოხლით

დამთავრებული, მაგრამ ის რაც ხდებოდა, მაინც ყველას თვალწინ ხდებოდა და ასეთი ვანდალური პროცესების მიუხედავად, ხალხი პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას ღიად გამოხატავდა და თავის უფლებებს იცავდა.

იმის საჩვენებლად, რომ იმ დროს ხალხის გავლენა არჩევნების შედეგებზე უფრო თვალსაჩინო იყო, ვიდრე დღეს, შეიძლება მოვიყვანოთ, დიდი ბერძენის, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიებიდან", ერთი ამონარიდი, რომელიც გნეუს პომპეუსის ცხოვრების აღწერას ეხება.

როდესაც სახალხო ტრიბუნმა **გაბინიუსმა** შემოიტანა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც მეკობრეთა თავგასული პარპაშის ასალაგმავად პომპეუსს წარმოუდგენლად დიდი უფლებამოსილება ენიჭებოდა, გაიუს იულიუს კეისრის გარდა, რომელსაც, როგორც პლუტარქე ბრძანებს, მხოლოდ და მხოლოდ თავისი მერკანტილური მიზნები ამოძრავებდა, რადგან იცოდა რა, რომ გნეუს პომპეუსი უბრალო ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ მისი მხარდაჭერით მასაც გადაესხმებოდა ხალხში პოპულარობის წყალი, - ყველა სხვა სენატორი წინააღმდეგი წავიდა, მაგრამ ფორუმზე შეკრებილმა ხალხმა ამ კანონპროექტს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და, ცხადია, ეს ერთსულოვნება გამოხატვის ძალადობრივ ფორმებისთვისაც მზადყოფნას ნიშნავდა, რის გამოც, მეორე დღეს, სახალხო კრებაზე კენჭისყრისას კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

ანუ, ჩვენ იმ ფაქტს გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ხალხსა და სენატს შორის სამართლებლივი კავშირი დროსა და სივრცეში პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვეოდა, - სენატში წარდგენილი კანონპროექტის დამტკიცებაზე გადაწყვეტილებას ამომრჩეველი სენატის გარეთ, ფორუმზე იღებდა და თავის პოზიციას მაშინათვე გამოხატავდა მუქარისა, თუ მოწონობის ყველანაირი ფორმით, რაც, საკმაოდ ხშირად, ძალადობ-

რივი მეთოდების გამოყენებასაც გულისხმობდა. ანუ, ხალხი, - უბრალო ამომრჩეველი, - იყო ის უმთავრესი განმაპირობებელი ძალა, რომელსაც შეეძლო დაეძლია სენატის ნებისმიერი გადაწყვეტილება და, რაც მთავარია, ეს პროცესი დროში არ იყო ერთმანეთისგან დაცილებული და, პრაქტიკულად ერთდროულად ხდებოდა.

სწორედ ეს გახლავთ ხალხის ნების გამოხატვის უმთავრესი მოცემულობა, - ხალხის ნების უშუალო გამოხატვის არქიმნიშვნელოვანი პირობა. ამ მოცემულობის გარეშე არჩევნების შედეგები თითქმის არასოდეს არ გამოხატავს ხალხის ნებას. იგი მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული, ზემოთ განხილული მმართველი მილიარდის ინტერესების გამომხატველია, და, კაპიტულანტური კანონშემოქმედების ჩამოყალიბების უმთავრეს პირობას წარმოადგენს.

ხალხის ნების გამოხატვის ზემოთ მოყვანილი მაგალითი ანტიკური ხანის პოლიტიკური ცხოვრებიდან, ძალიან დამაფიქრებელი მაგალითია იმის გასარკვევად, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არჩევნები უფრო მიუახლოვდეს ობიექტურობის ნიშნულს, ვიდრე დღეს გვაქვს.

ფაქტია, რომ მიუხედავად იმ პერიოდის პრაქტიკულად ყველანაირი ინსინუაციებისა, რაც კანონპროექტების მიღებას ახლდა თან, - პოლიტიკურ მოსყიდვით დაწყებული და ფიზიკური დაპირისპირებით დამთავრებული, ხალხის სურვილი ერთ მიზნად კონცენტრირდებოდა და პრაქტიკულად ყოველთვის ისე წყდებოდა, როგორც „მის უდიდებულესობა“ ხალხს სურდა.

ამასთან დაკავშირებულ ერთ პარალელს გავავლებთ ეკონომიკური თეორიის სფეროდან და ქვემოთ განვიხილავთ იმ თეორიულ პოსტულატებს, რომელიც ერთ-ერთ ჩვენს ადრინდელ ნაშრომს ეფუძნება. საკითხი ეხება ე.წ. „კრიზისების თეორიას,“ რომლითაც მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება, ქვეყ-

ნებს შორის გლობალიზაციური პროცესების წარმოუდგენელი გაღრმავების შედეგად და ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოების პოლიტიკური აქტივობის დონეზე, რომელიც გარეგნულად ისეთივე რყევებით ხასიათდება (დაწყებული მათი პოლიტიკური ინდიფერენტიზმიდან, დამთავრებული მათი პოლიტიკური აქტივობის უკიდურეს ფორმებამდე), როგორითაც ხასიათდება მსოფლიო კრიზისები.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, როგორც კი საქონლის სამყარო, დროსა და სივრცეში დაშორდა, მისი შესაბამისი ჯამური საბაზრო ღირებულების ფულად მაჩვენებლებში გამოსახულ სიდიდეს, და, ფინანსური ნაკადების სახით დაიწყო დამოუკიდებელი მოძრაობა, იმავდროულად იწყება მათ შორის პერმანენტული დისბალანსის დაუსრულებელი პროცესი და თან იმ დონის, რომ ფინანსური ნაკადის აქტივების ჯამური სიდიდე რამდენიმეჯერ აღემატება (შესაძლოა, - ორჯერ, სამჯერ, და ა.შ.) საქონლის სამყაროს საბაზრო ღირებულების ჯამური სიდიდის ფასს, რამაც შედეგად გამოიწვია საზოგადოების კოლოსალური მასშტაბების წარმოუდგენელი პოლარიზაცია შემოსავლების განაწილების კუთხით და, რომ არაფერი ვთქვათ ასეთი ფინანსური გამომგონებლობის სამართლებლივ ასპექტებზე, აქედან, როგორც შედეგი, გვაქვს, უმცირესობის მიერ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მანიპულირების შესაძლებლობა, ანუ, საზოგადოება დაიყო ე.წ. „ბედნიერი მილიარდის" წარმომადგენლებად და ე.წ. „უბედურ დანარჩენებად."

საზოგადოების ასეთ პოლარიზაციას გარკვეულწილად კარგად გვიჩვენებს ე.წ. „ლორენცის მრუდი," ოღონდაც ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მრუდი ვიზუალურად ისეთივე მშვიდი და დამაწყნარებელი ფორმისაა, როგორც თავად იდეა, რომლის თანახმადაც, საზოგადოების შემოსავლების მიხედვით დაყოფის ყველაზე უწყინარი გზა გამოინახა, - კერთოდ

მისი ხუთ ჯგუფად დაყოფა. მოსახლეობის დაყოფა შემოსავლების მიხედვით მხოლოდ ხუთ ჯგუფად და არა უფრო მეტად, არსებული სიტუაციის ძალზე მიახლობით სურათს გვაძლევს და რეალობისგან ისევე განსხვავდება, როგორც დაყოფის რაოდენობის ხუთიდან ათად დაყოფის შედეგად მიღებული მრუდები. თუ პირველ შემთხვევაში მას, შეიძლება ითქვას, - „მშვილდის“ ფორმა აქვს, მეორე შემთხვევაში იგი, მუსიკის თეორიაში შემოღებული ე.წ. „ბანის გასაღების“ ფორმისაა.

ზუსტად ასევე, რამდენადაც არჩევნების პროცესში, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესი ერთმანეთს დროსა და სივრცეში არ ემთხვევა და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, იმის გამოც, რომ არჩევანის გაკეთების პროცედურა კონფიდენციალურია, რის, გარკვეულწილად გასანეიტრალებლადაც ე.წ. „ეგზიტპოლების“ ინსტიტუტი იქნა შემოღებული, ეს საშუალებას აძლევს გარკვეულ ძალებს (უფრო ხშირად კი მმართველ ძალას) არჩევნების შედეგების მანიპულირება მოახდინოს. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ქვეყნის განვითარების, გნებავთ ეკონომიკურ, და, გნებავთ პოლიტიკური კულტურის დონეს. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის დაბალი აქტივობისა და, შედეგად, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, საარჩევნო კანონში არჩევნებში მონაწილეთა სავალდებულო მინიმალური ზღვარის გაუქმების მიზეზი.

მართალია, პრაქტიკულად ვერც ერთი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სრულიად სამართლიანად, ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩატარებას (ცხადია, აქ არ არის საუბარი წვრილმან დარღვევებზე), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არაფერი არ გავაკეთოთ ამ მიმართულებით.

და ბუნებრივია ისმის რიტორიკული კითხვა, - რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

პასუხი ამ კითხვაზე სრულიად დამაბნეველია და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საარჩევნო კანონის სრულყოფაში ნამდვილად არ ძევს. არჩევნების გაყალბების მცდელობა ყოველთვის იარსებებს და იგი წარმატებული იქნება მანამ, სანამ არჩევნებში მონაწილე და, უფრო მეტად, არამონაწილე მოსახლეობის ნეგატიური (გნებავათ უარყოფითი) მუხტი ე.წ. „კრიტიკულა მასსას“ არ გადააჭარბებს.

შევეცადოთ განვმარტოთ, თუ რა არის „კრიტიკული მასსა“ და რა კავშირი აქვს მას ე.წ. „ნეგატიურ მუხტთან,“ რისთვისაც დაგვჭირდება კიდევ ერთი ინფორმაციული სიდიდის, - ე.წ. „მუხტის“ ცნების შემოტანა, რის შედეგადაც შეიძლება „უკმაყოფილების“, გნებავთ „უარყოფითი მუხტის შენახვის“ კანონის განმარტებაც. ამისათვის შემოვიტანოთ რამდენიმე განსაზღვრება და პოსტულატი.

პოსტულატი 1. როგორც წესი, საზოგადოება არასოდეს არ არის კმაყოფილი ხელისუფლებით.

ნებისმიერ საზოგადოებაში ხალხი, როგორც წესი, არასოდეს არ არის კმაყოფილი თავისი ხელისუფლებით. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, ან, კიდევ უფრო იშვიათად, - დროის გარკვეულ პერიოდში, ხალხის კმაყოფილება იმაში შეიძლება გამოიხატებოდეს, რომ მან არ იცის, თუ ვინ არის ხელისუფლების სათავეში. თუმცა ასეთივე რეაქცია შესაძლოა არსებობდეს მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლების მიმართ სრული ინდიფერენტიზმის პირობებშიც.

განსაზღვრება 1. ხელისუფლების ქმედებებზე საზოგადოების მიერ გამოხატულ ნებისმიერ რეაქციას, „საზოგადოებრივი მუხტი“ ვუწოდოთ.

განსაზღვრება 2. თუ ხელისუფლების ქმედებებზე საზოგადოების რეაქცია უარყოფითია, მაშინ ვიტყვით, რომ გვაქვს

„უარყოფითი საზოგადოებრივი მუხტი," ან, უფრო მოკლედ, - „უარყოფითი მუხტი" და პირიქით.

პოსტულატი 2. „უარყოფითი მუხტი" კუმულატიური ეფექტით ხასიათდება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების ცალკეულ ქმედებებზე საზოგადოების მიერ გამოხატული უარყოფითი მუხტი არ იკარგება, იგი იჯამება. ანუ, რაღაც პერიოდის მანძილზე საზოგადოებაში დაგროვილი უარყოფითი მუხტის ჯამური სიდიდე ტოლია ამავე პერიოდში საზოგადოების მიერ გამოხატული ცალკეული უარყოფითი მუხტების ჯამის.

განსაზღვრება 3. უარყოფითი მუხტის „კრიტიკული მასა" ეწოდება სიდიდეს, რომლის დროსაც საზოგადოება მზად არის დაამხოს ხელისუფლება მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმების ჩათვლით.

პოსტულატი 3. როგორც კი უარყოფითი მუხტი „კრიტიკულ მასსას" მიაღწევს, იწყება პოლიტიკური კრიზისი, რასაც შესაძლოა მოყვეს ხელისუფლების შეცვლა.

განსაზღვრება 4. თუ „უარყოფითი მუხტი" მნიშვნელოვნად გადააჭარბებს „კრიტიკულ მასას", ან ეს გადაჭარბება მყისიერია, ვიტყვით, რომ გვაქვს „ინფორმაციული აფეთქება".

პოსტულატი 4. იმისათვის რომ პოლიტიკურმა კრიზისმა ხელისუფლების შეცვლა გამოიწვიოს, ადგილი უნდა ქონდეს „ინფორმაციულ აფეთქებას".

პოსტულატი 5. პოლიტიკურ კრიზისებს ციკლური ხასიათი აქვთ.

ამ ცნებების შემოტანის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ როდესაც ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის „უა-

რყოფითი" მუხტი მიაღწევს „კრიტიკულ მასსას" და ეს მუხტი იმდენად დიდი იქნება, რომ საკმარისი დროით შეინახება, მხოლოდ მაშინ და ისიც მხოლოდ ერთჯერადად, მოხდება ხელისუფლების, - უკეთეს შემთხვევაში შეცვლა, ხოლო, როგორც წესი, - ჩამოგდება, და ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება, ანუ, როგორც ჩვენს ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში, - „ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი", - ვაჩვენეთ, ამ პროცესს ციკლური ხასიათი აქვს.

იმისათვის, რომ ამ პროცესის ციკლური ხასიათი დაირღვეს, ან, უარეს შემთხვევაში ციკლებს შორის პერიოდი კარდინალურად გაიზარდოს, აუცილებელია ბრძოლის ეპიცენტრი სრულიად სხვა მიმართულებით გადავიტანოთ, - უნდა მოხდეს იმ უმთავრესი მიზეზის აღმოფხვრა, რაც საბოლოო ჯამში ამ პროცესებს იწვევს, - ეს არის ფინანსური ოლიგარქიის მიერ იმ დისბალანსის შენარჩუნების წარმატებული პროცესი, რომელიც არსებობს საქონლის სამყაროსა და მის არაშესაბამის ფინანსურ ნაკადებს შორის. მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ეს უკვე სცილდება ერთი ქვეყნისათვის საჭირო „კრიტიკული მასსის" სიდიდეს და ამისათვის საჭირო „უარყოფითი" მუხტის სიდიდეს.

მანამ კი შევეცადოთ ავხსნათ, თუ რატომ ვერ ახერხებს ამომრჩეველი საკუთარი ხმის დაცვას არჩევნებში. აქ პირველ პლანზე გამოდის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ხმებით მანიპულირების შესაძლებლობაში. კერძოდ, ნებისმიერი საკითხის დასმიდან ამ საკითხის გადაჭრით მიღებული შედეგის დადგომას გარკვეული დრო სჭირდება. როდესაც რაიმე პრობლემა ეხება ერთ, ორ, სამ და ა.შ რამდენადმე მცირე ადამიანთა რაოდენობას, ხელისუფლება მათ პროტესტს არაფრად აგდებს. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ყურად იღოს მათი საპროტესტო ხმა, საჭიროა გამპროტესტებელთა ისეთი რაოდენობა, რომ მათ მიერ

დაგროვილმა „უარყოფითმა მუხტმა“ ე.წ. „კრიტიკულა მასას“ მიაღწიოს და მხოლოდ ამის შემდეგ არის იმის შესაძლებლობა, რომ ამომრჩეველმა არჩევნების შედეგი გააპროტესტოს და ამ გაპროტესტებამ თავისი შედეგი მოიტანოს.

ის, რომ ამას ამომრჩეველი ყოველთვის ვერ ახერხებს, ერთი შეხედვით, შესაძლოა ავხსნათ ე.წ. „ქოუზის თეორემით“, რომლის თანახმადაც, - რაც უფრო მეტია ადამიანთა რაოდენობა, მით უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ მათ მოახერხონ რაიმე ერთ, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მათთვის ყველასათვის საერთო და, ამდენად, მნიშვნელოვან საკითხზე, შეთანხმება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, - რაც მეტია მონაწილეთა რაოდენობა, მით მეტია მათ მოლაპარაკებისათვის საჭირო დანახარჯები, ანუ, ე.წ. „ტრანზაქციური დანახარჯები.“ ამის საუკეთესო მაგალითი თავად ამ თეორემის ავტორის ცხოვრებაა. საქმე იმაშია, რომ რონალდ ქოუზმა ეს თეორემა (არ ვიცი, რამდენად სწორია აქ სიტყვა „თეორემის“ ხმარება) სტატიის სახით ოცდაშვიდი წლის ასაკში გამოაქვეყნა, ხოლო ნობელის პრემია ამ ნაშრომში, თავისი განუზომლად დიდი მნიშვნელობის (?) გამო, ოთხმოცდაერთი წლის ასაკში მიიღო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნობელის პრემიას სიკვდილის შემდეგ არ იძლევიან, ბედისწერის კაპრიზებს, თუ მისი წარმოუდგენელი იუმორის გრძნობას უნდა მივაწეროთ ასეთი, შეიძლება ითქვას, პარადოქსული სიტუაცია - ქოუზი ამ დროს ცოცხალი იყო.

ის, რაც ჩვენ გვინდა შევთავაზოთ ამ მიმართებით, რამდენადმე განსხვავდება ქოუზის თეორემის მიდგომისგან.

კრიტიკული მასის მისაღწევად რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი და მათი უმეტესი ნაწილის ერთდროულად ამოქმედებაა საჭირო.

პირველი, ეს გახლავთ პროტესტის გამოხატვისათვის ხელ-

საყრელი წელიწადის დრო, რომლის დადგომამდეც ნეგატიური მუხტის, ასე ვთქვათ დაგროვება ხდება. ეს დრო, ცხადია ქვეყნიდან ქვეყანამდე იცვლება. ხშირად ეს პერიოდი შემოდგომის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებია და გაზაფხულის აპრილ-მაისი. როგორც წესი, სწორედ ამ პერიოდში ამოხეთქავს მოსახლეობის საპროტესტო ტალღა მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმებით. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, რომლის შესაბამად პროტესტის გამოხატვის პერიოდიც იცვლება. მაგალითად, იქ, სადაც ხანგრძლივი ზამთარია, ან ხანგრძლივი ზაფხული, მაშინ პროტესტის გამოხატვის დროც სრულიად განსხვავებული იქნება.

მეორე ფაქტორია, განსახილველი საკითხის მნიშვნელობა და მისი შედეგების შესაძლო ნეგატივი მოსახლეობისათვის. ცხადია, რაც უფრო მეტ ადამიანს შეეხება ეს ნეგატივი და რაც უფრო მწვავე იქნება მისი შედეგები, მით უფრო მეტი „უარყოფითი" მუხტი დაგროვდება, რომელიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ე.წ. „კრიტიკულ მასსას" და მოხდება „ინფორმაციული აფეთქება", რომლის მატერიალიზება გამოიხატება ამომრჩევლის მიერ საკუთარი ხმის დაცვისათვის პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმების მიმართვაში, ან თუ ეს გადაჭარბება კრიტიკულ მასაზე ბევრად მეტი არ არის, იმუშავებს ე.წ. „მუხტის შენახვის კანონი", რაც უფრო მშვიდობიანი ფორმის საპროტესტო მსვლელობებში იქნება გამოხატული.

რამდენადაც ადამიანს აღგზნებულ, გნებავთ ემოციურად დამუხტულ, მდგომარეობაში ყოფნა დიდხანს არ შეუძლია, და ამ დროს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, იგი დადებითი მუხტით არის გამოწვეული, თუ უარყოფითით, სწორედ ამიტომაც, არჩევნების პროცესში მიზანმიმართულად არის ერთმანეთისგან დაშორებული, ხმის მიცემის პროცედურები და ხმების დათვლის პროცედურები დროსა და სივრცეში, ისევე,

როგორც შედეგების გაპროტესტების პროცესი, მისი საბოლოო შედეგების გამოცხადების პროცესიდან და ა.შ.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუ რატომ ვერ აღწევს უარყოფითი მუხტი „კრიტიკულ მასსას," ისიც განაპირობებს, რომ დაახლოებით მილიონნახევარი მოსახლეობისა გადახვეწილია ქვეყნიდან და, ცხადია, მოსახლეობის ეს ნაწილი რომ არ გასულიყო ქვეყნის გარეთ, ვერც ერთი ხელისუფლება ამდენხანს ვერ გაძლებდა. ანუ, მუხტის დაგროვება, რაც კუმულატიური ეფექტით უნდა იყოს გამოწვეული, არ ხდება იმ დროში და იმ ზომით, რომ „კრიტიკული მასსა" გადაილახოს.

თავი მესამე

ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი (118 – 56 ძვ. წ.)

აჩის ჩაოაცა, ჩაც იაკინტჩჩსაც აჩ კკაჩჩბა, ოჩჩე ჯაჭიბა?,
- ვინ გააბკაავს იაკინტჩჩს ჯაჭიბა მჩსთხკავს?

უცნობი ავტორი

Me quoqve fata regunt!
იაკინტჩჩი: - მკც მკჩი მმჩძანებ—ებს!
მკც განგებას ვემჩჩრ—ები!

ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“

ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი, პაპით კონსულის შთამომავალი იყო, ხოლო დედის მხრივ, მისი ბიძა იყო **მეტელუსი**, რომელსაც მეტსახელად **ნუმიდიელს** ეძახდნენ. ერთი, თუმცა არა უკანასკნელი, ნიშანდობლივი ფაქტი, რომლითაც გვინდა ამ გასაოცარი ადამიანის მოღვაწეობის შესახებ თხრობა დავიწყოთ, ეს გახლავთ, დღევანდელი გადასახედიდან მართლაც უცნაური ფაქტი. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „ლუკულუსის მამა ამხილეს სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში.“ ანუ, მთელი 2000 წლით ადრე, სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის ადამიანებს მთელი სიმკაცრით ამხელდნენ! ეს მართლაც ძალზე ნიშანდობლივი ფაქტია! ხოლო რაც შეეხება დედას, - „**ცეცილიას**, - მას, აღვირახსნილი ცხოვრების გამო სახელი ჰქონდა გატეხილი.“

ლუკულუსმა სიყმაწვილეში საფუძვლიანი და ყოველმხრივი განათლება მიიღო, ხოლო ხანდაზმულობაში ფილოსოფიას მოჰკიდა ხელი. როგორც გადმოგვცემენ, ერთხელ, თურმე ახალგაზრდობაში, მან ჯერ ხუმრობით, ხოლო შემდგომ მთელი სერიოზულობით შესთავაზა, ვინმე **ვექილ ჰორტენზიუსსა და ისტორიკოს სინეზას, რომ ე.წ. „მარსების ომს“** ლექსად აღწერდა ნებისმიერ ენაზე, - გინდა ბერძნულად, გინდა ლათინურად, რომელსაც ისინი მოისურვებდნენ და მართლაც, როდესაც მათ სთხოვეს ბერძნულად აღეწერა, მან ეს დაპირება შეასრულა, რის წყალობითაც, როგორც პლუტარქე ამბობს, დღემდე შემოგვენახა მარსების ომის ისტორია ბერძნულად. (მარსების ომის **(Bellum marsicum)** სახელით ცნობილია იტალიკების საერთო აჯანყება, ანუ **„მოკავშირეთა ომი“ (ძვ.წ. 91-88წწ)**. ამ ენებს იგი იმდენად სრულყოფილად ფლობდა, რომ **ლუციუს კორნელიუს სულამ** საკუთარი ხელით დაწერილი **„თავის საქმეთა აღწერილობა“** მიუძღვნა (ვიკიპედიაში წერია თავისი „მოგონებები“ მიუძღვნაო - თ.ა.), როგორც ისეთ კაცს, რომელიც გაცილებით უკეთ შეძლებდა მის მოწესრიგებას და დალაგებას. (ეს ადგილი ცოტა გაუგებარია, - თუ მიუძღვნა, მაშინ როგორ მოაწესრიგებდა და დაალაგებდა? ვერ ვიტყვი, პლუტარქე სცოდავს, თუ მთარგმნელი? - თ.ა.).

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლუკულუსმა, რომელსაც მანამდე არანაირი თანამდებობა არ ეჭირა, უპირველეს მიზნად დაისახა საჯარო სამართალში მიეცა მამამისის ბრალმდებელი მისანი **სერვილიუსი**, როგორც ბოროტმოქმედი. აქ უცნაური ის კი არა არის, რომ შვილმა, თუნდაც დამნაშავე მამის გამოქომაგების გულისათვის, მოინდომა სერვილიუსის სამართალში მიცემა, არამედ ის, რომ, როგორც პლუტარქე გადმოგვცემს,- რომაელებს საერთოდ უღირს საქციელად როდი მიაჩნდათ, თუნდაც საბაბის გარეშე, ვისიმე წინააღმდეგ ბრალდებით გამოსვლა. მათთვის დიდი სიამოვნება იყო ეცქირათ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ისე მიესეოდნენ დანაშაუ-

ლის ჩამდენთ, ვით ჯიშიანი ლეკვები ნადირს. და ეს, იმისდა მიუხედავად, რომ სერვილიუსი გაამართლეს, რასაც რამდენიმე კაცის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა (?).

მისი მჭერმეტყველება უბრალო და გაცვეთილი როდი იყო. ლუკულუსის სიტყვა სრულიადაც არ ჰგავდა ზოგიერთ მჭერმეტყველთა იმ სიტყვას, რომელიც, მართალია ფორუმს აღელვებს, მაგრამ ფორუმს გარეშე ხდება - „უნიჭო, უსიცოცხლო, სულ გამომშრალი,"- ბრძანებს პლუტარქე.

მარსების ომში ლუკულუსმა სიმამაცისა და ღრმა მოსაზრებულობის მრავალი მაგალითი გამოაჩინა. მაგრამ ყველაზე მეტად, - როგორც პლუტარქე გადმოგვცემს,- სულამ იგი სიმტკიცისა და უბოროტო ხასიათისთვის შეიყვარა. სულა მას თავიდანვე დიდმნიშვნელოვან საქმეთა შემსრულებლად იყენებდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. **„ფულის მოჭრის"** საქმე. ფულის უდიდესი ნაწილი მითრიდატესთან ნარმოებული ომის დროს **პელოპონესში** სწორედ ლუკულუსის თაოსნობით მოჭრეს. ამ ფულს ხალხი **„ლუკულუსის ფულს"** ეძახდა და, რადგან სამხედრო ხარჯები ამ ფულით იფარებოდა, მისი ბრუნვა საკმაოდ მაღალი იყო. როგორც ირკვევა, სწორედ ამ პერიოდში დააგროვა მან თავისი სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ათენის აღების შემდეგ სულა მართალია ხმელეთზე ბატონობდა, მაგრამ ზღვაზე ბატონობა მტრის ხელთ იყო და სურსათის შემოტანა ზღვით შეუძლებელი შეიქმნა. ამიტომ მან ლუკულუსი გაგზავნა ეგვიპტესა და ლიბიაში, რათა იქიდან ხომალდები ჩამოეყვანა. დიდი თავგადასავლების შემდეგ იგი ზარ-ზეიმით ალექსანდრიაში შევიდა (გაუგებარია, რატომ დიდი ზეიმით?- თ.ა.). აქ მას შემოეგება საგანგებოდ მორთული მთელი ფლოტი, თითქოს მეფე ბრუნდებოდა. ჭაბუკმა **პტოლემეოსმა** არაჩვეულებრივი თავაზიანობა გამოიჩინა ლუკულუსის მიმართ. ამის მიუხედავად **მითრიდატესთან** ომის შიშით,

პტოლემეოსმა რომაელთა მოკავშირეობაზე უარი სთქვა და მხოლოდ გზადაგზა მოაგროვა ლუკულუსმა საჭირო რაოდენობის ხომალდები, - გადმოგვცემს პლუტარქე. ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს, რომ იმ პერიოდში, როდესაც რომაელთა მახვილი ჰქუხდა მთელს ანტიკურ სამყაროში, არსებობდა ძალა, რომლის შიშის გამო ეგვიპტე უარს აცხადებდა რომთან მოკავშირეობაზე. მითრიდატე იყო ის ძალა, რომელიც არ ეპუებოდა რომის სიდიადეს და იმ პერიოდის სამივე უდიდეს მხედართმთავარს ბრძოლებს უმართავდა.

აქ, ლუკულუსის ერთი მნიშვნელოვანი ხასიათის თვისების შესახებ უნდა ითქვას, რომელსაც პლუტარქე საგანგებოდ უსვამს ხაზს, - ამავე პერიოდში მითრიდატემ მიატოვა **პერგამოსი** და **პიტანეში (ტროადის ქალაქი)** ჩაიკეტა. რომაელმა სარდალმა, **გაიუს ფლავიუს ფიბრიამ,** რომელიც მითრიდატეს ებრძოდა, ხმელეთიდან შემოარტყა მას ალყა. მითრიდატემ, თავის ყოველმხრივ გაფანტულ ფლოტს თავი მოუყარა და თავისკენ გაიწვია, რადგან მამაცსა და გამარჯვებულ ფიბრიასთან შებრძოლებას ველარ ბედავდა. ფიბრია ამას ხედავდა, მაგრამ, რადგანაც თავად საზღვაო ძალები არ გააჩნდა, ლუკულუსს წერილი გაუგზავნა და სთხოვა მოსულიყო თავისი ფლოტით და შეერთებული ძალებით მოესპოთ მითრიდატე. წერილის შინაარს აღარ გადმოვცემთ, მაგრამ პლუტარქეს კომენტარს კი უცვლელად შემოგთავაზებთ, - „ყველასათვის აშკარა გახლდათ, საკმაოდ ახლო მანძილზე მყოფ ლუკულუსს რომ ფიმბრიასთვის დაეჯერებინა, ხომალდები აქ მიეყვანა და თავისი ფლოტით ნავსადგური ჩაეკეტა, ომი დამთავრდებოდა და მთელი ქვეყანა მრავალ უბედურებას აიცილებდა თავიდან.“ მაგრამ... „ ლუკულუსი ალბათ უფრო მეტი მოწიწებით ეკიდებოდა სულას დავალებას, ვიდრე საკუთარსა და საზოგადო სურვილებს (დააკვირდით, რა საშინელი სიტყვებია, - ტიპიური მაგალითი მონის ძაღლური ერთგულებისა პატრონის მიმართ- თ.ა.), ან შესაძლოა ეზიზღებოდა უწმინდური ფიბრია,

რომელმაც სულ მცირე ხნის წინ თანამდებობის გულისათვის მოკლა თავისი მეგობარი და სარდალი (**კონსული ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი**), ან კიდევ შესაძლებელია ლუკულუსმა განგების ძალის თანახმად დაზოგა მითრიდატე, ვით მისი მომავალი მოწინააღმდეგე."

ჩემი ღრმა რწმენით, ლუკულუსმა, იცოდა რა სულას ეჭვიანი და ვერაგი ხასიათი, ერთგულებამ (!) გადაწონა პლუტარქეს ყველა სხვა ვერსია, - დრო არ იცდიდა, და სანამ სულასგან ნებართვას აიღებდა... რაც შეეხება ფლაკუსის მკვლელობას, სულას რეჟიმმა რაც გააკეთა, იმასთან შედარებით ფიბრია ფრთიან ანგელოზად უნდა მივიჩნიოთ!

პომპეუსსა და ლუკულუსს შორის მეტოქეობის მიზეზი, როგორც ირკვევა ის იყო, რომ სულამ ლუკულუსს გადასცა საკუთარ მოგონებათა კრებული, ხოლო როცა კვდებოდა, პომპეუსს გვერდი აუარა და შვილის მეურვედ ლუკულუსი დანიშნა. ისინი მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და სახელის მოხვეჭის ცეცხლით იწვოდნენ. ეს მტრობა დიდ ხანს გაგრძელდა, პრაქტიკულად მთელი სიცოცხლე და განსაკუთრებით, სანამ ლუკულუსი საჯარო პირი იყო. როდესაც იგი კონსული გახდა (ძვ.წ. 73-72 წწ), ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პომპეუსი ესპანეთიდან, სადაც იგი **სერტორიუსის** წინააღმდეგ იბრძოდა, რაც შეიძლება გვიან დაბრუნებულიყო და, როცა პომპეუსმა სენატს ომის საწარმოებლად ფულს სთხოვდა, ლუკულუსმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენა, რომ პომპეუსისთვის ფული გაეგზავნათ და უფულობის მიზეზით ომი არ შეწყვიტა და რომში არ დაბრუნებულიყო. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ იგი შიშობდა, ამ შემთხვევაში პომპეუსს აირჩევდნენ მთავარსარდლად მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლაში.

კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, ერთი დიდებული შეგონების ჭეშმარიტებაში, - **„ მხოლოდ ინდივიდუალობა ამოძრავებს საუკუნეებს და არა იდეები."** ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ

იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ეს ორი დიდებული რამ, - ინდივიდუალობა და იდეა, ერთად მოძრაობს, ეს უდიდესი ჟამია ქვეყნისათვის და ის ქვეყანა წარმოუდგენლად წარმატებული ხდება.

როდესაც სულასა და მითრიდატეს შორის ზავი შეიკრა, აზიას სულამ ოცი ათასი ტალანტის ხარკი დაადო, ხოლო ლუკულუსს დაავალა ამ თანხის აკრეფა და აკრეფილი თანხით რომაული ფულის მოჭრა. როგორც პლუტარქე შენიშნავს, სულას სასტიკი რეჟიმის დროს ლუკულუსი ერთგვარი ნუგეში იყო აზიის ქალაქებისათვის. ხარკის აღების დროს იგი ცდილობდა სამართლიანი ყოფილიყო და ლმობიერად ექცეოდა ადგილობრივ მოსახლეობას. თუმცა, იმათ მიმართ, ვინც სულას წინააღმდეგ აჯანყდნენ, მაგალითად, **მიტილენელები,** საკმაოდ მკაცრი იყო და მათ წინააღმდეგ ბრძოლისას ხუთასი კაცი, რომლებიც თავს მედგრად იცავდნენ, სიცოცხლეს გამოასალმა, ექვსი ათასი მონა ჩაიგდო ტყვედ და უთვალავი ნადავლიც წამოიღო.

ლუკულუსს, - როგორც პლუტარქე ამბობს, - რაღაც ზეციური განგების ძალით, მცირეოდენი წილიც კი არ ედო იმ მრავალგვარ უბედურებაში, რაც **სულამ და გაიუს მარიუსმა** იტალიის ხალხებს დაატეხეს თავს, ვინაიდან იგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აზიაში იმყოფებოდა.

როდესაც ლუკულუსმა **მარკუს კოტასთან** ერთად კონსულობა მიიღო, რომაელთა უმრავლესობა ამ დროს მითრიდატესთან ომის განახლებას მოითხოვდა. ლუკულუსს მთელი არსებით სურდა ამ დიდი მხედართმთავრის წინააღმდეგ ბრძოლა მას ხვედროდა წილად. მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, გარდა იმისა, რომ პომპეუსი ჰყავდა მოცილედ, რომელიც ამ დროისათვის ესპანეთში იბრძოდა, თავად რომშიც ჰყავდა მტერი. ეს გახლდათ პრეტორი **პუბლიუს ცეთეგუსი,** რომელიც სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა

იმით, რომ ყოველნაირად, სიტყვით თუ საქმით, ხალხის გულის მოგებას ცდილობდა. ლუკულუსი ზიზღის თვალით უყურებდა გარყვნილ, თავხედსა და უამრავი ცოდვებით აღსავსე ცეთეგუსს და აშკარა ომს უცხადებდა, - გადმოგვცემს პლუტარქე. რადგან ამ პერიოდში კილიკიის მმართველის გარდაცვალების ცნობა მოვიდა რომში, მრავალს აღეძრა სურვილი ამ მხარის გამგებლობა მიეღოთ, და რადგანაც ცეთეგუსი ყოვლისშემძლედ მიაჩნდათ, ფეხქვეშ ეგებოდნენ, რათა ამ საქმის მოგვარებაში დახმარებოდა.

კილიკიის გამგებლობას ლუკულუსი იმდენად თვლიდა აუცილებლად, რამდენადაც იგი კაბადოკიის მახლობლად მდებარეობდა და მითრიდატეს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში მის გარდა სხვას არავის გაგზავნიდნენ სარდლად. ამიტომ ყველანაირად ცდილობდა კილიკიის მხარე სხვისთვის არ დაეთმო. აქ ძალზე საყურადღებოა პლუტარქეს მიერ ლიკულუსის ქმედების შეფასება. იგი წერს, - „ბოლოს და ბოლოს, ლუკულუსი, მისი ბუნების წინააღმდეგ, იძულებული გახდა ისეთ გზას დასდგომოდა, რომელიც არ იყო საკადრისი და საქები, მაგრამ მიზნის მისაღწევად კი სასარგებლო ჩანდა". და აქ როგორ არ გაგახსენდეს **ნიკოლო მაკიაველის** შეგონება, - **„მიზანი ამართლებს საშუალებას".**

როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, - იმ დროს რომში ცხოვრობდა ერთი მეძავი ქალი, სახელად **პრეცია**, რომელსაც სილამაზისა და სითამამის წყალობით სახელი ჰქონდა განთქმული ქალაქში და სხვა მეძავეებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ თავისი საყვარლების დახმარებით მეგობრებს მისწრაფებების აღსრულებასა და თანამდებობების მიღებაში შველოდა. ამიტომ, სხვა მშვენიერებასთან ერთად თავი ისახელა, როგორც მეგობრის მოყვარულმა და საქმიანმა ქალმა. ასეთი ქმედებებით პრეციამ დიდი გავლენა მოიპოვა. როცა მან იმხანად დიდი სახელის მქონე და ქალაქის სადავეების მპყრობელი

ცეთეგუსი მოხიბლა და მისი ხასა გახდა, სახელმწიფოს მთელი ძლიერება თანდათანობით მის ხელში გადავიდა. არაფერი არ კეთდებოდა აქ ცეთეგუსის ჩაურევლად, ცეთეგუსი კი არაფერს აკეთებდა პრეციას ბრძანების გარეშე. და აი, ლუკულუსმა საჩუქრებითა და პირფერობით პრეციას გული მოიგო, ხოლო თავის მხრივ, ამ ამაყსა და მედიდურ ქალს ლუკულუსისათვის დახმარების გაწევა სასახელო საქმედ მიაჩნდა და, ამის შემდეგ ცეთეგუსმა მაშინვე დაიწყო ლუკულუსის ქება-დიდება და მისთვის კილიკია გამოითხოვა (როგორც პლუტარქე ამბობს, ცეთეგუსმა, როგორც კატილინას შეთქმულების მონაწილემ, სიცოცხლე ფატალურად დაამთავრა - თ.ა.). როგორც კი მან კილიკია მიიღო საგამგებლოდ, მითრიდატესთან ომის წარმოება ყველამ ერთხმად ლუკულუსს მიანდო, ისე, რომ მას არც ცეთეგუსის და არც პრეციას დახმარება არ დასჭირვებია.

ძალიან საყურადღებოა პლუტარქეს შენიშვნა ლუკულუსის მხედართმთავრულ ნიჭზე. იგი ამბობს, რომ მითრიდატესთან ომის წარმოება ლუკულუსს ერთხმად იმიტომ დაუჭირეს მხარი, რომ პომპეუსი ამ დროს ჯერ კიდევ **სერტორიუსთან (კვინტუს სერტორიუსი (ძვ. წ. 120-73 წწ.)** სულას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელი ძვ.წ. 80 – 73 წწ. და მარიუსის პარტიის მომხრე. მან მოახერხა მითრიდატე ევპატორი მოკავშირედ გაეხადა და მთელი რვა წლის მანძილზე წინააღმდეგობა გაეწია რომის იმპერიისთვის. ძვ.წ. 79 წლიდან მის წინააღმდეგ იბრძოდა მეტელუსი, ხოლო ძვ.წ. 77 წელს სარდლად პომპეუს დიდი დაინიშნა. სერტორიუსი ძვ.წ. 73 წელს თავისიანებმა მოკლეს) ბრძოლით იყო გართული, ხოლო **მეტელუსი (კვინტუს ცეცილიუს მეტელუს პიუსი**, - კონსული. ებრძოდა სერტორიუსს ესპანეთში, სანამ სარდლად პომპეუსს დანიშნავდნენ) სიბერის გამო სამხედრო სამსახურზე უარს აცხადებდა; ლუკულუსისთვის მეტოქეობის გაწევა მხოლოდ ამ ორ კაცს შეეძლო. შევნიშნავთ, რომ კეისრის სამხედრო გენია ჯერ არ კაშკაშებდა საომარ მოქმედებათა ცის კაბადონზე.

როდესაც ლუკულუსი ერთი ლეგიონით მცირე აზიაში გადავიდა, დაინახა, რომ იქაური მხედრობა ნებიერი ცხოვრებისა და ვერცხლისმოყვარეობის წყალობით ხელიდან იყო წასული. მათი ნაწილის (ე.წ. **ფიმბრიანელები**) დამორჩილება, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგანაც ისინი იმ ზომამდე იყვნენ გათავხედებულები, რომ **ფიმბრიას** თაოსნობით კონსული და საკუთარი სარდალი **ფლაკუსი** მოჰკლეს, შემდეგ ფიმბრიასაც უღალატეს და სულას გადასცეს. მათ კანონები არაფრად მიაჩნდათ, მაგრამ, ამასთან ერთად, მეტისმეტად მამაცნი, გაჭირვების ამტანნი და ომში გამოცდილნი იყვნენ. ლუკულუსმა სულ მოკლე ხანში მოახერხა (საინტერესოა როგორ?- თ.ა.) ამათი თავხედობისთვის ბოლო მოეღო და სხვებიც აიძულა დამორჩილებოდნენ მის ბრძანებლობას. მათ პირველად იწვნიეს, თუ რას ნიშნავდა ნამდვილი მმართველი და მხედართმთავარი. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, თუ რატომ ვერ შეინარჩუნა მან ეს თვისებები შემდგომშიც!

ბავშვობაში, ძალიან კარგად მახსოვს, ლომბარდისადმი ჩემი პანიკური შიში! ვერ ვხვდებოდი, რატომ დადიოდნენ ჩემი მშობლები, მაშინ შესაძლოა არა, მაგრამ ახლა სრულიად ცალსახად ასე ვფიქრობ, - ამ, ადამიანის ღირსების შემლახავ, არ შევცდები თუ ვიტყვი, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის მსგავს დაწესებულებაში. როგორც შემდგომ გავიგე, გაჭირვების ამ საშინელ დამღას ჩვენი ოჯახი საკმაო ხანს ატარებდა და შემდეგ, როდესაც უკვე წამოვიზარდე და საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვიყავი, ამ შიშის მომგვრელ შენობას, რომელიც იქვე კეცხოველის კუთხის დასაწყისში მდებარეობდა, ზიზღნარევი შიშით გვერდს ვუვლიდი. დღეს კი ათასობით ლომბარდია თბილისში და, ზუსტად იმდენჯერვე გაღატაკებული ხალხი, ამ საშინელების ხშირი სტუმრები არიან. ამ დროს კი, ორი ათასზე მეტი წლის წინათ, პომპეუსის და იულიუს კეისრის თანამედროვემ, ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსმა, რომელიც ამ ორი დიდი ადამიანისგან განსხვავებით, თავისი

სიკვდილით გარდაიცვალა და სამხედრო წარმატებებით, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მათ ტოლს არ უდებდა, ეს ჭირი დაპყრობილ ერებს მოაშორა. ნახეთ რას წერს ამის შესახებ პლუტარქე!

როდესაც მითრიდატე **ბითვინიაში** შეიჭრა „აქაური ქალაქები სიხარულით შეეგებნენ. არა მარტო ბითვინიას, არამედ მთელ აზიას მოდებოდა ძველი სენი. იგი მზად იყო განდგომოდა რომს, ვინაიდან რომაელი მევახშეები და გადასახადების ამკრეფნი მეტისმეტად ტანჯავდნენ. უფრო გვიან ლუკულუსმა ეს **ჰარპიები** (მითოლოგიური მტაცებელი ფრთოსნები - გოგოჩიტები, - მთარგმნელის კომენტარი), აზიის მოსახლეობას რომ საკვებს სტაცებდნენ, აქედან გააძევა; პირველ ხანებში რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ცდილობდა ზომიერების დაცვა ესწავლებინა მათთვის და ამის წყალობით ერთგვარად შეაჩერა კიდეც ჩამოცილება ზოგიერთი ტომებისა...“

ის, რომ პატივმოყვარეობა, გარდა იმისა, რომ ადამიანს ბევრი სასახელო საქმეებისკენ უბიძგებს, ხშირად დამღუპველიცაა, კარგად ჩანს ლუკულუსის თანაკონსულის კოტას ქმედებებიდან. „იმ დროს, - მოგვითხრობს პლუტარქე,- როცა ლუკულუსი ზემოაღნიშნული საქმეებით იყო გართული, კოტა ... მითრიდატესთან საბრძოლველად ემზადებოდა. მას ყოველი მხრიდან ატყობინებდნენ: ლუკულუსი მოახლოვდა და უკვე ფრიგიაში არის დაბანაკებულიო. კოტა ფიქრობდა, გამარჯვების ტრიუმფი თითქმის ჩემს ხელთ არისო. რომ ამ ტრიუმფში ლუკულუსსაც არ დაედო თავისი წილი, ბრძოლის დაწყება მეტისმეტად იჩქარა, მაგრამ ხმელეთსა და ზღვაზე დამარცხდა. მან ბრძოლაში დაკარგა სამოცი ხომალდი თავისი შემადგენლობით და ოთხი ათასი ქვეითი მეომარი... დამარცხებული კოტა ლუკულუსს მისჩერებოდა: არიქა მიშველეო.“ როდესაც ლუკულუსს ბევრი ურჩევდა, გაეწირა კოტა, რათა დროში მოეგო, წინ წასულიყო და მითრიდატეს სამეფო აეღო, რადგან

მითრიდატე ბითვინიაში იმყოფებოდა და სამეფოს პრაქტიკულად დამცველი არ ჰყავდა, ლუკულუსმა მათ უპასუხა, - **„მტრის მთელი ავლა-დიდების ხელში ჩაგდებას მოწინააღმდეგისაგან ერთი რომაელის დახსნა მირჩევნიაო.“** რა დიდებული ნათქვამია.

მითრიდატესთან ბრძოლის წინ ლუკულუსს **ოცდაათი ათასი ქვეითი მეომარი და ორი ათას ხუთასი ცხენოსანი** ჰყავდა, ხოლო მითრიდატეს **ასოცი ათასი მეომრისაგან შემდგარი ქვეითი ჯარი, ასი ოთხცხენიანი საომარი ეტლი, რომელთა თვლებზეც ბასრი ცელები იყო დამაგრებული და თექვსმეტი ათასი ცხენოსანი.** გარდა ამისა, მან თავიდან მოიცილა მეტისმეტად ჭრელი ლაშქარი, მრავალ ენაზე მეტყველ საშინაო ბარბაროსებისგან რომ შედგებოდა, აკრძალა ოქროთი და ძვირფასი თვლებით იარაღის შემკობა, რადგანაც დაინახა, რომ ასეთი იარაღი მტრისათვის ნადავლის ხელში ჩაგდების დამატებითი სტიმული იყო და შეცვალა იგი რომაული ყაიდის ხმლებით და მძიმე ფარებით და ჯარიც მთლიანად რომაულ ყაიდაზე გაწვრთნა. ასევე შეცვალა ხომალდთა აღჭურვილობაც. მათზე უკვე აღარ იყო ოქროთი გადახურული კარვები, ხასებისათვის განკუთვნილი სააბაზანოები და მდიდრული სამეფო ჰარამხანები. თავისი ფლოტი მითრიდატემ ახალი იარაღით, ისრებითა და ფულით აავსო.

ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით ამ ბრძოლის პერიპეტიებზე, რომ ერთის მხრივ გვეჩვენებინა, თუ რა დიდი ძალისა და სიმდიდრის პატრონი იყო მითრიდატე, რომელმაც რომაელებთან წაგებული პირველი ომის შემდეგ ასეთ ძალებს მოუყარა თავი, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოგვეჩინა ლუკულუსის სამხედრო ნიჭი. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სერტორიუსმა ესპანეთიდან მითრიდატეს მაშველი ჯარი გამოუგზავნა, ვინმე **ვარიუსის** წინამძღოლობით, და ფაქტიურად ლუკულუსი ორ ცეცხლს შუა მოექცა, მაშინ, ამ ბრძოლაში

გამარჯვების შემთხვევაში იგი კეისრისა და პომპეუსის დონის თუ არა, არც მათზე რაიმეთი ნაკლები სარდალი გამოდიოდა. ლუკულუსმა სწორად გათვალა, რომ მტრის უზარმაზარ ლაშქარს არ შეიძლებოდა ჰქონოდა სურსათის იმდენი მარაგი, რომ ხანგრძლივი ომისთვის ყოფილიყო მზად და მართლაც, ტყვეთა დაკითხვით მან დაასკვნა, რომ მათ სულ სამი-ოთხი დღის მარაგი ჰქონდათ. ამიტომ, იგი შეეცადა დრო გაეყვანა, ხოლო თავად სურსათი საკმაო რაოდენობით მოიმარაგა. შიმშილის მძვინვარე ძალამ მითრიდატე აიძულა თითქმის მთელი ცხენოსანი ჯარი გაეგზავნა ბითვინიაში სურსთის მოსაპოვებლად. მაგრამ ლუკულუსმა, ისარგებლა რა მარჯვე შემთხვევით, მთლიანად გაანადგურა ისინი. **ხელში ჩაიგდო ექვსი ათასი ცხენი, მრავალი საპალნე პირუტყვი და თხუთმეტი ათასი ტყვე.** ასეთმა მარცხმა მითრიდატეს გადააწყვეტინა უკან დაეხია და იმ განზრახვით, რომ ლუკულუსი ზურგში დაეყოვნებინა, ფლოტის მეთაურს უბრძანა საბერძნეთის ზღვაში გასულიყო, მაგრამ ლუკულუსმა იგი ღალატის წყალობით ხელში ჩაიგდო. მითრიდატემ თავის დასაღწევად ზღვას მიაშურა, ხოლო მისმა სარდლებმა ჯარი ხმელეთით წაიყვანეს. ლუკულუსი მათ თავს დაესხა და ერთიანად შემუსრა. აქ მან ხელთ იგდო უამრავი ტყვე და ოცი ათასამდე კაცი გაჟლიტა. ამგვარად, ის რაც კეისარმა ანალოგიურ სიტუაციაში ხმლით შეძლო, ლუკულუსმა ჭკუითა და ხმლით, პრაქტიკულად უდანაკარგოდ გააკეთა.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი მისი საომარი ბატალიებიდან. როდესაც ლუკულუსი თავისი ფლოტით **ტროადას** მიადგა და აფროდიტეს ტაძარში დაბანაკდა, ღამე ეზმანა, თითქოს ღმერთქალი გამოეცხადა და უთხრა, - **„რად გძინავს აგრე ღრმად ლომო? სულ ახლოა ირმები შენთან!“** ლუკულუსი მყისვე წამოდგა და იმ დროს, როდესაც მეგობრებს სიზმარს უამბობდა, მას აუწყეს, რომ ნავსადგურთან მეფის ცამეტი **პენტერესი** (ხუთ რიგზე ჩამწკრივებული ხოფებიანი ხომალდი

- თ. ა.) გამოჩნდა. ლუკულუსი დაუყონებლივ გავიდა ზღვაში, სწრაფად ჩაიგდო ხელთ ცამეტივე პენტერესი და ფლოტის დანარჩენ წინამძღოლთა წინააღმდეგ დაიძრა.

ამ ეპიზოდში, ჩვენი აზრით, ის არის მნიშვნელოვანი, რომ, როდესაც მთელი არსებით რაღაცაზე ფიქრობ, ძილშიც კი მის გარშემო ტრიალებს გონება და წინათგრძნობის უხილავი ტალღები ტვინს სამომავლო ინფორმაციას აწვდიან.

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ლუკულუსმა მოახერხა მითრიდატეს ფლოტის დამარცხება! უამრავი მტერი გაჟლიტეს და ბევრიც დაატყვევეს. ტყვეთა შორის სერტორიუსის მიერ გამოგზავნილი სარდალი ვარიუსიც (ზოგიერთი წყაროთი მარიუსის სახელით არის ცნობილი - თ. ა.) იყო. ამის შემდეგ ლუკულუსი თავად მითრიდატეს დაედევნა. მითრიდატემ ბედისწერის კაპრიზის წყალობით მოახერხა გაქცეოდა მდევარებს და მშვიდობით ჩავიდა პონტოს **ჰერაკლეაში**. ბევრი მისი თანამებრძოლის რჩევის მიუხედავად, რომ საომარი მოქმედებები გადაედოთ, ლუკულუსმა განაგრძო მითრიდატეს დევნა და მის სამშობლოში შეიჭრა. იგი იმდენად იყო დარწმუნებული თავის ძალებში, რომ სენატის გადაწყვეტილებაზე, მითრიდატესთან ომის საწარმოებლად მისთვის სამი ათასი ტალანტი გაეღოთ, ქედმაღლურად თქვა უარი და კვეხნით განაცხადა, რომ მითრიდატეს ყოველგვარი ხარჯისა და დიდი მზადების გარეშე გავაძევებ ზღვიდან მარტოოდენ მოკავშირეთა ხომალდებითო და მან ეს საქმე, როგორც პლუტარქე ბრძანებს, ღმერთების წყალობით მართლაც შეასრულა.

ამის შემდეგ უნდა დეტალურად შევჩერდეთ ლუკულუსის, როგორც დიდებული სტრატეგის, თვისებაზე, რომელიც მართლაც რომ საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ ხშირად ომს ჭკუა იგებს და არა ხმალი.

ლუკულუსის მხედრები **თემისკირამდე და თერმოდონტის**

ველებამდე (ქალაქი, მდინარე თერმოდონტთან მცირე აზიაში - თ.ა.) ცხენებით თარეშისას სოფლების აოხრებისა და აკლების მეტს ვერაფერს ახერხებდნენ. ამიტომ ჯარისკაცები ლუკულუსზე ბუზღუნებდნენ, - იგი, მთელი რიგი ქალაქების დაზავების გზით მიერთებით, საშუალებას არ გვაძლევს ეს ქალაქები გავძარცვოთ და ნადავლით ვიხეიროთო. ამის მაგივრად მითრიდატესთან საბრძოლველად **ტიბარენთა და ქალდეველთა** უდაბნო მხარეში მივყავართო.

მკითხველისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ **ტიბარენები ძველი ქართველური, - კოლხური - ტომი იყო. რაც შეეხება ქალდეველებს, - ხალიბებს - ისიც ძველი ქართველური (კოლხური) ტომი იყო და, როგორც გეოგრაფიული ლექსიკონის ავტორი, სტეფანე ბიზანტიელი ამბობს, - „ალიბებს, ანუ ხალიბებს, რომელთაც ჰომეროსი ჰალიძონებს ეძახის, ახლა ქალდეველებად უხმობენ.“ ხალიბები პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ევფრატის ზემო წელში მოსახლეობდნენ და სახელი ჰქონდათ განთქმული ლითონის დამუშავებით.**

ლუკულუსი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ მითრიდატეს საშუალებას აძლევდა ძალები მოეკრიბა და მხედრობისთვის მოეყარა თავი, რათა ადგილზე დარჩენილიყო და არ გაქცეულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მითრიდატე მის უკან გადაშლილი უზარმაზარი და უკიდეგანო უდაბნოსკენ დაიხევდა, ან იქვე კავკასიონის უამრავ ხეობებს შეაფარებდა თავს, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლას თავარიდებული ათი ათასობით მეფე. გარდა ამისა, **კაბეირიდან**, მითრიდატეს ერთ-ერთი რეზიდენციიდან რამდენიმე დღის სავალზე მდებარეობდა სომხეთი, რომლის **მეფე ტიგრან მეორე** იყო მითრიდატეს სიძე. მას დიდძალი მხედრობა ჰყავდა, რომელთა წყალობით გასაქანს არ აძლევდა პართებს აზიაში. მას ბერძნულ ქალაქთა მოსახლეობა მიდიაში გადაჰყავდა და

მთლიანად მბრძანებლობდა სირიასა და პალესტინაზე. ამდენად, მითრიდატეს რომ დახმარება ეთხოვა თავისი სიძისთვის, მას შეეძლო უარი არ ეთქვა და ლუკულუსის წინააღმდეგ ომი დაეწყო. სწორედ ამიტომ არ ჩქარობდა ლუკულუსი მითრიდატეს განდევნას, მითუმეტეს, რომ ტიგრანი, როგორც ლუკულუსი ფიქრობდა, რომაელებთან ომის დაწყების საბაბს ეძებდა და იმაზე უკეთეს საბაბს ვერ იპოვიდა, ვიდრე გაჭირვებაში ჩავარნილ სიმამრს მიხმარებოდა, რაც წესით სულაც არ უნდა სდომოდა ამ გოროზ და ამაყ მეფეს, თუკი ლუკულუსი მას ძალების მოკრეფის საშუალებას მისცემდა. მიდიელებსა და სომხებთან ბრძოლას, როდესაც მათ კიდევ კოლხები, ტიბარენები და კაბადოკიელები დაემატებიან, გაცილებით ჯობია მხოლოდ ამ უკანასკნელთ ვებრძოლოთ, რომლებიც ადრე არაერთხელ დაგვიმარცხებია, - ამბობდა ლუკულუსი.

ამგვარი მოსაზრებების გამო ლუკულუსი დიდხანს იდგა **ამისეს** (აწინდელი **სამსუნი**) გარშემო, საკმაოდ სუსტი ალყით. როგორც კი ზამთარი გავიდა, მან იქ ერთ-ერთი ლეგატი დატოვა, ხოლო თავად მითრიდატეს წინააღმდეგ დაიძრა. მითრიდატე ამ დროს კაბეირასთან იდგა და გადაწყვეტილი ჰქონდა რომაელებს გამკლავებოდა. მას ორმოცი ათასი ქვეითი და ოთხი ათასი მხედრისგან შემდგარი მეომარი ჰყავდა. მითრიდატე მდინარე **ლიკეზე** გადავიდა და რომაელები ვაკეზე გამოიხმო საბრძოლველად. ერთმანეთს ცხენოსნები შეებნენ და ამჯერად რომაელები უკუიქცნენ. ამის გამო ლუკულუსი ყოყმანობდა, ცხენოსანი ჯარის სიმრავლე აშინებდა ვაკეზე ვრძოლის გამართვას, ხოლო მთებში წასვლას ვერ ბედავდა, ვინაიდან გზა მეტად გრძელი, ტყით დაბურული და, ამდენად, თითქმის გაუვალი იყო. მაგრამ, ბედად გამოქვაბულში თავშეფარებული ბერძნები გამოეცხადათ და მათი წინამძღოლი შეჰპირდა, რომ წაიყვანდა და ბანაკისათვის უშიშარ ადგილს აჩვენებდა, სადაც ისეთი ციხე-სიმაგრე იყო, რომელიც კაბეირას ზედ თავზე დაჰყურებდა. დაღამდა თუ არა, ლუკულუსმა

ჩირაღდნები აანთებინა და იმ ადგილისკენ გასწია. და მართლაც, გარიჟრაჟზე იგი მტრის განლაგების ზემოთ აღმოჩნდა და ჯარი ისეთ ადგილას დააბანაკა, რომ საშუალება ჰქონდა საჭიროების შერმთხვევაში ჯარი ადვილად წაეყვანა მტერზე, თუ არა და მშვიდად ყოფილიყო ამ ადგილზე. ცოტა ხანში ლუკულუსის ორმა ლეგატმა, **სორნაციუსმა** და **ადრიანემ**, რომლებიც სარდლის მიერ სურსათის გადმოსაზიდად იყვნენ გაგზავნილი, მითრიდატეს მიერ გაგზავნილი მადევარი სასტიკად დაამარცხეს, რამაც მითრიდატე მორალურად დასცა, ხოლო მისი ჯარისკაცები შეაშფოთა და შიშში ჩააგდო. მეფის ჯარისკაცებმა მშვიდად დაიწყეს ბანაკიდან პირადი ქონების გატანა, მაგრამ სხვებს ამის ნებას არ აძლევდნენ. ბანაკის გასასვლელთან ძალად მირეკილი მეომრები მეტისმეტად განრისხდნენ და წინამძღოლის ქონების დატაცებასა და მათი პატრონების ხოცვას შეუდგნენ. თავად მითრიდატე, რომელსაც გვერდით არც ერთი მხლებელი და მეჯინიბე არ ახლდა, ჯარისკათა ბრბოს შეერია და ისე გამოვიდა ბანაკიდან.

რომაელები მითრიდატეს კვალდაკვალ დაედევნენ და იგი თითქმის უნდა შეეპყროთ კიდეც, მაგრამ, როგორც პლუტარქე ამბობს, - ჯარისკაცთა ანგარებამ და საშინელმა სიხარბემ რომაელებს ხელიდან გამოაცალა ის ნადავლი, რომელსაც ისინი მრავალი ბრძოლისა და განსაცდელის ფასად უკვე დიდი ხანია ხელში ჩასაგდებად დასდევდნენ, ხოლო გამარჯვებულ ლუკულუსს დიდი ჯილდო დააკარგვინა.

მდევრები თითქმის დაეწივნენ იმ ცხენს, რომლითაც მითრიდატე გარბოდა, მაგრამ ანაზდეულად მათ შორის ოქროთი დატვირთული ჯორი ჩადგა. ამის შემხედვარე რომაელებს მითრიდატე არც გახსენებიათ. ისინი ოქროს დატაცებასა და ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევას მოუნდნენ და დრო დაკარგეს. ადამიანურმა სიხარბემ მეორე, არანაკლები ზიანი მიატენა ლუკულუსს. როდესაც ლუკულუსმა გაიგო, რომ

ტყვედ ჰყავდათ მითრიდატეს საიდულოებათა მცოდნე, რომელიც მისი მდივანი იყო, ბრძანა იგი მასთან მოეყვანათ, მაგრამ ჯარისკაცებმა, რომელთაც ტყვე მოჰყავდათ, დაინახეს, რომ მას სარტყელში 500 ოქრო ჰქონდა ჩატანებული, და ამაზე გაგიჟებულებმა იგი მაშინვე გამოასალმეს სიცოცხლეს, ხოლო ოქრო დაიტაცეს. ამის მიუხედავად, ლუკულუსმა მითრიდატეს ბანაკი ჯარისკაცებს გასაძარცვად დაუთმო.

ის, თუ რა სასტიკი იყო მითრიდატე, პლუტარქე საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს. კერძოდ, კაბეირასა და სხვა ციხე-სიმაგრეთა აღებისსა, ლუკულუსმა იქ უამრავი განძი იგდო ხელთ. მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ამ ციხე-სიმაგრეებში იგი უამრავ საპყრობილესაც წააწყდა, რომლებშიც ბევრი ბერძენი და მეფის მრავალი ნათესავი იყო გამომწყვდეული. ისინი თავს დიდი ხანია დაღუპულად თვლიდნენ და ლუკულუსის წყალობით, არა თუ თავისუფლება, არამედ ხელახალი სიცოცხლე მიენიჭათ. რომაელებს ხელში ჩაუარდათ მითრიდატეს და **ნისა**, ხოლო მისი დანარჩენი დები და ცოლები, რომლებიც თითქოსდა ყოველგვარი განსაცდელისგან შორს იმყოფებოდნენ, მითრიდატემ თავის მსახურს, საჭურის **ბაკქიდეს** მოაკვლევინა. აქ უფრო დეტალურად აღარ შევეხებით, თუ როგორი არაადამიანური, ცინიზმამდე მისული სისატიკით დაასრულებინა მათ მითრიდატემ სიცოცხლე, რისთვისაც იმის თქმაც საკმარისია, რომ ლუკულუსზე ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, - ამბობს პლუტარქე.

როდესაც ლუკულუსი კაბადოკიის ქალაქ **ტალავრას** მიადგა, მითრიდატე იქიდან ოთხი დღით ადრე გაქცეულიყო მეფე ტიგრანთან. ამიტომ, უკანვე გამობრუნდა და დაიმორჩილა **ქალდეველები და ტიმბარენები** (ასე ადვილი დასამორჩილებლები იყვნენ? - თ.ა.), აიღო მცირე სომხეთი, აიღო იქაური ციხე სიმაგრეები და ქალაქები და ტიგრან მეფესთან თავისი ლეგატი გააგზავნა წინადადებით, მითრიდატე გადმოეცა. ამასო-

ბაში თავად მიადგა ქალაქ **ამისეს** (აწინდელი სამსუნი), რომელიც ჯერ კიდევ ალყაშემორტყმული იყო და ძირითადად იმის წყალობით, რომ ქალაქს იცავდა **სტრატეგოსი კალიმაქე** და ქალაქის დასაცავად მეტად გონივრულ ხერხებს იყენებდა. საბოლოოდ ლუკულუსმა მაინც მოახერხა ქალაქის აღება. კალიმაქე გაიქცა და ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. და აქ მოხდა უკვე მეორედ, როცა ჯარისკაცები სარდლის ბრძანებას, ცეცხლი ჩაექროთ, არ დაემორჩილნენ და საშინელი კიჟინითა და იარაღის ჟღარუნით ქალაქის ქონებას მოითხოვდნენ. ლუკულუსი იძულებული იყო დაეთმო და გააფთრებული ჯარისკაცები ქალაქის ძარცვა-გლეჯას შეუდგნენ.

პირველად, ასეთი სიხარბე „ოქროაკიდებული ჯორის“ დანახვაზე გამოიჩინეს რომაელმა ჯარისკაცებმა, რის შედეგადაც მითრიდატე გაექცათ და მეორედ, მათი დაუმორჩილება ქალაქ ამისეს აღებისას გამოჩნდა. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლუკულუსი მაინც, საკმარისად მკაცრი არ იყო, რაშიც დამნაშავე მისი აღზრდა და ხასიათის ის თვისებები იყო, როგორიც არის სიკეთე და კაცთმოყვარეობა, რაც მხედართმთავრისათვის არც თუ კარგი და საჭირო თვისებებია. თუმცა იმასაც შევნიშნავთ, რომ ადრე, ამისეს ალყისას იმ რომაელებს, რომლებიც ბრძოლას გაექცნენ, დაწესებული სასჯელის ძალით პატივი აჰყარა. უბრძანა, საგამგებოდ ჩამწკრივებული მხედრობის წინ უსარტყელო ტუნიკების ამარა თორმეტი ფუტის სიმაღლის თხრილი ამოეთხარათ.

ამისეში ყოფნის დროს ლუკულუსმა მრავალი დანგრეული შენობა აღადგინა, ლტოლვილი ამისელები ალერსით მიიღო და დანარჩენ ბერძნებსაც, რომელთაც ამის სურვილი ჰქონდათ, ქალაქში დასახლების უფლება მისცა და ოცდაათი სტადიონი მიწა მოუზომა. საყურადღებოა ისიც, რომ გადარჩენილი ათენელები ლუკულუსმა შესაფერისი ტანსაცმლით შემოსა, თითოეულ მათგანს ორას-ორასი დრაჰმა მისცა და სამშობლოში გაისტუმრა.

ამის შემდეგ, როგორც პლუტარქე ბრძანებს, ლუკულუსი აზიის სხვა ქალაქებისკენ გაემართა, რათა კანონიერება აღედგინა, რაც „ენით გამოუთქმელსა და წარმოუდგენელ უბედურებაში მომწყვდეულ აზიის საგამგებლოს უკვე დიდი ხანია ესაჭიროებოდა.“ ის, რასაც პლუტარქე აღწერს, დამთრგუნველად ჟღერს და მაინც ღირს აქ მოვიყვანოთ მისი ნაამბობი.

„მოიჯარენი და მევახშენი ძარცვავდნენ ამ მხარეს და მის მოსახლეობას მონებად ჰყიდდნენ. ცალკეული პირები იძულებული იყვნენ საკუთარი ლამაზი ქალ-ვაჟი გაეყიდათ (არ მესმის, მაშინ სიცოცხლე რად გინდა? - თ.ა.), ხოლო ქალაქები ტაძრის ქონებას, სურათებსა და წმინდა ქანდაკებებს ჰყიდდნენ, მაგრამ საბოლოოდ თვითონაც განწირულები იყვნენ და მონობა არ აცდებოდათ. ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი ის წამება იყო, რასაც იქაურები მონად გახდომამდე განიცდიდნენ. მათ თოკებით სცემდნენ, საპყრობილეში ჰყრიდნენ, ცხენებით ათრევდნენ, ღია ცის ქვეშ აჩერებდნენ: პაპანაქება სიცხეში მზეზე აყენებდნენ, ხოლო სიცივეში ტალახში, ან ყინულზე ჰყრიდნენ. ასე რომ ამ წამებასთან შედარებით ხალხს მონობა მოსვენებად ეჩვენებოდა.“

ამ საშინელების შემხედვარე ლუკულუსმა, უწინარეს ყოვლისა, ბრძანება გასცა, თავნის მეასედ ნაწილზე მეტი სარგებელი არ მიერიცხათ; ამის მერე გააუქმა ყოველი სარგებელი, რომელიც თავნს აღემატებოდა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მან ამასთან ერთად გაატარა ის გახლდათ, რომ მევალეს მოვალის შემოსავლიდან მხოლოდ მეოთხედი წილით უნდა ესარგებლა; ის პირი, ვინც თავნს სარგებელსაც მიათვლიდა, ერთსაც და მეორესაც დაკარგავდა.

ამ ღონისძიებათა წყალობით სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში ხალხმა მთელი ვალები დაფარა; ყადაღიდან დახსნილი ქონება კი პატრონებს დაუბრუნა.

მართალია, ყველაფერ ამის მიზეზი კი იმ ოცი ათასი ტალანტის ბრალი იყო, რომელიც სულამ ხარკის სახით დაადო აზიას, მაგრამ ლუკულუსი შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ ბრძენი მმართველი ასეთ საშინელ პირობებშიც კი გამონახავს გზებს და საშუალებებს, რომ მოსახლეობას ამ ხარკით გამოწვეული ხვედრი შეუმსუბუქოს. მითუმეტეს, რომ, როგორც საზოგადოდ ასეთ შემთხვევებში ხდება, მევალეები გასესხებულს ორმაგად ღებულობდნენ უკან და მათი წყალობით ვალმა სარგებლითურთ ასოც ათას ტალანტს მიაღწია (ალბათ უფრო მეტს იღებდნენ მევალეები, ვიდრე ორმაგს. ყოველშემთხვევაში აქ, ელემენტარული არითმეტიკით ხუთმაგს იღებდნენ, თუ, ცხადია მევალე, იმავდროულად სხვისი მოვალე არ იყო და, ერთი ლირიული ინტერმეცცო, - ტალანტის მაგივრად პლუტარქეს ამ პასაჟში ფულად ერთეულად ლარი რომ ეხმარა, ჩვენი საბანკო სისტემის ნამოქმედარი ეგონებოდა ადამიანს - თ.ა.).

და ამ პროცესის გაგრძელება არ მოგწონთ, - მევახშეებმა, თითქოს საშინლად დაზარალებულებმა, რომში ყვირილი ატეხეს ლუკულუსის წინააღმდეგ, - უსამართლოდ მოგვექცაო. მათ ფულით მოისყიდეს ზოგიერთი სახალხო ტრიბუნი და ლუკულუსის წინააღმდეგ აამხედრეს. ამ მევახშეებს ფრიად დიდი ძალა ჰქონდათ რომში, რადგან სახელმწიფო მოღვაწეთა შორის საკმარისად მრავალი მოვალე ჰყავდათ. (ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს ადამიანს, რომ პლუტარქე დღევანდელ საქართველოზე წერს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ლუკულუსი არ გვყავს - თ.ა.).

მგონი აქ უნდა ვეძებოთ ლუკულუსის, როგორც მხედართმთავრისა და პოლიტიკოსის შემდგომი წარუმატებლობის მიზეზი. მან იმდენად დიდი ძალები აიმხედრა თავის წინააღმდეგ, რომ ისინი ამას არ შეარჩენდნენ და, როგორც მოვლენათა განვითარების შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, არც შეარჩინეს.

ამასობაში სომხეთის მეფე ტიგრან მეორე დაპყრობით ომებს აწარმოებდა **ფინიკიაში**. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - სომხეთის მბრძანებლობა ბერძნებისათვის, აუტანლად მძიმე იყო. საოცარი წარმატებებით ფრთაშესხმული მეფე ტიგრანი წარმოუდგენლად ზვიადი გახდა. მას ეგონა, ყველაფერი ის, რაც ხალხის მისწრაფებისა და გაოცების საგანს წარმოადგენდა, არათუ მას ეკუთვნოდა, არამედ მარტოოდენ მისთვის იყო შექმნილი.

პლუტარქეს ეს სიტყვები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ძალაუფლება არა თუ რყვნის, არამედ ასულელებს კიდეც ადამიანს. ცხადია, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პიროვნების გაამაყებას მიზეზი არ ჰქონდა. მან, გარდა იმისა, რომ მრავალი ხალხი დაიმორჩილა, პართების ძლიერება ისე დააკნინა, რაც მანამდე ვერავინ შეძლო, - ამბობს პლუტარქე.

მესოპოტამია ტიგრანმა ბერძნებით აავსო, რისთვისაც ისინი იძულებით გადმოასახლა **კილიკიიდან**. ასევე წამოიყვანა სამშობლოდან მომთაბარე არაბები, ანუ ბედუინები და თავისი დედაქალაქის მახლობლად დაასახლა. აქ ერთი გასაოცარი პასაჟი უნდა მოვიყვანოთ, - ეს იმიტომ გააკეთა, რომ უნდოდა ეს ხალხი სავაჭრო საქმეებში გამოეყენებინა. ანუ, სომხეთის მეფემ ბედუინები იმ მიზნით ჩამოასახლა, რა მიზნითაც დავით აღმაშენებელმა თორმეტი საუკუნის შემდეგ არაბები და სომხები ჩამოიყვანა საქართველოში, რომელსაც, თუ მის განსწავლულობას მივიღებთ მხედველობაში, შეუძლებელია ეს ფაქტი არ სცოდნოდა.

მეფე ტიგრანის სიძლიერეზე პლუტარქე მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. კერძოდ, მის გარშემო თავმოყრილი იყო მრავალი მეფე, რომლებიც მას ემსახურებოდნენ. სულ ცოტა ოთხი მეფე, პირისფარეშთა და პირად მცველთა მსგავსად, მუდმივად თან ახლდა. თუ იგი სადმე ცხენით მიდიოდა, ეს მეფეები მოკლე კაბებით ქვეითად მისდევდნენ უკან, ხოლო

როცა იგდა და ვინმესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, გულხელდაკრეფილნი გაუნძრევლად ედგნენ გვერდით, რაც მათ აშკარა მონურ მორჩილებას გამოხატავდა.

სრულიად გაუგებარია, რას შერებოდა ამ დროს მათი მეფური ღირსება. ალბათ, მაშინ უფრო უნდა ყოფილიყო, რიგით ადამიანში თუ არა, მეფეში მაინც, - ღირსების გრძნობა; მითუმეტეს, რომ მაშინ, ადამიანის სიცოცხლეს დიდი ფასი ნამდვილად არ ედო, - გამუდმებული ომებისა და სხვადასხვა ავადმყოფობების მუდმივი საფრთხის არსებობის გამო.

ამ სანახაობამ ვერც შეაშინა და ვერც გააკვირვა ლუკულუსის ლეგატი **აპიუს კორნელიუსი,** რომელმაც შეხვედრისთანავე პირდაპირ აუწყა მეფე ტიგრანს თავისი მოსვლის მიზანი, - მეფე მითრიდატე უნდა წავიყვანო, რათა რომში ლუკულუსის ტრიუმფის დროს იგი, როგორც ტყვე, უნდა გაატარონ რომის ქუჩებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ლუკულუსის დავალებით ომი უნდა გამოგიცხადოო!

ხომ წარმოგიდგენიათ რა დაემართებოდა ასეთი ულტიმატუმის გამგონე ტიგრან მეფეს, რომელსაც მხოლოდ ფარეშად ოთხი დამონებული, ღირსებააყრილი მეფე ჰყავდა? თუმცა იგი ცდილობდა მომღიმარი და მხიარული სახე მიეღო და ისე მოესმინა აპიუსის სიტყვები, მაგრამ ყველამ შეამჩნია მის სახეზე აღბეჭდილი აღშფოთება. ასეთი თამამი, უფრო მეტიც, თავხედობამდე მისული მოთხოვნა, შეიძლება ითქვას მან პირველად მოისმინა, თავის მეფობის ოცდახუთი წლის მანძილზე. მეფე ტიგრანმა აპიუსს მითრიდატეს გაცემაზე უარით უპასუხა და განუცხადა, რომ თუ რომაელები ომს დაუწყებდნენ, თავის დაცვასაც შეძლებდა.

ლუკულუსზე გამწყრალმა მეფე ტიგრანმა, რადგან მის მიერ გამოგზავნილ წერილში მას უბრალოდ „მეფე" უწოდა და არა „მეფეთ მეფე" (არა და, სამართლიანობისთვის უნდა

ითქვას, რომ, თუ ზემოთ აღწერილ „მეფე“ პირისფარეშებს გავიხსენებთ, იგი მართლაც იყო ამ წოდების ღირსი), საპასუხო ბარათში იგი „იმპერატორად“ არ მოიხსენია.

აპიუსს მეფე ტიგრანმა საუცხოო საჩუქრები მიართვა, მაგრამ აპიუსმა არ მიიღო ეს საჩუქრები. მაშინ სომეხთა მეფემ ამ საჩუქრებს კიდევ მიუმატა სხვა საჩუქრები და აპიუსს გაუგზავნა. რადგან აპიუსს არ უნდოდა ეფიქრათ, თითქოს მტრობის გამო არ იღებდა ამ საჩუქრებს, მხოლოდ ერთი ფიალა აიღო და დანარჩენი უკან დააბრუნა და სწრაფი მარშით თავის სარდლისაკენ გაეშურა.

ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით ამ მოვლენებზე, რომ გვეჩვენებინა რამდენად სერიოზულ ძალასთან ჰქონდა ლუკულუსს საქმე, მითუმეტეს, რომ ამ ამბებიდან სულ რაღაც 30 წლის შემდეგ პართებთან ომს პირველი ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი, გაიუს კრასუსი შეეწირა.

აქამდე, როგორც პლუტარქე ბრძანებს, მითრიდატეს არც ნახვის და, მითუმეტეს არც მასთან საუბრის ღირსად თვლიდა, ეს გოროზი მეფე, და ეს იმისდა მიუხედავად, რომ მისი სიძე იყო და, ამასთან, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - ესოდენ დიდი სამეფო ჰქონდა დაკარგული. ჩვენ კი ვიტყვით, რომ სწორედ მაგიტომაც ექცეოდა მასე. უფრო მეტიც, იგი თავის სიმამრს ფრიად უპატივცემულოდ და ამპარტავნულად მოექცა და თითქოს ტყვე ყოფილიყო, მოშორებით, ერთი ჭაობიანი და მავნე ადგილი მიუჩინა სამყოფად, - ამბობს პლუტარქე. მაგრამ აპიუსის ელჩობის შემდეგ, დიდი პატივითა და მოწიწებით მიიწვია სასახლის კარზე.

როგორც ჩანს, თუ საერთოდ ადამიანთა მოდგმა არა, მისი ელიტარული ნაწილი (აქ ელიტარულის ქვეშ ძალაუფლების მქონე და ამ ძალაუფლების ხიბლით გაბრუებული ადამიანები გვყავს მხედველობაში - თ.ა.) მაინც, მაშინ, კიდევ უფრო

მერკანტილური იყო და ზნეობრივ ნორმებთან კიდევ უფრო მწყრალად, ვიდრე დღევანდელი ჩინოვნიკური ელიტა.

აპიუსის დაბრუნების შემდეგ, რა გაიგო სომეხთა მეფის პასუხი, ლუკულუსმა ომის დაწყება გადაწყვიტა და თავისი მხედრობით კვლავ პონტოს მიადგა და ალყა შემოარტყა **სინოპს**, რომელიც მეფის მომხრე კილიკიელებს ეკავათ. კილიკიელებმა მრავალი სინოპელი გაჟლიტეს, ქალაქი ცეცხლს მისცეს და ღამით ქალაქი დატოვეს. როცა ლიკულუსმა ეს გაიგო, ქალაქში შეიჭრა, „იქ დარჩენილი რვა ათასი კილიკიელი ააკუწინა და ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ქონება დაუბრუნა."

როცა ლუკულუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე და ტიგრანი მზად არიან აზიაში შესაჭრელად, იმან გააოცა, რომ ტიგრან მეფემ, როდესაც რომაელთა წინააღმდეგ ომის დაწყება გადაწყვიტა, არ გამოიყენა მითრიდატე მისი ძლევამოსილების პერიოდში და მის დიდ ძალებს თავისი არ შეუერთა. ახლა კი, როცა მითრიდატეს ფაქტიურად ყველაფერი ჰქონდა დაკარგული, ომის იწყებდა იმასთან ერთად, რომელსაც ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლო. ალბათ, ტიგრან მეფის ასეთი არაპრაგმატული, ალოგიკური რომ არ ვთქვათ, ნაბიჯი გასაკვირი არ უნდა იყოს, მისი განუზომელი პატივმოყვარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, - ის ვერავისთან ვერ გაიყოფდა გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს და, აქედან გამომდინარე, პატივსა და დიდებას. ზუსტად ასევე, პომპეუსისა და იულიუს კეისრის მტრობაც ხომ მათმა განუზომელმა პატივმოყვარეობამ გამოიწვია, რაც რომს სისხლის მდინარეების ფასად დაუჯდა, თორემ ამხელა უზარმაზარ ქვეყანას ორი ადამიანი, თუნდაც ასეთი ბუმბერაზები, როგორ ვერ გაიყოფდა, მითუმეტეს, რომ რამდენი ეხვეწა ციცერონი, - ზავი დაედოთ და სამოქალაქო ომისგან ქვეყანა აერიდებინათ. მაგრამ არა, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, ძალაუფლების მათრობელა ხიბლი ადამიანს ობიექტური ანალიზის უნარს აკარგვინებს.

ასე იყო, თუ ისე, ომი დაიწყო. და დაიწყო იგი უკეთური საქციელით, - მითრიდატეს შვილმა **მახარემ**, რომელიც ბოსფორის სამეფოს ფლობდა, ლუკულუსს ათას ოქროდ ღირებული გვირგვინი გამოუგზავნა და სთხოვა, რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ მიეღო (მახარე მითრიდატეს უფროსი ვაჟი იყო, რომელიც მამამისს განუდგა და ძვ.წ. 65 წელს, როდესაც მითრიდატე ბოსფორს მიადგა, მან თავი მოიკლა. ვერაფერს ვერ იტყვი, ძალაუფლების მოხვეჭის გზაზე მდგომ ადაიანებს სანტიმენტები არ ახასიათებთ- თ.ა.). ამ ნაბიჯმა, მახარეს მხრიდან, ლუკულუსს აფიქრებინა, რომ პირველი ომი დამთავრებული იყო, პონტოს სანაპიროთა დასაცავად ექვსიათასიანი მხედრობით თავისი ლეგატი დატოვა, თვითონ კი თორმეტი ათასი ქვეითი და სამი ათასი მხედრობით საომრად დაიძრა. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - იგი, როგორც ჩანდა, რაღაც დიდი, უგუნური გამბედაობით წაქეზებული თამამად მიემართებოდა იმ მეომარ ტომთა წინააღმდეგ, რომელთაც მრავალი ათასი ცხენოსანი ჰყავდათ და ღრმა მდინარეებით დასერილი და მარადიული თოვლით დაფარული მთებით გარშემორტყმული უსაზღვრო მიწა-წყალი ეკავათ.

აღნიშნულის გამო, ჯარისკაცები, რომლებიც ისედაც არ იცავდნენ წესრიგს, ამჯერად მეტად უხალისოდ მიჰყვებოდნენ ლიკულუსს და აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. რაც შეეხება რომში ლუკულუსის არაკეთილმოსურნეებს, მათ ერთი ამბავი ატეყეს. ისინი მთელი ხმით ყვიროდნენ, ლუკულუსმა ერთ ომს მეორე მოაყოლა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ეს სრულებით არ სჭირდებაო. იგი მხოლოდ იმიტომ იქცევა ასე, რომ მთავარსარდლის სახელი შეინარჩუნოს და ქვეყნის განსაცდელის ფასად პირად გამდიდრებაზე ზრუნავსო.

მათ ნათქვამში, ცხადია, სიმართლის არც თუ მცირე ნაწილი იყო, თუმცა მეორეს მხრივ ისიც გასაკვირია, - ისეთ გა-

ნათლებულ და ბუნებით კეთილ და გულმოწყალე ადამიანს, როგორიც ლუკულუსი იყო, პატივმოყვარეობის რა ჭია ეჯდა ასეთი სულში, რომ ამდენ გაჭირვებას, უბედურებას, ზოგჯერ შიმშილს, თანამებრძოლთა სიკვდილს და ა.შ. იტანდა. რა არის ასეთი ადამიანის სულში ჩაბუდებული, რომ პირველობის დაუოკებელი სურვილის გამო, - რომელიც ზოგიერთ ჩვენთაგანში ინსტიქტის დონეზეა, - ყველაფერს აკეთებს, ყველაფერზე მიდის და ყველაფერზე მზად არის, რომ თავის სწორებზე მაღლა დადგეს. პირადად ჩემთვის ეს გრძნობა უცხო არ არის, ისევე როგორც ნებისმიერი ჩვენთაგანისათვის, მაგრამ ასე გაფეტიშებული, უფრო მეტიც, თავისი არსით გაუგებარი და მიზნის მიღწევის გზებისა და საშუალებებით არაადამიანური, უფრო მეტიც, გაუკუღმართებული, რომ მისი გულისათვის ყველაფერზე წახვიდე, ჩემთვის პირადად სრულიად გაუგებარია. ალბათ აქ უპრიანი იქნება ამასთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება გამოვთქვათ, რომელიც ბევრისთვის შესაძლოა გასაკვირი იყოს, მაგრამ ჩემთვის პირადად სულაც არ არის გასაკვირი, - კაცობრიობას ნამდვილად გონიერი ადამიანების პრობლემა უნდა ჰქონდეს საზოგადოდ და, უფრო მეტიც, ეს განსაკუთრებით ეხება ხელისუფლების სათავეში მოსვლის მანიაკალური სურვილის მქონე ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან ბედისწერის (ვთქვათ, როგორც მემკვიდრე მონარქებისა), თუ საკუთარი ხელით ბედისწერის გამოჭედვის მეოხებით (ვთქვათ, მხედართმთავრები, პრეზიდენტები, კანცლერები, თუ პრემიერები), რომელთა რაოდენობა აქ კიდევ უფრო ნაკლებია და თან იმდენად ნაკლები, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო ფართოდ იმკვიდრებს ადგილს შეხედულება, რომ - ხელისუფლებაში საზოგადოდ, და, არა რომელიმე ერთ ქვეყანაში, - არსებობს ე.წ. „ გონიერი ადამიანის პრობლემა," რომლითაც, პოლიტკორექტულობის გამო, სურთ გადაფარონ მეორე, გაცილებით მძიმე და, მარადის გადაუჭრელი, „გონებაშეზღუდული ადამიანების" ტერმინი, ცხადია იმავე ხელისუფლებაში.

როგორც ჭაბუა ამირეჯიბის გმირი ამბობს, - „ შემჩნეულია, რომ სახელმწიფოს მართვისათვის დაბადებულად თავის თავს, სწორედ და, უპირველესად ყოვლისა, შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები სთვლიან. ისინი გასაოცარი მხნეობითა და შეუპოვრობით მიიწევენ წინ და მათგან უბეჯითესნი აღწევენ კიდეც მიზანს – მართვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სადავეებს.... ყოველივე ეს, ძირითადად, მანიაკობიდან მოდის: როცა კაცს თავისი უპირატესობა უყოყმანოდ ფანატიკურად სწამს, მაშინ მისი ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია. ეს ცნობილია. თავხედობა გოდოლებს მუსრავს, მაგრამ დაპყრობილის შესანარჩუნებლად არ კმარა, – იქ ჭკუა, განზოგადების უნარი, შემოქმედებაა საჭირო, რაც ჩვენს შემთხვევაში, თავიდანვეა გამორიცხული, – ჩვენ ხომ შეზღუდულ კაცებზე გვაქვს საუბარი. ამდენად, გოდოლი შედარებით მალე გადადის ხოლმე სხვის ხელში და „კაცობრიობის უდიდესი ჭირი" ქრონიკულ ხასიათს იღებს."

და, რადგანაც ხელისუფლებაში, როგორც უკვე ვთქვით, გონიერების პრობლემა არსებობს, ამიტომ, დიდი ალბათობით, ერთი გონებაშეზღუდულის ადგილზე, მეორე გონებაშეზღუდული მოდის და მხოლოდ მაშინ, თუ იმ მცირე ალბათობით არსებული, მართლა გონიერი ადამიანი მოდის ხელისუფლებაში, მაშინ მისი მმართველობის ხანა იმ ქვეყნისათვის ოქროს ხანად ითვლება და მარადიული და უჭკნობი შარავანდედით იკავებს საპატიო ადგილს კაცობრიობის საყოველთაო ისტორიაში.

მიუხედავად ამ შეგონების მთელი დრამატულობისა, მთელი უბედურება იმაშია, რომ ამ გონებაშეზღუდულთა ბატონობის თავიდან აცილების წინააღმდეგ კაცობრიობამ ვერანაირი ქმედითი მექანიზმი ვერ დაუპირისპირა. და ამის მიზეზი, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ, ისიც გახლავთ, რომ, იმ ძალამ, რიმელიც ამ პრო-

ცესებს სინამდვილეში წარმართავს, ძალიან კარგად იცის და ესმის, ჭკვიანი ადამიანის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

იმ ბნელით მოცულ საუკუნეში, ერთის მხრივ ადამიანი ყველაფერს არაადამიანურს ისე ადვილად სჩადიოდა, ისე სახალხოდ და საყოველთაოდ, რომ დღევანდელი გადასახედიდან გაოცება გიპყრობს, როგორ მოვიდა აქობამდე კაცობრიობა და, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გაკვირვება გიპყრობს, როგორი უზარმაზარი გავლენა ჰქონდა ისეთ, პიროვნულად გამორჩეულ ადამიანებზეც კი, როგორებიც იყვნენ ლუკულუსი, კეისარი და პომპეუსი, მისნობასა და კარგის, თუ ცუდის მომასწავებელ ნიშნებს.

როდესაც ასეთი მცირერიცხოვანი ჯარით, ლუკულუსი მდინარე ევფრატს მიადგა, იქაური ზამთრის წვიმების შედეგად ეს მდინარე საკმაოდ ადიდებული და ამღვრეული დახვდა, რის გამოც იგი ძალიან შეწუხდა, რადგან მდინარის გადალახვას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ საღამო ჟამს წყლის დონემ საგრძნობლად დაიწია, ღამით სულ შემცირდა, ხოლო გარიჟრაჟზე, მდინრეში ფონის მთელ სიგრძეზე პატარ-პატარა კუნძულებიც გამოჩნდნენ. ამის შემხედვარე ადგილობრივი მკვიდრნი ლუკულუსის წინაშე პირქვე დაემხნენ. ცხადია, ასეთი ღვთის წყალობის შემდეგ ლუკულუსს ჯარის გადაყვანა მეორე ნაპირზე არ გასჭირვებია. და ამ დროს ლუკულუსმა მისთვის კარგის მომასწავებელი ნიშანი იხილა. მდინარის ორთავე ნაპირზე ბალახობდნენ სპარსელ არტემიდესადმი შეწირული ძროხები. ევფრატის გაღმა ნაპირზე მცხოვრები ბარბაროსები ყველაზე უფრო დიდ თაყვანს ღმერთთაგან ამ ქალღმერთს სცემდნენ (რაოდენ გასაკვირი და კიდევ უფრო დასაფასებელია, რომ ქალღმერთს სცემდნენ პატივს, როგორც ყველაზე უფრო პატივსაცემს ღმერთთაგან, ანუ ქალის კულტი ჯერ კიდევ მაშინ უნდა ყოფილიყო მათ

ზნეობაში - თ.ა.). ამ ძროხებს მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლშეწირვისათვის იყენებდნენ და მათ, რომელთაც დაღად ღმერთქალის ნიშნად ჩირაღდანი ესვათ, თავისუფლად დაბალახობდნენ. და, აი, როდესაც ლუკულუსის მხედრობა ევფრატზე გადადიოდა, ერთ-ერთი ძროხა ნახირს გამოეყო, ღმერთქალისადმი შეწირულ ერთ წმინდა ლოდთან მივიდა, ზედ შედგა, თავი ჩაქინდრა, თითქოს თოკით მოქაჩესო, და ლუკულუსს შესაწირავად დამორჩილდა. ამის შემდეგ მან სწრაფი ნაბიჯით გასწია წინ, ტიგროსი გადალახა და სომხეთში შეიჭრა.

როგორც პლუტარქე ბრძანებს, - პირველივე მაცნეს, რომელმაც მეფე ტიგრანს ლუკულუსის მოახლოება აუწყა, ჯილდოს ნაცვლად თავი მოჰკვეთეს. ცხადია, ამის შემდეგ ვერავინ გაუბედავდა მას ლუკულუსის მოახლოებაზე საუბარს, ხოლო სასახლის მლიქვნელები მეფეს ეუბნებოდნენ, - ლუკულუსი მართლაც დიდ სარდლად ჩაითვლება, თუკი მეფე ტიგრანს **ეფესოში** მოუცდის და მაშინვე არ გაიქცევა აზიიდან, როცა სომხეთის უზარმაზარ მხედრობას დაინახავსო. ეს სიტყვები ნამდვილად არ იყო საფუძველს მოკლებული, თუ გავიხსენებთ, სომხეთის მეფის ჯართან შედარებით რა მცირერიცხოვანი მეომარი ჰყავდა ლუკულუსს.

მეფე ტიგრანმა ერთ-ერთი სარდალი გააგზავნა ლუკულუსის წინააღმდეგ სამი ათასი მხედრითა და დიდძალი ქვეითი ჯარისკაცით. ლუკულუსის მხედრობის ნაწილი ამ დროს უკვე ადგილზე იყო დაბანაკებული, ხოლო დანარჩენი ჯერ კიდევ გზაში იმყოფებოდა, როცა მას აუწყეს მტრის მოახლოება. ლუკულუსმა მტრის წინააღმდეგ ლეგატი **სექსტილიუსი** გაგზავნა ექვსი ათასი ცხენოსნითა და ოდნავ ნაკლები მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითით და უბრძანა, რომ ახლოს მისულიყო მტერთან და მანამ მოეცადა, სანამ არ შეიტყობდა რომაელთა ჯარის მთლიანად დაბანაკებას. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა, - მოწინააღმდეგე მაშინვე ეკვეთა

მას და ისიც იძულებული იყო ბრძოლაში ჩაბმულიყო. და მოხდა ნამდვილად გასაოცარი რამ, - მეფე ტიგრანის სარდალი ამ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მისი მეომრები უკუიქცნენ და, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რომაელებმა ყველა გაჟლიტეს. ამის გამგონე მეფე ტიგრანმა, მის მიერ აგებული დიდი ქალაქი, - **ტიგრანოკერტი**, მიატოვა და დაიხია **ტავროსისაკენ**, სადაც მთელი თავისი ძალების თავმოყრა დაიწყო. ლუკულუსმა მას მომზადებისათვის დრო არ მისცა, რისთვისაც თავისი ლეგატი გაგზავნა დავალებით, მოსვენება არ მიეცა მოწინაღმდეგისათვის და გზა გადაეჭრა იმ ძალებისათვის, რომლებიც მეფე ტიგრანის გარშემო იკრიბებოდნენ, ხოლო სექსტილიუსს კი უბრძანა, - უკუეგდო მეფის დასახმარებლად მიმავალ არაბთა უშველებელი ურდო.

ამ ბრძოლის შედეგი ძალიან დიდ გაკვირვებას იწვევს რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, თუ ასეთი სუსტი იყო ტიგრან მეფე, მაშინ კიდევ უფრო სუსტები უნდა ყოფილიყვნენ აზიის დანარჩენი მეფეები და, განსაკუთრებით პართები, რომელიც მან მთლიანად დაიმორჩილა. მაგრამ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრასუსმა მათთან ბრძოლა სამარცხვინოდ წააგო და, უფრო მეტიც, თავადაც შეეწირა ამ ბრძოლას. მეორეც, ეს რომ ლუკულუსის სამხედრო გენიას მივაწეროთ, ვერც ამას გავიზიარებთ, რადგან იგი თავად არ ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას. მესამეც, მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მხოლოდ მათი წინამძღოლის უუნარობას დაბრალებოდა მარცხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი მარცხის მიზეზი, პირველ რიგში ტიგრან მეფის მიერ გაგზავნილი სარდლის ბრრძოლის დასაწყისშივე დაღუპვა უნდა ყოფილიყო, რაც, ბუნებრივია პანიკას გამოიწვევდა მათ რიგებში და, მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, - სერტორიუსის მხედრობა ორჯერ მეტი იყო, - ექვსი ათასი, სამი ათასის წინააღმდეგ,- მოწინააღმდეგისაზე, ხოლო მხე-

დრობა, მაშინდელ ბრძოლებში, ხშირად გადამწყვეტ უპირატესობას წარმოადგენდა.

ლუკულუსის ლეგატი, სექსტილიუსი მოულოდნელად დაესხა თავს არაბებს, რომლებიც ის-ის იყო ბანაკს სცემდნენ და მათი უმრავლესობა შემუსრა, ხოლო მეორე ლეგატი **მურენა**, ფეხდაფეხ მისდევდა ტიგრან მეფეს, რომელიც ვიწრო და გაუვალი ხეობებით მიემართებოდა, რაც აძნელებდა მისი მრავალრიცხოვანი მხედრობის გადაადგილებას. ამით ისარგებლა მურენამ და სომხეთის მეფეზე იერიში მიიტანა. მეფემ მიატოვა თავისი აღალი და გაიქცა. ამ ბრძოლაში ბევრი სომეხი დაეცა, კიდევ უფრო მეტი კი ტყვედ ჩავარდა. ლუკულუსმა რომ თავისი ლეგატების წარმატება გაიგო, მხედრობა ტიგრანოკერტისკენ დაძრა, მის შემოგარენში დაბანაკდა და ქალაქს ალყა შემოარტყა.

აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი უნდა დავაფიქსიროთ. ტიგრანოკერტაში კილიკიიდან გადმოსახლებული მრავალი ბერძენი ცხოვრობდა. ასევე იყვნენ, ბერძენთა მსგავსად, ძალით გადმოსახლებული ბარბაროსებიც, - **ადიაბენელები** (მხარე ასირიაში), **ასირიელები, გორდიენელები** და **კაბადოკიელები**, - ბრძანებს პლუტარქე. მეფე ტიგრანმა მათი სამშობლო ადგილები მიწასთან გაასწორა, ხოლო ისინი აიძულა აქ, ტიგრანოკერტაში დასახლებულიყვნენ. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ განა სადმე პერიფერიაში, არამედ მეფის სატახტო ქალაქში. ამის მიზეზის გამოცნობას დიდი ჭკუა-გონება არ სჭირდება, - ამით მან პრაქტიკულად, მშვიდობიანობის დროს უფასო სამუშაო ძალა იშოვა და, ე.წ. „საზარბაზნე ხორცი,“- ომიანობის დროს. იგივე განახორციელა თორმეტი საუკუნის შემდეგ დავით აღმაშენებელმა, რითაც ორმოცი ათასამდე მუდმივი ლაშქრით უზრუნველყო ქვეყნის ძლიერება და საბოლოოდ გაათავისუფლა კიდეც ქვეყანა ყველა ჯურის დამპყრობლისაგან.

როგორც პლიტარქე ბრძანებს, რადგანაც ტიგრანოკერტი სავსე იყო დიდძალი განძითა, თუ სხვა უამრავი ძვირფასეულით, ლუკულუსი დარწმუნებული იყო, რომ მეფე ტიგრანი ქალაქს არ მიატოვებდა და უფრო მეტად გააძლიერა ალყა. ლუკულუსი არც შემცდარა და ეს, იმისდა მიუხედავად, რომ მითრიდატე ევპატორმა, თავისი ერთ-ერთი სარდლის, - **ტაქსილეს** პირით, - შეუთვალა, რომ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო და მხოლოდ ცხენოსანი ჯარით ლუკულუსისათვის სურსათის მისაზიდი გზები გადაეჭრა.

პირველ ხანებში ეს გოროზი მეფე ყურად იღებდა არანაკლებ გოროზი მითრიდატე ევპატორის რჩევებს, მაგრამ, როცა მასთან სომეხთა და გორდიენელთა მთელი მხედრობა მივიდა, როცა უკლებლივ გამოცხადდა მიდიელთა და ადიაბენელთა ლაშქარი თავ-თავიანთი მეფეების წინამძღოლობით, როცა მოზღვავდნენ ბაბილონის ზღვის (იგულისხმება სპარსეთის ყურე- თ.ა.) სანაპიროდან წამოსული არაბთა უთვალავი ურდოები, კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები და მდინარე არაქსის სანაპიროებზე მოსახლე თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი ჯარები, რომლებიც ტიგრან მეფის ალერსიანმა თხოვნამ და, უფრო, უნდა ვივარაუდოთ, უხვმა საჩუქრებმა, მოიზიდეს, მაშინ მეფემ ყურად აღარ იღო მეფე მითრიდატეს გაფრთხილება, არ დაელოდა მის მოსვლას, რათა მასაც არ რგებოდა გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი და გადაწყვიტა ბრძოლა გაემართა რომაელებისათვის. ამასთან სინანულით შესჩივლა თავისიანებს, რომ, მისდა სამწუხაროდ, ბრძოლა მხოლოდ ლუკულუსთან მოუწევს და არა რომაელთა ყველა სარდალთან ერთად.

არა და, მისი ეს სიტყვები ნამდვილად არ უნდა გავიგოთ, როგორც საფუძველს მოკლებული, ტრაბახა ხელისუფალის ნაბჟუტურები. მას უკან მიჰყვებოდა, როგორც პოლუტარქე

ბრძანებს, - აურაცხელი ტომები, მრავალი მეფე და დიდძალი ქვეითი, თუ ცხენოსანი ჯარი. **მას საბრძოლველად მიჰყავდა ოცი ათასი მშვილდოსანი და მეშურდულე, ორმოცდათხუთმეტი ათასი მხედარი, აქედან ჩვიდმეტი ათასი, აბჯარში ჩამჯდარი და კიდევ ასორმოცდაათი ათასი კოჰორტებად და ფალანგებად დაწყობილი, მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი. გარდა ამისა, მეფე ტიგრანის ლაშქარში ირიცხებოდა ოცდათხუთმეტ ათასამდე გზისა და სხვა სამუშაოთა შემსრულებელი ადამიანი, რომლებიც ზურგში ედგნენ მებრძოლებს და მთელი ჯარის გარეგნულ იერს ძალას ჰმატებდნენ.**

როგორადაც არ უნდა გაეზვიადებინა ლუკულუსს სენატისათვის მიწერილ წერილში მოწინააღმდეგეთა ძალების თანაფარდობის შესახებ, - რადგანაც, თუ ბისმარკის შეგონების პერიფრაზირებას მოვახდენთ, - არსად ისე არ აზვიადებენ (არ მინდა ვიხმარო სიტყვა, - იტყუებიან - თ.ა.) ფაქტებს, როგორც ომის დაწყებამდე (მე ამდენი მეომარი მყავდა და იმას კი ამდენჯერ ჩემზე მეტი), თამადობის დროს (სადღეგრძელოები უფრო სურვილების კონსტანტაციაა, ვიდრე რეალური დამსახურების ჩამოთვლა) და ნადირობის შემდეგ (უზომოდ გაზრდილი ნანადირევის რაოდენობა და ის ჰეროიკით გაჯერებული კურიოზები, რაც ნადირობისას ხდება-თ.ა.),- მაინც იმდენად დიდი იყო განსხვავება მათ ძალებს შორის, რომ, ან ლუკულუსს, ალექსანდრე მაკედონელის თავხედობამდე მისული, გამარჯვების ურყევი რწმენა ჰქონდა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, რადგან პირველის მიერ დარიოსზე მოპოვებული გამარჯვება, მას იმდენად ახალგაზრდა ასაკში მოუწია, რომ ეს სითამამე გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლუკულუსი ამ დროისათვის, მაშინდელი სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკს თუ გავითვალისწინებთ, უკეთეს შემთხვევაში შუა ხნის მაინც იყო, ან ბედისწერის გამორჩეული მფარველობის ქვეშ იყო. მაგრამ ბედისწერა, ასაკგადაცილებელი გაუთხოვარი ქალწულის კაპრიზებით ხასიათდება და, ერთი

წარმოუდგენელი წარმატების შემდეგ, ისე უაპელაციოდ შეუძლია ზურგი შეგაქციოს, როგორც პომპეუსს შეაქცია კეისრის წინააღმდეგ გამართული ფარსალის ველზე მიმდინარე ბრძოლისას. სხვა ახსნას იმ საოცრებას, რაც ამ ომის შედეგებით მოხდა, ვერ მოვუძებნით!

სამხედრო თათბირზე ზოგი ლეგატების ურჩევდა, რომ ტიგრანოკერტაზე ალყა მოეხსნათ და მთელი ძალები ტიგრან მეფის წინააღმდეგ მიემართათ, ზოგი კი შეუძლებლად თვლიდა ალყის მოხსნას, რადგან სახიფათოდ მიაჩნდათ ზურგში ამდენი მტრის დატოვება და მთელი ძალების მეფისაკენ მიმართვა და, როგორ გგონიათ, რა გზა აირჩია ამ მართლა ბედისაგან რჩეულმა სარდალმა? უაზრობამდე მისული გზა, - **მან, ლეგატი მურენა ექვსი ათასი ქვეითი ჯარისკაცით ქალაქის საალყოდ დატოვა, თვითონ კი თან წაიყვანა ოცდაოხი კოჰორტი, რომლებიც ათი ათასამდე მძიმედ შეიარაღებულ ქვეით მეომარს მოითვლიდნენ, მთელი ცხენოსანი ჯარი, დაახლოებით ათას კაცამდე მეშურდულე და მშვილდოსანი და მტრისკენ გაეშურა.** იგი, ერთ ვრცელ მინდორზე, მდინარის გასწვრივ დაბანაკდა.

ძალთა თანაფარდობა რომ ნამდვილად უთანაბრო იყო (სიტყვა „ უთანაბრო“, ალბათ არ გამოხატავს იმ თანაფარდობას, რაც სინამდვილეში იყო -თ.ა.), ტიგრან მეფის ერთი მოსწრებული სიტყვა ყველაზე ნათლად ადასტურებს, და, ალბათ ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რასაც იგი იტყოდა, - **„თუ ეს რომაელები ელჩებად მოვიდნენ აქ, - მეტისმეტად ბევრნი არიან, ხოლო, თუ ჯარისკაცებად, - ფრიად მცირენი!“**

ეს უმნიშვნელოვანესი ბრძოლა მთლიანად პლუტარქეს სიტყვებით მინდა გადმოვცეთ!

„გარიჟრაჟზე ლუკულუსმა იარაღასხმული გამოიყვანა თავისი მხედრობა. ბარბაროსთა ჯარი მდინარის აღმოსავლეთით იყო დაბანაკებული. რაკი მდინარე დასავლეთის მიმართულებით

უხვევდა, სადაც ყველაზე ადვილი იყო მასზე გადასვლა, ლუკულუსმაც ჯარი იქეთკენ წაიყვანა. ეს მეტად სწრაფად გააკეთა. ტიგრანს კი ეგონა, ლუკულუსმა უკან დაიხიაო. მან დაუძახა ტაქსილეს და სიცილით უთხრა: **„ვერ ხედავ, როგორ გარბიან რომაელთა უძლეველი ჯარისკაცები?“ „მეფეო,** - უპასუხა ტაქსილემ, **- მე ძალიან მინდა შენდა საბედნიეროდ რამე სასწაული მოხდეს, მაგრამ რომაელი მეომრები, როცა ისინი გზად მიდიან, ძვირფას ტანსაცმელს არ იცვამენ, არც ასე ახურავთ მუზარადები და იარაღიც, როგორც აი ახლა, ასე როდი აქვთ ტყავის ბუდიდან ამოწვდილი. მათი ბრწყინვალე იერი იმას ამტკიცებს, რომ ისინი ბრძოლისათვის არიან მზად და უკვე იერიშზე გადმოდიანო.“**

აქ კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, შესაძლოა უმნიშვნელო, დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ იმ დროისათვის მართლაც ძალზე მნიშვნელოვან მინიშნებას, რომელთა შესახებაც პლუტარქე ძალზე ხშირად საუბრობს; კერძოდ, როდესაც უკვე მდინარეზე გადასვლას აპირებდნენ, მისმა ხელქვეითებმა შეახსენეს, რომ ეს დღე, ერთ-ერთი იმ კვირატ დღეთაგანი იყო, რომელსაც „ნავს დღეებს“ ეძახიან. სწორედ ამ დღეს კიმბრებთან ბრძოლაში დაიღუპა **კვინტუს სერვილიუს სციპიონის** (პროკონსული ძვ.წ. 106 წელს) ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რომაელთა მხედრობაო. ლუკულუსმა მათ ცნობილი სიტყვებით უპასუხა, **-„ რომაელთათვის მე ამ დღესაც ბედნიერ დღედ ვაქცევო.“** დააკვირდით, რა დიდი დატვირთვა აქვს ასო-ბგერა „ც“-ს. ლუკულუსმა ის კი არ თქვა, რომ „ამ დღეს ვაქცევო,“ არამედ, - „ამ დღესაც ვაქცევო,“ ანუ, რომაელთათვის ამ დღესაც, სხვა დღეებივით, ბედნიერ დღედ გადავაქცევო! სახელმწიფოებრივი აზროვნების, შესაძლოა ერთი უმნიშვნელო, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი სენტენციაა!

„ ეს იყო ოქტომბრის ნონების (ლათინურად, - მეცხრე. -თ.ა.) წინადღე“, - ბრძანებს პლუტარქე.

ამ ბრძოლის დეტალურად აღწერას არ შევუდგებით, მა-

გრამ იმას კი ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აქ ცალსახად გამოჩნდა ლუკულუსის სამხედრო გენია და პირადი თავგანწირვის საოცარი მაგალითი. ერთის მხრივ, იგი პირველი დაიძრა მტრის წინააღმდეგ და ისე გამორჩეულად ეცვა, რომ თითოეულ რომაელს შეეძლო თვალნათლივ დაენახა მისი ასეთი თავგანწირვა, ხოლო მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევდა მის წინააღმდეგ მიემართა მთელი ძალა. ამას გარდა, მან ქარქაშიდან ამოღებული ხმლის ზევით აწევით ანიშნა თავისიანებს, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ჰკვეთოდნენ მშვილდოსნებს, რათა მათ შორის მანძილი შეემცირებინათ და უსარგებლო გაეხადათ ისრების სროლით გამოწვეული საშიშროება, რომელსაც მოწინააღმდეგე წვიმასავით აყრიდა თავს. ამავე დროს მან დაინახა, რომ მთლიანად აბჯარში ჩამსხდარი მტრის ცხენოსანი ჯარი, რომელზედაც, ცხადია, მოწინააღმდეგე დიდ იმედებს ამყარებდა, იდგა ერთ განიერ გორაკზე და იქამდე მისაღწევად სულ რაღაც ოთხიოდე სტადიონის გავლა იყო საჭირო, ამასთან, გზა სრულიადაც არ იყო დამრეცი და, ამდენად, ძნელად ასასვლელი. ლუკულუსმა, მის განკარგულებაში მყოფ თრაკიელ და გალატელ მხედრებს უბრძანა, გვერდიდან შემოევლოთ გორაკისათვის, დასხმოდნენ თავს მტრის ცხენოსნებს და მათი შუბები ხმლის დაკვრით მოეგერიებინათ (მგონი, ერთი შეხედვით ამ უბრალო დეტალმა მნიშვნელოვნად გადაწყვიტა კიდეც ბრძილის ბედი. - თ.ა).

როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „ერთად ერთი ძალა აბჯარში ჩამსხდარი ცხენოსნებისთვის შუბი არის. ასეთი ჯარი, მძიმე და უხეში საჭურვლის გამო, მეტად ზანტად მოძრაობს და შუბის გარდა სხვა იარაღით ვერც საკუთარ თავს დაიცავს, ვერც მტერს მიაყენებს ვნებას.“ თავად ლუკულუსი ორი კოჰორტით გორაკის დასაკავებლად გაემართა. ჯარისკაცები მას მამაცურად მიჰყვებოდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ იარაღასხმული მათი წინამძღოლი ყველაზე წინ მიდიოდა ქვეითად, არ ერიდებოდა რა განსაცდელს, თავგამოდებით მიიწევდა გორაკისაკენ. გორაკზე ასვლისთანავე ლუკულუსმა, მიუბრუნდა რა ჯარისკა-

ცებს, მთელი ძალით შეჰყვირა, - **„ჩვენ გავიმარჯვეთ, მეგობრებო, ჩვენ გავიმარჯვეთ!“** ამის შემდეგ მან ჯარი მტრის აბჯარში ჩასხმული მხედრობისაკენ დაძრა და უბრძანა ჯარისკაცებს, რომ ოროლები აღარ ეხმარათ, ხმალი მოემარჯვებინათ და მტრისთვის ფეხებსა და თეძოებზე დაეცხოთ, რადგანაც აბჯარში ჩამჯდარ ცხენოსნებს ეს ადგილები ჰქონდათ დაუფარავი. ამ ბრძანების შესრულება აღარც გახდა საჭირო. ტიგრან მეფის აბჯროსანმა ცხენოსნებმა რა იხილეს მათკენ მიმართული რომაელები ლუკულუსის მეთაურობით, შემაძრწუნებელი ყვირილი ატეხეს და სამარცხვინოდ გაიქცნენ. ისინი, ჯავშნისგან დამძიმებული ცხენებით, საკუთარი ქვეითი ჯარის რიგებში შეიჭრნენ, რის გამოც ქვეითებმა ბრძოლის დაწყება ველარ შეძლეს და მოხდა საოცრება, - მეფე ტიგრანის მრავალათასიანი მხედრობა, ბრძოლისა და სისხლის ღვრის გარეშე დამარცხდა. დიდი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა მტრის უკან დახევისას, რადგან მათი უკან დახევა, მათივე მეომრების ხშირი რიგის გამო, იმდენად გაძნელებული იყო, რომ ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ეცემოდნენ, რაც რომაელებს საშუალებას აძლევდა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აეკუწათ მოწინააღმდეგე. მეფე ტიგრანი ჯერ კიდევ ამ საშინელი არეულობის დაწყებამდე გაიქცა ბრძოლის ველიდან და ისე მოხდა, რომ საკუთარი გვირგვინიც კი მტერს ჩაუვარდა ხელში. როგორც პლუტარქე ბრძანებს **მეფემ ამ ბრძოლაში ასი ათასზე მეტი ქვეითი დაკარგა, ხოლო მხედრებიდან არავინ გადარჩენილა.** რაც შეეხება რომაელებს, მათ ას კაცამდე დაუჭრეს და მხოლოდ ხუთი მეომარი ჰყავდათ მოკლული. **ეს ბრძოლა ტიგრანოკერტასთან მოხდა ძვ.წ. 69 წელს.** ამ ბრძოლაში მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა ლუკულუსის სამხედრო გენია და კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის უცილობელი ფაქტი, რომ **ნებისმიერი ერის ისტორიას თავად ერი ქმნის, მაგრამ ის, თუ როგორი იქნება მისი ისტორია, - წარმატებული, თუ წარუმატებელი, - პიროვნებები ჰქმნიან.** ამის დიდებული მაგალითი ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსია.

როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, - აკადემიური სკოლის წარმომადგენელი ფილოსოფოსი და **ფილონის** მოწაფე, **ანტიოქე ასკალონელი,** -„ რომელიც ამ ბრძოლას მოიხსენიებს თავის თხზულებაში **„ღმერთთა შესახებ,"** ამბობს, - **ამ ბრძოლის მსგავსი ბრძოლა მზეს არ უხილავსო.** მეორე ფილოსოფოსი **სტრაბონი „ისტორიულ მოგონებებში"** აცხადებს, - **რომაელები სირცხვილისაგან წითლდებოდნენ და თავის თავს დასცინოდნენ, ამისთანა ღვთის გლახებზე როგორ აღვმართეთ იარაღიო. ლივიუსი კი ამბობს, - მტრის რიცხობრივად ასე ჭარბ ძალებს რომაელები აქამდე არასოდეს არ შეხვედრიან საბრძოლველად."**

პლუტარქე იქვე იმასაც ბრძანებს, რომ ლუკულუსმა, - „ორი მეტისმეტად სახელგანთქმული და უძლიერესი მეფე, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საშუალებით, - სისწრაფითა და დაყოვნებით დაამარცხა, - მითრიდატე, ლუკულუსმა მისი ძლიერების ჟამს დროის გაჭიანურებით და ნელი მოქმედებით დაასუსტა, ხოლო ტიგრან მეფე სწრაფი იერიშით გატეხა".

ამის შემდეგ უკვე დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა სომეხთა მთავარი ქალაქის აღებაც, მითუმეტეს, რომ ქალაქში მცხოვრები ბერძნები აჯანყდნენ. სამეფო განძეულობა ლუკულუსმა თავისთვის დაიტოვა, ხოლო ქალაქი საძარცვად ჯარს მისცა, რომელთაც სხვა ქონებასთან ერთად რვა ათასი (?) ტალანტი ლითონის ფული აღმოაჩინეს. ამას გარდა, ლუკულუსმა ყოველ ჯარისკაცს, ნადავლიდან, რვაასი დრაქმაც (ერთი დრაქმა უდრიდა ერთ რომაულ დინარს) მისცა. ლუკულუსმა ტიგრანოკერტაში მყოფ ბერძნებს, ისევე როგორც იქ ძალით გადმოსახლებულ სხვა ბარბაროსებს, საგზაო მარაგი დაურიგა და სამშობლოში გაისტუმრა.

ჩვენ არ შეუძლებით ყველა იმ დეტალების აღწერას, რასაც გამარჯვებული ლუკულუსის ქმედებების შესახებ ჰყვება პლუტარქე, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ მისი ნათქვამდან, რომ იგი „დანარჩენ საქმეებშიც იმ კაცის ღირსებისათვის შესაფე-

რის წარმატებებს აღწევდა, რომელიც სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის შექებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ომში მოპოვებული გამარჯვებისათვის შესხმულ ხოტბას.“

ვერ ვიტყვი, რამდენად დამაჯერებელია ეს სიტყვები იმ ადამიანზე, რომლის, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, -„ ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებებში საკმაოდ დიდი წვლილი ედო მხედრობას და კიდევ უფრო მეტი ბედს,“ და, მართლაც, მის სამხედრო წარმატებებს, ხშირად ახალგაზრდა და გამოუცდელი სარდლისათვის დამახასიათებელი, მძაფრი ავანტიურის სურნელი უფრო დაჰკრავდა, ვიდრე ჭკუადამჯდარი სამხედრო სტრატეგის გადაწყვეტილებებს, რაც, მით უფრო გასაკვირია, რადგან ამ დროისათვის ლუკულუსი თითქმის ორმოცდაათი წლის იყო.

ვერაფრით ვერ გავამტყუნებთ ლუკულუსს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ, ამ ორი დიდი მეფის, მითრიდატე ევპატორისა და ტიგრან დიდის შემუსვრის შემდეგ, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „წელში გადატეხილი მოწინააღმდეგეთათვის თავი დაეენებებინა, პართების წინააღმდეგ გაელაშქრა და მათი ძალა გამოეცადა.“ თუ ეს კამპანია წარმატებით დასრულდებოდა, ამის შემდეგ მას ერთ ომში, იმ პერიოდის სამი უდიდესი მეფე ეყოლებოდა დამარცხებული, რაც, ცხადია მის პატივმოყვარეობას მალამოსავით ეფინებოდა. ჩვენს ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ბერძნული წარმოშობის რომაელი კონსული და ისტორიკოსი, სახელგანთქმული, - **„რომის ისტორიის“** ავტორი, **დიონ კასიოსი** (ახ.წ.155 (?)-230წწ.) კიცხავს ლუკულუსს იმის გამო, რომ იგი ტიგრან მეფეს იმიტომ არ დაედევნა, რომ მას მთავარსარდლის რწმუნების გაგრძელება სურდა.

ამ კამპანიის დაწყების მიზნით ლუკულუსმა ბრძანება გაუგზავნა პონტოში თავის ლეგატებს, იქაური მხედრობა მასთან მოეყვანათ. და, აქედან იწყება სრულიად გაუგებარი

მოვლენები. როდესაც შენი სარდალი გამარჯვებებს გამარჯვებებზე მოიპოვებს, რის შედეგადაც შენც, გარდა სახელისა და დიდებისა, საკმაოდ დიდ მატერიალურ ქონებას მოიპოვებ, მითუმეტეს, ისეთი მხედართმთავრისგან, როგორიც ლუკულლუსი იყო, რატომ არ უნდა გაყვე საომრად?

მართალია, ისტორიას ბევრი მაგალითები ახსოვს, როდესაც უამრავი ბრძოლებისგან გადაღლილი, ათასი ჭრილობებისგან ძალაგამოცლილი მეომრები, მთავარსარდალს აღარ ემორჩილებოდნენ და კამპანიის გაგრძელებაზე უარს ამბობდნენ, რისი საუკეთესო მაგალითიც ალექსანდრე მაკედონელი იყო, რომელსაც, ცამეტწლიანი პერმანენტული ბრძოლების შემდეგ, მეომრებმა უარი უთხრეს ბრძოლის გაგრძელებაზე, და, როგორც „ჭორიკანა ისტორია" ბრძანებს,"ეს, არა მარტო იმის მიზეზი გახდა, რომ ალექსანდრე დიდი იძულებული იყო ინდოეთის კამპანია შეეწყვიტა და უკან დაბრუნების ბრძანება გაეცა, არამედ, შესაძლოა, მისი საიდუმლეობით მოცული (?) უდროო სიკვდილის მიზეზიც.

ასეა, თუ ისე, ვერავითარი რჩევითა და ძალით, ლეგატებმა ვერ დაიყოლიეს ჯარისკაცები პონტოდან ლუკულლუსთან წასვლაზე. ამის გამგონე ლუკულლუსის მხედრობაც, რომელთაც გამდიდრება და განებივრებაც მოასწრეს, და ამის გამო, ისედაც უხალისოდ ასრულებდნენ მეომრის მოვალეობას, უარი განაცხადეს ახალ ლაშქრობაში მონაწილეობაზე.

თუ გავიხსენებთ ნაპოლეონის მოღვაწეობის პერიოდს, მაშინაც, რამდენადაც მისი სარდლების მართლაც რომ დიდებული პლეადის (რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, - **ჟან ლანი, ნეი, კლებერი, დეზე** და კიდევ ორ ათეულამდე მარშალი და გენერალი), ფორმა და ეპოლეტები, უბრალო ამუნიციიდან, ძვირფასი ძაფებითა და ოქროთი მოვარაყებული ზიზილ-პიპილოებით იცვლებოდა, იმდენადვე მცირდებოდა მათი სამხედრო შემართებაც, რამაც, ვფიქრობ, არც თუ უკანასკნელი როლი

ითამაშა თავად ამ გენიალური პიროვნების რამდენადაც ტრაგიკული, იმდენადვე დამამცირებელი სიცოცხლის დასრულებაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ლუკულუსმა, პრაქტიკულად ყველა სხვა მთავარსარდლისგან განსხვავებით, როგორც **სალუსტიუსის** დამოწმებით მოგვითხრობს პლუტარქე, - „ომის დასაწყისშივე დაიმსახურა ჯარისკაცების წყრომაო; ისინი აიძულა ორი ზამთარი ზედიზედ ბანაკში გაეტარებინათ. რომაელ მეომრებს, ამის შემდეგაც მრავალი მძიმე ზამთრის გადატანა მოუხდათ, მტრის ქვეყანაში იქნებოდა ეს თუ მოკავშირის ქვეყანაში, სულ ერთია, ისინი მაინც ღია ცის ქვეშ დაბანაკებულნი ზამთრობდნენ ხოლმე. ბერძნების და, საერთოდ, მოკავშირეთა ქალაქში ლუკულუსი არც ერთხელ არ შესულა თავისი მხედრობით.“ უბრალოდ დაუჯერებელია ნებისმიერი, – მისი დროის, მანამდე, თუ შემდგომი პერიოდის სარდლისა, თუ მხედართმთავრისგან, – ასეთი საქციელი. ამით იგი ადგილობრივ მოსახლეობას ათასგვარი უბედურებისაგან იცავდა, რომ არაფერი ვთქვათ ჯარისკაცების მხრიდან ძარცვა-გლეჯვის უცილობელ მცდელობაზე.

და მაინც, ვფიქრობ, ლუკულუსის შემთხვევაში, ჯარისკაცების მხრიდან ასეთი დაუმორჩილების მიზეზი ეს არ უნდა ყოფილიყო. ეს არ იყო გადამწყვეტი მიზეზი; უფრო სწორად, ჯარისკაცების ასეთი ქცევის მთავარი მიზეზი ეს არ უნდა ყოფილიყო! ეს პროცესები, უნდა ვივარაუდოთ, რომიდან იმართებოდა, რადგან იმას, რაც ლუკულუსთან დაკავშირებით დიონ კასიოსმა, ამ მოვლენებიდან თითქმის ასი წლის შემდეგ შენიშნა და თავის ნაშრომში დააფიქსირა და, რომლის შესახებაც ჩვენ ოდნავ ზემოთ აღვნიშნეთ, მით უფრო ადვილად შენიშნავდა მეორე დიდი რომაელი, გნეუს პომპეუსი, რომელიც უკვე თავის სრულიად ლეგიტიმურ პრეტენზიებს აცხადებდა კიდევ უფრო დიდ სახელსა და დიდებაზე, და, ამასთანავე, იმ

პერიოდისათვის კიდევ უფრო შორს მყოფი, მაგრამ არანაკლები ამბიციებისა და პრეტენზიების მქონე, გაიუს იულიუს კეისარი, რომელიც გალებთან წარმოებული ომებით გამოწვეული რომისგან სიშორის მიუხედავად, გამუდმებით ედო რომის პოლიტიკურ მაჯაზე ხელი და დეტალურად იცოდა მაჯისცემის სიხშირე.

სიტუაციის ასეთი გართულების გამო, ლუკულუსი იძულებული იყო დაყოლოდა ჯარისკაცთა ნებას და პართებთან ომის ნაცვლად, კვლავ მეფე ტიგრანისკენ საომრად გაემართა. ჩვენ არ შევუდგებით ამ ბრძოლის პერიპეტიების აღწერას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ლუკულუსმა აქაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, და მხოლოდ ერთ აბზაცს მოვიყვანთ პლუტარქეს მონათხრობიდან, - „ლუკულუსის წინააღმდეგ ამხედრებულ სამ მეფეთაგან, როგორც ამბობენ, ყველაზე უფრო სამარცხვინოდ, მითრიდატე პონტოელი გაიქცა. მან თურმე რომაელთა საომარ ყიჟინასაც ვერ გაუძლო.“

ამ მოყვანილი აბზაცის მეორე წინადადება გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად რომაელთა იარაღის საოცარი ძალისა და თავად რომაელთა შემართებისა, მითრიდატე პონტოელი არ უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომელიც რომაელთა ყიჟინას გაქცეოდა, მითუმეტეს, მეფეს, რომელსაც ათასი ბრძოლა და კიდევ უფრო მეტი ჭირ-ვარამი ჰქონდა გამოვლილი და რომაელთა წინააღმდეგაც არა ერთხელ უბრძოლია და წარმატებითაც. აქ უფრო, უნდა ვივარაუდოთ, იგი -„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის“ პრინციპით მოქმედებდა, მითუმეტეს, რომ ეს ორი მეფე, მიუხედავად იმისა, რომ სიძე-სიმამრი იყვნენ, ერთმანეთის კონკურენტები უფრო იყვნენ, ვიდრე მოკავშირეები.

შემდგომი ომის გაგრძელებაზე, რომ საბოლოოდ აეღოთ სომხეთის დედაქალაქი და მეფე ტიგრანი საბოლოოდ დაემარცხებინათ, ჯარმა კატეგორიული უარი განაცხადა, რასაც ზედ გაუსაძლისი ყინვებიც დაერთო. მართალია, მან ჯარი

უფრო ნოყიერსა და თბილ ქვეყანაში, ე.წ. **მიგდონიაში** გადაიყვანა და მისი უმთავრესი ქალაქი **ნისიბისიც** აიღო, რომელსაც მეფე ტიგრანის ძმა **გურა** მართავდა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო, - ჯარისკაცები პრაქტიკულად აღარ ემორჩილებოდნენ.

პლუტარქე ამის მიზეზს იმაში ხედავს, რომ ლუკულუსს ჯარისკაცთა ბრბოს წინაშე პირფერობა არ შეეძლოო და ხელქვეითთა გულის მოსაგებად გაწეულ ყოველ მოქმედებას ძალაუფლების შეურაცხყოფად და დაკნინებად თვლიდა. მისი აზრით, მთავარი მაინც ის იყო, რომ - „ ბუნებით ვერ ეგუებოდა ვერც მასზე ძლიერებს და ვერც მის სიმაღლეზე მდგომ ხალხს, ყველა ეზიზღებოდა და თავის ღირსად არ თვლიდა.“ ამასთან, როგორც იგი ამბობს, ლუკულუსი იყო - „ ...ტანადი, ლამაზი, მჭერმეტყველი და შეეძლო ერთნაირად გამოემჟღავნებინა თავისი ნიჭი, როგორც ფორუმზე, ისე სამხედრო ბანაკშიც.“

შესაძლოა ეს ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტები იყოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც მიგვაჩნია, რომ ლუკულუსის პოლიტიკური მარცხის (დიახ, პოლიტიკურის, რადგან როგორც მხედართმთავარს მას ბრძოლა არ წაუგია - თ.ა.) მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ლუკულუსს არ ედო რომის პოლიტიკური ცხოვრების პულსზე ხელი და კარგად ვერ გაითვალისწინა მის წინააღმდეგ რომში აგორებული კამპანიის საშიშროება, რომლის სულის ჩამდგმელი იყო, ერთ-ერთი პრეტორი, **ლუციუს კვინკციუსი**, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, სხვის შეკვეთას ასრულებდა და, იმდენად კარგად, რომ მან დაარწმუნა ხალხი, რათა ლუკულუსს ჩამორთმეოდა საგამგებლო მხარე და შემცვლელად სხვა გაეგზავნათ, ხოლო მისი მხედრობა დაშლილიყო. პარალელურად, ასეთივე საქმიანობას ლუკულუსის წინააღმდეგ, ოღონდ ლუკულუსის ჯარისკაცებს შორის, ეწეოდა, -„გარეწარი და თავხედი **პუბლიუს კლოდიუსი**, ლუციუსის ცოლისძმა, ძმა იმ ფრიად გარყვნილი ქალისა, რომელთან ბილწი კავშირისათვის მას საქვეყნოდ კიცხავდნენ,“ - გადმოგვცემს პლუტარქე.

ლუკულუსის მეგობრებმა, როცა ცნობილი გახდა, რომ მითრიდატესა და მეფე ტიგრანის წინააღმდეგ წარმოებული ომის მთავარსარდლად პომპეუსი დანიშნეს, იგი ამ უკანასკნელს შეახვედრეს, რათა ერთმანეთთან ურთიერთობები გაერკვიათ, მაგრამ შეხვედრის შემდეგ ისინი კიდევ უფრო დიდ მტრებად დაშორდნენ, - პომპეუსმა ლუკულუსის მიერ გამოცემული ბრძანებები გააუქმა, მთელი მხედრობა ჩამოართვა და მომავალი ტრიუმფისათვის მხოლოდ ათას ექვსასი ჯარისკაცი დაუტოვა, რომლებიც, ყოფილ მთავარსარდალს მეტად უგულოდ გაჰყვნენ.

როგორც ამის შესახებ, დღეს ანაქრონიზმად ქცეული, ნეტარხსენებული მარქსი მიუთითებდა, - „პომპეუსმა ... დაუმსახურებელი დიდება მოიპოვა თავდაპირველად იმის წყალობით, რომ მიითვისა ლუკულუსის წარმატებანი (მითრიდატეს წინააღმდეგ), შემდეგ სერტორიუსისა (ესპანეთში) და მისთანა სხვა... როგორც გენერალი - იგი არის რომაელი ოდილონ ბარრო (რომლის შესახებაც ისტორიის ანალებში საყურადღებო მხოლოდ ეასეთი ჩანაწერია, -მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე -თ.ა.); როგორც მცდელი კეისრის საწინააღმდეგო ბრძოლაში თავისი ნიჭის გამოჩენისა - სრული არარაობა!"

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ლუკულუსის პატივსაცემად გამართული ტრიუმფისას, რომლის გამართვა მისმა მტრებმა კინაღამ ჩაშალეს, ჩამოტარებული ნადავლის სიდიდეზე და სიდიადეზე. მოვუსმინოთ პლუტარქეს.

ლიკულუსმა, ე.წ. **ფლამინიუსის ცირკი** მტრის ნაირ-ნაირი იარაღითა და საალყო მანქანებით მორთო, რითაც რომაელთა ყურადღება თავიდანვე მიიპყრო. საზეიმო სვლაში მონაწილეობდა რამდენიმე ჯავშანში ჩამჯდარი ცხენოსანი, ათი საბრძოლო, ორმხრივ ცელდამაგრებული ეტლი და მეფის სამოცამდე კარისკაცი და სარდალი. ტრიუმფში ჩაატარეს აგრეთვე სპილენძის ცხვირიანი ასათი გრძელი ხომალდი, მი-

თრიდატე ევპატორის ოქროს ქანდაკება, რომელსაც ექვსი წყრთა სიმაღლე ჰქონდა, მისი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ფარი და ოცი ვერცხლის ჭურჭლეულობით სავსე ყუთი; გარდა ამისა, ოცდათორმეტი ყუთი ოქროს თასებით, იარაღებითა და ფულით გაჭედილი გამოატარეს. დანარჩენი ნადავლი ჯორებს მოჰქონდათ აკიდებული. რვა ჯორს ოქროსგან ნაკეთები საწოლები მოჰქონდა, ორმოცდათექვსმეტს - ვერცხლის ზოდები, ხოლო სხვა ას შვიდ ჯორზე, თითქმის ორი მილიონ შვიდას ათას დრაქმამდე ვერცხლის ფული იყო აკიდებული (ანუ, ერთ ჯორზე დაახლოებით 27 ათასი დრაჰმა. - თ.ა.).

ტრიუმფში გამოტანილ დაფებზე აღნიშნული იყო ის თანხა, რაც ლუკულუსმა მისცა პომპეუსს მეკობრეების წინააღმდეგ საბრძოლველად და ის თანხაც, რაც მან სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა. ცალკე იყო აღნიშნული ისიც, რომ თითოეულმა ჯარისკაცმა თითქმის ათასი დინარი მიიღო.

ტრიუმფის დასასრულს ლუკულუსმა ბრწყინვალე ლხინი გადაუხადა ქალაქსა და მის მახლობლად მდებარე დაბებს.

პირად ცხოვრებაში ლუკულუსს ნამდვილად არ გაუმართლა. მშობლების შესახებ დასაწყისშივე აღვნიშნეთ. პირველი ცოლი **კლოდია** იმდენად ბილწი და უზნეო აღმოჩნდა, რომ საკუთარ ძმებთან მრუშობდა, ამასთან მისმა ერთ-ერთმა ძმამ, პუბლიუს კლოდიუსმა, რომელიც ლუკულუსის ლაშქარში მსახურობდა, რომელსაც უნდოდა ყველაფერში პირველი ყოფილიყო, მაგრამ მისი ცუდი ხასიათის გამო მუდმივად მესამე, თუ მეოთხე პლანზე იყო, დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ლუკულუსის ერთ-ერთი ლეგატის, ფიბრიას მეთაურობით მყოფი ჯარი, ლუკულუსის წინააღმდეგ აემხედრებინა. მეორე ცოლი გახლდათ კატონის და, - **სერვილია**, მაგრამ ეს ქორწინებაც უიღბლო გამოდგა, რადგან, მართალია, სერვილია კლოდიასავით სამარცხვინოდ არ ცხოვრობდა ძმებთან, მაგრამ ისეთივე ავხორცი და გარყვნილი გამოდგა. მიუხედავად ამისა,

კატონის პატივისცემით იგი იძულებული იყო აეტანა ეს ქალი, თუმცა, შემდეგში ველარ მოითმინა და მასაც დაშორდა.

ამის მერე იწყება ლუკულუსის ცხოვრების მეორე ეტაპი, რომელიც თითქმის ათ წელიწადს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ სენატი დიდ იმედებს ამყარებდა სახელმოხვეჭილსა და ძლიერი გავლენის მქონე ლუკულუსზე და მასში პომპეუსის ტირანიის მოწინააღმდეგეს ხედავდა, იგი სახელმწიფო მოღვაწეობას ჩამოშორდა. თუმცა პლუტარქე სხვანაირად ფიქრობს. ლუკულუსს, ან ეგონა, რომ სახელმწიფო განუკურნებელი სენით იყო დაავადებული, რომლის არამართებულობა მოვლენათა განვითარების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, ანდა, როგორც ზოგიერთი ფიქრობდა, დიდებით უკვე გამძღარს, ამდენი უიღბლოდ დამთავრებული (გაუგებარია, რომელის? -თ.ა.) ბრძოლისა და ჯაფის შემდეგ იოლი და ფუფუნებით აღსავსე ცხოვრება უნდოდა.

ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი, ალბათ მაინც, გულგატეხილობა და უმადურობა უნდა იყოს, რაც მასთან მიმართებაში გამოიჩინა როგორც ერმა, ასევე ბერმა. მითუმეტეს, რომ ძალაუფლების ბაცილით დაავადებული განკურნებას არ ექვემდებარება, რისი საუკეთესო მაგალითიც **გაიუს მარიუსის** (ძვ.წ. 156-86წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობაა, რომელმაც, კიმბრებზე გამარჯვებისა და დიდი და ბრწყინვალე წარმატებების შემდეგ არ ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას და სახელსა და მბრძანებლობას დახარბებული მოხუცი ახალგაზრდებთან პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება. მარიუსი აბსოლუტურად ყველაფერზე წავიდა, რათა მეშვიდედაც გამხდარიყო კონსული. იგი კარდაკარ დადიოდა, ხალხს ეხვეწებოდა და ათასგვარ სხვა დამამცირებელ ქმედებებს სჩადიოდა ამისათვის. სამი დღე-ღამე წყალქვეშ იმალებოდა და წყლის ზედაპირიდან ამოშვერილი ისლის ღეროდან სუნთქავდა, რათა თავი გადაერჩინა, როცა სულას მდევარი მოსაკლავად დასდევდა.

და ეს ყველაფერი რისთვის, - ერთხელ შვიდთავიანი არწივი ეზმანა და იმდენად სწამდა, რომ მეშვიდედაც კონსული გახდებოდა, რომ ყველაფერზე წავიდა ამ მიზნის მისაღწევად და რა მერე? ამის შემდეგ სულ 17 (?) დღე იცოცხლა!

როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „ციცერონიც უკეთესად გაატარებდა სიცოცხლის დღეებს, რომ კატილინას გასცლოდა. ასევე მოიგებდა სციპიონიც, კართაგენისა და ნუმანციის დამორჩილების შემდეგ თუკი განსვენებას მიეცემოდა. პოლიტიკურ მოღვაწეობასაც თავისი დრო და საზღვარი აქვს. როგორც ათლეტთა ბრძოლაში, ისე პოლიტიკურ ჭიდილშიც იგრძნობა ხოლმე ძალისა და ახალგაზრდული გატაცების შესუსტება.“

ლუკულუსი მთლიანად გადაერთო ბოჰემურ ცხოვრებაში. ააშენა ძვირფასი შენობები, ბრწყინვალე სასეირნო ხეივნები, გამართა აბანოები, აგროვებდა სურათებს, ქანდაკებებს და ხელოვნების სხვა ნიმუშებს, რისთვისაც დაუზოგავად ფანტავდა ლაშქრობაში მოხვეჭილ აურაცხელ სიმდიდრეს. როგორც პლუტარქე შენიშნავს, - „დღესაც, როდესაც ფუფუნებამ საოცარ სიმაღლეს მიაღწია, ლუკულუსის ბაღები კეისართა დიდებულ ბაღებთან ერთად იხსენიება“.

ლუკულუსმა ზღვის სანაპიროსა და ნეაპოლის მიდამოებში შენობები აღმართა, მთებში გვირაბები გაიყვანა, ზღვიდან გაიყვანა თევზსაცავი თხრილები. ის რომ ზღაპრულად მდიდარი იყო, ამაზე პლუტარქე ბევრს საუბრობს და სხვა ავტორებსაც იმოწმებს, მაგრამ კიდევ უფრო დიდ გაოცებას მისი ამ სიმდიდრის გამოყენების უნარი იწვევს. მას, როგორც პლუტარქე ბრძანებს, ძალზე ყვარებია წიგნები და ბევრ და ლამაზად დაწერილ წიგნს აგროვებდა, მაგრამ უფრო გასაოცარი ის არის, თუ როგორ იყენებდა იგი ამ წიგნებს. მას რამდენიმე ბიბლიოთეკა ჰქონდა და ამ ბიბლიოთეკების გარშემო მოწყობილი სასეირნო ხეივნები და სამეცადინო ოთახები მუდამ ღია იყო მსურველთათვის. ხშირად ლუკულუსიც ჩამოდიოდა ხეივნებ-

ში და ესაუბრებოდა ფილოსოფოსებს, თუ აქ ჩამოსულ სახელმწიფო მოღვაწეებს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ლუკულუსს უთანხმოება ჰქონდა პომპეუსთან, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, ხშირად ხვდებოდა მას და ერთმანეთს მეგობრულად ესაუბრებოდნენ. ერთხელ, როდესაც პომპეუსი, ციცერონთან ერთად ლუკულუსს შეხვდა, ციცერონმა ჰკითხა, - ხომ შეიძლება გეწვიოთ, და შინაურულად ვისადილოთო, მაგრამ ისე, რომ წინასწარ არ გააფრთხილოთ თქვენები, რათა საგანგებოდ არ მოემზადონო! ამაზე ლუკულუსს უთქვამს, - მხოლოდ იმას ვეტყვი მსახურთ, რომ ე.წ. „აპოლონის დარბაზში" უნდა ვისადილოთო. აპოლონის დარბაზი კი მისი ერთ-ერთი უძვირფასესი დარბაზი იყო და იქ გაწყობილი სუფრა, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე ორმოცდაათი ათასი დრაჰმა ჯდებოდა.

მას შემდეგ რაც ციცერონი რომიდან გააძევეს, ხოლო კატონი კვიპროსზე გაგზავნეს, ლუკულუსი საერთოდ ჩამოშორდა ყველაფერს და ჩუმად, ყველასგან მივიწყებული, უზარმაზარი სიმდიდრით გარემოცული გარდაიცვალა.

საოცარი ისაა, რომ, როცა გარდაიცვალა, ხალხი ისე შეწუხდა, თითქოს ლუკულუსი თავისი სარდლობისა და პოლიტიკური ნიჭის გაფურჩქვნის ჟამს გამოსალმებოდა სიცოცხლეს, - გადმოგვცემს პლუტარქე. ყველა გარბოდა მის დაკრძალვაზე და მოითხოვდნენ, ლუკულუსის გვამი მარსის ველზე დაესაფლავებინათ, იქ, სადაც ლუციუს კორნელიუს სულა იყო დაკრძალული.

ასე დამთავრდა ამ საოცარი ადამიანის ცხოვრება, რომელიც სამხედრო წარმატებებით ტოლს არ უდებდა მისი თანამედროვე ორი გიგანტის, - გნეუს პომპეუსისა და გაიუს იულიუს კეისრის სამხედრო წარმატებებს, ხოლო დაგროვილი სიმდიდრით, როგორც მისი თანამედროვე, სტოელი ფილოსოფოსი, **კვინტუს ელიუს ტუბერონი** ამბობდა, - სპარსთა მეფეს, - ქსერქსეს არ უდებდა ტოლს.

თავი მეოთხე

გნეუს პომპეუს მაგნუსი (106-48 წწ. ძვ.წ.)

მკერდი სანამ ხარ, მკლებიმსაც მრჩამდ მლიოვრი;
თუ კრიმ გიმტყუნა, ყორჩას ვერარ ასცდები!

ოვიდიუსი - „ნაღვლიანი ელეგიები“

საოცარი შესავლით იწყებს პლუტარქე, **გნეუს პომპეუსის** შესახებ, ცხოვრების აღწერას. არც ერთი მხედართმთავრისადმი არ გამოუმჟღავნებიათ რომაელებს ისეთი ძლიერი და სასტიკი ზიზღი, როგორც პომპეუსის მამის, **სტრაბონის** მიმართ გამოიჩინეს. როცა იგი მეხმა მოკლა (სხვა ვერსიით, ეპიდემიური დაავადებით გარდაიცვალა), გადმოსვენების დროს გვამი კუბოდან გადმოაგდეს და ათასგვარად შეურაცხყვეს. სამაგიეროდ, არც ერთ რომაელს არ დაუმსახურებია ხალხის უსაზღვრო სიყვარული ისე ადრე, როგორც პომპეუსს, და ისე ხანგრძლივად არავის არ უსარგებლია ამ სიყვარულით, როგორც პომპეუსს.

მამისადმი ასეთი ხაზგასმული სიძულვილის მიზეზი ყოფილა მისი გაუმაძღარი სიხარბე, შვილი კი მრავალმხრივ ინადირებდა რომაელი ხალხის გულს, - თავდაჭერილი ცხოვრებით, საომარ საქმეებში ვარჯიშით, დამაჯერებელი სიტყვის წარმოთქმის ნიჭით, გულწრფელი ხასიათით და ხალხთან თავაზიანი ურთიერთობით. ყველას ხალისით ეხმარებოდა, ვინც კი მიმართავდა საშველად და ამ დახმარებას ყოველთვის დაუმადლებლად უწევდა ხალხს. გარდა ამისა, ხალხის გულს იგი შესანიშნავი გარეგნობითაც იგებდა, რის გამოც ის მანამდე ხიბლავდა და განაწყობდა ადამიანს, სანამ დაილაპარაკებდა.

მის ამგვარ გარეგნობას თან ახლდა ერთგვარი სიდიადე და კაცთმოყვარეობა, - ბრძანებს პლუტარქე.

მიუხედავად იმისა, რომ პომპეუსი პირად ცხოვრებაში ძალზე ზომიერი და უბრალო იყო, უკვე სიბერეში შესული ერთ-ერთი ჰეტერა ქალი, სახელად - **ფლორა**, რომელიც მთელს რომში განთქმული იყო თავისი სილამაზით, აღტაცებით იგონებდა მის სასიყვარულო შეხვედრებს პომპეუსთან და, როდესაც იგი პომპეუსის ერთ-ერთმა მეგობარმა შეიყვარა და მოსვენებას არ აძლევდა, ფლორა, პომპეუსის ხათრით მის ნებას ვერ დაჰყვა (რაც, ალბათ მართლაც გასაკვირი უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ამბებს, სულ ცოტა ორი ათასი წელი გვაშორებს), მაშინ ეს მეგობარი თავად მივიდა პომპეუსთან თხოვნით, რათა ეს ქალი დაეთმო. პომპეუსმა მას ეს ქალი დაუთმო (არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ქალბატონი ჰეტერა იყო), თუმცა მას მერე ამ ქალთან ურთიერთობა საერთოდ შეწყვიტა, რადგანაც, როგორც ჩანდა, ეს ქალი ძველებურად უყვარდა.

ხასიათის ამ თავისებურებაში ხომ არ ძევს, როგორც მისი დამარცხების, ასევე მისი ტრაგიკული დასასრულის მიზეზი? იგი ბუნებით კეთილი და, აქედან გამომდინარე, დამყოლი ხასიათის იყო, რაც პოლიტიკური ლიდერისათვის დამღუპველი თვისებაა.

ზუსტად ამიტომ, მისთვის დამახასიათებელი შინაგანი წესიერების გამო, მისთვის არადამახასიათებელი უჩვეულო უკმეხობითა და გულცივობით ეპყრობოდა მისი აზატი მონის ცოლსაც, რომელსაც პომპეუსის წყალობით, ქმრის სიკვდილის შემდეგ, ოთხი ათასი ტალანტის (?) ქონება ერგო. მისი გულცივობის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ პომპეუსს ეშინოდა ამ სახელმოხვეჭილი ქალის მაცდუნებელი სილამაზის ტყვეობაში არ აღმოჩენილიყო, - ბრძანებს პლუტარქე. ხასიათის ამ თვისებაში უნდა ვეძებოთ ისიც, რომ მისი, არც თუ ხანგრძლი-

ვი სიცოცხლის მანძილზე, ხუთჯერ ყოფილიყო ქორწინებაში, რომელთაგან მხოლოდ ერთი, მაქსიმუმ ორი თუ იყო მისთვისაც სასურველი, დანარჩენი კი პოლიტიკური საჭიროებით განპირობებული.

როგორც ამბობენ, როდესაც **გაიუს მარიუსი** და **ლუციუს კორნელიუს ცინა** რომის დასალაშქრავად გამოემართნენ, სტრაბონი მონაწილეობდა რომის დაცვაში ძვ.წ. 87 წელს და ცინას მომხრეებმა გადაწყვიტეს მამა-შვილის მოკვლა, მაგრამ პომპეუსმა გაიგო ეს და დაარწმუნა ისინი ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე. ამის შემდეგ, ოდნავ მოგვიანებით, ცინამ გადაწყვიტა თავისკენ, ანუ ნობლიტეტისკენ, გადაებირებინა გნეუს პომპეუსი, რისთვისაც მის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმეში მხარდაჭერის სანაცვლოდ, სასამართლოს თავჯდომარეს შვილის, - **ანტისტიას** ცოლად მოყვანა შესთავაზა. საქმე იმაში იყო, რომ სტრაბონს აბრალებდნენ **ქალაქ აუსკულესთან** გამართული ბრძოლისას ნადავლის მიტაცებას და, რადგანაც გნეუს პომპეუსი ამ დროს, მამამისთან ერთად მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, მამის გარდაცვალების მიუხედავად, სასამართლო საქმე მის წინააღმდეგ აღძრეს. პომპეუსი დათანხმდა ამ შემოთავაზებას, ანტისტია, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრული საქმის სასამართლოს თავჯდომარის შვილი იყო, ცოლად მოიყვანა და აღძრული საქმეც მის სასარგებლოდ გადაწყდა.

ჩვენთვის, ყველაზე საინტერესო მისი ცხოვრების აღწერაში, ის ადგილია, სადაც ნათლად ჩანს მისი, როგორც ლიდერის ნიშან-თვისებები. ასეთად, ჩემი აზრით, უნდა მივიჩნიოთ **ლუციუს კორნელიუს სულას** მიერ რომისკენ გალაშქრების პერიოდი.

პომპეუსი, როგორც პლუტარქე ბრძანებს, იმხანად იტალიის მხარეში, **პიცენუსში** ცხოვრობდა, სადაც მას მამული ჰქონდა. პომპეუსმა, დაინახა რა, რომ მის გარშემო მცხოვრები

წარჩინებული და საუკეთესო მოქალაქეები, როგორც საიმედო ნავსადგურში, სულას ბანაკში გარბოდნენ, თავადაც გადაწყვიტა წასულიყო, მაგრამ არა როგორც ლტოლვილი, არამედ, როგორც ადამიანი, რომელსაც რაიმე დახმარების გაწევა შეეძლო სულასათვის.

გასაოცარია, როცა ასაკით ასეთ ახალგაზრდა ადამიანს, ფაქტიურად ჯერ კიდევ ჭაბუკს, ასეთი აზრი საერთოდ დაებადება თავში და, კიდევ უფრო საოცარია, როცა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას შეძლებს და თან, მხოლოდ საკუთარი ძალებით, ყოველგვარი დახმარებისა, თუ გარედან ვისიმე რჩევისა. ამ დროს ხომ პომპეუსი სულ რაღაც ოცდასამი წლის იყო. კიდევ უფრო დიდ განცვიფრებას ის იწვევს, რომ მან ლაშქრის შეკრება დაიწყო და ეს, იმისდა მიუხედავად, რომ მხედართმთავრად არავის უღიარებია. მან ასეთი ღირსება თავად მიანიჭა თავის თავს, წესის მიხედვით დაუნიშნა მას ცენტურიონები და კოჰორტის მეთაურები.

ეს ფაქტი, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია პომპეუსის, როგორც ლიდერის, გამოკვეთილი და განსაკუთრებული თვისებების ხაზგასასმელად. აქ, ჩვენი აზრით იმანაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი, რომ მამამისი სტრაბონი, მთავარსარდალი იყო და პომპეუსი კარგად იცნობდა ჯარის ორგანიზაციის საკითხებს და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ჯარისკაცებიც კარგად იცნობდნენ პომპეუსს. ამით იმას გვინდა გავუსვათ ხაზი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, სადაც გიწევს ცხოვრება და მოღვაწეობა.

შედეგად, პომპეუსმა, სულ მოკლე ხანში, შეძლო სამი სრული ლეგიონის ფორმირება, რაც რაოდენობრივად დაახლოებით ათი ათასამდე ჯარისკაცს უდრიდა. აღჭურვა იგი საჭირო სურსათით, გამწევი ძალით, საჭირო საჭურველით და სულასკენ გაემართა (უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი ხარჯებით და არც თუ მცირე). ამასთან, გზადაგზა, სადაც კი ეს შესაძლე-

ბელი იყო, მარიუსის მომხრე სამხედრო ნაწილებს ბრძოლას უმართავდა და მათი ბატონობისგან ათავისუფლებდა.

ამ ახალგაზრდა რომაელის სახელი იმდენად გავარდა, რომ მის წინააღმდეგ ერთდროულად სამი სარდალი გამოემართა, რომელთაგან ერთ-ერთს, პირადი შეტაკების დროს შუბით გაუსწორდა, რამაც მოწინააღმდეგის რიგებში არევ-დარევა გამოიწვია და მტერი უკუიქცა. ამის შემხედვარე ქალაქთა დიდი ნაწილი პომპეუსის მხარეზე გადავიდა. ეს რომ გაიგო, **ლუციუს კორნელიუს სციპიონი (კონსული ძვ.წ. 83 წელს)** დაიძრა მის წინააღმდეგ, მაგრამ შეტაკების დაწყებამდე სციპიონის ჯარისკაცებმა მისალმება დაუწყეს პომპეუსის ჯარისკაცებს და საბოლოოდ პომპეუსის მხარეზე გადავიდნენ (ეს მართლაც საინტერესო, - გასაკვირი თუ არა, - ფაქტია, რომლის მიზეზი, ალბათ მაინც სტრაბონის სახელს უნდა მიეწეროს) და სციპიონი იძულებული იყო გაქცეულიყო. ამის გაგონების შემდეგ, პომპეუსის ასალაგმავად თავად **გაიუს კარბონმა** წარგზავნა ცხენოსანი მრავალრიცხოვანი რაზმი.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ მოვლენებამდე ცოტათი ადრე, როდესაც ცინას მცდელობით პომპეუსმა სასამართლო დავა მოიგო, პრაქტიკულად ანტისტიას ცოლად მოყვანის ფასად, პომპეუსი ცინას ბანაკისკენ გაემართა, მაგრამ ბრალდებებისა და ცილისწამიების შიშით, ჩქარა ფარულად გაეცალა მას და, რაკიღა ბანაკში აღარ ჩანდა, ხმა დაირხა, - ცინამ გამოასალმა სიცოცხლესო. ჯერ კიდევ ადრევე განრისხებული და მისადმი ზიზღით აღვსილი ჯარისკაცები მყისვე დაესხნენ თავს ცინას და გაქცევის მცდელობისას იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდეგ საქმეთა წინამძღოლობა ხელში ჩაუარდა მასზე უფრო მეტად უგუნურ ტირანს, - **გაიუს პაპირიუს კარბონს (კონსული, ლუციუს კორნელიუს ცინასთან ერთად ძვ.წ. 85-84 წწ.)**, - ბრძანებს პლუტარქე.

პომპეუსი მედგრად დაუხვდა მტერს, პირი აბრუნებინა და

ისეთ ოღროჩოღრო ადგილებში მიიმწყვდია, რომ კარბონის მხედრობა იძულებული იყო პომპეუსს დანებებოდა. როდესაც სულამ ეს ამბავი გაიგო, გამოემართა პომპეუსის დასახმარებლად და როდესაც მიუახლოვდა პომპეუსს, ამ უკანასკნელმა თავის სარდლებს უბრძანა მხედრობის შეიარაღება და მათი რიგზე დაწყობა, რათა ჯარი მთელი ბრწყინვალებით გამოჩენილიყო (ცხადია, იგულისხმება, რომ პომპეუსი- თ.ა.) იმპერატორის წინაშე. ანუ, პომპეუსმა მოახერხა ის, რაც ვერც ერთმა, არა თუ ვერ მოახერხა, არამედ ვერც მოიფიქრა, - იგი სულას ეახლა არა როგორც მისი მფარველობის მოლოდინში მყოფი ვასალი, არამედ, როგორც პარტნიორი, რომელიც გვერდში დაუდგა მას, მისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პომპეუსს სულას მხრივ დიდი პატივის იმედი ჰქონდა, სინამდვილეში კი უფრო მეტი მიიღო, ვიდრე მოელოდა, - ბრძანებს პლუტარქე. მათი შეხვედრა იმდენადვე დიდებული იყო, რამდენადაც უცნაური. ამ ოცდასამი წლის ახალგაზრდას სულამ მისალმებისას **იმპერატორი** უწოდა, რასაც ეს ადამიანი ნამდვილად იმსახურებდა, თუნდაც იმისთვის, რაც მან მოიფიქრა და სისრულეში მოიყვანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სულამ იცოდა, რასაც აკეთებდა, - ეს ახალგაზრდა ნამდვილად იმსახურებდა ამას და ეს პატივი მან მიაგო კაცს, რომელსაც ჯერ სენატში მონაწილეობა არ მიეღო და რისთვისაც, პრაქტიკულად თავად ებრძოდა სციპიონებსა და მარიუსებს. და შემდეგშიც, პომპეუსი ერთად ერთი ადამიანი იყო, ვისთან შეხვედრისას სულა ფეხზე დგებოდა.

როდესაც სულამ იგი გააგზავნა გალიაში, რათა **მეტელუსისგან** მხედართმთავრობა გადმოებარებინა, რადგან იგი პრაქტიკულად ვეღარ მართავდა სიტუაციას, პომპეუსმა იუხერხულა სარდლობა ნაერთმია მასზე უფროსი და სახელმოხვეჭილი ადამიანისათვის და სულას სთხოვა, - როგორც დამხმარე, წასულიყო მეტელუსთან, რასაც მეტელუსი სიხარულით

დასთანხმდა და, მხოლოდ ამის მერე გაემართა იგი გალიაში, სადაც ბევრი ღირშესანიშნავი საქმე ჩაიდინა და მეტელუსსაც, სიბერის გამო ჩამქრალი მეომრის სიფიცხე და შემართება კვლავ გაუღვივა, - ბრძანებს პლუტარქე.

სულა იმდენად იყო აღფრთოვანებული პომპეუსის მამაცური ხასიათით და მისი თანადგომით, რომ მისი დანათესავება გადაწყვიტა და მისი მეუღლის, - **მეტელას** დახმარებით, იგი დაითანხმა, რომ ეთხოვა სულას გერი (ანუ მეტელას შვილი), - **ემილია**, და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ემილიას ჰყავდა ქმარი და ფეხმძიმედაც იყო.

გასაოცარი ფაქტია, თუმცა პოლიტიკაში ძალიან ხშირად უარესებიც ხდება დღესაც და, ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში მორალი და პოლიტიკური მიზანი ერთ სარეცელს ვერ გაიყოფენ.

სხვის მიერ დაფეხმძიმებული ემილია პომპეუსს მიუყვანეს სახლში, ხოლო ანტისტია, პომპეუსის პირველი ცოლო, - სამარცხვინოდ და საცოდავად სახლიდან გააძევეს. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ანტისტიას მამა, **ანტისტიუსი** სენატში მოჰკლეს იმის გამო, რომ, რადგანაც პომპეუსის სიმამრი იყო, ეგონათ რომ იგი, ცხადია, სულას მომხრე იქნებოდა. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ ანტისტიას დედამ ეს რომ გაიგო, საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. ამით უბედურებათა ეს სერია არ დამთავრებულა; სულ მალე, პომპეუსის სახლში მშობიაროზისას, ემილიაც გარდაიცვალა. არ ვიცი, მეტი უბედურება და ამორალობა რა უნდა იყოს კიდევ.

ამ პერიოდში მარიუსელი სარდალი, **მარკუს პერპენა**, რომელიც შემდგომ პომპეუსმა სიკვდილით დასაჯა, სიცილიაში ჩავიდა და მარიუსის პარტიის ნაშთების თავმოყრა დაიწყო. ყველა წარჩინებული ლტოლვილი, ვინც კი სულას პროსკრიბციებს გადაურჩა, იქეთკენ გაეშურა, - მათ შორის გაიუს კარ-

ბონიც თავისი ფლოტით, ხოლო კარბონის სარდალი, - **გნეუს დომიციუს აგენობარბუსი, - კონსული ძვ.წ. 96 წელს,** ლიბიას მიადგა. მათ წინააღმდეგ პომპეუსი იქნა გაგზავნილი, საკმაოდ დიდი ლაშქრით. როგორც კი პერპენამ ეს გაიგო, მყისვე განერიდა სიცილიას. პომპეუსი სიცილიის ყველა ქალაქს კათმოყვარული სათნოებით მოეკიდა, - ბრძანებს პლუტარქე, - **ქალაქ მესენას** მკვდრ **მამერტინთა** გარდა, რომლებმაც უარი განაცხადეს ეცნოთ პომპეუსის მართლმსაჯულება. ამაზე, ძალზე ნიშანდობლივია პომპეუსის პასუხი, რომელიც ცალსახად გვიხასიათებს ძალაუფლებით აღჭურვილი ნებისმიერი პირის აზრთა წყობას, - **„რომელ კანონებზე ელაპარაკებით იმ ხალხს, ვისაც წელზე მახვილი არტყია?“**

არაადამიანური სისასტიკე და უპატივცემულობა გამოიჩინა პომპეუსმა გაიუს კარბონის მიმართ. კერძოდ, სამგზის კონსულად ნამყოფი რომაელი ვაჟკაცი, ბორკილგაყრილი მოაყვანინა და აიძულა მისი სავარძლის წინ მდგარიყო, თვითონ კი იჯდა და ისე აწარმოებდა დაკითხვას. და მხოლოდ ამის შემდეგ გასცა ბრძანება, რომ იგი მოეკლათ. პლუტარქეს მიერ პომპეუსის თვისებების ჩამონათვალში ნამდვილად არ ჯდება ეს ფაქტი და ნამდვილად არ შეესაბამება პომპეუსის ხასიათს. ის რაც მან გააკეთა, სულას სისხლიმსმელი ხასიათის წინაშე მონური მორჩილების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ, რაც პომპეუსის სახელს ღირსებას ნამდვილად არ მატებს.

ამ ფონზე, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მგონი, გაიუს კარბონმა, სიკვდილით დასჯის წინ, სიკვდილსაც ისევე დასცინა, როგორც თავად პომპეუსს, როდესაც მოსაკლავად აღმართული მახვილის დანახვისას ითხოვა მისთვის ადგილი და მცირეოდენი დრო მიეცათ, რათა მუცელი გაეთავისუფლებინა.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ გავიზიარებთ იმ შეგონებას, რომ - **„ძალაუფლება რყვნის,“** ეს კიდევ უფრო მეტად ახალგაზრდებზე ითქმის. ამის საუკეთესო მაგალითია, კიდევ უფრო დიდი

პიროვნების, ალექსანდრე მაკედონელის მიერ, ღვინით გაბრუებულ თანამეინახეებთან ერთდა სპარსების უმთავრესი ქალაქის, - პერსეპოლისის გადაწვა, ისევე როგორც ბაბილონის.

კარბონი არ ყოფილა ერთად ერთი, ვისაც პომპეუსი ასე მოექცა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ იგი იძულებული იყო ასე მოქცეოდა სულას მტრებს, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილი იყო სულას დაუნდობელი ხასიათი, - რამდენადაც სწყალობდა თავის „მეგობრებს", იმდენად შეუბრალებელი იყო თავისი მტრებისადმი. ამას, ყველაზე ნათლად, სულას, ე.წ. პროსკრიბციებიც მეტყველებს, რის შედეგადაც ათასობით რომაელი პატრიციების ოჯახი გაუბედურდა და დაიქცა.

ამ ამბების შემდეგ პომპეუსი ექვსი ლეგიონით ლიბიაში გადავიდა **დომიციუსის** წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაში დომიციუსმა ოცი ათასი მეომრიდან ჩვიდმეტი ათასი დაკარგა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აქ პომპეუსი კინაღამ საკუთარი მეომრის მიერ იქნა განგმირული, რადგან იგი, საშინელი ქარიშხლისა და კოკისპირული წვიმის გამო, თავისიანებმა ვერ იცნეს და პირობითი ნიშნის მიცემა კი ოდნავ დააგვიანა. ამის გამო მან მუზარადი მოიხსნა და ისე იბრძოდა, რათა მსგავსი რამ კვლავ არ შემთხვეოდა. თავად დომიციუსი ამ ბრძოლას შეეწირა. ამის შემდეგ პომპეუსი **ნუმიდიაში** შეიჭრა და დაიმორჩილა ყველა და ყველაფერი, რაც კი გზად შეხვდა. მან სულ რაღაც ორმოც დღეში დაამარცხა მტერი, დაიპყრო ლიბია და აქაურ მეფეთა საქმეები მოაწესრიგა. და იგი მხოლოდ თავისი ცხოვრების ოცდამეოთხე წელიწადში იყო გადამდგარი, - გვამცნობს პლუტარქე.

უტიკაში დაბრუნებულ გამარჯვებულ პომპეუსს, სულას წერილი დახვდა, სადაც იგი ბრძანებდა, რომ მთელი ლაშქარი დაეშალა და თავად, მხოლოდ ერთი ლეგიონით მის შემცვლელს დალოდებოდა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს,

რა დღეშიც ჩავარდებოდა ეს, ჯერ კიდევ ყმაწვილის ასაკის, ბედისგან განებივრებული სარდალი. მას ჯერ კიდევ არ გამოეცადა საკუთარ თავზე ფორტუმას კაპრიზები! სულას ამ ბრძანებას მეომრები კატეგორიული უარით შეხვდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რომ პომპეუსს არამც და არამც არ დაეშალა ლაშქარი. საქმე იქამდე მივიდა, რომ პომპეუსი დაემუქრა მათ, რომ იგი თავს მოიკლავდა (რა მხედართმთავრის საკადრისია! -თ.ა.), თუ მის ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ.

როდესაც სულამ გაიგო, რომ პომპეუსმა „გამოცდა" ბრწყინვალედ ჩააბარა (ძალიან დიდი ალბათობით, ეჭვებით შეპყრობილი სულას მხრიდან გამოცდას ჰგავდა ეს ბრძანება), იგი ქალაქგარეთ შეეგებას მას, როგორც კი შეეძლო გულთბილად მიესალმა და ხმამაღლა „ მაგნუსი", ანუ ქართულად, „დიდი," (შინაარსობრივად ალბათ უფრო „უდიდესი," მაგრამ ქართულად უფრო პომპეუს „დიდი," ითქმის - თ.ა.) დაუძახა და იქ მყოფთაც უბრძანა, ამიერიდან პომპეუსისთვის ასე მიემართათ. როგორც პლუტარქე ბრძანებს, პომპეუსმა ყველაზე ბოლოს უწოდა თავის თავს ეს სახელი, რაც მის თავმდაბლობაზე მეტყველებს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკში ასეთი ზედმეტსახელი ბევრში დაცინვას თუ არა, ღიმილს მაინც გამოიწვევდა.

თუ ეს ვერსია მართალია (რადგან პლუტარქე სხვა ვერსიასაც გადმოგვცემს), უნდა ვივარაუდოთ, რომ სულამ პომპეუსს ეს სახელი მორჩილების გამო უფრო უწოდა, ვიდრე გამარჯვებების გამო, რადგან, ვის-ვის და გამარჯვებებით სულას ვერავინ გააკვირვებდა.

აქ პლუტარქე ძირითადი თხრობიდან ისეთ გადახვევას აკეთებს, რომ თავისი მნიშვნელობით იგი მართლაც უდიდესი ეპითეტია რომაელი ხალხის განსაკუთრებული თვისებისა, რომლის მსგავსიც არა მარტო იმ პერიოდისათვის იყო უიშვიათესი, არამედ დღესაც გვანცვიფრებს სამართლიანობის უს-

პეტაკესი გრძნობით. რომაელები ასეთი საპატიო წოდებითა და სახელებით ამკობდნენ არა მარტო საომარ საქმეებში გამარჯვებულთ, არამედ სახელმწიფო მართვაში დამსახურებულ და სიქველით გამორჩეულ პირებსაც. კერძოდ, რომაელმა ხალხმა ორ ვაჟკაცს თავის დროზე „მაქსიმუსი" უწოდა. ერთი მათგანი იყო **ვალერიუსი** (სრული სახელია, - **მანიუს ვალერიუს ვოლუზუს მაქსიმუსი**, რომის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, **ვალერიუს პოპლიკოლას ძმა**), რომელმაც რომის ისტორიის მძიმე პერიოდში მოახერხა და სენატი და ხალხი ერთმანეთს შეარიგა, ხოლო მეორე იყო **ფაბიუს რულუსი** (სრული სახელია, - **კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს რულუსი, კონსული ძვ.წ. 322 წ.**), რომელმაც გააზატებულ პირთა ზოგიერთი შვილი, რომლებიც სიმდიდრის წყალობით სენატში შეძვრნენ, იქიდან გამოაძევა. ეს ხომ საერთოდ გასაოცარი, თუ მეტი არა, ფაქტია და, იმ დროისათვის, იმდენად საძნელო და, იმავდროულად, საშიში საქმე იყო, რომ რომაელებმა მას „მაქსიმუსი" შეარქვეს და, ეს ხდება ოცდასამი საუკუნის წინათ, - ოცდასამი საუკუნის! წარმოუდგენელია, მითუმეტეს დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ნეპოტიზმი დღევანდელი ცხოვრების ნორმადქცეული პროცესია.

ამ ამბების შემდეგ, პომპეუსმა მთელი სიგრძე-სიგანით გამოაჩინა პატივმოყვარეობის ზღვარგადასული ხასიათის თვისება, - მან ტრიუმფის ჩატარების უფლება მოითხოვა. ამაზე სულამ, სრულიად სამართლიანად, უარი შეუთვალა. საქმე იმაშია, რომ ამის უფლებას კანონი კონსულს, ან პრეტორს აძლევდა. თვით კართაგენელებზე გამარჯვებულ **სციპიონ უფროსსაც** კი არ მოუთხოვია ტრიუმფი სწორედ იმიტომ, რომ ამ პირობას არ აკმაყოფილებდა. ამაზე პომპეუსმა სულას, ერთი ისეთი ნართაული გადაუკრა, - **ამომავალ მზეს უფრო მეტი ხალხი სცემს პატივს, ვიდრე ჩამავალსო**, - რომ პომპეუსის გამბედაობით გაოცებულმა ორჯერ ზედიზედ დაიძახა, - **დაე გადაიხადოს ტრიუმფიო!** პომპეუსმა ტრიუმფი ძვ.წ. 81 წელს

გადაიხადა, ანუ მაშინ, როცა 25 წლისაც არ იყო.

აქ, პომპეუსის უზომო პატივმოყვარეობის კიდევ ერთ ნიშანს უნდა გავუსვათ ხაზი. პომპეუსს თავისუფლად შეეძლო დადგენილი ასაკის მიუხედავად სენატორი გამხდარიყო, - ბრძანებს პლუტარქე, მაგრამ ყველაზე უფრო ბრწყინვალე პატივი მისთვის სწორედ ის გახლდათ, რომ ტრიუმფს სენატორის წოდების გარეშე იხდიდა. ამით, მან, იმავდროულად ხალხის გულიც მოიგო, რადგან ტრიუმფის შემდეგ პომპეუსი მხედართა რიგებში დარჩა.

გაუგებარია, რატომ აპატია პომპეუსს სულამ ასეთი თავხედობა, რომელსაც ისიც დაემატა, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ კონსულად წამოაყენა **მარკუს ემილიუს ლეპიდუსი**, მაშინ როდესაც, სულას **კვინტუს ლუტაციუს კატულუსის** გაყვანა უნდოდა. მართალია, ორივე კონსული გახდა ძვ.წ. 78 წელს, მაგრამ სულა წყენას არ ივიწყებდა. როგორც პლუტარქე ბრძანებს, იგი ხედავდა, თუ რა დიდ სახელსა და ძლიერებას აღწევდა პომპეუსი და საკმაოდაც სწუხდა, მაგრამ რცხვენოდა ხელი შეეშალა მისთვის და თავს იკავებდაო.

სულ ცოტა გასაკვირია, თუ მეტი არა, პლუტარქეს მიერ, სულას მიმართ ისეთი სიტყვის გამოყენება, როგორიცაა, - „ სირცხვილი.“ ადამიანმა, რომელმაც რომში სისხლის გუბეები დააყენა, რომლის პროსკრიბციებსაც ათასობით წარჩინებული რომაელი შეეწირა და ასი ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე დაიხოცა, - „სირცხვილის“ გამო ვერ მოიშორა პომპეუსი. მართალია, სულამ თავის ანდერძში, რომელიც საკუთარი ხელით ჰქონდა დაწერილი, გამოამჟღავნა თავისი გულსწყრომა პომპეუსისადმი, როდესაც ყველა თავის მეგობარს დაუტოვა საჩუქარი, ხოლო ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი თავისი შვილის მეურვედაც დატოვა, პომპეუსს კი სრულიად აუარა გვერდი, მაგრამ, თითქოს „სირცხვილის“ გამო არაფერი მოიმოქმედა პომპეუსის წინააღმდეგ, არ უნდა იყოს მ̣ართალი.

უფრო სარწმუნოა, რომ ეს ახალგაზრდა, რომელიც გარეგნობითაც და საბრძოლო უნარ-ჩვევებით ხორცშესხულ აპოლონს ჰგავდა, ხალხში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა და სულამ ამ ფაქტს გაუწია ანგარიში. ამის მიუხედავად, სულას გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ბევრი წინ აღუდგა სულას საზეიმო დაკრძალვას, პომპეუსმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სულა შესაფერისი პატივითა და მისი სახელის შეურაცყოფის გარეშე დაეკრძალად.

სულას გარდაცვალებას დიდი არევ-დარევა მოჰყვა და დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლებიც გაიმართა. ჩვენ არ შევუდგებით ყველა მოვლენის აღწერას, რაც ამ პერიოდში მოხდა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მისი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ამ კამპანიაში, ლეპიდუსი, რომელსაც იგი თავის დროზე კონსულად გახდომაში დაეხმარა, დარდისგან გარდაიცვალა, როდესაც შეიტყო, რომ მისი ცოლი მრუშობდა, მეორე, და საკმაოდ სახელმოხვეჭილი სარდალი, სერტორიუსი, რომელმაც არაერთხელ ჩააგდო პომპეუსი მძიმე მდგომარეობაში, ვერაგულად მოჰკლეს მისმავე მეგობრებმა, რომელთა შორის მთავარი შეთქმული, ზემოთ ნახსენები პერპენა იყო, რომელიც პომპეუსმა მოგვიანებით შეიპყრო და სიცოცხლეს გამოასალმა. ასეთივე ბედი ეწია ბრუტუსს, კეისრის ერთ-ერთი მკვლელის მამას.

საბოლოოდ, პომპეუსმა, ბევრი განსაცდელისა და დიდი წვალების მიუხედავად, ყველა ის მოწინააღმდეგე დაამარცხა, რომელთაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება და სულას დიქტატურული რეჟიმის გაგრძელება უნდოდა და გამარჯვებული იტალიაში დაბრუნდა. სწორედ ამ დროს მოხდა გლადიატორთა უზარმაზარი აჯანყება თრაკიელი სპარტაკის მეთაურობით. მათ წინააღმდეგ წარგზავნილმა **გაიუს კრასუსმა** აჯანყებულები დაამარცხა და თორმეტი ათასზე მეტი მონა სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო ბრძოლიდან გაქცეულები

პომპეუსის ჯარს შეეჩეხნენ და მანაც დარჩენილი ხუთი ათასი ერთიანად გაულიტა, რის შემდეგაც სენატში კრასუსზე ადრე გააგზავნა შეტყობინება, - კრასუსმა გლადიატორები დაამარცხა ველზე გამართულ ბრძოლაში, ხოლო მე, პომპეუსმა, სავსებით აღმოვფხვერი ამ ომის ფესვებიო.

როდესაც ხალხი შიშნარევი იმედით შეჰყურებდა პომპეუსს, დაშლიდა თუ არა იგი რომის მისადგომებთან ჯარს და ისე შევიდოდა რომში, თუ სულას მაგალითისამებრ იარაღის ძალით ერთმმართველობას მოინდომებდა, პომპეუსმა მათი ეს ეჭვი ძალიან მალე გააქარწყლა, როდესაც განაცხადა, რომ ტრიუმფის შემდეგ ჯარს დაშლიდა.

როგორც ადრე ითქვა, პომპეუსი რომაელ მოქალაქეთა საკმაოდ დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა და მან კარგად იცოდა, რომ ხალხს არაფერი არ სურდა ისე ძლიერ, როგორც სულას მიერ გაუქმებული სახალხო ტრიბუნის თანამდებობის აღდგენა, რაც მან დაუყონებლივ გააკეთა.

მალე პომპეუსს მეორე ტრიუმფი დაუნიშნეს, რომელიც ძვ.წ. 71 წლის მიწურულს გადაიხადა, ხოლო მომდევნო 70 წელს კონსულად აირჩიეს. ამ დროს პომპეუსი 36 წლისა იყო მხოლოდ. მას იმდენად დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა ხალხის თვალში, რომ იმ დროისათვის ყველაზე მდიდარმა და გავლენიანმა გაიუს კრასუსმა, რომელიც, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - ყველას ზიზღითა და ამაყად უყურებდა, ვერ გაბედა კონსულის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენება, მანამ ვინმემ ამის ნებართვა პომპეუსს არ სთხოვა. ამ ფაქტით ნასიამოვნებმა პომპეუსმა ხალხს სთხოვა (ეს ფაქტი ძალიან მრავლისმეტყველია, - ხალხის მხრიდან ასეთი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, მან მაინც ხალხს თხოვნით მიმართა - თ.ა.)), რომ მისთვის კრასუსის ამხანაგად არჩევა უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ვიდრე თვით კონსულის თანამდებობა მისთვის.

ამ ფაქტის მიუხედავად, კონსულად არჩევის შემდეგ, მათ ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში უთანხმოება, რადგანაც, ისინი ძალიან განსხვავებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან თავისი ხასიათით. ეს განსხვავება უფრო კარგად გამოჩნდა იმითაც, რომ სენატში კრასუსი განუზომელი პატივით სარგებლობდა, ხოლო ხალხში პომპეუსის გავლენა იყო განუზომლად დიდი.

კონსულობის ვადის დასრულების შემდეგ პომპეუსი ნელ-ნელა ფორუმსაც ჩამოსცილდა, ვექილობაზეც აიღო ხელი და საჯაროდაც იშვიათად გამოჩნდებოდა, მაგრამ თუ მაინც გამოჩნდებოდა, აუცილებლად დიდი ამალის თანხლებით, რადგან, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, - სრულ სიამოვნებას მხოლოდ დიდძალი ამალით გამოჩენა ანიჭებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ სანახაობით მეტი ნათელი მოეფინებოდა მის პატივსა და დიდებას, ხოლო საკუთარი ღირსების დასაცავად საჭირო იყო მდაბიო ხალხთან შეხვედრებისა და ახლო ურთიერთობისგან თავი შეეკავებინა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პლუტარქე, პომპეუსის შესახებ, ამ უკანასკნელის მოღვაწეობიდან, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ წერს, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ მას, პომპეუსის ხასიათის ამ თვისებების შესახებ, პირველწყაროები ჰქონოდა. უფრო სავარაუდოა, რომ ეს დასკვნები, მისი დაკვირვებების განზოგადების შედეგი იყოს, მისი ხანგრძლივი და, რომის ხელისუფლების მაღალ,- თუ უმაღლეს არა, - იერარქიულ საფეხურზე მყოფ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობისას.

ამ დაკვირვებების განზოგადების შედეგად, იგი უფრო შორს მიდის და ამბობს, - „იმ ადამიანთ, რომლებმაც დიდება იარაღით მოიპოვეს, ...სამოქალაქო თანასწორობას ვერ ეგუებიან ... და...სურთ ისეთივე პირველობა მოიპოვონ სამოქალაქო ცხოვრებაში, როგორც იქ, სამხედრო სამსახურში ჰქონდათ....“

ჩემი, სულ რაღაც ოთხწლიანი პოლიტიკური გამოცდილებიდან, თუკი ამას პოლიტიკური გამოცდილება შეიძლება ეწოდოს, გავბედავ და ვიტყვი, რომ, როგორც პომპეუსს სურდა სადაც კი გამოჩნდებოდა, დიდი ამალით გამოჩენილიყო, რაც მისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფლიებას ემსახურებოდა, კიდევ უფრო სურდა, უკაცრავად პასუხია და, მის გარშემო მოწრიალე პოლიტიკურ წვრილფეხობას, ამ ამალაში მოხვედრილიყო და, თუმცა ამ ფაქტიდან ორი ათას წელზე მეტი გვაშორებს, ამ მხრივ დიდად არაფერი არ შეცვლილა დღესაც. მაგალითისთვის, დღესაც ყველა ცდილობს პოპულარულ ადამიანებთან ნაცნობობას, არა აქვს მნიშვნელობა საქმიანობის რომელ სფეროში არიან ისინი დასაქმებული, და ამის დასადასტურებლად მათთან სურათის გადაღებას, თუ მათი ტელეფონის ნომრების მოპოვებას ცდილობს. აღარაფერს ვამბობ მათთან წვეულებაზე მოხვედრის მცდელობასა, თუ მათ მოპატიჟებას საკუთარ წვეულებაზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, უფრო მეტიც, - თავად პლუტარქეც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე იქცეოდა, რამდენადაც მან მოახერხა ჯერ ცნობილ რომაელებს დამეგობრებოდა და მათი მეშვეობით რომის მოქალაქეობა მიეღო, ხოლო შემდეგ, ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, - იმპერატორ ტრაიანეს მეგობარსა და ოთხჯერ კონსულად ნამყოფ, - **კვინტუს სოსიუს სენეციონის** მეშვეობით, ანტონიუსთა დინასტიის ორ იმპერატორთან დაახლოვებულიყო, - ჯერ, **იმპერატორ მარკუს ტრაიანესთან (97-117 წწ)**, და ეს იმდენად კარგად შეძლო, რომ იმპერატორმა ილირიის მმართველთ ბრძანება გაუგზავნა, - პლუტარქეს დაუკითხავად და მისი რჩევა-დარიგების გარეშე არც ერთი საქმე არ წამოეწყოთ, ხოლო შემდეგ, როცა პლუტარქე საიმპერატორო კარის მასწავლებლად მიიწვიეს, იგი ასწავლიდა მომავალ **იმპერატორ პუბლიუს ელიუს ადრიანეს (117-138 წწ)**, რომელმაც პლუტარქე **აქაის, ანუ სრულიად საბერძნეთის საგამგებლოს პროკონსულად** დანიშნა. აქედან შეგვიძლია და-

ვასკვნათ, რომ იგი იმდენად კარგად იყო პოლიტიკურ ინტრიგებში გარკვეული და, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ეს გარკვევა“ მხოლოდ თეორიული ცოდნით არ მოდის, მან მოახერხა დაერწმუნებინა ეს ორივე იმპერატორი, რომ იგი მათი ერთგული და, რაც მთავარია, რომაული ორიენტაციის კაცი იყო და, ამ ძალიან საშიშ და, იმავდროულად საპატიო გარემოცვაში, ოც წელიწადზე მეტ ხანს ეტრიალა.

თავად პლუტარქეს ამ წარმატების მიზეზი, გარდა თავად ამ დიდი ბერძენის დამსახურებისა, იმდროინდელ ისტორიულ სიტუაციასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი. ამასთან დაკავშირებით უპრიანი იქნება დიდი ქართველი მოაზროვნის, მიხაკო წერეთელის ერთი ამონარიდის მოყვანა, მისი შესანიშნავი ნაშრომიდან, - „ერი და საზოგადოება.“

...„ ქრისტეს წინად ... მეორე საუკუნეში, როდესაც საბერძნეთი რომის პროვინციად იქცა, რომაელები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ბერძნებს და ისე შეითვისეს მათი კულტურა, რომ ყოველმა განათლებულმა რომაელმა იცოდა ბერძნული ენა და მაღალ საგნებზედ საუბარი ბერძნულად იყო რომის კულტურულ საზოგადოებაში. ... შეძლებული, სწავლის მოყვარე რომაელი ათინაში იღებდა განათლებას და ამით ამაყობდა, მის წიგნსაცავში ბერძნული მწერლობის ძეგლები იყო უმთავრესი განძი. კულტურული რომის ჰელენოფილობა იქამდე იყო მისული, რომ თვით მის პოლიტიკაზედაც ბერძენთა მიმართ ჰქონდა გავლენა, მაშინ როდესაც რომის პოლიტიკა სხვა დაპყრობილ ერთა მიმათ მკაცრი იყო.“

ამის მერე არც თუ მაინცდამაინც უნდა გაგვიკვირდეს პლუტარქეს აღზევება, მითუმეტეს იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ არც უკვე ახალგაზრდამ დაიწყო ლათინურის შესწავლა. ცხადია ამ განცხადებით ოდნავადაც არ ვაკნინებთ ამ დიდი ბერძენის დამსახურებას მსოფლიო კაცობრიობის წინაშე და უფრო მეტიც, - ასე რომ არ ყოფილიყო, მისი შრომა, რომლის

შედეგებიც კაცობრიობისთვის შეუფასებელი საჩუქარია, ვერ იქნებოდა ისე ნაყოფიერი, როგორიც სხვა შემთხვევაში.

ამის შემდეგ პომპეუსს მეკობრეების თარეშის ალაგმვა მოუწია. საქმე იმაშია, რომ მეკობრეები, რომელთა ძლიერებას საფუძველი კილიკიაში ჩაეყარა, რომაელების მიერ მითრიდატე ევპატორთან წარმოებული ომის პერიოდში, ჩადგნენ რა პონტოს მეფის სამსახურში (ამასაც ხომ მოფიქრება უნდა, განხორციელებაზე რომ არაფერი ვთქვათ - თ.ა.), ისე გათავხედდნენ, რომ არა მარტო ზღვაზე მოგზაურებს ესხმოდნენ თავს, არამედ კუნძულებსა და ზღვისპირა ქალაქებსაც აწიოკებდნენ. მათ განკარგულებაში ათასზე მეტი ხომალდი იყო, ხოლო მათ მიერ აღებულ ქალაქთა რაოდენობა ოთხასს აღწევდა. მათ არაერთხელ გაიტაცეს რომის მრავალი გამოჩენილი პიროვნება და, მათ შორის თვით გაიუს იულიუს კეისარი, რომელიც მხოლოდ გამოსასყიდის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა მათ დაბადების დღე აწყევლინა, - უმეტესობა გაულიტა და ვინც სიკვდილს გადაურჩა მონებად გაყიდა. ამის მიუხედავად, მეკობრეთა თავხედობა იქამდე მივიდა და იმდენად გაბატონდნენ რომის გარშემო არსებულ ზღვებზე, რომ თავად რომს შიმშილის საფრთხე დაემუქრა, რადგან პრაქტიკულად ყველა სავაჭრო გზებს ისინი აკონტროლებდნენ და სურსათ-სანოვაგის მიწოდება ერთობ გაძნელდა.

მეკობრეთა მიმართ შიში იმდენად დიდი იყო, რომ რომაელებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს საგანგებო უფლებებით აღეჭურვათ პომპეუსი, რათა ეს საშიშროება თავიდან აეცილებინათ და პომპეუსის ერთ-ერთი მეგობრის **ავლუს გაბინიუსის** (სახალხო ტრიბუნი ძვ.წ. 67 წ.) შედგენილ კანონს მხარი დაუჭირა, რომლის თანახმადაც, როგორც პლუტარქესთან ვკითხულობთ, - „პომპეუსს, პრაქტიკულად განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებოდა. ამ კანონით პომპეუსს ენიჭებოდა არა

მარტო ფლოტზე უფროსობა, არამედ პირდაპირ მონარქიული მბრძანებლობა და ყველას მიმართ განუსაზღვრელი უფლება. ეს კანონი მართვა-გამგებლობის ნებას აძლევდა მას ზღვაზე ჰერაკლეს სვეტებამდე (გიბრალტარის სრუტემდე) და მთელ ხმელეთზე ზღვის სანაპიროდან ოთხასი სტადიონის მანძილზე. ... გარდა ამისა, პომპეუსს უფლება ეძლეოდა სენატის შემადგენლობიდან თხუთმეტი სენატორი აერჩია და სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე გამოეყენებინა. მას შეეძლო აგრეთვე საკუთარი სურვილის მიხედვით აეღო ფული, როგორც სახელმწიფო ხაზინიდან, ისე მოიჯარადეებიდან და გაემზადებინა ორასი ხომალდი. ...“

ამ საკმაოდ გრძელი ამონარიდიდან სრულიად ნათლად ჩანს, რა კარგად შეიძლება საკუთარი უსაზღვრო პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება მოსახლეობის საყოველთაო შიშის პირობებში. ისიც ცხადია, რომ გაბინიუსი ამ კანონებს პომპეუსის უშუალო მონაწილეობით თუ არა, მისი „კურატორობით“ მაინც შეადგენდა და შესაბამის პოლიტიკურ საჩუქარსაც მიიღებდა და მიიღო კიდეც.

როდესაც ეს კანონი საჯაროდ წაიკითხეს, ხალხმა იგი მეტისმეტი აღფრთოვანებით მიიღო, ბრძანებს პლუტარქე. იგივეს ვერ ვიტყვით სენატის წევრებზე, რომელთათვისაც პომპეუსისადმი მინიჭებულმა ასეთმა უსაზღვრო ძალაუფლებამ შურზე უფრო შიში გამოიწვია. ერთად ერთი ვინც ამ დროს თავგამოდებით იცავდა გაბინიუსის მიერ შემოთავაზებულ კანონს, კეისარი იყო და, თუმცა უნდა დავეთანხმოთ პლუტარქეს, რომ ამას კეისარი იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ პომპეუსის დარდი ჰქონდა, არამედ უნდოდა ამთავითვე დაახლოებოდა ხალხს და მისი ნდობა მოეპოვებინა, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ როგორც ჩანს, ასეთი ერთად ერთი კეისარი იყო, ანუ მხოლოდ მას ჰქონდა შორსმიმავალი და გარკვევით ჩამოყალიბებული მიზანი, რაც სულ მალე კარგად გამოჩნდა კიდეც.

ხალხი იმდენად იყო ეგზალტირებული, რომ, როდესაც ერთ-ერთმა სენატორმა შესთავაზა ხალხს, რომ ძალაუფლების უზურპაციისგან თავის დაზღვევის მიზნით, პომპეუსის გარდა მეორეც ავირჩიოთო, ხალხმა ისეთი ყვირილი ატეხა, რომ, - „ფორუმის თავზე მფრინავი ყვავი დარეტიანებულა და ბრბოში ჩავარდნილა“, - შენიშნავს პლუტარქე. როგორც ჩანს, ხალხი შინაგანად მზად იყო დიქტატურისთვის, რაც სულ მალე, მოხდა კიდეც და თითქმის ხუთი საუკუნე გაგრძელდა, სანამ 476 წელს დასავლეთ რომის იმპერია არ დაეცა.

მეორე დღეს გამართულ სახალხო კრებაზე მან ფაქტიურად მიიღო ორჯერ მეტი ხმა იმაზე, რაც კენჭისყრით იყო გათვალისწინებული. მას ნება ეძლეოდა შეიარაღება თითქმის ორჯერ გაეზარდა. და მართლაც, მისთვის გაამზადეს ხუთასი ხომალდი, შეიკრიბა ასი ათასზე მეტი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი და ხუთი ათასი ცხენოსანი მეომარი. გარდა ამისა, პომპეუსმა სენატიდან თავისთვის აირჩია ოცდაოთხი სენატორი, რომლებიც ყოფილი სარდლები და პრეტორები იყვნენ და, ამასთან, დამატებით, მას უფლება ეძლეოდა ჰყოლოდა ორი კვესტორიც.

ასე დეტალურად იმიტომ აღვწერეთ ეს ყველაფერი, რათა, ჯერ ერთი გვეჩვენებინა, თუ რა კატასტროფული იყო ის საფრთხე, რასაც მეკობრეთა თარეში უქადდა რომს და, ამ ფონზე, ნამდვილად გასაკვირია, აქამდე რატომ მიიყვანეს საქმე. ხომ არ არის ეს სამხრეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი „მედღესხვალიეობის“ თვისების გამოვლინება და, მეორე, - ასეთი ძალაუფლებით აღჭურვის შემდეგ ძალიან ძნელია არ იფიქრო და არ მოინდომო მისი შენარჩუნება, მითუმეტეს, რომ პომპეუსს გამოცდილი ჰქონდა უკვე, თუ რას ნიშნავდა უზარმაზარი ძალაუფლების დათმობის შემდეგ კერძო პირის წესით ცხოვრება.

ორმოც დღეში პომპეუსმა ზღვა მეკობრეებისგან გაწმინდა

თავისი დაუღალავი მოქმედებისა და მის ხელქვეით მყოფ მხედართა თავდადების წყალობით, ხოლო ამ კამპანიის შემდეგ გადარჩენილმა მეკობრეებმა პომპეუსს პატიება სთხოვეს და მანაც ისინი შეიწყალა. ბოლოს მეკობრეთა უკანასკნელი ბასტიონი, - კილიკიაც ჩაბარდა პომპეუსს. ამ ბრძოლაში რომაელებმა ხელთ იგდეს ოთხმოცდაათი სპოლენძისცხვირიანი ხომალდი და ოცი ათასზე მეტი მეკობრე ტყვედ აიყვანეს, - ბრძანებს პლუტარქე.

აქ საინტერესოა პლუტარქეს ენით გადმოცემული პომპეუსის შეხედულება ადამიანის ბუნებაზე, - „პომპეუსი ფიქრობდა, რომ ადამიანი ბუნებით არაა ველური და მოუთვინიერებელი ცხოველი, რომ იგი საკუთარი ბუნების წინააღმდეგ იხრება მანკიერებისაკენ და ზნე-ჩვეულების, ბინისა და ცხოვრების ნირის გამოცვლა კვლავ თვინიერს გახდის მას. გარეული ნადირიც კი ივიწყებს მძვინვარებასა და სიშმაგეს, თუ მას უხეში საკვები უფრო ნაზით შეეცვლება.“

ალბათ ამ მორალური სენტენციით ხელმძღვანელობდა პომპეუსი, როდესაც მან ეს ოცი ათასი დატყვევებული მეკობრე კი არ დახოცა, არამედ იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში დაასახლა. და ეს, იმისდა მიუხედავად, რომ მისი დიდების მოშურნენი მეკობრეთა მიმართ ასეთ ზომებს გააფრთებით კიცხავდნენ, თუმცა, არც მისადმი სიყვარულით განწყობილთ მოსწონდათ ეს ამბავი.

ამის შემდეგ დატრიალდა ის ამბები, რამაც მეორე დიდი რომაელის, - ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსის ბედზე ტრაგიკული გავლენა მოახდინა. სახალხო ტრიბუნმა, ვინმე **მანილიუსმა**, გამოაქვეყნა კანონი, რომლის ძალითაც პომპეუსს უნდა გადასცემოდა ყველა ის პროვინცია და ჯარი, რომლებიც ლუკულუსის ხელქვეით იმყოფებოდნენ და მითრიდატე და ტიგრან მეფეებთან ბრძოლა განეგრძო, ამასთან მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ფლოტი და ზღვაზე განუსა-

ზღვრელი მბრძანებლობის უფლება. ამ კანონით, ფაქტიურად, მთელი ძალაუფლება ერთი რომაელის ხელში იყრიდა თავს, რაც ძალიან აწუხებდა რომის არისტოკრატიას და საერთოდ არ ადარდებდა ის ფაქტი, რომ ამით ლუკულუსს, რომელმაც ფაქტიურად მითრიდატე და ტიგრან მეფე დაამარცხა, როგორც მისი ჯარი, ასევე ამ გამარჯვებით მოპოვებული დამსახურებული დიდება წაერთვა.

კანონის დამტკიცება პრაქტიკულად ხალხის ნებამ განსაზღვრა, - სენატმა ხალხის შიშით ხმა ვერ ამოიღო და კანონი ძალაში შევიდა. ანუ, პომპეუსმა, პრაქტიკულად მიიღო ისეთივე ძალაუფლება, რაც თავის დროზე სულამ მიიღო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სულამ ეს უფლება სისხლით მიიღო, ხოლო პომპეუსმა სიყვარულით და, რაც მთავარია, უსისხლოდ.

ალბათ არავინ არ არის ისეთი მიამიტი დაიჯეროს რომ, ამხელა ძალაუფლების ერთი ადამიანის ხელში კონცენტრირება ამ ადამიანის უშუალო ჩარევის გარეშე შეიძლება მომხდარიყო. პლუტარქე ამ კულუარული ქმედებების შესახებ პრაქტიკულად არაფერს ამბობს, რისი მიზეზიც, ან ინფორმაციის არქონაა, რაც მაინც და მაინც დამაჯერებლად არ უნდა ჟღერდეს, ან წინდახედულად იქცეოდა, რადგან იგი ისეთი წარჩინებული რომაელების შესახებ წერდა, რომელთა წყალობითაც მას უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა და, თუ წარმოვიდგენთ რა უზარმაზარი დრო და ენერგია სჭირდებოდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნას, როდესაც მხოლოდ „პარალელური ბიოგრაფიებში" მას სამასზე მეტი ავტორი ჰყავს დამოწმებული, და, მითუმეტეს იმ დროსაც თუ გავითვალისწინებთ, რომლისგანაც ორი ათას წელზე მეტი გვაშორებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის ამ შრომას ბევრი „ინაწილებდა", ისევე, როგორც რაფაელის ნახატების შექმნისას, მისი მოწაფეები ასრულებდნენ „შავ" სამუშაოს და შემდეგ რაფაელის ჯადოსნური ყალამი მისი ნახატების განუმეორებელ სილამა-

ზეს ქმნიდა, ან, როდესაც ალექსანდრე დიუმა, რომლის „სამი მუშკეტერის“ ცალკეულ თავებს რიგით მწერალთა მთელი გუნდი ჰქმნიდა, და მათი წელილი ამ პოპულარული რომანის შექმნაში იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთმა მათგანმა თანაავტორობაზე განაცხადა პრეტენზია, და, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც თუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც დიუმას ჯადოსნური კალამის მეოხებით იგი დღესაც დიდი სიამოვნებით იკითხება და მის მიერ შექმნილად ითვლება. ასევეა პლუტარქეს შედევრებიც, რომელიც მისი გამორჩეული, შეიძლება ითქვას გენიალური ტვინის შემოქმედების ნაყოფია.

ასეა, თუ ისე, პომპეუსმა რომიდან წერილი მიიღო, რომელშიაც იტყობინებოდნენ, რომ ყველა ტიბრის დასტურით იგი პრაქტიკულად განუსაზღვრელ ძალაუფლებას ღებულობდა. ამბობენ, რომ წაკითხვის შემდეგ მან წარბები შეიკრა, თეძოზე ხელი დაირტყა და ისე, თითქოს უკვე დაღლილი და თავმობეზრებული იყო განმგებლობის უფლებით, წამოიძახა„ - „ეჰ, ეს გაუთავებელი ომები! განა უკეთესი არ იქნებოდა, მეც ერთ-ერთი უბრალო ადამიანი ვყოფილიყავი? განა ამ დაუსრულებელ ლაშქრობებში ყოფნასა და მუდამ მოშურნეთა ცქერას არ აჯობებდა ცოლთან ერთად სოფლად მეცხოვრა?“- წერს პლუტარქე.

უნდა დავეთანხმოთ პომპეუსის ამ სიტყვებს, მისი მთლიანად თეატრალურობის მიუხედავად, მითუმეტეს, რომ მან სიცოცხლე დრამატულად და, უკაცრავად ნათქვამია, უსახელოდ დაასრულა, და რაც ყველაზე გასაოცარია, მის მიერ პოლიტიკურად სრულიად დაუმსახურებლად გაწირულმა ლუკულუსმა ისეთი განცხრომითა და ნეტარებით გაატარა ცხოვრების უკანასკნელი ათი წელი, რომ, როდესაც ისინი შერიგნენ (ფორმალურად მაინც), პომპეუსი, ისევე როგორც მთელი რომი, გაოცებული იყო ლუკულუსის ცხოვრების წარმოუდგენელი ფუფუნებითა და მისი დროსტარების განუმეორებელი ხიბლით.

თავის დროზე სწორედ ამან ათქმევინა პომპეუსს ის ცნობილი სიტყვები, რომელიც ავადმყოფობისას მან ექიმს უთხრა. საქმე იმაშია, რომ როდესაც პომპეუსი შეუძლოდ გახდა, ექიმმა მას საჭმელად შაშვის ხორცი დაუნიშნა. მსახურებმა განაცხადეს, რომ ზაფხულში შაშვის ხორცის შოვნა შეუძლებელია და თუ კი მაინც ვიშოვით, ის მხოლოდ ლუკულუსს შეიძლება ჰქონდესო. პომპეუსმა ამაზე უარი თქვა და ექმის უთხრა, - როგორ? ლუკულუსი რომ განცხრომით არ ცხოვრობდეს, პომპეუსი ვერ იცოცხლებსო?

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ პატივმოყვარეობის და განდიდების მანიით შეპყრობილმა ადამიანმა, იმისათვის, რომ სხვამ არ წარტაცოს ნარმატება, ისეთ საქციელს სჩადის, რომ არა თუ უკადრებელს კადრულობს, არამედ უფრო უარესი, სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს; პლუტარქე დეტალურად გადმოგვცემს ამ ფაქტს. საქმე იმაშია, რომ კუნძული კრეტა, კილიკიის შემდეგ ზღვის მეკობრეთა მეორე ყველაზე დიდი თავშესაფარი იყო. ამ კუნძულზე პრეტორად მივლენილი იყო ვიმე **მეტელუსი**, რომელიც ნათესავად ერგებოდა იმ მეტელუსს, რომელიც პომპეუსთან ერთად სარდლობდა ესპანეთში. მან მრავალი მეკობრე შეიპყრო და სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო მეკობრეთა მთავარ ძალებს ალყა შემოარტყა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა დანარჩენებიც გაეჟლიტა. ალყაშემორტყმულმა მეკობრეებმა, რამდენადაც კუნძული კრეტა პომპეუსის საგამგებლო მხარის ნაწილი იყო, მას თხოვნით მიმართეს, რათა ისინიც შეეწყნარათ და სიცოცხლე ეჩუქებინათ. პომპეუსმა მათი თხოვნა შეიწყნარა და მეტელუსს უბრძანა, რომ ომი შეეწყვიტა. ამასთან ერთად მან კრეტაზე მიავლინა მისი ერთ-ერთი მეთაური **ლუციუს ოქტავიუსი**, რომელიც მეტელუსის მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქთა კედლებში შედიოდა და ხაფანგში მომწყვდეულ ავაზაკებთან ერთად მეტელუსის წინააღმდეგ იბრძოდა. და ეს ყველაფერი იმიტომ ხდებოდა, რომ, როგორც პლუტარქე ბრძანებს,

- პატივმოყვარეობითა და მეტელუსის შურით თავის სახელს ბიწიერ და ურჯულო ზღვის მანანწალებს უზიარებდა და საკუთარ დიდებას, როგორც ავგაროზს რასმე, ყელზე ჰკიდებდა დასაფარავად. პატივმოყვარეობამ ჩაადენინა აქილევსსაც მთლად არავაჟკაცური საქმე, როდესაც სახელისათვის ბავშვივით გახელებული და გაშმაგებული ყველას უკრძალავდა ჰექტორისათვის ვინმეს ესროლა ისარი მის გარდა, - ბრძანებს პლუტარქე და ჰომეროსის „ილიადადან" მოჰყავს შემდეგი სიტყვები, - „რომ არ წარეტაცა ამ მკვლელს დიდება გმირისა მისთვის" („ილიადა," XXII.207).

როგორც ვხედავთ, პატივმოყვარეობის უსაზღვრო მანკიერებით შეპყრობილი პომპეუსი, რომაელთა საერთო მტერს ეხმარებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მრავალ ღვაწლგადახდილი პრეტორისათვის, რომელმაც მიუხედავად პომპეუსის წინააღმდეგობისა, კრეტა მთლიანად გაწმინდა მეკობრეებისაგან, ტრიუმფი აღეკვეთა. მეტელუსმა მეკობრეთა დასჯის შემდეგ მხედრობის წინ პომპეუსის წარგზავნილი სარდალი სასტიკად გამოლანძღა და უკან გააგდო.

როგორც კი რომში შეიტყვეს, რომ პომპეუსმა მეკობრეები სასტიკად დაამარცხა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სახალხო ტრიბუნის მანილიუსის მიერ გამოაქვეყნებული კანონით, პომპეუსს გადაეცა ყველა ის პროვინცია და იქ მყოფი ჯარი, რომლებიც ლუკულუსის ხელქვეით იმყოფებოდნენ, რათა დაესრულებინა ლუკულუსის მიერ პრაქტიკულად უკვე დამარცხებული მითრიდატე და ტიგრან მეფეების წინააღმდეგ ბრძოლა. მართალია, პლუტარქე აქაც არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამ უბიძგა, უფრო სწორად, ვინ უბიძგა მანილიუს ამ კანონპროექტის წარდგენა, მითუმეტეს, რომ რომის არისტოკრატია კარგად ხედავდა, რომ მანილიუსის კანონის დამტკიცება პრაქტიკულად ტირანიის ჩამოყალიბებას და რომის თავისუფლების დაკარგვას მოასწავებდა. ამასთან მათაც შესანიშ-

ნავად იცოდნენ, რომ მანილიუსი ამ კანონს თავად კი არ მოიფიქრებდა, არამედ პომპეუსის ურყევ ნებას გამოხატავდა და როდესაც კანონი დასამტკიცებლად გამოიტანეს, არისტოკრატებს შეეშინდათ ხალხის, რომელიც მზად იყო პომპეუსის ნებისმიერი მოთხოვნა შეესრულებინათ, უკან დაიხიეს და დუმილი არჩიეს. კანონი ძალაში შევიდა ყველა ტიბრის დასტურით და პომპეუსმა დაუსწრებლად მიიღო (!) პრაქტიკულად უბრძოლველად და მითუმეტეს სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე, თითქმის ისეთივე უზენაესი ძალაუფლება, როგორიც თავის დროზე მოითხოვა სულამ, რისთვისაც მას რომის სამოქალაქო ომში ჩათრევა და სისხლის მდინარეების დაყენება დასჭირდა. ვფიქრობთ, სწორედ ეს აკლდა ლუკულუსს, ანუ რომის სენატის, თუ სახალხო ტრიბუნების ელიტარული ნაწილის სათანადო მხადაჭერის მოპოვება, მითუმეტეს, როცა მას არანაკლები გამარჯვებები ჰქონდა მოპოვებული და ენით აუწერელი სიმდიდრე დააგროვა მითრიდატესთან და ტიგრან მეფესთან წარმოებულ ბრძოლებში და, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს „ოქროთი დატვირთული ჯორი ნებისმიერი ციხე-სიმაგრის კარებს უსისხლოდ აღებდა," გაკვირვებას იწვევს, რატომ არ იყენებდა ამ უალტერნატივო საშუალებას საკუთარი ინტერესებისათვის.

ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ყველამ იცოდა, - პომპეუსს უთანხმოება ჰქონდა ლუკულუსთან, რომლის უმთავრესი მიზეზი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ უკანასკნელის სამხედრო წარმატებები უნდა ყოფილიყო, რაც, ცხადია მის ჰიპერტროფიულად გაზრდილ პატივმოყვარეობაზე აგიზგიზებული ცეცხლის გახურებული ენებივით მოქმედებდა და მბრძანებლობისაკენ დაუოკებელ სურვილს აღუძრავდა. მართალია, ორივე მხარის წარმომადგენლების მეოხებით ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, რათა ურთიერთობები დაელაგებინათ, მაგრამ ამან ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო და ისინი კიდევ უფრო მტრულად განეწყვნენ ერთმანეთის მიმართ. ერთი, - მეორეს

ანგარებაში სდებდა ბრალს, ხოლო მეორე პირველს უზომო პატივმოყვარეობაში.

პომპეუსმა პირველივე შეტაკებაში უკუაქცია მითრიდატეს ჯარი და ათი ათასამდე ჯარისკაცი დაუხოცა. ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცეული მითრიდატე, რომელსაც სომხეთში თავის სიძესთან უნდოდა თავის შეფარება, სიძემ, ანუ ტიგრან მეფემ, არა თუ არ მიიღო, არამედ ასი ტალანტი ჯილდო გამოაცხადა იმისთვის, ვინც მითრიდატეს თავს მოუტანდა. ამიტომ მითრიდატე იძულებული იყო კოლხეთისკენ წასულიყო.

ძალაუფლება რომ მსხვერპლს მოითხოვს, ეს ისეთივე ძველი შეგონებაა, როგორც სამყარო, მაგრამ ის მსხვერპლი, რომელსაც ის ჟამიდან ჟამამდე აიძულებს ხელისუფალს გაიღოს, იმდენად დიდია, რომ ზოგი ამას სიკვდილს ამჯობინებს. ასე მოიქცა თავად მითრიდატე, რომელმაც, როცა დაინახა, რომ ბრძოლა აზრს კარგავდა, სიცოცხლე საკუთარი ხელით მოისწრაფა. თუმცა, ცხადია ასე ყველა არ იქცევა და ასე არც მოქცეულა მეფე ტიგრან მეორე. იგი იმდენად მოქნილი ხელისუფალი იყო და იმდენად კარგად იცოდა მოწინააღმდეგის ხასიათის თავისებურებების თავის სასიკეთოდ გამოყენება, რომ, როგორც პლუარქე ბრძანებს, - როცა გაიგო, პომპეუსს მშვიდი და ალერსიანი ხასიათი აქვსო, რომაელთა მეციხოვნე ჯარი თავის სატახტო ქალაქ **არტაშატში** მიიღო, თავად კი მეგობრებისა და ნათესავების თანხლებით მორჩილების გამოსაცხადებლად პომპეუსისკენ გაეშურა.

მისი მოქნილი პოლიტიკური ქცევის ძალზე თვალსაჩინო მაგალითია პომპეუსთან მისი შეხვედრის სცენა. ამასთან იმასაც შევნიშნავთ, რომ სომხეთში პომპეუსი ტიგრან მცირემ მიიწვია, რომელიც ტიგრან დიდის ღვიძლი შვილი და მითრიდატეს შვილიშვილი გახლდათ და მამამისის პომპეუსის წინაშე დამცირების ამაზრზენ სცენას მის ამალაში მდგარი უყურებდა.

პომპეუსთან სანამ მივიდოდა, ლიქტორებმა მას ცხენიდან ჩამოსვლა უბრძანეს და ასე ფეხით გაემართა მისკენ. როცა მიუახლოვდა პომპეუსს, თავიდან ჩალმა მოიხადა და უნდოდა ჩალმაც მის ფერხთა წინ დაედო და თვითონაც საკუთარი ღირსებისათვის ფრიად სამარცხვინოდ მიწაზე განრთხმულიყო, რათა რომაელთა მხედართმთავარს მუხლებზე მოხვეოდა, მაგრამ პომპეუსმა დაასწრო, მოჰკიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა და გვერდით ახლოს დაისვა. ასეთი დამცირების სანაცვლოდ პომპეუსმა მას დარჩენილი ტერიტორიები დაუტოვა და ექვსი ათასი ტალანტი ხარკის სახით დაუწესა. ეს წინადადება მან იმდენად დიდი კმაყოფილებით მიიღო, რომ პირობა დადო, - ყოველ რომაელ ჯარისკაცს ნახევარ მნა (1მნა=100 დრაქმას) ვერცხლს, ყოველ ცენტურიონს ათ მნას (1 ტალანტი=60მნას), ხოლო სამხედრო ტრიბუნებს თითო-თითო ტალანტს მივცემო. არ ვიცი, რამდენად იყო მისი ასეთი გულუხვობა რომაელთა მიმართ პანიკური შიშით გამოწვეული, თუ საკუთარი სიცოცხლისა და სამეფოს გადარჩენის სიხარულით, მაგრამ ზღაპრული სიმდიდრის პატრონი რომ იყო, ეს უეჭველია და ისიც ცხადი უნდა იყოს, რის ფასად იყო ეს სიმდიდრე ნაშოვნი.

ამ ამბით განაწყენებულმა ტიგრან მცირემ პომპეუსის ასეთი ქმედება აუგი სიტყვებით მოიხსენია, რისთვისაც იგი შეიპყრეს და პომპეუსის მომავალ ტრიუმფში მონაწილეობის მისაღებად მცველები მიუჩინეს, ანუ, პრაქტიკულად დაატყვევეს.

სომხეთიდან პომპეუსი მითრიდატეს წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. მას გზად ის მიწები უნდა გაევლო, რომლებიც კავკასიონის ტომებს ეჭირა, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ალბანელები და იბერები იყვნენ. „იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს, - ბრძანებს პლუტარქე და იქვე განაგრძობს, - მდინარე მტკვარი იბერთა მთებიდან გამოდის, გზაზე სომხეთიდან მომავალ

არაქსს იერთებს და თორმეტი შესართავით კასპიის ზღვაში ჩადის. ალბანელებმა პომპეუსს ჯარის გატარებაზე თუმცა თანხმობა განუცხადეს, მაგრამ მერე მოულოდნელად თავს დაესხნენ. პომპეუსმა ისინი უკუაქცია და სულ ერთიანად ამოჟლიტა. ამის შემდეგ იგი იბერთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. (ეს მომხდა ძვ.წ. 65 წელს. იბერთა მეფე იყო **არტაგი**). იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან, რადგან ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა **ჰირკანიიდან**. პომპეუსმა ისინიც დაამარცხა, - ცხრა ათასი მოკლა, ხოლო ათი ათასი ტყვედ ჩაუარდა ხელში".

პომპეუსმა, იბერთა მეფის მიერ, მორჩილების ნიშნად გამოგზავნილი ოქროსგან ნაკეთები, - საწოლი, მაგიდა და ტახტი, სახელმწიფო ხაზინისთვის კვესტორებს გადასცა, ხოლო მითრიდატე ევპატორის ერთ-ერთმა ხარჭამ, სახელად **სტრატიკონემ** პომპეუსს გადასცა თავისი კოშკი, რომელიც ოქროულობით იყო სავსე და ბევრი საჩუქარი მიართვა. პომპეუსმა მხოლოდ ის აიღო საჩუქრად, რაც ტაძართა შესამკობად გამოადგებოდა და რაც მის მომავალ ტრიუმფს მეტ ბრწყინვალებას მისცემდა, დანარჩენი კი მას დაუტოვა. ამაზე ასე ხაზგასმით იმიტომ შევრჩერდით, რომ პატივმოყვარეობის, ამ, ნებისმიერი, სახელის მოსურნე ადამიანისათვის აუცილებელი, თვისების პარალელურად, რომელიც ადამიანს უსაშინლეს არსებად აქცევს, მას ბევრი ადამიანური თვისება გააჩნდა. ამის საუკეთესო მაგალითია ისიც, რომ პომპეუსთან მრავლად მოჰყავდათ მითრიდატეს ხასები, მაგრამ, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, არც ერთი მათგანისთვის ხელი არ უხლია, ყველა თავ-თავის მშობლებსა და შინაურებს დაუბრუნა. ეს ხასები უმრავლეს შემთხვევაში სარდლებისა და იქაურ მთავართა ქალიშვილები და ცოლები იყვნენ (არ მესმის ასეთი საქციელი სარდლისა, თუ მთავრისაგან -თ.ა.)

ალბანების დამარცხების შემდეგ იგი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფაზისის სანაპიროზე მას სერვილიუსი შეუერთდა თავისი ფლოტით, მაგრამ, რა გაიგო ალბანები ხელახლა აჯანყდნენო, რისხვითა და შურისძიებით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა, - ბრძანებს პლუტარქე და იქვე დასძენს, - ამბობენ, ამ ბრძოლაში ბარბაროსების მხარეზე მდინარე **თერმოდონტეს** გასწვრივ მდებარე მთებიდან ჩამოსული **ამაძონებიც** მონაწილეობდნენო. ამაძონები კავკასიონის ქედის იმ ზოლზე მოსახლეობენ, რომელიც **ჰირკანიის** ზღვამდეა გადაჭიმული, მაგრამ ალბანებს არ ესაზღვრება. მათ შორის **გელები** და **ლეგები** (**სკვითური** ტომები) ცხოვრობენ. ამაძონები ამათთან ყოველწლიურად ორ თვეს ატარებენ, მერე კი თავის მხარეში მიდიან და განცალკევებით ცხოვრობენ.

პომპეუსს საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აუცილებლად მიაჩნდა სირია აეღო და არაბეთზე გავლით მეწამულ ზღვამდე მისულიყო, რათა გამარჯვებულს მიეღწია ოკეანემდე, სამყაროს რომ ყოველმხრივ გარს ევლება. ამით იგი საკუთარ პატივმოყვარეობას, რომელიც ნებისმიერ სარდალს (და, ცხადია, არა მხოლოდ მათ) სულის სიღრმეში შიგნიდან გამუდმებით დიადი და განუმეორებელი საქმეებისკენ მოუწოდებს და მუდმივად აღანთებს, სრულად დაიკმაყოფილებდა. თუ ამას განახორციელებდა, მაშინ იგი იქნებოდა პირველი რომაელი, რომელმაც გამარჯვებულმა სამივე მხრით ქვეყნის დასალიერს მიაღწია. მართლაც, იგი გამარჯვებული პირველი გავიდა ლიბიაში გარე ზღვის ნაპირებამდე (იგულისხმება ატლანტის ოკეანე), ამის შემდეგ ესპანეთშიც ატლანტის ოკეანეთი შემოსაზღვრა რომაელთა საბრძანებელი და მესამეჯერ, სულ ახლახანს, ალბანების დევნის დროს, მხოლოდ იმან შეუშალა ხელი, რომ იმ მხარეში იმდენი შხამიანი გველი იყო, რომ პომპეუსი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, თორემ ჰირკანიის (იგივე კასპიის) ზღვასაც მიადგებოდა.

აქ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ამონარიდი უნდა მოვიყვანოთ პლუტარქეს მონათხრობიდან, რომლიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენი დაკვირვება მართებს მხედართმთავარს, და საერთოდ, წინამძღოლს, ჯარისკაცებთან, თუ ხელქვეითებთან ურთიერთობისას.

ლაშქრობის დროს პომპეუსი წააწყდა **ტრიარიუსის** (ლუკულუსის ერთ-ერთი სარდლის) წინამძღოლობით მითრიდატესთან უიღბლო ბრძოლაში დახოცილ ჯარისკაცთა ჯერ კიდევ დაუკრძალავ გვამებს. მან ისინი დიდი პატივით მიაბარა მიწას. როგორც ჩანს, დახოცილ მებრძოლთა ასე უპატრონოდ მიტოვება იყო ერთ-ერთი უდიდესი მიზეზი ლუკულუსისადმი აღძრული ზიზღისა ჯარისკაცთა შორის, - ბრძანებს პუტარქე.

ამის შემდეგ პომპეუსმა სირია და იუდეა დაიპყრო. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - პომპეუსმა ზოგი ქალაქი ააგო, ზოგს თავისუფლება მიანიჭა და იქაური ტირანები დასაჯა. თავისი დროის უმეტეს ნაწილს იგი სასამართლო საქმეებსა და ქალაქთა და მეფეთა შორის არსებულ სადავო საკითხების გადაწყვეტას ანდომებდა. იქ სადაც თვითონ ვერ მიდიოდა, თავის მეგობრებს აგზავნიდა.

საინტერესო ისაა, რომ პომპეუსის ძლიერებაზე არანაკლებ მის სამართლიანობასა და კეთილმოწყალებაზე ლაპარაკობდა ხალხი. ხასიათის ეს თვისება, რომელიც შესაძლოა პოლიტიკური მოტივებითაც ყოფილიყო განპირობებული, მას იმდენად დიდ ავტორიტეტს უქმნიდა, რომ თავისი გარემოცვის მიერ დაპყრობილი ხალხის მიმართ ჩადენილ შეცდომებსაც კი ფარავდა. ასეთი სახელის მოპოვება დაპყრობილი ხალხების თვალში საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა ამა ქვეყნის ძლიერთა მხრიდან, რადგან ძალაუფლება, და ისიც ახალგაზრდა ასაკში, ბევრ მანკიერ თვისებას ისევე უქმნის ნოყიერ ნიადაგს, როგორც უწყლოობით დამშრალ მიწას შხაპუნა წვიმა, რომელსაც, შედეგად უსწრაფესად აღმოცენებული სარეველა ბალახი მოყვება.

არავინ არ უწყის ბედისწერის კაპრიზებს რა ძალები წარმართავს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი პომპეუსისადმი განსაკუთრებული სიყვარულით თუ არა, დიდი სიმპატიებით მაინც გამოირჩეოდა, და, რაც ყველაზე არსებითია, - მისთვის ყველაზე საჭირო დროს. საქმე იმაშია, რომ არაბეთის ერთ-ერთი ქალაქის, **პეტრას** წინააღმდეგ გალაშქრებას მისი გარემოცვის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ ამით იგი გაურბოდა მითრიდატე ევპატორის წინააღმდეგ ლაშქრობას, მითუმეტეს, რომ მტერი კვლავ გამოცოცხლებული და მომზადებული იყო და, მოარული ხმების მიხედვით, **სკვითთა** და **პეონთა** (მდინარე დუნაის გასწვრივ მდებარე) ქვეყნებზე გავლით იტალიაში შეჭრას აპირებსო. პომპეუსი კი ფიქრობდა, რომ მითრიდატეს დამარცხება პირდაპირ ომში უფრო ადვილი იქნებოდა მისთვის, ვიდრე მისი შეპყრობა დევნით, - ბრძანებს პლუტარქე.

ამ დროს პონტოდან მოსულმა შიკრიკებმა ამცნეს, რომ საკუთარი შვილის ღალატის გამო, მითრიდატემ თავი მოიკლაო. აქ, ან პლუტარქე სცოდავს, ან თარგმანია ბუნდოვანი. მამა-შვილი ერთმანეთს ტოლს არ უდებდა, - ძალიან დიდი პოლიტკორექტულობით რომ ვთქვათ, - ყველგან და ყველას მიმართ, ნებისმიერ სიტუაციაში მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ეხელმძღვანელათ და, ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მითრიდატეს სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან კარგად იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, - საკუთარი შვილი მის თავს პომპეუსს მიჰგვრიდა ისე, რომ წარბსაც არ შეიხრიდა და ხელიც კი არ აუკანკალდებოდა, მითუმეტეს, რომ მამის სახით დიდებული მასწავლებელი ჰყავდა.

როგორც ცნობილია, მითრიდატე ევპატორმა საწამლავი დალია, რათა მტერს (ამ შემთხვევაში საკუთარ შვილს) ხელში არ ჩავარდნოდა, მაგრამ იმის გამო, რომ მის ორგანიზმს ამ შხამების მიმართ იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული, მან

არ იმოქმედა და მაშინ, საკუთარ მცველსა და მეგობარს, **გალელ ბიტოიტს** სთხოვა მისთვის სიცოცხლე მოესწრაფა, რაც მან აუსრულა კიდეც და იგი მახვილით განგმირა.

როდესაც მითრიდატეს ცხედარი, უამრავ სხვა საჩუქართან ერთად, ფარნაკემ პომპეუსს გაუგზავნა, ეს უკანასკნელი მეტად განაცვიფრა მეფის ტანსაცმლისა და იარაღის ბრწყინვალებამ, თუმცა ხმლის ქარქაში, რომელიც ოთხასი ტალანტი ღირდა, უკვე მოეპარა ვინმე **პუბლიუსს** და კაბადოკიის მეფე **არიარათესათვის** მიეყიდა, ხოლო მითრიდატესთან შეზრდილ **გაიუსს** მეფის ძვირფასი ჩალმა ფარულად გადაეცა სულას ძის **ფაუსტუსისათვის**, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა ამას, - გადმოგვცემს პლუტარქე.

ადამიანურად თუ შევხედავთ ყველაფერ ამას, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ პომპეუსის დაბრუნება უკან იტალიაში განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღინიშნა. მართალია, პომპეუსი ამ დროს თითქმის ორმოცი წლის იყო, მაგრამ მუდმივი წარმატებები და მოვლენების ცენტრში პერმანენტული ყოფნა თავისას აკეთებს და საკუთარი მეთი კმაყოფილების გრძნობას და თვითტკბობას იწვევს. და, მართლაც, როდესაც იგი **თეოფანე მიტილენელის** (ლესბოსელი) ქალაქში შევიდა, რომელიც პომპეუსს ახლდა მითრიდატეს წინააღმდეგ ლაშქრობებში და აღწერა კიდეც ეს ლაშქრობები, მის პატივსაცემად ქალაქს თავისუფლება მიანიჭა და ქალაქმაც საკადრისი პატივი სცა, - წინაპართაგან დაწესებულ პოეტთა ასპარეზობაზე, რომელსაც პომპეუსი ესწრებოდა, პოეტთა სიმღერის საგანი მხოლოდ მისი საგმირო საქმეები იყო. როდოსზე ყოფნისას იგი უსმენდა იქაურ სოფისტებს და თითოეულ მათგანს საჩუქრად თითო ტალანტი უბოძა, რაც სარწმუნოდ ხდის იმ მოსაზრებას, რომ არც ისინი ჩამორჩებოდნენ ლესბოსელებს პომპეუსის საგმირო საქმეთა ქება-დიდებაში. ათენში პომპეუსმა ასეთივე ყურადღება გამოიჩინა ფილოსოფოსების მიმართ და უნდა

ვიფიქროთ, რომ არც ისინი დარჩებოდნენ ვალში პომპეუსის მიმართ, რის სანაცვლოდაც ქალაქს აღდგენითი სამუშაოებისათვის ორმოცდაათი ტალანტი აჩუქა (ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რამდენად ძვირფასი ქარქაში ჰქონდა მითრიდატეს, თუ იგი ოთხასი ტალანტი ღირდა, აღარაფერს ვამბობ საერთოდ მის სიმდიდრეზე).

პომპეუსი რომში ძვ. წ. 62 წელს დაბრუნდა. მის დაბრუნებას რომში საყოველთაო შეშფოთება მოჰყვა, რადგან ყველას ეგონა, რომ იგი მონარქიას დაამყარებდა. ეს შიში კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა მას მერე, რაც გაიუს კრასუსმა ოჯახიანად ფარულად დატოვა რომი.

პლუტარქეს აქ ერთი პასაჟი მოყავს, რომელსაც ვერაფრით ვერ გავიზიარებთ. იგი ბრძანებს, რომ -„ პომპეუსი იმედოვნებდა, იტალიაში ისეთი დიდებით შევიდოდა, როგორიც არც ერთ მოკვდავს არ ღირსებია, და იხილავდა სანუკვარ შინაურებს, რომელთაც იგი დიდი ხნის მონატრებული ჰყავდათ. მაგრამ ბოროტი სული ყოველთვის ცდილობს ხოლმე ბედის მიერ მინიჭებულ ბრწყინვალებასა და სიდიადეს სიმწარე შეურიოს. და აი, ეს ბოროტი სული უკვე დიდი ხანია ფარულად უმზადებდა პომპეუსს საკმაოდ მწარე დაბრუნებას. საქმე ის იყო, რომ სანამ პომპეუსი სამშობლოდან შორს იმყოფებოდა, მისი მეუღლე **მუცია** თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა. შინიდან მოშორებით მყოფი პომპეუსი ცოლის საქციელის ირგვლივ დარხეულ ხმებს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ, როცა იტალიას მიუახლოვდა და მოცალეობის ჟამს ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა, მუციას წერილობრივ აუწყა, გეყრებიო.“

პლუტარქეს ეს მოსაზრება, განცვიფრებას თუ არა, ღიმილს მაინც იწვევს, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელმაც პოლიტიკური კონიუნქტურის გამო სულას გერი მოიყვანა ცოლად, რომელიც სხვაზე იყო გათხოვილი და ფეხმძიმედაც იყო თავისი ცოცხალი ქმრისგან, ხოლო თავად

პომპეუსს ცოცხალი და საღსალამათი ცოლი ჰყავდა, არა მგონია, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „ბედის მიერ მინიჭებული წარმოუდგენელი ბრწყინვალება იმ ბოროტ სულს...“ გადაეფარა, რომელიც მისი მესამე ცოლის ღალატით იყო გამოწვეული. მითუმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ღალატის შესახებ მას ხმები ადრეც მოსდიოდა. კიდევ უფრო განცვიფრებას, თუ აღშფოთებას არა, იწვევს ის ფაქტი, რომ, როგორც ბოროტი ენები ამბობდნენ, მუცია მას იულიუს კეისართან ღალატობდა და ცოტა მოგვიანებით მან მეოთხე ცოლად მისი, ანუ კეისრის შვილი, - **იულია** მოიყვანა. წარმოუდგენელი სიბინძურეა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი თეზაა, - „პოლიტიკური იერარქიული კიბის ყოველ შემდეგ საფეხურს, წინაზე მეტი სიბინძურის და სისასტიკის სურნელი დაჰკრავს.“

ასეა, თუ ისე, რომაელთა შიში არ გამართლდა, - პომპეუსმა რომში შესვლამდე ჯარი დაშალა და აღტაცებული ხალხის მხიარული ყიჟინის ფონზე შევიდა რომში. ამის შემდეგ რამდენიმე ისეთი ფაქტი დაფიქსირდა, რომელმაც ოდნავ შეარყია პომპეუსის წარმოუდგენელი პოპულარობა, მაგრამ ის იმდენად უმნიშვნელოდ გამოიყურება მის გარშემო ატეხილ საყოველთაო დადებით მუხტთან შედარებით, რომ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ. პირველი ფაქტი ის გახლდათ, რომ, რადგან კანონი ტრიუმფამდე ქალაქში შესვლის ნებას არ იძლეოდა, პომპეუსმა ითხოვა კონსულის არჩევნები გადაედოთ, რათა მას შესაძლებლობა ჰქონოდა არჩევნებს თავადაც დასწრებოდა, რასაც მისდა გასაკვირად სენატისგან უარი მიიღო და რისი თავგამოდებული მომხრე რომის სენატის ისტორიაში, ალბათ ყველაზე მოუსყიდველი და სამართლიანი კატონი იყო. პომპეუსი იმდენად გაკვირვებული იყო კატონის გამბედაობით, რომ მასთან დამოყვრება გადაწყვიტა, რაზედაც კატონისგან კატეგორიული უარი მიიღო. მეორე უსიამოვნება, რამაც შეარყია მისი ავტორიტეტი, გახლდათ პომპეუსის მიერ მისი სარდლის აფრანიუსის კონსულად გაყვანისთვის ამომრჩეველთა მოს-

ყიდვის ზღვარგადასული მცდელობა. ამის მიუხედავად პომპეუსის ტრიუმფი გრანდიოზული ბრწყინვალებით ჩატარდა და გათვალისწინებულ ორ დღეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ეს იყო პომპეუსის პოპულარობის ზენიტი, რადგან არც ერთ რომაელს არ ღირსებია ის პატივი და, არც ერთი რომაელისთვის ბედისწერას არ შეუმოსია დიდების ისეთი შარავანდედით, როგორც პომპეუსის სახელი. მართალია სხვა რომაელებსაც გადაუხდიათ სამი ტრიუმფი, მაგრამ პომპეუსის ეს სამი ტრიუმფი იმდროისათვის მთელი დასახლებული სამყაროს დამორჩილების ზეიმს ჰგავდა. მართლაც, პირველი ტრიუმფი მან ლიბიაზე გამარჯვებისათვის გადაიხადა, რაც ფაქტიურად აფრიკის დამორჩილებას ნიშნავდა, მეორე ტრიუმფი ესპანეთისა და გალიის დამორჩილებისთვის გადაიხადა, რაც ფაქტიურად მაშინდელი ევროპის დამორჩილებას ნიშნავდა და ბოლოს, მეამე ტრიუმფი აზიაზე გამარჯვებისთვის გადაიხადა.

ამის შემდეგ პლუტარქეს სენტენცია მართლაც ძნელი მოსასმენია, - „მეტად იღბლიანი კაცი იქნებოდა პომპეუსი, მაშინ რომ მომკვდარიყო, როცა ყველაფერში ალექსანდრეს ბედი ეწია. ტრიუმფის გადახდის შემდეგ დაუნდობელმა დრომ შურის გამომწვევი ბედნიერება და განუკურნებელი უიღბლობა მოუტანა.“ პოლიტიკურ ინტრიგებში სრულიად გამოუცდელი, იგი სხვების, განსაკუთრებით ვინმე **კლოდიუსის** ხელში, სათამაშო თოჯინად გადაიქცა. ამას ისიც დაემატა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა გაიუს იულიუს კეისარი, რომელმაც ისეთი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, რომელიც გარეგნულად ძალზე კეთილშობილურად გამოიყურებოდა, რამაც შემდგომში მას განუსაზღვრელი ძლიერება მოუტანა, მაგრამ პომპეუსისა და რომის რესპუბლიკისათვის ეს პოლიტიკური ნაბიჯი ფრიად საბედისწირო გამოდგა. მან შეარიგა ერთმანეთთან სამტროდ გადაკიდებული პომპეუსი და კრასუსი, რი-

თაც რომის ისტორიაში „პირველი ტრიუმვირატის“ სახელით ცნობილი პოლიტიკური ძალა შეიქმნა და, თუ ამ კავშირით ყველაზე უკეთ კეისარმა ისარგებლა, ეს მხოლოდ მის პოლიტიკურ ალღოსა და ძლიერებაზე მეტყველებს.

ეტყობა კეისარმა კარგად იცოდა როგორც კრასუსის უსაზღვრო, ამპარტავნობამდე მისული პატივმოყვარეობისა და სიმდიდრისადმი განუსაზღვრელი ლტოლვის შესახებ, ისევე პომპეუსის ხასიათის სირბილე, რომელსაც ვერაგული და ფლიდი პატივმოყვარეობა ნამდვილად არ ახასიათებდა, რაც პოლიტიკურ ბრძოლაში პოზიტივად ნამდვილად არ ჩაითვლება.

პომპეუსი ჯერ კლოდიუსის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც სახელმოხვეჭილ სარდალს ფორუმზე აქეთ-იქით დააწონიალებდა და იმდენს მიაღწია, რომ ციცერონი, რომელმაც მას ბევრი სიკეთე გაუკეთა, თავის გადასარჩენად იძულებული გახდა რომიდან მალულად წასულიყო, ხოლო შემდეგ, კეისრის ნება-სურვილს დამორჩილდა და, როდესაც კეისარი კონსულად აირჩიეს და უპოვართა და ღარიბთა გულის მოსაგებად შემოტანილ წინადადებას, - „ახალშენთა დაარსებისა და ადგილ-მამულთა დაყოფა-დანაწილების შესახებ,“ არა მხოლოდ მხარი დაუჭირა, არამედ, ფორუმზე კეისრის გვერდით მდგარმა სახალხოდ განაცხადა, - „ვინც მახვილით დაგვემუქრება, მეც მახვილითა და ფარით გამოვალო.“ როგორც პლუტარქე შენიშნავს, - „ასეთი მრისხანე რამ დღემდე არც სიტყვით უთქვამს ოდესმე პომპეუსს და არც საქმით შეუსრულებია.“

ამის შემდეგ კიდევ ერთი პოლიტიკური სვლა გათამაშდა, - ყველასთვის მოულოდნელად პომპეუსმა ცოლად შეირთო კეისრის ასული იულია, რომელიც დანიშნული იყო კატონ უმცროსის ნახევარ ძმაზე, **სერვილიუს ცეპიონზე** და რამდენიმე დღის შემდეგ კიდეც უნდა გაჰყოლოდა მას. გამწყრალი ცეპიონის დასამშვიდებლად პომპეუსმა პირობა დადო, რომ მას

მიათსოვებდა თავის ქალს, რომელიც აგრეთვე უკვე დანიშნული იყო სულას ვაჟზე ფაუსტუსზე, - გვამცნობს პლუტარქე და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რითი დაამშვიდეს სულას ვაჟი(?).

ამის შემდეგ პომპეუსმა თავისი ჯარისკაცების მეშვეობით ფორუმი მოწინააღმდეგებისაგან სრულად გაწმინდა და დარჩენილებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს „ადგილ-მამულის დანაწილების“ კანონი. ამ კანონმა იმდენად დიდი სატყუარას როლი შეასრულა, რომ ხალხი ყველაფერში მათი მორჩილი და გამგონი გახდა და ამ პირუტყულმა მორჩილებამ იმდენად კატასტროფული ხასიათი მიიღო, რომ, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - მათ წინააღმდეგ მიმართულ არც ერთ მოძრაობაში არ ერეოდა და მოკავშირეთა (ანუ პირველი ტრიუმვირატის - თ.ა.) ყველა გადაწყვეტილებას დუმილით აძლევდა ხმას.

ამ ამბების შემდეგ პომპეუსი სრულ განცხრომას მიეცა და, ახალგაზრდა ცოლის შემხედვარე, მთელ დღეებს მასთან ატარებდა საკუთარ მამულსა და ბაღებში, ხოლო რა ხდებოდა ფორუმზე, საერთოდაც არ ადარდებდა. მოკლედ, კეისარმა იცოდა, რასაც აკეთებდა. ამით ისარგებლა მაშინდელმა სახალხო ტრიბუნმა კლოდიუსმა და ჯერ ციცერონი გააძევა რომიდან, ხოლო შემდეგ, სამხედრო ლაშქრობის საბაბით, კატონი კიპროსზე გაგზავნა. მისი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მან პომპეუსის ზოგიერთი დადგენილება გააუქმა, სამართალში მისცა პომპეუსის რამდენიმე მეგობარი და ბოლოს, თავად პომპეუსს დაუწყო ლანძღვა. პომპეუსი, რომელსაც საბრძოლო ბატალიებში უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა, პოლიტიკურ დებატებში სრულიად გამოუცდელი აღმოჩნდა და საშინლად განიცადა, როდესაც დაინახა, რომ სენატს უხაროდა მისი ასეთი შეურაცხყოფა. ამით აღშფოთებული პომპეუსი ფორუმზე თავისი დიდი ამალით მივიდა და სისხლისმღვრელი შეტაკების ფასად კლოდიუსზე გაიმარჯვა და ციცერონის რომში დაბრუნების გადაწყვეტილება მიაღებინა. დაბრუნებულ-

მა ციცერონმა არა თუ შეარიგა პომპეუსი სენატთან არამედ მიაღებინა კანონი, რომელიც პომპეუსს იტალიაში პურის შეზიდვას ავალებდა. შედეგად, პომპეუსი ისევ გახდა ერთგვარი ბატონ-პატრონი ხმელეთსა და ზღვაზე, სადამდისაც კი რომაელთა იურისდიქცია ვრცელდებოდა. პომპეუსი, მისთვის დამახასიათებელი ენერგიით, დაუყოვნებლივ შეუდგა საქმიანობას და სულ მალე ბაზრები პურით გაავსო.

მაგრამ არც კეისარი იჯდა გულხელდაკრეფილი. იმავე ხანებში გალიაში წარმოებულმა გამარჯვებების სერიამ დიდი სახელი მოუხვეჭა კეისარს. მისი შემდგომი პოლიტიკური წარმატებები, რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, აქ, შორეულ გალიაში, იკეთებდა საფუძველს და ნოყიერ წინაპირობებს ქმნიდა უმაღლეს პოლიტიკურ ელიტაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს კეისარი მხოლოდ ბელგებთან, სვებებთან, ბრიტანელებთან და სხვა ათასი ჯურისა და მოდგმის ტომებთან ბრძოლით იყო გართული, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა ასე. სინამდვილეში მას საკმაოდ მყარად ეჭირა ხელი რომის ყოველდღიური პოლიტიკური მოვლენების პულსზე და მეთოდურად ახდენდა რომაელი ხალხის შეგნებაში თავისი პოლიტიკური გავლენის უალტერნატივობის დამკვიდრებას და ყველანაირად ხელს უშლიდა პომპეუსს მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელებაში.

ის, რომ კეისარს თავიდან ბოლომდე ჰქონდა გააზრებული თავისი პოლიტიკური ამბიციების რეალიზების ზოგადი მონახაზი, თუ მეტი არა, პლუტარქეს შემდეგი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს.

- „თავის ჯარს ისე უვლიდა კეისარი, როგორც ცოცხალ სხეულს. როცა ბარბაროსთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიჰყავდა მხედრობა, ეს მარტო ამ ბარბაროსებთან ომი კი არ იყო, არამედ წვრთნა და გეშვა ნადირზე, რათა თავისი ჯარი დაუძ-

ლეველი და თავზარდამცემი გაეხადა. ოქრო-ვერცხლსა თუ სხვა ნადავლს, რაც კი იმდენ ომებში მოიპოვა, კეისარი რომში აგზავნიდა და საჩუქართა გაბოძებით ედილებს, პრეტორებს, კონსულებსა და მათ ცოლებს ქრთამავდა (?). ამის წყალობით იგი მრავალ მომხრეს იძენდა."

და, როდესაც კეისარმა გამოსაზამთრებლად ალპები გადმოლახა, მასთან ორასამდე სენატორი ჩავიდა, თვით პომპეუსის და კრასუსის ჩათვლით, აღარაფერს ვამბობთ ჩვეულებრივ მოკვდავთა არმიაზე, და კეისრის სადგომი კარვის კარის წინ პროკონსულთა და პრეტორთა ას ოცი სალიქტორი წკეპლის კონა მოჩანდა, - ბრძანებს პლუტარქე. კეისარმა ყველა მათგანი იმედებითა და და საჩუქრებით გაავსო და ისე გამოისტუმრა.

ჩემი ღრმა რწმენით, მთლიანობაში, ეს იყო კეისრის საბოლოო გამარჯვების მიზეზი. იგი მუდმივად, ყოველდღიურად, ყოველწამიერად, პერმანენტულად მუშაობდა მისი განუმეორებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

ტრიუმვირატის წევრებს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმადაც მომავალ არჩევნებში პომპეუსი და კრასუსი კონსულობას მოითხოვდნენ, რისთვისაც კეისარი მათ თავის ჯარისკაცებს გამოუგზავნიდა, რათა მათ ხმა მიეცათ მათთვის არჩევნებისას. ამის შემდეგ მათ ხელში უნდა ჩაეგდოთ პროვინციისა და ჯარის უფროსობა, ხოლო კეისრისათვის შემდგომი ხუთი წლით უნდა გაეგრძელებინათ იმ პროვინციებისა და მხედრობის გამგებლობის უფლებამოსილება, რომელთა სათავეშიც იგი ახლა იმყოფებოდა. ცხადია ამ შეთანხმების დეტალები მალე ყველასთვის გახდა ცნობილი და სახალხო კრების მიმდინარეობისას ეს ამბავი ხმამაღლა გაცხადდა ერთ-ერთი სენატორის მიერ, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველამ, უფრო სწორად, სწორედ ამის გამო, ყველამ უარი განაცხადა კონსულის თანამდებობის მოთხოვნაზე, გა-

რდა ერთისა, რომელიც კატონის წაქეზებით ამ თანამდებობის დაკავებაზე პრეტენზია გამოთქვა. მაგრამ პომპეუსის მომხრეებმა ნება არ მისცეს მას ფორუმზე გამოცხადებულიყო და ფორუმისკენ მიმავალს ერთი მხლებელი მოუკლეს, ხოლო კატონს, რომელიც იქვე იყო, ჭრილობა მიაყენეს. გარდა ამისა,უკვე კონსულად არჩეულმა პომპეუსმა, კატონის პრეტორად არჩევის პროცესი ჩაშალა ავის მომასწავებელი ნიშნების (?) მომიზეზებით.

ამის შემდეგ, ახლადარჩეულმა კონსულებმა ზუსტად ის კანონები გაატარეს, რაზედაც კეისართან შეთანხმდნენ. კერძოდ, კეისარს კვლავ ენიჭებოდა ხუთი წლით საგამგებლო უფლება, კრასუსს ეძლეოდა სირია და პართების წინააღმდეგ ლაშქრობის მეთაურობა, ხოლო პომპეუსს - მთელი ლიბიის (ანუ აფრიკის, როგორც მას იმ დროისათვის უწოდებდნენ - თ.ა.), ორივე ესპანეთის (ანუ, ლუზიტანია და ბეტიკა - აკ. ურუშაძე) საგამგებლო უფლება და მასვე გადაეცა ჯარისკაცთა ოთხი ლეგიონი. აქედან ორი ლეგიონი პომპეუსმა დაუთმო კეისარს, რომელიც მან გალიის ომისთვის მოითხოვა, - გადმოგვცემს პლუტარქე.

როგორც ვხედავთ დემოკრატიული რომი თანდათან, სისხლისმღვრელი ომების შედეგად, მიექანებოდა დიქტატურისკენ, რასაც პრაქტიკულად დე ფაქტო, ლუციუს კორნელიუს სულამ დაუდო სათავე და, დე იურე, ოქტავიან ავგუსტუსმა გააფორმა. ეს პროცესი ძვ. წ. მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და პირველი საუკუნის ბოლოსათვის დამთავრდა და სწორედ ამ პერიოდმა წარმოშვა ეს უდიდესი პიროვნებები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში.

ამასთან დაკავშირებით ერთი გენიალური შეგონება ღირს გახსენებლად, - **„ისტორიული სიტუაციას რა ვუთხრა, თორემ რამდენი „ნაპოლეონი“ უსარგებლოდ ცდება კაზარმებში!“** და,

მართლაც, გამორჩეულ ადამიანებს წარმოჩენის საშუალებას სწორედ ისტორიული სიტუაცია აძლევს და, ვინ იცის, რამდენი წავიდა ამ ქვეყნიდან, თავის გამოჩენის საშუალება რომ არ მიეცა შესაბამისი ისტორიული სიტუაციის არქონის გამო. ამ პერიოდის რომის ისტორიისათვის ისიც არის დამახასიათებელი, რომ მათ საომარ ასპარეზზე გამარჯვებებით უნდა მოეპოვებინათ იმის უფლება, რომ დიქტატურის პრეტენზია გაენეცხადებინათ. ამ პროცესს გაიუს მარიუსმა დაუდო სათავე, რომელმაც ჯარზე დაყრდნობით და, ცხადია საოცარი გამარჯვებებით კიმბრების უზარმაზარ ტომებზე, ყველას დაანახა, რომ ვინც ჯარს მეთაურობს, მხოლოდ მას გააჩნია რეალური ძალაუფლება, რომელიც წარმატებით გაუმკლავდება სენატის ძლიერებას, მითუმეტეს, თუ იმავდროულად კონსულის თანამდებობასაც მოიპოვებს. სწორედ ამიტომ ხდებოდა ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია, **- მუდმივ შინაომებში ჩართულმა რომის იმპერიამ ყველაზე დიდ ძლიერებას სწორედ ამ პერიოდში მიაღწია (!).**

როგორც ირკვევა, პომპეუსს იმდენად უყვარდა თავისი მესამე ცოლი, კეისრის შვილი იულია, რომ მთელ დროს მასთან ერთად ატარებდა, ხოლო საგამგებლო ოლქებსა და ჯარებზე უფროსობა თავის ერთგულ ლეგატებს გადაულოცა. მაგრამ მისი იდილიური ყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა, - იულია მშობიარობას გადაყვა, ხოლო დედის სიკვდილის შემდეგ არც ბავშვს უცოცხლია დიდხანს. ამან, ის საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც პომპეუსსა და კეისარს შორის ურთიერთობას გარკვეულწილად კეთილსასურველ ჩარჩოებში აქცევდა, დაარღვია. ამასთან ერთად პართების ომში კრასუსი დაიღუპა, რაც ავტომატურად პირველი ტრიუმვირატის დაშლას ნიშნავდა და პოლიტიკური ბრძოლების ავანსცენაზე ორი უმთავრესი მონაწილე დარჩა, რომელთა შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ერთ-ერთი უნდა დამარცხებულიყო და ცოცხალი, თუ მკვდარი, პოლიტიკური ბრძოლის

თეატრიდან სამუდამოდ უნდა გამქრალიყო. რატომ არგუნა ეს ხვედრი მაინცდამაინც პომპეუსს, ჩვენ ამის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

პლუტარქე დიდებულად შენიშნავს, რომ - „ღმერთები რომ ღმერთებია, მათაც კი გაყვეს სამყარო სამ ნაწილად, - **ზესკნელი ერგო ზევსს, ქვესკნელი - ჰადესს, ხოლო გარესკნელი კი პოსეიდონს** (პოსეიდონის სიტყვები; „ილიადა“, XV,189.) და ამ ორმა ადამიანმა რატომ ვერ მოახერხეს ამხელა იმპერიის ორად გაყოფაო.“

საოცარმა შიშმა და ანარქიამ დაისადგურა რომში. ყველას იმის შიში ჰქონდა, რომ დიქტატურა დამყარდებოდა ქვეყანაში. კატონმა, იმის შიშით, რომ პომპეუსს ძალა არ ეხმარა, გადაწყვიტა მისთვის კანონით შეზღუდული გამგებლობის უფლება მიეცათ. სენატმა ეს წინადადება მიიღო და გადაწყვიტა კონსულად ერთპიროვნულად პომპეუსი აერჩიათ (**Consul sine college**).

აქ ერთი საგულისხმო მომენტზე ხაზგასმით უნდა შევჩერდეთ და დიდებული რომაელის, კატონის შესახებ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი სენტენცია მოვიყვანოთ. როდესაც პომპეუსი ერთპიროვნულ კონსულად აირჩიეს (ძვ.წ. 51წ.), იგი ალერდიანად მიესალმა კატონს და მიმართა, - „დიდად ვარ დავალებული შენგანო“ და სთხოვა, მისი პირადი მრჩეველი ყოფილიყო თანამდებობის აღსრულების მთელი პერიოდის განმავლობაში. კატონმა უპასუხა, რომ იგი არაფრით არ იყო მისგან დავალებული და, რაც თქვა, ქალაქის გულისთვის თქვა და არა მისი ხათრით. რაც შეეხება პირად მრჩევლობას, - „თუ მომმართავ, გემსახურები და, თუ არ მომმართავ, საჯაროდ მაინც განვაცხადებ იმას, რაც, ჩემი აზრით, სასარგებლო იქნებაო.“

ის, რაზეც ახლა უნდა შევჩერდეთ, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითქმის უცვლელად უნდა მოვიყვანოთ პლუ-

ტარქეს მონათხრობიდან, რადგან, ძალზე დიდი ალბათობით, ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს პომპეუსის არა მხოლოდ დამარცხებისა, არამედ მისი ტრაგიკული დასასრულისაც.- „როცა მამაკაცს ცოლად მოჰყავს ქალი, რომელიც მის შვილს უფრო შეეფერება, ვიდრე მას, ასეთი ნაბიჯი მისგან დროისა და ენერგიის იმდენად დიდ, ქვეყნისათვის საზიანო და მისთვის კი სრულიად უსარგებლო დანახარჯებს მოითხოვს, რომ როგორც წესი, სრულიად სავალალოდ მთავრდება როგორც ქვეყნისათვის, ასევე, პირველ რიგში, მისთვის.“

შემოვიდა თუ არა რომში, პომპეუსმა ცოლად შეირთო **მეტელუს სციპიონის ასული კორნელია**, - კრასუსის ვაჟის ქვრივი, რომელიც, ისევე როგორც მამამისი, პართების წინააღმდეგ ომში დაიღუპა. ეს ახალგაზრდა ქალი, გარდა იმისა, რომ მოხდენილი და ლამაზი იყო, შესანიშნავად იყო გაწაფული მხატვრულ სიტყვიერებაში, ჩანგზე დაკვრასა და, რაც ძალზედ ნიშანდობლივია, გეომეტრიაში. მას უყვარდა ფილოსოფოსთა საუბრის მოსმენაც და ამ საუბრებიდან სასარგებლო დასკვნების გამოტანა. და, ამის მიუხედავად, იგი თავისუფალი იყო იმ უსარგებლო პატივმოყვარეობისაგან, რაც ამგვარი განათლების მქონე ახალგაზრდა ქალებს ახასიათებთ, - გადმოგვცემს პლუტარქე და იქვე დასძენს, რომ უბრალო ხალხს არ მოსწონდა ეს ქორწინება ცოლ-ქმრის ასაკის დიდი სხვაობის გამო. უფრო გონიერი ხალხი კი ფიქრობდა, რომ პომპეუსი აღარ ზრუნავდა უმწეო მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოზე და საქორწინო მსხვერპლშეწირვებს მართავდა.

ხალხის ასეთი რეაქცია მის საქციელზე, გასაკვირი არ უნდა იყოს, - როცა საჯარო პიროვნება ხარ, ხალხისთვის შენი თითოეული საქციელი განსჯისა და ჭორების დაუსრულებელ წყაროს წარმოადგენს, შესაძლოა ხშირად უსამართლო, მაგრამ არც თუ იშვიათად, - სამართლიანიც.

დიდი გულისწყრომა და გაკიცხვა დაიმსახურა პომპეუსმა

ბრალდებულ პირთა მიმართ ე.წ. **შერჩევითი სამართლის განხორციელებისათვის.** როცა საკითხი საკუთარ სიმამრს ეხებოდა, სახლში გამოიძახა სამას სამოცივე (?) მოსამართლე და მათ დახმარება სთხოვა. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ თავად აკრძალა სასამართლოში მიცემული პირების ქება-დიდება, თავად გამოვიდა ერთ-ერთი ბრალდებულის ხოტბით!

როგორც ჩანს, ორი ათასი წლის მანძილზე სასამართლო სისტემაში ბევრი არაფერი შეცვლილა და, მაინც და მაინც დიდ ბრალდებად ამას პომპეუსს ვერ წავუყენებთ, მითუმეტეს, რომ პომპეუსმა მოაწესრიგა მექრთამეობის და თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული მართლმსაჯულების საქმეები და შეადგინა კანონები, რომელთა მიხედვითაც სასამართლო მოქმედებდა. აქ იგი დიდი სიდინჯითა და გულწრფელობით არჩევდა საქმეებს, - გადმოგვცემს პლუტარქე.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პომპეუსი შეიარაღებული ხალხით გარშემორტყმული ხელმძღვანელობდა სასამართლო სხდომებს და ამის შემწეობით მოსამართლეების უშიშროებას, სრულ სიწყნარესა და წესრიგს უზრუნველყოფდა. წარმოგიდგენიათ, თუ პომპეუსი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, მაშინ რა უნდა მოვთხოვოთ რიგით მოსამართლეებს, გნებავთ მაშინ და, გნებავთ დღეს, რადგან მოსამართლეთა სიცოცხლეს დღესაც არანაკლები საფრთხე ემუქრება, ვიდრე მაშინ.

ამ ამბებთან ერთად, თანდათან იწყება კეისარსა და პომპეუსს შორის სიტუაციის დაძაბვა. კეისრის მომხრეებმა მოითხოვეს მისთვის ან კონსულობის მიცემა, ან მხედრობის სარდლობის ვადის გაგრძელება, რადგანაც იგი რომაელთა მბრძანებლობის გასაფართოებლად ამდენ ომს აწარმოებდა. პომპეუსი კეისრისთვის კონსულობის მიცემაზე თანახმა იყო, მაგრამ კატონმა სასტიკად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, მისი აზრით კეისარს, მხოლოდ, როგორც ჩვეულებრივ მოქა-

ლაქედ ქცეულს, შეეძლო მოეთხოვა ხალხისგან ეს პატივისცემა. ცხადია პომპეუსი კატონის ამ წინადადების წინააღმდეგ არ წასულა. უფრო მეტიც, ის ლეგიონები, რომლებიც პართებთან ომის წარმოების საბაბით კეისარს დაუთმო, უკან მოითხოვა და იმის მიუხედავად, რომ კეისარმა კარგად იცოდა, რისთვისაც ხდებოდა ეს, მან ჯარისკაცები გულუხვად დაასაჩუქრა და პომპეუსს დაუბრუნა.

ჩვენი მიზნებისათვის ძალზე საინტერესო ორ ფაქტს უსვამს ხაზს პლუტარქე. პირველი ის, რომ, როდესაც ნეაპოლში პომპეუსი მოულოდნელად მძიმედ გახდა ავად და შემდეგ გამოკეთდა, რის აღსანიშნავადაც ნეაპოლელებმა, სახელოვანი ბერძენი აქიმის, **პრაგსაგორას** რჩევით სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს, მათ მაგალითს მეზობლად მდებარე სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლებმაც მიბაძეს და მალე სამადლობელი მსხვერპლის შეწირვა მთელს იტალიას მოედო, ხოლო რომში დასაბრუნებელ მთელ გზაზე, პომპეუსის შესახვედრად გამოსული, ხალხი გვირგვინებით შემკული და აბრიალებული ჩირაღდნებით ხელში მიაცილებდა და ყვავილებს აყრიდა. ყველაფერი ეს იმდენად ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდა, რომ ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, თუ რას განიცდიდა პომპეუსი ამ დროს.

მეორე ფაქტი კი ის გახლდათ, რომ რომში ჩამოვიდა ლეგატი აპიუსი, რომელმაც ჩამოიყვანა გალიიდან ის მხედრობა, რომელიც პომპეუსმა თავის დროზე კეისარს დაუთმო. იგი ყველანაირად ცდილობდა დაემცირებინა კეისრის წარმატებები, რომელიც მან გალების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში მოიპოვა. აპიუსი ისე ლანძღავდა კეისარს და ისე აგდებით ლაპარაკობდა მასზე, რომ შეუძლებელია ოდნავ მაინც საღად მოაზროვნე ადამიანს ეჭვი არ შეპარვოდა მისი სიტყვების ობიექტურობაში. მართლაც, ჯერ ერთი, როგორც უკვე ითქვა, კეისარმა საკმაოდ ხელგაშლილად დაასაჩუქრა პომპეუსთან გა-

გზავნილი მხედრობა და, ამდენად, ისინი მისი მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ და ძნელი დასაჯერებელია, რომ მასზე აუგს იტყოდნენ; და მეორეც, - ვის-ვის და კეისარს არ შეეშლებოდა ისეთი სარდალი დაენიშნა მათ წინამძღოლად, რომელიც მისი ერთგული იქნებოდა და მისი ნება-სურვილით იმოქმედებდა, ხოლო თუ სარდლად პომპეუსის ლეგიონებიდან უნდა დაეყენებინა, მაშინ პომპეუსისადმი ერთგულებით გამორჩეულს დააყენებდა, რათა რაც შეიძლება მეტად დაემცირებინა კეისარი. ამდენად, ძალზე სავარაუდოა, რომ აპიუსი ასე კეისრის დარიგებით იქცეოდა, თუ კი კეისრის მხარეს იყო. თუმცა შესაძლოა აპიუსი ამას „გულწრფელად" ამბობდა. მლიქვნელობაში დახელოვნებულმა ადამიანებმა კარგად იციან რისი გაგონება სურს სუზერენს. იგი არწმუნებდა პომპეუსს, რომ ის არ იცნობს კარგად თავის ძალასა და სახელს, ვინაიდან კეისართან შერკინებას სხვა იარღით ცდილობს მაშინ, როდესაც კეისრის დამარცხება მისივე მხედრობით შეიძლება. ამისათვის საკმარისია პომპეუსის მხოლოდ გამოჩენა იქ, რადგანაც იქაურ მეომრებს მეტად სძულთ კეისარი და პომპეუსის სიყვარულით არიან ანთებულიო.

ამ ორმა გარემოებამ პომპეუსს სრულიად დააკარგვინა ობიექტურობის გრძნობა. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - პომპეუსის გულში სიამაყემ დაისადგურა. ამან და უსაზღვრო სიხარულმა პომპეუსს სახელმწიფო საქმეებში საღი აზროვნების უნარი წარსტაცა. მან დაივიწყა ის სიფრთხილე, რომელიც მის წარმატებასა და საქმეებს საშიშროებისაგან იცავდა და გადაჭარბებით გამბედავი გახდა. იგი ისეთი ათვალწუნებით უყურებდა კეისარს, თითქოს მის წინააღმდეგ არც იარაღი სჭირდებოდა და არც განსაკუთრებით თავის გამოდება.

ამ დროს კი კეისარი თავის ნაცად ხერხს კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით იყენებდა. იგი რომში განუწყვეტლივ აგზავნიდა ჯარისკაცებს მმართველთა არჩევნებში მონაწილეობის

მისაღებად და ფულის დახმარებით ჩუმ-ჩუმად მაღალი თანამდებობის პირთა მოსყიდვას ახერხებდა. მაგალითისთვის, ძვ.წ. 50 წელს კონსულად მყოფი **ლუციუს ემელიუს პაულუსი,** კეისარმა ათას ხუთას ტალანტად მოისყიდა, ხოლო სახალხო ტრიბუნი **კურიონი** უზარმაზარი ვალებიდან ამოიყვანა, ისევე როგორც **მარკუს ანტონიუსი,** რომელიც კურიონის მეგობარი და მისი ვალების განუყრელი მონაწილე იყო, - ბრძანებს პლუტარქე.

ერთიც კია, რომ კურიონის ყველა მოთხოვნა, რაც კეისრის სასარგებლოდ იყო წამოყენებული, გარკვეული აზრით სამართლიანი იყო და ხალხის საერთო აზრსაც გამოხატავდა. კერძოდ, იგი მოითხოვდა, ან პომპეუსისთვისაც ჩამოერთმიათ სარდლობა, ან, არც კეისრისთვისაც მოეხსნათ იგი. ამით ძალთა თანაფარდობა არ დაირღვეოდა. საბოლოოდ სენატმა კურიონის იმ მოთხოვნას დაუჭირა მხარი, რომლითაც ორივეს უნდა დაეყარა იარაღი და სარდლად არც ერთი არ ყოფილიყო. კონსულმა **მარცელიუსმა,** რაკი დაინახა, რომ კურიონმა თავისი გაიტანა, მთელი სენატის თანხლებით, რომელთაც მოსალოდნელი უბედურების ნიშნად ძაძებით შეიმოსეს ტანი, ფორუმი გაიარა და პომპეუსს მიმართა (პომპეუსი მაშინ, როგოც ჯარის უფროსი, სენატში ვერ იქნებოდა), რომ სამშობლოს დასახმარებლად ჯარები შეეკრიბა. პომპეუსმა ყურად იღო სენატის თხოვნა და ჯარის შეგროვება დაიწყო. ამ დროს ანტონიუსმა, სენატის წინააღმდეგობის მიუხედავად ხალხის წინაშე წაიკითხა კეისრის წერილი, სადაც იგი მოითხოვდა, რომ თვითონაც და პომპეუსიც გამოსულიყვნენ მათდამი დაქვემდებარებული პროვინციებიდან, მასაც და პომპეუსსაც დაეშალათ მხედრობა, ხალხის წინაშე გამოსულიყვნენ და თავიათი საქმიანობის ანგარიში ჩაებარებინათ. **ლენტულუსმა,** რომელიც უკვე კარგა ხნის კონსული იყო, კეისრის წინადადების განსახილველად სენატი არ შეკრიბა. ციცერონი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო კილიკიიდან, თავგამოდებით ცდილობდა

პომპეუსი და კეისარი შეერიგებინა, მაგრამ მრავალი ცდის მიუხედავად, რომლის ჩამოთვლასაც აქ არ შევუდგებით, შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. მაინც მგონია, რომ ეს ორი უზარმაზარი პიროვნება პირისპირ რომ შეხვედროდა ერთმანეთს, ალბათ შეთანხმების მიღწევის შანსი უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ, ... აქ ერთი სერიოზული „მაგრამ" უნდა გავიხილოთ.

თუ დაკვირვებიხართ რა ხდება, როდესაც ადამიანები რაღაც მიზეზის გამო ერთად იკრიბებიან, რაც განსაკუთრებული ხაზგასმით გარდაცვლილის გასვენებისას ჩანს, როცა სამუდამო სასუფეველში მიმავალ გზაზე გაცილების წინ, მისი და მისი ოჯახის ნაცნობ-მეგობრები იკრიბებიან, რათა უკანასკნელად სცენ პატივი გარდაცვლილის ხსოვნას. ის, თუ რა რაოდენობით მოვა ხალხი გასვენებაში, ეს მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების იერარქიაში გარდაცვლილის წონასა და ადგილზეა დამოკიდებული. თუ ის წონიანია, მაშინ ხალხი ულევ ნაკადად მოდის და საათობით ჩერდება იქ. ამ დროს მათი გარკვეული ჯგუფები იქმნება და ახლად მოსული უმალ ხედავს, ხვდება და გადაწყვეტილებას მომენტალურად ღებულობს, თუ ვინ არის ამ დროს მისთვის ყველაზე უფრო მისაღები და საჭირო. ამ ჯგუფში ყოველთვის არის ერთი, მაქსიმუმ ორი (უფრო ორი, რათა თავის ტოლს ესაუბროს, სხვებმა კი უსმინონ და შიგა და შიგ, როგორც დიდი მოწყალება, ერთი სიტყვის ჩართვის უფლება მისცენ) ფორმალური, თუ არაფორმალური ლიდერი, რომლის გარშემოც ახლადმოსულები იკრიბებიან. მაგრამ ამ ჯგუფთან მისვლა ყველას არ შეუძლია, ან თუ შეუძლია, მხოლოდ მისვლა, მისალმება და უკან წამოსვლა, მაგრამ დარჩენა კი არა. ისინი ვინც „ვერ დარჩნენ," ახალ ჯგუფებს ქმნიან და იქაც არის თავისი ლიდერი, რომლის გარშემოც იერარქიული დონის უფრო დაბალ საფეხურზე მყოფნი იკრიბებიან. ყოველი ახლადმოსული, მას შემდეგ რაც ჭირისუფალს პატივს მიაგებს, ჯერ შეხედავს, მიესვლება თუ არა

ყველაზე მაღალ იერარქიულ ჯგუფთან და, შეუძლია თუ არა იქ დარჩენა და, ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან მეორდება. ამის პარალელურად, ყველა ერთად აღებული, გაფაციცებით ადევნებს თვალს, - ვინ რომელ ჯგუფთან მივიდა, გაჩერდა, თუ იქ დარჩა და ა.შ., რის შედეგად ქვეცნობიერში ფიქსირდება ამ ადამიანის პოლიტიკურ-ფინანსური წონა. განსაკუთრებით საინტერესოა ორი „ერთნაირი წონის მქონე ლიდერის“ ქცევა, როდესაც ერთი მოსულია უკვე და მეორე მერე მივიდა, ან ორივე პრაქტიკულად ახლად მისულია და ჯერ მათ გარშემო ჯგუფები არ შექმნილა. ვინ მივა ვისთან? ეს არქიმნიშვნელობის მქონე მომენტია, რომელიც ხაზგასმით განსაზღვრავს შენს წონას საზოგადოების იერარქიულ კიბეზე. ამ დროს უნებურად გახსენდება ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივად აღწერს მიზიდულობის სიდიდეს და არაფერს არ ამბობს და, ვერც ვერავინ გვეუბნება, თუ რა ინვევს ამ ძალებს. და, თუ ეს საკითხი ფიზიკაში დღესაც გაურკვეველია, ადამიანთა საზოგადოებაში ამ ძალების ბუნება ცალსახად გარკვეულია, - რაც უფრო მაღლა დგას ძალაუფლების იერარქიულ საფეხურზე პიროვნება, მით უფრო მეტი ადამიანი იყრის თავს მის გარშემო, რაც პლანეტარული მოდელის ანალოგიურ სურათს ქმნის, თუმცა აქაც არის ერთი მაგრამ! თუ ხალხს, უბრალო, რიგით ხალხს, არ უყვარხარ, მაშინ შენს გარშემო მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც ბელადის ერთი შეცდომა და ისე გაწირავენ, როგორც დამშეული მგლების ხროვა დაესევა სასიკვდილოდ განწირულ დაუძლურებულ ბელადს.

თხრობის ძირითადი ხაზიდან ასეთი გადახვევა იმის ასახსნელად დამჭირდა, რომ მეჩვენებინა ციცერონის მცდელობის მთელი უპერსპექტივობა, რადგან პომპეუსის და კეისრის დაზავება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი პირადად მოილაპარაკებდნენ, რისთვისაც ისინი ერთმანეთს უნდა პირისპირ შეხვედროდნენ, მაგრამ,

რადგანაც ორივეს საკუთარი თავი უპირველესად მიაჩნდა მთელს იმპერიაში, რაც არც ერთის მხრიდან საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ იყო, არც ერთი არ გადადგამდა ერთი ნაბიჯით მეტსაც კი, მეორესთან შესახვედრად. პომპეუსი ცხადია იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა შეხვედრას, თუკი კეისარი რომში (უფრო სწორედ რომის შემოგარენში, რადგან ორივე ჯარების სარდალი იყო და კანონის თანახმად მათ რომში შესვლის უფლება არ ჰქონდათ) ჩავიდოდა, რაზედაც, ცხადია კეისარი არ დათანხმდებოდა, ჯერ ერთი, საკუთარი უსაფრთხოების მომიზეზებით, მაგრამ სინამდვილეში კი იმის გამო, რომ მას პომპეუსზე არანაკლებად მიაჩნდა თავი და ის პომპეუსს ვერ ეახლებოდა, რადგან ჩათვლიდა, რომ ამით პომპეუსის უპირატესობა აღიარა, ხოლო ეს უკანასკნელი მითუმეტეს არ შეხვდებოდა კეისარს რომის გარეთ, რომ იგი კიდევ უფრო მეტად იყო დარწმუნებული, რომ კეისარზე მეტი იყო. ამ დროს ისინი არად დაგიდევდნენ იმას, რომ ამას სამოქალაქო ომი მოყვებოდა. მათთვის ეს არ იყო მთავარი და გადამწყვეტი. მთავარი იყო მათი ღირსება (?) არ შელახულიყო.

კეისარი სულ სამასი ცხენოსნით და ხუთი ათასი ქვეითი ჯარისკაცით გამოემართა რომისკენ, აღარ დაუცადა ძირითადი ძალების ჩამოსვლას, რომლებიც ალპებს გადაღმა იმყოფებოდნენ, რათა მოწინააღმდეგისათვის არ მიეცა დრო მომზადებისათვის და ანაზდეულად დასცემოდა მას.

არ ვიცი, რამდენად შეესაბამება პლუტარქეს სიტყვები სინამდვილეს, მაგრამ, როგორც იგი გადმოგვცემს, გავრცელდა თუ არა ეს ამბავი, შეძრწუნებული რომი ისეთმა მღელვარებამ და შიშის ზარმა მოიცვა, როგორიც არასდროს. იქ ხომ ძლევამოსილი პომპეუსი იყო, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი ხმლის უძლეველობა და რატომ უნდა მოეცვა რომი ასეთ პანიკურ შიშს, მართლა გაუგებარია. უნდა ვიფიქროთ რომ ეს პანიკა შეგნებულად იყო გამოწვეული კეისრის მომ-

ხრეების მიერ და მათი საერთო გეგმის ნაწილს წარმოადგენდა.

აქაც იგივე უნდა ვთქვათ, რასაც კეისრის შესახებ ცალკე თხრობისას უფრო დეტალურად ვიტყვით. როდესაც კეისარი მიადგა პატარა მდინარე **რუბიკონს**, რომელიც საზღვრავდა მისთვის საგამგებლოდ გადაცემულ მხარეს, იგი შეჩერდა და, უნდა ვივარაუდოთ, საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა მის მიერ წამოწყებული უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი ავანტურის შესაძლო შედეგებზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ყოყმანს მის მიერ წინა ღამით ნანახი საშინელი სიზმარიც განაპირობებდა, როგორც ამის შესახებ პლუტარქე მისი ცხოვრების აღწერისას შენიშნავს. ასეა, თუ ისე, იგი ფიქრებიდან გამოერკვა და იქ მყოფთ ბერძნულად შესძახა, - **„ანერიფთო კიბოს“** - **„არჩევანი გაკეთებულია!“**, - გნებავთ, - **„წილი ნაყარია!“**, რაც ლათინურად ასე გამოითქმის, - **„Alea iacta est!“**

თითქმის მთელი იტალია ფეხზე დადგა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ქალაქგარეთ მცხოვრებნი რომისკენ გარბოდნენ, ხოლო რომში მცხოვრებნი კი ქალაქიდან გარბოდნენ. პომპეუსს ყოველი მხრიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოსდიოდა და ამიტომ ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. ამ არეულობისას, რომელიც მას წინასწარ უნდა განეჭვრიტა, თუკი გამარჯვება უნდოდა ყველაზე საშიშ პოლიტიკურ მოწინაღმდეგეზე, მისი მხრიდან ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ მან ორგანიზება ვერ გაუკეთა მალემსრბოლელთა ინსტიტუტს, რათა მონაჭორებით კი არ ეხელმძღვანელა გადაწყვეტილებების მიღებისას, არამედ ობიექტური ინფორმაცია ჰქონოდა კეისრის გადაადგილებებისა და ჯარის რაოდენობის შესახებ. მას რომ ეს სცოდნოდა, ვინ იცის გახდებოდა თუ არა ოქტავიან ავგუსტუსი იმპერატორი!

ბოლოს გამოცხადდა, რომ სენატის მთელ შემადგენლობას ქალაქი უნდა დაეტოვებინა და პომპეუსს გაჰყოლოდა, ხოლო

ვინც ქალაქში დარჩებოდა, ის კეისრის მომხრედ და, შესაბამად, მოღალატედ გამოცხადდებოდა.

გასაკვირზე გასაკვირი გადაწყვეტილებაა! ზოგჯერ ადამიანები იმდენადვე დიდ შეცდომას უშვებენ, რამდენადაც თავად არიან დიდები. როგორ არ უნდა სცოდნოდა პომპეუსს რამდენი ჯარისკაცით მოდიოდა რომისკენ კეისარი და გინდაც არ სცოდნოდა, თავად ხომ სულ ცოტა ორი ლეგიონი ჰყავდა? და, როგორც სამხედრო სტრატეგიიდან არის ცნობილი, ქალაქის დამცველებს უფრო ნაკლები ძალით შეუძლიათ გაცილებით მეტი მტრის შეჩერება და თავდამსხმელთა რაოდენობის სულ ცოტა სამჯერ რიცხობრივად მეტი ჯარის გამკლავება.

კეისარი რომში უბრძოლველად შევიდა, მაგრამ იქ სულ რამდენიმე დღე დაჰყო, ხაზინიდან იმდენი ფული აიღო, რამდენის სჭირდებოდა (?) და პომპეუსს დაედევნა.

როგორც პლუტარქე ბრძანებს, - პომპეუსი ამასობაში ადრეატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ **ბრუნდიზიუმში** გამაგრდა და აქ მრავალი ხომალდი მოიმარაგა. მერე ამ ხომალდებზე ოცდაათი კოჰორტის თანხლებით კონსულები შესხა სასწრაფოდ და წინასწარ, იქვე ახლოს მდებარე, ქალაქ **დირაქიუმში** გაგზავნა; თავისი სიმამრი სციპიონი და ვაჟი გნეუსი კი ფლოტის მოსამზადებლად სირიაში გაუშვა. ამის შემდეგ პომპეუსმა ქალაქის კარიბჭენი ჩახერგა, მთელი ქალაქი შიგნით თხრილებით გადასერა და ვიწრო შუკები, გარდა ორისა, რომელთა მეშვეობით იგი ზღვის სანაპიროზე გავიდა, მაღალი სარებით ჩაკეტა. მესამე დღეს ყველა დანარჩენი ჯარი მას უკვე ხომალდებზე ჰყავდა, რის შემდეგაც პომპეუსმა კედლების მცველებს ნიშანი მისცა და, სანაპიროზე სწრაფად გადმოსულნი, ისინიც ხომალდებზე აიყვანა და ზღვაში გავიდა. ანუ, პომპეუსი ამდენი საფორთიფიკაციო ნაგებობების აგების შემდეგ, შეიძლება ითქვას, ქალაქიდან გაიპარა.

ამის თქმას ნამდვილად ვერ გავბედავდი, რომ არა ისეთი დიდი მხედართმთავრის დამოწმება, როგორიც კეისარია. კეისარს ძალიან უკვირდა, რომ პომპეუსმა იტალიას თავი მიანება და მაშინ დატოვა, როცა ეგზომ გამაგრებული ქალაქი ეკავა, ესპანეთიდან ჯარებს ელოდებოდა და ზღვაზე ბატონობდა.

პლუტარქეს არანაირი არგუმენტი არ მოყავს პომპეუსის ასეთი სტრატეგიის ასახსნელად. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ციცერონიც აგრეთვე ბრალად სდებდა პომპეუსს იმაში, რომ იგი უფრო მეტად **თემისტოკლეს** სალაშქრო მოქმედებას ჰბაძავდა, ვიდრე **პერიკლესას**, თუმცა მისი მდგომარობა თემისტოკლესას კი არა, სწორედ პერიკლეს მდგომარეობის მსგავსი იყო. ცნობისათვის, **თემისტოკლე (524-459 წწ. ძვ.წ.)**, რომელიც ანტიკური ხანის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე იყო, ბერძენთა მიერ სპარსელებთან ომის დროს, გადამწყვეტი ბრძოლა მათ წინააღმდეგ ხმელეთიდან ზღვაზე გადაიტანა, რამაც გადამჭრელი როლი ითამაშა სპარსელთა მეფის, **ქსერქსეს** წინააღმდეგ ბრძოლაში **ძვ.წ. 480 წელს**. ამის საპირისპიროდ **პერიკლემ, (494-429 ძვ.წ.)**, რომელიც ანტიკური ხანის ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის უდიდესი წარმომადგენელი იყო, **ძვ. წ. 445-430 წწ., პელეპონესის** ომის დროს, ომის წარმოება ზღვიდან ხმელეთზე გადაწყვიტა.

პომპეუსის ასეთი ქცევა, თუ მის ზემოთ ხსენებულ დამოკიდებულებას გავიხსენებთ კეისრისადმი, შიშით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. უფრო სავარაუდოა, რომ მას არ უნდოდა სამოქალაქო ომი რომის ფარგლებში, უფრო მეტიც, იტალიის ტერიტორიაზე, გამართულიყო. ამის თქმის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ ბოლოს და ბოლოს პომპეუსის ყურამდე მივიდოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მცირერიცხოვანი ჯარით შემოვიდა რომში კეისარი.

პრაქტიკულად მთელი იტალიის მბრძანებელი ისე გახდა კეისარი, რომ წვეთი სისხლი არ დაუღვრია და ყველაფერ ამას სულ

სამოცი დღე დასჭირდა. აქ პლუტარქეს ერთი შენიშვნა არის დამაბნეველი. იგი ბრძანებს, რომ კეისარმა სულ მალე გამოამჟღავნა საქმით, რომ დროის გაჭიანურებისა ეშინოდა. როცა პომპეუსის მეგობარი, ვინმე **ნუმერიუსი** ტყედ ჩაუარდა, მაშინვე გაგზავნა იგი ბრუნდუზიუმში, რათა მისი მეშვეობით დაზავება მოეთხოვა თანაბარ პირობებში. როგორც ჩანს პომპეუსს ასეთი პირობები არ აწყობდა და ნუმერიუსი ამ უკანასკნელთან ერთად გავიდა ზღვაში. თუ კეისარს დროის გაჭიანურების ეშინოდა, როგორც ამას პლუტარქე ბრძანებს, რაც საფუძველს არ უნდა ყოფილიყო მოკლებული, თუ კი მისი ჯარის ძირითადი ნაწილი ესპანეთიდან ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული, მაშინ კეისრის შიში გასაგებია, მაგრამ მაშინ გაუგებარია პომპეუსის ქმედება, რატომ არიდებდა თავს გადამწყვეტ ბრძოლას, მითუმეტეს, თუ რაოდენობრივად კეისარზე მეტი ჯარი ჰყავდა. რა ხდებოდა პომპეუსის სულში? ავი წინათგრძნობა ხომ არ იყო, თუ ასაკით გამოწვეული ზედმეტი სიფრთხილე? მაგრამ არც კეისარი იყო პირტიტველა ყმაწვილი, იგი მხოლოდ ოთხი წლით იყო უმცროსი პომპეუსზე. ერთი წინადადებაც, რომელიც მთლად ლოგიკაში არ ჯდება, - „კეისარმა გადაწყვიტა მაშინვე დადევნებოდა პომპეუსს, მაგრამ რაკი ხომალდები არ ჰყავდა, გეზი შეიცვალა და ესპანეთს მიაშურა იმ განზრახვით, რომ პომპეუსის იქაური ჯარები თავის მხარეზე გადაებირებინა."

თუ ყურადღებით გავიაზრებთ ამ წინადადებას, დავინახავთ, რომ აქ ლოგიკასთან მთლად კარგად არ უნდა გვქონდეს საქმე. კეისარი ვერ დაედევნებოდა პომპეუსს, რადგან მას ხომალდები არ ჰყავდა და ამდენად ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. რაც შეეხება ესპანეთში ამხელა მანძილზე წასვლას იმის იმედით, რომ პომპეუსის ჯარს გადაიბირებდა, ნაკლებად დამაჯერებელი ლოგიკაა. ამისათვის უკეთეს შემთხვევაში ემისრებს აგზავნიან მოლაპარაკებების გასამართავად, ან საომრად მიდიან და გადმობირება ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი შეიძლება იყოს.

ამ პერიოდში პომპეუსმა თავის გარშემო დიდი ძალები შემოიკრიბა. იგი ხუთას საბრძოლო ხომალდსა და უამრავ მსუბუქ და სადაზვერვო კანჯოს ფლობდა. მისი მხედრობა, რომელიც საუკეთესო რომაელი და იტალიელი ჯარისკაცებისგან შედგებოდა, შვიდიათასს ითვლიდა. ყველანი გვარიშვილობით, სიმდიდრით და ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ. რაც შეეხება ქვეით ჯარს, იგი თავისი შემადგენლობით ჭრელი იყო და გაწვრთანას საჭიროებდა, - ბრძანებს პლუტარქე. პომპეუსი ამ ჯარს მაკედონიის ქალაქ **ბერეაში** ყოფნისას ავარჯიშებდა და ეს ორმოცდათვრამეტი წლის კაცი, ყოველგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობდა და იარაღასხმული ეჯიბრებოდა სხვებს ხან ქვეითად და ხან კი ამხედრებული. პლუტარქეს ეს სიტყვები ძალზე მნიშვნელოვანია პომპეუსის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაგებად. იგი ასეთ გასაოცარ სურათსაც აღწერს, - გაჭენებულ ცხენზე მჯდარი დაუბრკოლებლად იღებდა ხოლმე მახვილს ქარქაშიდან და ასევე ადვილად აბრუნებდა უკან. შუბის ტყორცნაში პომპეუსი ამჟღავნებდა არა მარტო საოცარ სიზუსტეს, არამედ დიდ ღონესაც. იგი ისე შორს ისროდა ხოლმე შუბს, რომ ბევრი ახალგაზრდა ვერ სჯობნიდა.

ასე დაწვრილებით იმიტომ ვიხილავთ ამ პერიოდს, რომ როგორღაც გავარკვიოთ პომპეუსის ტრაგიკული ფინალის ძირითადი მიზეზი. როგორც ვნახეთ, მას ახალგაზრდული შემართება დაკარგული არ ჰქონდა; სულ ნარჩევი მხედრობა ჰყავდა; მასთან თავი მოიყარა სხვადასხვა ტომთა მრავალმა მეფემ და მთავარსარდალმა; ამალა, რომელიც მას ერტყა, ლამის მთელ სენატს უდრიდა; **ტიტუს ლაბიენუსი**, ეს კეისრის ყველაზე სახელგანთქმული ლეგატი და კეისრის უერთგულესი მეგობარი, მიატოვა რა კეისარი, პომპეუსის მხარეს დადგა; მას შეუერთდა ასევე ახალგაზრდა ბრუტუსი, რომელიც პომპეუსს არც კი ესალმებოდა, რადგან მას მამამისის მკვლელად თვლიდა; ციცერონიც კი, რომელიც სულ სხვა რამეს წერდა და სულ სხვა აზრისა იყო, მასაც კი შერცხვა არ შეერთებოდა

იმათ რიცხვს, რომლებიც სამშობლოს გულისთვის განსაცდელში იგდებდნენ თავს, - ბრძანებს პლუტარქე;

აბა მაშინ რა უნდა ყოფილიყო მისი სამარცხვინო მარცხის მიზეზი? კეისრის გენიალობა? თუ განგების ნება? თუ ერთიც და მეორეც? კი, მაგრამ პომპეუსი განგების ნებიერი არ იყო ყოველთვის? და არც კეისარზე ნაკლები წარმატებები ჰქონდა! მაშ რა? სად ვეძებოთ ის ძირითადი მიზეზი, რამაც ასეთ დრამატულ შედეგებამდე მიიყვანა ამ დიდი ადამიანის ცხოვრება?

მივყვეთ პლუტარქეს. პომპეუსის დაჯგუფებამ კიდევ უფრო მეტი სიყვარული დაიმსახურა, როდესაც კატონის წინადადებით სენატის ერთ-ერთ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ მოეკლათ არც ერთი რომაელი ბრძოლის ველის გარეთ და არ გაეძარცვათ რომაელთა ხელქვეით მყოფი არც ერთი ქალაქი.

ალბათ გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კეისარიც ასე მოიქცა, როდესაც ესპანეთში მან პომპეუსის ჯარები დაამარცხა. ტყვედ ჩავარდნილი წინამძღოლები გაანთავისუფლა, ხოლო ჯარისკაცები კი თავის მხედრობას შეუერთა. ამის შემდეგ იგი ისევ გადავიდა ალპებზე, სწრაფად გადაკვეთა იტალია და ზამთრის მზის მოქცევის დროს ბრუნდუზიუმს მიაღწია. აქედან ზღვა გადაჭრა (რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კამპანიის პარალელურად, მისი ბრძანებით ფლოტით აღიჭურვა), შევიდა ილირიის ქალაქ **ორიკოსში** და პომპეუსთან გაგზავნა ტყვედ აყვანილი მისი კიდევ ერთი მეგობარი და მისი პირით შეუთვალა, რომ ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ და მოლაპარაკებიდან მესამე დღეს ორივეს უნდა დაეშალა მხედრობა, მეგობრობის ფიცი დაედოთ და იტალიაში დაბრუნებულიყვნენ, - ბრძანებს პლუტარქე.

პომპეუსმა კეისრის ეს შეთავაზება მორიგ ფანდად ჩათ-

ვალა (ვერ ვიხსენებ კეისრის მხრიდან პომპეუსის მიმართ ჩადენილ რომელიმე ფანდს!- თ.ა.), სასწრაფოდ დაიკავა ზღვის სანაპიროზე თავისი ჯარისთვის მოხერხებული სიმაგრეები და იძულებული გახადა კეისარი გამუდმებული შეტევები განეხორციელებინა პომპეუსის მიერ დაკავებულ სიმაგრეებზე, რათა ჯარისთვის სურსათის მიწოდება არ შეფერხებოდა. ამ შეტაკებებიდან, კეისარი უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა (ესეც გაკვირვებას იწვევს, რადგან შეტევითი ბრძოლა, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ყოველთვის უფრო მეტ დანაკარგებთან არის დაკავშირებული, ვიდრე თავდაცვითი - თ.ა.), თუმცა ერთხელ მისი ჯარი განადგურებას ბეწვზე გადაურჩა,- პომპეუსმა, რომელიც გააფრთებით იბრძოდა, მას ორი ათასი კაცი მოუკლა, მაგრამ რატომღაც მის ბანაკში არ შეიჭრა (ძალ-ღონის გამოლევისა, თუ შიშის გამო, – კეისარს რამე ფანდი არ ჰქონოდა დაგებული? - თ.ა.). ამ ბრძოლის შემდეგ კეისარმა შენიშნა, - **„დღევანდელ დღეს გამარჯვება პომპეუსის მხარეზე იქნებოდა, უკეთუ გამარჯვების შემძლე ჰყოლოდაო.“**

როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, ამ გამარჯვებით ფრთაშესხმული პომპეუსელები ჩქარობდნენ კეისრისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას. პომპეუსის ქცევაში საოცარი ის არის (შესაძლოა პლუტარქე სცოდავდეს თხრობის ობიექტურობაში - თ.ა.), რომ იგი, ერთის მხრივ, ისეთ წერილებს სწერდა უცხო ქვეყნების მეფეებს, სარდლებსა და ქალაქებს, თითქოს უკვე გამარჯვებული ყოფილიყო, ხოლო მეორეს მხრივ იგი ფიქრობდა დროის გაჭიანურებით და მტრისთვის შექმნილი გაჭირვებული მდგომარეობით დაემარცხებინა პირდაპირ ბრძოლებში დაუმარცხებელი კეისრის მებრძოლები. ასეა, თუ ისე, პირველ ხანებში მან დაიყოლია თავისიანები მოეთმინათ და გადამწყვეტი ბრძოლისაგან თავი შეეკავებინათ, მაგრამ როდესაც უიღბლო შეტაკების შემდეგ სურსათის ნაკლებობის გამო კეისარი იძულებული იყო აყრილიყო და **თესალიისკენ** წასული-

ყო, პომპეუსმა თავისი ჯარისკაცების მებრძოლი სულისკვეთების შეკავება ვეღარ შეძლო. ზოგი მოითხოვდა დაუყონებლივ დასდევნებოდნენ მტერს და მისთვის მოსვენების საშუალება არ მიეცათ, ზოგი მოითხოვდა იტალიაში დაბრუნებულიყვნენ. სენატის სხდომაზე, პომპეუსის სარდალმა **აფრანიუსმა** წინადადება შეიტანა იტალია დაეკავებინათ, რადგან ომის ყველაზე დიდი ჯილდო იტალიის დაკავებაა და მისი დაკავების შემდეგ გამარჯვებულის მხარეს დაუყონებლივ დადგება სიცილია, სარდინია, კორსიკა, ესპანეთი და მთელი გალია. პომპეუსი კი მისი სახელისთვის შეუფერებლად სთვლიდა მეორედ გაქცეოდა კეისარს (თითქოს პირველი გაქცევა არ იყო შეუფერებელი და საერთოდაც გაუგებარია, რატომ დატოვა რომი, თუ გასასამართლებლად იმ არგუმენტს არ მოიშველიებდა, რომ რომი დაინდო სამოქალაქო ომის უბედურებისაგან - თ.ა.) და მისგან დევნილი ყოფილიყო მაშინ, როდესაც ბედი თვითონ აძლევდა მას შემთხვევას, კეისარს დადევნებოდა და აქ პომპეუსი ცალსახად აცხადებს მის მიერ რომის დატოვების მიზეზსს, -„ **რომისთვის ყველაზე მეტად ის ზრუნავს, ვინც ომს მისგან მოშორებით აწარმოებს, რათა ქალაქმა არათუ განიცადოს, არც მოისმინოს რაიმე უბედურების ამბავი და შეეძლოს დამშვიდებით ელოდოს გამარჯვებულსო.“**

საბოლოოდ პომპეუსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დადევნებოდა კეისარს და თავი შეეკავებინა გენერალური ბრძოლისგან, მითუმეტეს, რომ მის ყურამდე მოაღწია მხედართა შორის გავრცელებულმა ხმამ, რომ ისინი აპირებდნენ კეისრის დამარცხების შემდეგ პომპეუსის მოშორებასაც. ალბათ ამის გამოც იყო, რომ პომპეუსი კატონს არც ერთ მნიშვნელოვან საქმეს არ ანდობდა და, როდესაც კეისრის წინააღმდეგ გაემართა, კატონი ზღვის სანაპიროზე დატოვა აღალის მცველად, რადგანაც ეშინოდა, რომ კეისრის მოკვლის შემდეგ კატონს არ აეძულებინა სარდლობაზე მასაც აეღო ხელი, - ბრძანებს პლუტარქე.

მგონი შეიძლება უკვე ვივარაუდოთ, რომ პომპეუსი შინაგანად არ იყო მზად, რომ სულას მსგავსად ერთპიროვნული დიქტატორი გამხდარიყო, მაგრამ არც ის უნდოდა, რომ გამარჯვების შემდეგ სარდლობაზე ხელი აეღო, ჯარი დაეშალა და, ყველაზე მეტი რაც შეიძლებოდა ჰქონოდა, - კონსული გამხდარიყო, რისი პატივი ადრეც არაერთხელ ჰქონდა კიდეც. ამიტომ მას აწყობდა გაჭიანურებული ომი კეისართან, რასაც კარგად ხედავდა მისი გარემოცვა, რამაც ბევრი ბრალდება და გაკიცხვა დაატეხა თავს. მათი აზრით, პომპეუსი თავის ხრიკებს კეისრის წინააღმდეგ კი არა, სამშობლოსა და სენატის წინააღმდეგ მიმართავდა, რათა ყველაზე ემბრძანებლა და არასოდეს არ შეეწყვიტა იმ ხალხის მსახურად და პირად მცველად გამოყენება, რომელიც ღირსი იყო მთელი სამყარო ემართა. ამ სიტუაციამ აიძულა პომპეუსი თავის გონივრულ გეგმაზე უარი ეთქვა. ასეთი საქციელი, არა თუ ისეთი დიდძალი ჯარისა და მხედრობის მბრძანებლისათვის იყო შეუფერებელი, როგორიც პომპეუსი იყო, არამედ ხომალდის უბრალო მესაჭისათვისაც კი არ იყო შესაფერისი, - ცინიკურად აცხადებს პლუტარქე.

ის ხალხი, რომელიც პომპეუსს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ აქეზებდა, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან ამოდიოდა. ზოგს ეჩქარებოდა კონსულისა, თუ პრეტორის თანამდებობის მიღება, ზოგი კეისრის ქურუმთუხუცესის თანამდებობის მისაღებად ექიშპებოდა ერთმანეთს და ისე იქცეოდნენ, თითქოს მათ წინააღმდეგ სომხეთის მეფე ტიგრანი, ან არაბთა ერთ-ერთი ტომის, **ნაბატელთა** მეფე იდგა და არა სახელგანთქმული კეისარი და მისი მხედრობა, ვისი წყალობითაც **კეისარმა იერიშით აიღო ათასი ქალაქი და დაიმორჩილა სამასზე მეტი ტომი, ის მხედრობა, რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა გერმანელებსა და გალიის ტომებთან აურაცხელ ბრძოლებში, ის მხედრობა, რომელმაც იქ ერთი მილიონი ტყვე იგდო ხელთ და ამდენივე ბრძოლის ველზე გაჟლიტა.**

პომპეუსსა და კეისარს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა **თესალიის ქალაქ ფარსალესთან, ე.წ. ფარსალეს ველზე ძვ.წ. 48 წლის აგვისტოში,** ანუ ზუსტად **ორი ათას სამოცდახუთი წლის წინათ.** სამხედრო საბჭოზე, რომელიც, - როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, - პომპეუსი აიძულეს რომ მოეწვია (ჩვენთვის გაუგებარია, რა შუაშია აქ „იძულება," როდესაც ბუნებრივია მისი მოწვევა ბრძოლის დაწყების წინ, რათა დაიგეგმოს ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა - თ.ა.), **ტიტუს ლაბიენუსმა,** რომელიც, როგორც გვახსოვს თავის დროზე კეისრის ყველაზე წარმატებული ლეგატი იყო, შეჰფიცა, რომ არამც და არამც არ დატოვებდა ბრძოლის ველს, სანამ მტერს მთლიანად არ განდევნიდა ბრძოლის ველიდან, რასაც დანარჩენებმაც მიბაძეს.

ღამით, - როგორც პლუტარქე გადმოქვცემს, - პომპეუსმა უცნაური სიზმარი ნახა, რომელმაც ერთის მხრივ გაამხნევა და, მეორეს მხრივ, ძალზე შეაშფოთა. **ეზმანა, თითქოს თეატრში შევიდა და მას ხალხი ტაშისცემით შეეგება, ხოლო იმ ურიცხვი ნადავლით, მტერს რომ წაართვა, გამარჯვების ქალღმერთ ვენერას ტაძრის მორთვა დაიწყო. და როგორც აუხდა კიდეც სიზმარი. მან საკუთარი ხელით მიანიჭა სახელი და დიდება კეისარს, ვისი გვარიც დასაბამს ვენერასგან იღებდა.** გადმოცემის თანახმად, იულიუსების გვარი დასაბამს იღებდა **ენეასის ვაჟის, - იულიუსისაგან.** ენეასი კი ვენერას, იგივე აფროდიტეს, ძედ ითვლებოდა.

გარიჟრაზზე კეისარმა ბანაკის აყრა დაიწყო, რათა ფარსალეს ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ **სკოტუსასაკენ** დაძრულიყო, რომ მსტოვრებმა ამბავი მოუტანეს, რომ პომპეუსის მოწინავე რაზმები უკვე საბრძოლველად იყვნენ დაწყობილი. ამაზე კეისარმა წამოიძახა, - **„დადგა სანუკვარი დღე, როცა ჩვენ შიმშილსა და გაჭირვებასთან კი არ მოგვიწევს ბრძოლა, არამედ ადამიანებთანო."** კეისრის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ

რა სწორი იყო პომპეუსი, როდესაც ბრძოლის გაჭიანურების ტაქტიკა აირჩია, რადგან კეისარი ისეთ ადგილას ჰყავდა მიმწყვდეული და ისე ჰქონდა მასთან მისასვლელი გზები გადაკეტილი, რომ იგი მუდმივად განიცდიდა სურსათ-სანოვაგის სიმცირეს.

ბრძოლის თეატრი დეტალურად აღვწეროთ, რადგან ამ ბრძოლამ მთელი ხუთასი წლით, ვიდრე დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე ახ.წ. 476 წელს, შეცვალა მსოფლიო ისტორიის ჩარხი.

პომპეუსს მარჯვენა ფრთა ეკავა, ანტონიუსის პირისპირ. შუაში, ლუციუს კალვინიუსის წინააღმდეგ, თავისი სიმამრი სციპიონი დააყენა, ხოლო მარცხენა ფრთა, რომელსაც დამატებით ძალას ცხენოსანთა დიდი ჯარი მატებდა, ლუციუს დომიციუსის ხელთ იმყოფებოდა. თითქმის ყველა მეომარი ამ ფრთას მოაწყდა, რათა კეისარს პირისპირ შებმოდნენ და შეემუსრათ კეისრის სახელგანთქმული მეათე ლეგიონი, რომელიც ყველაზე მამაცი მებრძოლებისგან შედგებოდა და რომელთა რიგებშიც ჩვეულებისამებრ იბრძოდა კეისარი.

ამ ბრძოლაში გამოჩნდა კეისრის შესანიშნავი ალღო და უნარი სწორად შეეფასებინა სიტუაცია და სათანადო დასკვნები გაეკეთებინა. როდესაც მან დაინახა, რომ პომპეუსის მარცხენა ფრთა ცხენოსნების დიდძალი რაოდენობით იყო გამაგრებული, მან სათადარიგო ნაწილიდან ექვსი კოჰორტა გამოიწვია და მეათე ლეგიონის ზურგში დააყენა და უბრძანა, რომ არ განძრეულიყვნენ და მტერს არ დანახვებოდნენ მანამ, სანამ პომპეუსის მხედრები იერიშზე არ გადმოვიდოდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ისინი მეწინავე რაზმების წინ უნდა გაჭრილიყვნენ და ოროლები კი არ უნდა გაეტყორცნათ, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ბრძოლებში, რათა უფრო სწრაფად გადასულიყვნენ ხმლებით ბრძოლაში, არამედ ზევიდან დაეცხოთ მტრისათვის, რათა ჭრილობა მათთვის თვალებსა

და სახეში მიეყენებინათ. კეისარი დარწმუნებული იყო, რომ პომპეუსის ეს ახალგაზრდა, მოხდენილი, მაგრამ გამოუცდელი **პირიქისტები** („პირიქი" ლათინურად სამხედრო ცეკვას ნიშნავს) თავიანთ სილამაზის დაზოგვაზე უფრო იზრუნებდნენ და ასეთ დარტყმას ვერ გაუძლებდნენ.

პომპეუსი ამ დროს ცხენზე იჯდა და ჯარის განლაგებას ათვალიერებდა. მან კარგად დაინახა, რომ მოწინააღმდეგე მშვიდად იდგა და სრული წესრიგის დაცვით ელოდებოდა სარდლის ბრძანებას, მაშინ როდესაც მისი ჯარის უდიდესი ნაწილი გამოუცდელობის გამო სიმშვიდეს ვერ იცავდა, ღელავდა და აფორიაქებული იყო. იმის შიშით, რომ ჯარი ბრძოლის დაწყებისთანავე არ შემუსრულიყო, პომპეუსმა მეწინავე ჯარებს უბრძანა თავიანთი ადგილებიდან ფეხი არ მოეცვალად, მოეთმინათ და მტრის იერიშს მედგრად დახვედროდნენ.

ერთი კომენტარი ამ, და საერთოდ, პლუტარქეს გადმოცემის სტილის მიმართ. ბრძოლის მთელ ამ პერიპეტიებს, მთავარი მომქმედი პირების ემოციებისა და ნაფიქრალის ჩათვლით, იგი ისეთი დამაჯერებლობით მოგვითხრობს, რომ ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეს, ან ბრძოლის პერიპეტიების უშუალო დამკვირვებელს, რომელიც, - გნებავთ ერთ, და გნებავთ მეორე სარდალთან იდგა, - იმასაც კი შეშურდებოდა. არა და, პლუტარქე, სულ ცოტა საუკუნის წინანდელ ამბებს აღწერს, როდესაც ვერცერთი უშუალო მონაწილე ამ ამბებისა ცოცხალი ვერ იქნებოდა და მხოლოდ მათი ნაწერების მიხედვით თუ ისარგებლებდა. ამდენად, ცოტა, თუ ბევრად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი წარმოსახვითაც აფერადებდა მოვლენებს.

პომპეუსის, - როგორც კეისარმა შენიშნა, - ფატალური შეცდომაც სწორედ ეს იყო. მან ხელიდან გაუშვა ანაზდეული იერიშით გამოწვეული უპირატესობა, როცა მისი გამოუცდელი, მაგრამ ბრძოლის ჟინით აღტყინებული და თავგადასავლის მაძიებელი ახალგაზრდები შეაკავა, და, ის მოზღვავებული

ენერგია, რომლის გადმოღვრა ბრძოლაში უფრო დიდ შედეგს მოიტანდა, მოწინააღმდეგის წინ უსარგებლოდ დგომასა და საბრძოლო ყიჟინის მომლოდინე ცხენების შეკავებაზე ფუჭად გაანიავა.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ **კეისარს თან ოცდაორი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, ხოლო პომპეუსს თითქმის ორმოცდაათი ათასი. რაც შეეხება მხედრობას, პომპეუსს ექვსი ათასი მხედარი ჰყავდა, ხოლო კეისარს სულ ათასი.**

ანუ, ორი კაცის ახირებამდე მისულ სიჯიუტეს, სამოცდაათი ათასზე მეტი რომაელი უნდა შეწირულიყო და მხოლოდ იმისათვის, რომ გაერკვიათ, ვინ იქნებოდა რომის ერთპიროვნული მმართველი. ორივემ კარგად იცოდა, რომ ერთ-ერთი აუცილებლად დამარცხდებოდა და მხოლოდ სიკვდილით ჩამოირეცხდა დამარცხებით გამოწვეულ სირცხვილს და ისინი ამაზე სრული შეგნებით მიდიოდნენ. ამდენად, რა გასაკვირია, რომ ამ უზარმაზარი ჯარის სიკვდილ-სიცოცხლე იმდენად ადარდებდათ, რამდენადაც ეს მხოლოდ მასსა იყო, რომლის საშუალებითაც უნდა აღსრულებულიყო მათი პატივმოყვრული მიზნები.

სრულიათ სამართლიანად ბრძანებს პლუტარქე, როდესაც ამბობს, - რამდენიმე კეთილშობილმა რომაელმა და ზოგიერთმა ბერძენმა, რომლებიც ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ, საბედისწერო საშინელი ჟამი რომ მოახლოვდა, მსჯელობა დაიწყეს იმაზე, თუ სადამდე მიიყვანა რომის სახელმწიფო ორი კაცის სიხარბემ და სიჯიუტემ და რჩეულ ვაჟკაცთა მრავალრიცხოვანი მხედრობა, რომელიც ერთ სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ახლა ერთმანეთის პირისპირ იდგა და ნიშანს ელოდა, რათა ერთმანეთს შებმოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ერთმანეთი გაეჟლიტათ, ერთმანეთი ამოეხოცათ.

როგორც უკვე ითქვა, ბრძოლის ბედი გადაწყვიტა კეისრის გენიალურმა ტაქტიკამ, რომელიც მან განახორციელა პომპე-

უსის მხედრების წინააღმდეგ და, როდესაც პომპეუსმა დაინახა ჰაერში ავარდნილი მტვერი, მიხვდა, რომ მისი მხედრები შემუსრეს და ბრძოლა წაგებული იყო. მას ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს, ისე ნელი ნაბიჯით გაემართა ბანაკისაკენ, ხოლო როდესაც მოწინააღმდეგე ბანაკში შემოიჭრა, ესღა წამოიძახა, - „როგორ, ნუთუ ბანაკშიც?“ ამის შემდეგ უბრალო ტანსაცმელი გადაიცვა და ბანაკიდან უხმოდ გავიდა.

ადამიანი, რომელმაც მთელი ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში გამარჯვებასა და ყველაფრის დამორჩილებას იყო მიჩვეული, და საერთოდ არ იცოდა, თუ რა იყო დამარცხება, მხოლოდ სიბერის ჟამს პირველად განიცადა დამარცხებისა და განადგურების სიმწარე.

ამ გამანადგურებელი მარცხის შემდეგ იგი მეუღლისა და მეგობრების თანხლებით **ლესბოსში** ჩავიდა და იქიდან ზღვაში გავიდა. შემდეგ იგი **პამფილიის ქალაქ ატალიაში** მივიდა, სადაც მას კილიკიიდან გამოსული რამდენიმე ხომალდი შემოხვდა. მალე მის გარშემო ჯარისკაცებმაც დაიწყეს შემოკრება და სამოცამდე სენატორიც შემოუერთდა. როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ მისი ფლოტი ჯერ კიდევ ხელუხლებლად იდგა და, რომ კატონი მის მიერ შეკრებილი დიდძალი ჯარით ლიბიაში იყო გადასული, მეგობრებზე ბრაზი მოუვიდა და მწარედ ინანა, რომ მარტოოდენ ქვეითი მხედრობით ჩაერთო ბრძოლაში, ხოლო ის ძალა, რომლითაც აშკარად სჯობდა მოწინააღმდეგეს, არ გამოიყენა და ფლოტი არ დააყენა ისეთ ადგილზე, საიდანაც ხმელეთზე დამარცხების შემთხვევაში, დაუყონებლივ დაუპირისპირებდა მოწინააღმდეგეს ზღვაზე თავმოყრილ ესოდენ დიდ მძლავრ ლაშქარს. ეს იყო, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, - პომპეუსის ყველაზე დიდი შეცდომა, ხოლო კეისრის ყველაზე უფრო მარჯვე ხერხი ის იყო, რომ ბრძოლა გააჩაღა ზღვიდან საკმაოდ მოშორებით, სადაც სამხედრო ხომალდებს დახმარების გაწევა არ შეეძლოთ.

მხოლოდ დილეტანტისათვის დამახასიათებელი უპასუხისმგებლობით შეიძლება აიხსნას ის, რასაც გავბედავ და ვიტყვი.

პირველი, რაშიაც პომპეუსს ცალსახად უნდა დავეთანხმოთ, მას უბრძოლველად შეეძლო კეისრის დამარცხება, რადგან ამ უკანასკნელს პრაქტიკულად ჯარის სურსათით მომარაგების ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა და, უფრო მეტიც, სასმელი წყალიც კი აღარ ჰქონდათ საკმარისი. მას რომ ხასიათის სიმტკიცე გამოეჩინა და არ დაყოლოდა გარემოცვის მითხოვნას დაუყონებლივ ბრძოლაზე, რომელთაც უკვე წინასწარ ჰქონდათ სუფრები გაშლილი გამარჯვების აღსანიშნავად და განაწილებული ჰქონდათ თანამდებობები რომში დაბრუნებისას, მაშინ პომპეუსი ასე სამარცხვინოდ არ დამარცხდებოდა.

მეორე, მე, რომელსაც წარმოდგენაც კი არა მაქვს სამხედრო სტრატეგიასა, თუ ტაქტიკაზე, უბრალოდ რიტორიკულ კითხვას ვსვამ, - როცა შენ ექვსი ათასი ცხენოსანი გყავს და შენს მოწინააღმდეგეს მხოლოდ ათასი, რატომ უნდა შეუტიო ერთბაშად მთელი მხედრობით? არ ჯობია, ჯერ ორი ათასი გაგზავნო, მტერი მოქანცო, მერე დაიხიო უკან, ვითომ ველარ გაუძელი მტრის შემოტევას, შემოიტყუო, კიდევ ორი ათასი ჩართო შეტევაში და რაღაც დროის შემდეგ კიდევ ორი ათასი? როცა შენ ორმოცდახუთი ათასი ქვეითი გყავს და შენს მოწინააღმდეგეს ოცდაორი ათასი, აქაც რატომ უნდა გადახვიდე მთელი ჯარით შეტევაზე? გაუშვი ოცდაათი ათასი, მოქანცე მტერი, დაიხიე უკან და მერე შეიყვანე დამატებითი ძალები. მესმის, რომ ღიმილის მომგვრელია ჩემი კადნიერება და მაინც, დაფიქრებად ღირს...

და, მესამე, რასაც პლუტარქე ბრძანებს, - თუ ამხელა ფლოტი გყავს, თავი რატომ არ უნდა დაიზღვიო, რატომ არ უნდა გამართო ბრძოლა ზღვასთან ახლოს, როცა ფლოტის მხარდაჭერის იმედიც გექნება და, თუ ბედისწერამ გიმუხთლა, ასე უსახელოდ არ დაამთავრებდი ოცდათოთხმეტწლიან წარმა-

ტებულ სამხედრო კარიერას, მითუმეტეს, როდესაც შენ წინ მითრიდატე ევპატორი, ან ტიგრან მეფე კი არ დგას, არამედ კეისარი.

და, მაინც მგონია, ამ ფაქტორებთან ერთად, პომპეუსის დამარცხებაში არანაკლები როლი იმანაც ითამაშა, რომ ბოლო ცხრა წელიწადი პომპეუსი საომარ ქმედებებს ჩამოშორებული იყო, ხოლო კეისარი მთელი ეს პერიოდი მუდმივ ბრძოლებში იყო. პომპეუსს ბრძოლის ჟინი დაკარგული ჰქონდა, ხოლო კეისარი, გარეული ნადირივით იმას ესწრაფვოდა, რაც პომპეუსს თავზე საყრელად ჰქონდა, - პატივი და ძალაუფლება.

თავი მეხუთე

გაიუს იულიუს კეისარი
(ძვ.წ. 100 - 44წწ)

Alea iacta est!

კეისარი

ალბათ ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი ადამიანი, რომელიც იმდენადვე დიდი პოლიტიკოსი იყოს, რამდენადაც მხედართმთავარი. სწორედ ასეთად მოიხსენიება ისტორიის ანალებში **გაიუს იულიუს კეისარი (ძვ.წ. 100 - 44 წწ.).** თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ იგი შესანიშნავი ორატორი იყო და თავის თანამედროვეთაგან, მხოლოდ **ციცერონს** თუ ჩამოუარდებოდა და, გარდა ამისა, იგი ანტიკური ხანის უდიდესი მწერლების რიგშიც მოიხსენიება, - **ლუკრეციუსთან, ოვიდიუსთან, ვირგილიუსთან** და ა.შ - ერთად, მაშინ იგი მართლაც რომ გასაოცარ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, მითუმეტეს, რომ იგი იმავდროულად ავი ზნითაც იყო შეპყრობილი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებისა, მაინც გასაკვირია მისი, კიდევ ერთი, ჩემი აზრით, მხოლოდ დიდი ადამიანებისათვის დამახასიათებელი გასაოცარი თვისება, რომელსაც არ ვიცი ზუსტად რა სიტყვა შეესაბამება, - პატიება, თუ მიმტევებლობა, თუ შინაგანი წესიერება, თუ კიდევ სხვა რამ! როდესაც კეისარმა **რუბიკონი,** ერთი პაწაწინა მდინარე (მდინარე კი არა, ღელე, რომელიც დღეს აღარც არსებობს) გადალახა, რაც პრაქტიკულად სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავდა (და როგორც პლუტარქე ამბობს, - დიდხანს, დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რისი მიზეზიც, ალბათ, წინა ღამით ნანახი საზარელი ზმანებაც უნდა ყოფილიყო, რაც საშინლად აუხდა კიდეც), რომში

საშინელი პანიკა დაიწყო, - ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა რომიდან, - როგორც პომპეუსის მომხრეები, ასევე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოგი კეისრის მომხრეც. და ამ დროს,... როდესაც კეისრის ერთ-ერთი უნიჭიერესი ლეგატი, **ტიტუს ლაბიენუსი**, რომელმაც კეისართან ერთად უამრავი განსაცდელიც გამოიარა და გამარჯვებით გამოწვეული უამრავი სიხარულიც იგემა, კეისარს განუდგა და პომპეუსის მხარეს გადავიდა, კეისარმა, - ღმერთო, რა დიდებული ჟესტია- როგორც პლუტარქე ამბობს, - მას (ანუ, ლაბიენუსს) მთელი მისი კუთვნილი ფული და ავლა-დიდება გაუგზავნა. ვერაფრით ვერ დავიჯერებთ, რომ მისი ეს ნაბიჯი მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი, თუკი საერთოდ იყო აქ პოლიტიკა.

არ ვიცი, როგორ მოიქცა ლაბიენუსი, ან როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ კეისარმა აჩვენა, რომ იგი, დიდი, ძალიან დიდი პიროვნება იყო! ხოლო როდესაც კრასუსის უსახელო დაღუპვის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ პომპეუსსა და კეისარს შორის დაპირისპირება გარდაუვალი იყო და პომპეუსმა მოსთხოვა კეისარს თავისი ორი ლეგიონი დაებრუნებინა, რომელიც მან თავის დროზე კეისარს დაუთმო, კეისარმა ყოველი მეომარი ორას ორმოცდაათი ტალანტით (?) (1 დრაქმა=1 რომაული დინარი; 1მნა=100 დრაქმა; 1ტალანტი = 60 მნა) დაასაჩუქრა და დაუყონებლივ გაუგზავნა პომპეუსს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პლუტარქეს ქართულ თარგმანში წერია, რომ მან თითოეული მეომარი ორას ორმოცდაათი ტალანტით დაასაჩუქრაო. ეს იმდენად დიდი თანხაა, რომ შეუძლებელია კეისრის ხაზინა ამ თანხას გაწვდომოდა და, დიდი ალბათობით თარგმნისას ჩადენილი ტექნიკური შეცდომით უნდა აიხსნას (იხ. პლუტარქე, - „რჩეული ბიოგრაფიები,“გვ. 500). ჩემი მოსაზრების სისწორეს თუნდაც ის ამტკიცებს, რომ, როგორც პლუტარქე იქვე ამბობს, პომპეუსი თავის პროვინციებში, - ესპანეთში და ლიბიაში, - ჩაყენებული ჯარის შესანახად სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად ათას ტალანტს იღებდა.

და, კიდევ ერთი გამორჩეული ნიჭი კეისრისა, ისიც გახლავთ, რომ, როდესაც ციცერონმა გამოაქვეყნა ნაშრომი, სათაურით „კატონი," რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, ამ დიდი რომაელის ცხოვრებას ხოტბას ასხამდა, კეისარმა ნაშრომითვე უპასუხა, სათაურით „ანტიკატონი", რომელმაც, სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ღმერთო, რა ბუმბერაზები იყვნენ!

როგორც ისტორიის ანალებში ვკითხულობთ (როგორც პლუტარქეს, ასევე **სვეტონიუსის** წიგნის, - **„თორმეტი კეისრის ცხოვრება"** - ის ნაწილი, სადაც მოთხრობილი უნდა ყოფილიყო კეისრის დაბადება და ბავშვობა დაკარგულია), კეისარი დაიბადა ძვ.წ. 100 წლის 12 ივლისს (პლუტარქე პირდაპირ ამბობს, რომ იგი ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო, როდესაც მოკლესო და, რადგანაც იგი ივლისის თვეში დაიბადა და მარტის იდებისას მოკლეს, ამიტომ, შესაძლოა მართალი იყოს ზოგი წყაროს მიხედვით ძვ.წ. 101 წლის 15 ივლისიც, თუმცა ძვ.წ. 102 წელსაც ასახელებენ), წარჩინებული პატრიციის ოჯახში.

კეისრის ახალგაზრდობის წლები მუდმივი შიშისა და ფათერაკების ფონზე მიმდინარეობდა. საქმე იმაშია, რომ ეს პერიოდი სულას დიქტატურას დაემთხვა და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რომის ისტორიაში ეს იყო უაღრესად სისხლიანი პერიოდი და, გარდა ამისა, მდაბიოთა წრიდან გამოსული, მაგრამ უზადო სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული, შვიდგზის კონსული, - **გაიუს მარიუსი**, კეისარს ბიძად ეკუთვნოდა (მამიდის - **იულიას** მეუღლე), რომელიც, მართალია იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ სულას დაუძინებელი მტერი გახლდათ და ეს, იმის და მიუხედავად, რომ სულამ სამხედრო კარიერა სწორედ გაიუს მარიუსის წყალობით გაიკეთა. ეს, კი სასიკვდილო განაჩენი იყო იმ დროს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ კეისარი ძალიან ახალგაზრდა იყო, სულა მასში უკვე ხედავდა ძლიერ პიროვნებას და მისი რეჟიმის მტერს. უფრო მეტიც, სულას მისი მოკვლაც კი უნდოდა და როცა მას უთხრეს,

რომ ასეთი ახალგაზრდის მოკვლას არავითარი აზრი არა აქვსო, სულამ მათ უპასუხა, - „ბრიყვები ყოფილხართ, თუ ვერ ხედავთ, რომ ამ ყმაწვილში მრავალი მარიუსი ზისო“ და, რომ არა ვესტას ქურუმ ქალთა თხოვნა, კეისარი სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. ამის გამო კეისარს რომში აღარ დაედგომებოდა და საბერძნეთში გაიქცა, - სამოგზაუროდ და სასწავლებლად.

როგორც ცნობილია ეგეოსის ზღვის პატარა **კუნძულ ფარმაკუსასთან** იგი მეკობრეებს ჩაუვარდა ტყვედ, სადაც ოცდათვრამეტი დღე გაატარა და როდესაც გამოსაყიდი გადაიხადა, დაუყონებლივ აღჭურვა რამოდენიმე ხომალდი, მეკობრეებს დაედევნა, მათი უმრავლესობა შეიპყრო და, როგორც ტყვეობაში ყოფნისას შეჰპირდა, ყველანი ჯვარს აცვა. ამის შემდეგ იგი კუნძულ როდოსზე გაემგზავრა, რომელიც იმ დროისათვის ელინისტური კულტურის, განსაკუთრებით კი მჭერმეტყველების, მძლავრი კერა იყო. როგორც ამბობენ, პოლიტიკურ მჭერმეტყველებაში კეისარს გასაოცარი ბუნებრივი ნიჭიც ჰქონდა და ამის მიუხედავად განსაკუთრებით ბევრს ვარჯიშობდაო და მაინც, ამ მხრივ იგი მხოლოდ მეორე იყო, რადგანაც უფრო მეტად ძალაუფლებასა და იარაღში პირველობის მოპოვებას ესწრაფვოდა, - გადმოგვცემს პლუტარქე.

სულას გარდაცვალების შემდგომ კეისარი ისევ დაბრუნდა რომში, სადაც დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. კეისარს სამომავლოდ დიდი პროექტები ჰქონდა დაგეგმილი, მათ განსახორციელებლად კი საჭირო იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

კეისრის, როგორც პოლიტიკოსის და როგორც სახელმწიფო მოღვაწის არაორდინალური ნიჭი, პირველივე საჯარო თანამდებობის დაკავებისთანავე გამოჩნდა, კერძოდ, როდესაც მან დაიკავა იმჟამად საკმაოდ მნიშვნელოვანი **„აპიუსის გზის“ (via Apia** - გზა რომსა და **კაპუას** შორის) პროკურატო-

რის პოსტი, იმისათვის, რომ რომაელი ხალხისთვის ეჩვენებინა, თუ რამდენად დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა იგი ამ საქმეს, მან გაიუს კრასუსისგან ვალად აიღო **ათას სამასი ტალანტი (დაახლოებით 28 მილიონი სესტრეცია)**, რაც იმ დროისათვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა და ამ გზის კეთილმოწყობას მოახმარა.

გაიუს კრასუსი რომ ამხელა თანხას ისე არ მისცემდა, ეს ხომ ცხადია და საკმაოდ დიდ პროცენტსაც გამოართმევდა, მაგრამ გაკვირვებას იწვევს, როგორ ენდო ამხელა თანხა კეისარს! თუ მანაც დაინახა კეისარში მომავალი გენია? ცხადია კეისრის ასეთი უანგარო პატრიოტიზმი გარკვეულ ეჭვებს ბადებდა რესპუბლიკისთვის „თავდადებული" არისტოკრატების მხრიდან, რომლებიც ყოველი ცალკე აღებული პიროვნების აღზევებაში მათი ხელისუფლების მომავალ დამამხობელს ხედავდნენ, მითუმეტეს, რომ კეისარი უამრავ სანახაობებს და ზღაპრულ სუფრებს მართავდა რომაელებისათვის, მაგრამ მას ჯერ მაინც არ მიიჩნევდნენ რაიმე საშიშ ძალად და თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ მალე ფული შემოელევა, ეგ სახალხო სუფრებიც დამთავრდება, და ხალხიც, როგორც ყოველთვის, თავის ფარისეველ კეთილისმყოფელს მიატოვებს და დაივიწყებსო.

თუმცა „რესპუბლიკის მამათა" შორის მაინც იყო ერთი პიროვნება, რომელიც კეისარში იმთავითვე ხედავდა რესპუბლიკისთვის მომავალ საფრთხეს. ეს ადამიანი გახლდათ **მარკუს ტულიუს ციცერონი**, რომელიც მაშინდელ ჭაბუკ კეისარს „დროებით დამშვიდებულ ზღვას" ადარებდა. - „კეისრის ალერსიანობა და სიხალისე ოდენ გარეგნული საფარველია, ხოლო შინაგანად მასში ტირანული შინაარსის განზრახვები იმალებაო",- ამბობდა ციცერონი, თუმცა ამასთან იმასაც დასძენდა რომ - „როდესაც მე მის გულმოდგინედ დაწყობილ თმას ვუცქერ, როდესაც ვხედავ, იგი თავს ერთი „თითით იფხანს",

მაშინ კი აღარ მგონია, იმ კაცს გუნებაში ისეთი დიდი ბოროტი ზრახვა ჰქონდეს, როგორიც რომაელთა სახელმწიფოებრივი წყობილების დამხობაა." საქმე იმაშია, რომ „ერთი თითით თავის ფხანა" ძველ რომში, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, არც თუ ბუნებრივ სექსუალურ ორიენტაციაზე მიუთითებდა და ციცერონიც თითქოს იმედოვნებდა, რომ ქალივით კოპწია კეისარი მოკლებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო გადატრიალებისთვის აუცილებელ ვაჟკაცურ თვისებებს.

დრომ სრულიად დაადასტურა ციცერონის ეჭვების სამართლიანობა. და საერთოდაც, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „არავითარი საქმის დასაწყისი არ უნდა ჩაითვალოს უმნიშვნელოდ, რამეთუ ყოველი მცირე საქმე სიჯიუტის წყალობით დიდად გარდაიქმნება და მისადმი გამოჩენილი უყურადღებობა იმას შეუწყობს ხელს, რომ ამ საქმეს ველარაფერი დააბრკოლებს". ჩვენი მხრიდან კი იმას დავამატებდით, - **„იმისათვის რომ რომი დაიპყრო, საჭიროა რომიდან წასვლა"**, - აი, დევიზი, რომლითაც, უნდა ვივარაუდოთ, კეისარი ხელმძღვანელობდა, რათა ძალაუფლებისათვის საჭირო უმთავრესი რესურსი მოეზიდა, - ფული და ერთგული ჯარი. და, მართლაც, მან პრაქტიკულად რომის იმპერიას არნახული გამარჯვებები, ტერიტორიები და რომაელთა მორჩილი ადამიანების რაოდენობა შემატა.

ის, რომ კეისრის მიერ გადადგმული ნაბიჯები სწორი იყო, ხალხის მხრიდან საპასუხო რეაქციამაც დაადასტურა. კერძოდ, ხალხმა მას დაუჭირა მხარი, როდესაც სამხედრო ტრიბუნობისათვის კამპანიის დროს, თავის მეტოქეზე გაიმარჯვა. ხალხი გვერდით დაუდგა მაშინაც, როდესაც მამიდამისის გარდაცვალებისას, **გაიუს მარიუსის** ქანდაკებანი საჯაროდ გამოიტანა, რომელიც სულას მიერ იყო შერისხული და ხალხის მტრად გამოცხადებული და, მიუხედავად იმისა, რომ სულა

უკვე გარდაცვლილი იყო, ამას ვერავინ ბედავდა. გარდა ამისა, როდესაც კეისარს მეუღლე, - **კორნელია** გარდაეცვალა, პირველმა გადაუხვია ადათს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ხანშიშესული ქალების გარდაცვალებისას წარმოთქვავდნენ მათი ხსოვნის პატივსაცემად სიტყვას, და ახალგაზრდა ქალის დასაფლავებისას მისი ხსოვნის პატივსაცემად საფლავზე ისეთი გულის ამაჩუყებელი სიტყვა წარმოსთქვა და ისე მოინადირა ხალხის გული, რომ ყველას შეაყვარა თავი, – „ვით უწყინარი და გრძნობით აღსავსე კაცი", – გადმოგვცემს პლუტარქე. უკვე აქედან ჩანდა, რომ კეისრის ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი ერთ მიზანს ემსახურებოდა, - **გამხდარიყო პირველი თანასწორთა შორის.** ამისათვის იგი ნებისმიერ, ზოგჯერ გულის ამრევ კომპრომისზეც მიდიოდა. შემდეგი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, უკვე წმინდა პოლიტიკური ნაბიჯი იყო.

რომში იმ დროისათვის ორი პოლიტიკური პარტია არსებობდა, - სულას პარტია და მარიუსელთა პარტია. პირველი, - დიდი ძალისა და მნიშვნელობის მქონე იყო, ხოლო მეორე,- იმ პერიოდისათვის დაკნინებული და, პრაქტიკულად დაშლილი. კეისარმა სწორედ ამ პარტიის აღდგენა და გაძლიერება მოინდომა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ნაბიჯის გადაგმა გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ გაიუს მარიუსი ბიძად ეკუთვნოდა, როგორც მისი მამიდის ქმარი, მაგრამ, ცხადია ეს არ უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი ფაქტორი არჩევანის გაკეთებისას. შესაძლოა კეისარი **ჯონ მილტონის** მიერ თხუთმეტი საუკუნის შემდეგ, თავისი უკვდავი პოემიდან, - **„დაკარგული სამოთხე"**- გაკეთებული შეგონებითაც ხელმძღვანელობდა, როდესაც თავის ერთ-ერთ პერსონაჟს ათქმევინა, - **„სამოთხეში ბოლოდ ყოფნას ჯოჯოხეთი პირველობა მირჩევნიაო."** ამისათვის, მან მეტად მრავლისმთქმელი ნაბიჯი გადადგა. მალულად გააკეთებინა მარიუსისა და გამარჯვების ქალღმერთის, **ნიკეს** ქანდაკებები და ღამით კაპიტოლიუმზე დაადგმევინა.

როდესაც ხალხმა დაინახა ეს ოქროთი მბზინავი და დიდი ოსტატობით გაკეთებული ქანდაკებები, რომელზედაც გაიუს მარიუსის მიერ ჩრდილოეთ ზღვასთან მცხოვრებ **კელტ-გერმანულ ტომზე, -კიმბრებზე** გამარჯვების სცენებს აგონებდა, კაპიტოლიუმი ტაშის ცემით აავსეს და უამრავმა მარიუსელმა მოიყარა თავი. მარიუსის სახის დანახვაზე ბევრ მათგანს სიხარულის ცრემლი მოადგა თვალზე, ხოლო მოწინააღმდეგებმა ყვირილი ატეხეს, - კეისარი თავისი პოლიტიკური ზრახვებით ტირანიისკენ მიისწრაფისო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ამბებთან დაკავშირებით სენატის სხდომა მოიწვიეს, მაგრამ კეისარმა ისე დაიცვა თავი, რომ სენატიც კი თავის მხარეზე გადაიბირა.

მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი აქცენტი მარიუსის იმ დიდ გამარჯვებებზე იქნებოდა გაკეთებული, რომლის მეშვეობითაც მან რომი უდიდეს საფრთხეს გადაარჩინა კიმბრების შემოსევისას. ასეა, თუ ისე, უზარმაზარი ძალისხმევისა და, კიდევ უფრო დიდ ხარჯების ფასად, მან მარიუსელთა იმდენად სოლიდური მხარდაჭერა მოიპოვა და, როგორც აღმოჩნდა, მათი რაოდენობა იმდენად მნიშვნელობანი იყო, რომ ისინი მოუწოდებდნენ კეისარს არც ერთ თავის განზრახვაზე ხელი არ აეღო და არწმუნებდნენ მას, რომ ხალხის დახმარებით ყველაფერში გაიმარჯვებდა და პირველი იქნებოდა თანასწორთა შორის.

სწორედ ამ პერიოდში გარდაიცვალა სულას სიმამრი, **კვინტუს ცეცილიუს მეტელუს პიუსი,** რომელიც ძვ.წ. 80 წელს არჩეული იყო კონსულად (ამ დროს სულა ჯერ კიდევ ცოცხალია), ხოლო შემდეგ ქურუმთუხუცესად, **პონტიფექს მაქსიმუსი.** კეისარი ჩაება ამ საარჩევნო მარათონში და დიდი ბრძოლისა და კამათის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა.

ამის გამო ბევრი ბრალად სდებდა ციცერონს იმაში, რომ ე.წ. **„კატილინას შეთქმულების“** გამჟღავნების დროს მან კეი-

სარი დაზოგა და არ მისცა სამართალში, რომელიც თავის წინააღმდეგ თავადვე იძლეოდა სამხილებელ მასალას.

როგორც ცნობილია, კატილინას განზრახული ჰქონდა არა უბრალოდ სახელმწიფო წყობილების შეცვლა, არამედ ყოველგვარი ხელისუფლების მოსპობა, რაც ქვეყანას სრულ ანარქიას უქადდა. როდესაც ეს შეთქმულება გამოაშკარავდა, და, როგორც ცნობილია, მთავარი როლი ამ შეთქმულების გამოაშკარავებაში ციცერონს მიუძღვის, რომელიც იმ დროს კონსული იყო, ყველამ, კეისრის გარდა, დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა მოითხოვა. კეისრის ასეთ პოზიციაზე კატონმა თავის სიტყვაში, მის მიმართ ეჭვი გამოთქვა, რომ შესაძლოა იგი თანაუგრძნობდა შეთქმულებს. საბოლოოდ, სენატის გადაწყვეტილებით შეთქმულებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ხოლო როდესაც კეისარი სხდომიდან გამოდიოდა, ციცერონის მცველმა ახალგაზრდებმა მახვილი იშიშვლეს და კეისრისკენ გაიწიეს. შესაძლოა ყველაფერი ეს კეისრისათვის ფატალურად დამთავრებულიყო, მაგრამ ციცერონმა ისინი გააჩერა. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - მან „ეს ან ხალხის შიშით ჩაიდინა, ანდა იფიქრა, ეს მკვლელობა უსამართლო და არაკანონიერი იქნებაო."

ძნელი ასახსნელია, თუ რატომ წავიდა ასეთ რისკზე კეისარი, როდესაც შეთქმულთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა სიტყვით. მართალია, როგორც გადმოგვცემენ, მისი გამოსვლა კარგად აწონილ-დაწონილი იყო, მაგრამ იგი ერთად-ერთი იყო, რომელიც შეთქმულთა სიკვდილით დასჯას წინ აღუდგა. მაინც, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი არ შეეპუა იმას, რო მთელი სენატის შეხედულების წინააღმდეგ წასულიყო, რათა ხალხის თვალში კიდევ უფრო მეტად ამაღლებულიყო, რამთუ, როგორც, **დიდი კონსტანტინე** ბრძანებდა, მასზეც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ იგი იყო - **„ უშიშარი, ვითარცა უხორცო!"** რაც შეეხება ციცერონს, აქ პლუტარქე მართალია,

ოღონდ უნდა ვივარაუდოთ, რომ ციცერონისთვის ორივე ფაქტორის ერთობლიობა უფრო უნდა ყოფილიყო ანგარიშგასაწევი, - მის გადაწყვეტილებაზე ხალხის შიშიც იმოქმედებდა და მისი თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობაც. ჩვენი ვარაუდი მით უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ციცერონის მიერ ძვ.წ. 50 წელს გამოცემულ თხზულებაში **„ჩემი კონსულობის შესახებ“**, რომელიც ჩვენამდე ფრაგმენტების სახით არის მოღწეული და **დაქტილური ჰექსამეტრების** სახით გამართულ პოემას წარმოადგენს, ციცერონი არაფერს ამბობს ამ ფაქტის შესახებ, - ბრძანებს პლუტარქე.

ამ პერიოდში იმდენად გაიზარდა კეისრის პოპულარობა უბრალო ხალხის თვალში, რომ ამ პოპულარობის ნაწილობრივ მაინც გასანეიტრალებლად, კატონმა სენატი დაიყოლია ღარიბთა ფენისათვის ყოველთვიურად უფასოდ დაერიგებინათ პური. და ეს, იმისდა მიუხედავად, რომ სახელმწიფოს დამატებით შვიდნახევარი მილიონი დინარით ეზრდებოდა ყოველწლიური ხარჯი. ეს კატონის აზრით აუცილებლად გასატარებელი ღონისძიება იყო, რადგან ამ დროს კეისარი უკვე პრეტორობას იწყებდა და გაცილებით უფრო საშიში პიროვნება გახდა.

ამის პარალელურად ისეთი ინცინდენტი მოხდა, რომლის შედეგადაც, აგერ უკვე ორი ათასი წელია, რაც ფრთიან ფრაზად იქცა კეისრის ნათქვამი, - **„ჩემი ცოლი ეჭვებზე მაღლა უნდა იდგეს,“** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ინცინდენტი არც თუ მთლად უბიწოდ გამოიყურება, როგორადაც ეს უმეტესობას ჰგონია. საქმე იმაშია, რომ ერთი პიროვნება, რომელიც რამდენადაც გამორჩეული იყო სიმდიდრით, ენამჭევრობით და წარმოშობით, იმდენადვე ბილწი და გარყვნილი იყო, რომ საკუთარ დებთან ცხოვრობდა და, ამასთან ერთ-ერთი მათგანი, სამწუხაროდ, ლუკულუსის ცოლიც იყო, და რომლის სახელიც **კლოდიუსი** იყო, - უყვარდა კეისრის ცოლი **პომპეია**,

რომელიც, როგორც პლუტარქე ბრძანებს, ამ სიყვარულის წინააღმდეგი როდი გახლდათ, და, როდესაც ეს ამბავი გასკდა (დეტალებს აქ არ მოვყვებით, უბრალოდ იმას ვიტყვით, რომ ღამის წმინდა ღვთისმსახურების რელიგიურ დღესასწაულზე, ქალის კაბაში გადაცმული შეიპარა კეისრის ოჯახში, რათა პომპეიას სიყვარულით დამტკბარიყო), კეისარი პომპეიას მაშინათვე გაეყარა, ხოლო როდესაც სასამართლოზე მოწმედ გამოიძახეს, კლოდიუსის მიერ რელიგიური დღესასწაულის რიტუალის დარღვევის ბრალდების გამო, სადაც მხოლოდ ქალების დასწრება იყო შესაძლებელი და კაცებს იქ მისვლა აკრძალული ჰქონდათ, მან განაცხადა, რომ კლოდიუსის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებათა შესახებ არაფერი ვიციო. და, როდესაც გაკვირვებულმა ბრალმდებელმა ჰკითხა, - „კი მაგრამ ცოლი რაღაზე გაუშვიო?“ - „იმიტომ, რომ ჩემს ცოლზე ეჭვიც კი არავინ უნდა მიიტანოსო!“- უპასუხა კეისარმა.

ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ კეისრის ეს განცხადება ლოგიკასთან ცოტათი მაინც მწყრალად არის, რადგან ეჭვი კი არა ფაქტი იყო, რომ პომპეია კლოდიუსის მიმართ გულგრილი არ იყო და, ამდენად, ცხადია, რომ ეს მოარული ფრაზა, იმ შინაარსით არ არის დატვირთული, როგორითაც იგი დღესაც გამოიყენება. და სწორი არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ეს განცხადება მან ხალხის გულის მოსაგებად გააკეთა, რადგან ხალხის სიმპატიები რატომღაც (?) ბრალდებულის, ანუ კლოდიუსის მხარეს იყო.

კეისრის განსაკუთრებულ პოპულარობაზე ხალხში ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პრეტორობის ვადის გასვლის შემდეგ მან საგამგებლოდ მიიღო ესპანეთი, როგორც პროვინცია, მაგრამ მევალეებმა ალიაქოთი აუტეხეს და მან კიდევ ერთხელ დახმარებისათვის გაიუს კრასუსს მიმართა, რომაელთა შორის უმდიდრეს კაცს, რომლის შემოსავლის უმთავრეს წყაროს მევახშეობა წარმოადგენდა, რომელიც ისეთივე

სამარცხვინო და საშინელ საქმიანობად ითვლებოდა მაშინაც, როგორადაც დღეს, თუმცა ეს არც მაშინ უშლიდა ხელს, და არ უშლის დღესაც იმას, რომ ისინი საზოგადოების წარჩინებულ წევრებად ითვლებოდნენ. საქმე იმაშია, რომ იგი წინასწარ ყიდულობდა ამა თუ იმ პროვინციაში გადასახადის აკრეფის უფლებას და სახელმწიფო ხაზინაში წინასწარ შეჰქონდა კანონით ამ პროვინციაზე გათვალისწინებული თანხა და, შემდეგ იმდენს იღებდა ამ პროვინციიდან, რამდენსაც შეძლებდა. და ის, რომ ამას კრასუსი წარმატებით აკეთებდა, უკვე ითქვა, - იგი რომში ყველაზე მდიდარ ადამიანად (?) ითვლებოდა. კრასუსმაც იკისრა რვაას ოცდაათი ტალანტის ვალის გადახდა, რადგანაც თავის მხრივ მასაც ძალზე სჭირდებოდა კეისრის ავტორიტეტის მქონე ადამიანის მხარდაჭერა პომპეუსთან პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად.

მივიდა თუ არა ესპანეთში, მის განკარგულებაში მყოფ ოც კოჰორტას (ერთი ლეგიონი ათი კოჰორტისაგან შედგებოდა - თ.ა.) კიდევ ათი კოჰორტა დაუმატა და ამ სამი ლეგიონით ესპანურ ტომებზე, - **კალაიკებზე და ლუზიტანებზე** - გაილაშქრა. მათი დამარცხების შემდეგ ატლანტის ოკეანისკენ გაემართა და გზადაგზა დაიპყრო ის ტომები, რომლებიც ადრე რომაელების მორჩილებაში არ ყოფილან, - ბრძანებს პლუტარქე.

აქ, ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ კეისარს არავითარი სამხედრო გამოცდილება არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით იმ ინცინდენტს, რომელიც მას მეკობრეებთან დაკავშირებით შეემთხვა და, როგორ მოახერხა ასეთი წარმატებული სამხედრო ლაშქრობა? გავიხსენოთ, რომ მანამდე ესპანეთში პომპეუსიც ლაშქრობდა და მაინც, იყვნენ ტომები, რომლებიც რომს არ ემორჩილებოდნენ და მხოლოდ კეისარმა მოახერხა მათი დაიმორჩილება. ომის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ კეისარმა არანაკლები წარმატებით დაიწყო მშვიდობიან

საქმეთა წარმართვა. განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა კრედიტორებსა და მოვალეთა შორის არსებული დავის მოგვარებას. მან დაადგინა, რომ - „კრედიტორს მოვალის შემოსავლიდან ყოველწლიურად აეღო მხოლოდ ორი მესამედი, დარჩენილი ნაწილით კი პატრონს ესარგებლა, სანამ ასეთ რიგად მთელი ვალი არ იქნებოდა გასტუმრებული,"- გადმოგვცემს პლუტარქე. ანუ, მთელი ორი ათასი წლის წინათ, კეისარი უფრო ადამიანურად ექცეოდა მოვალეთ, ვიდრე დღევანდელი საბანკო სისტემა ექცევა უიმედობის საშინელ მარწუხებში მოქცეულ ადამიანებს. დამაფიქრებელი პრეცენდენტია.

ამ ექსპედიციის შემდეგ კეისარი თავადაც გამდიდრდა და ჯარისკაცებსაც ერგოთ გარკვეული ბონუსები, რის შემდეგაც მათ კეისარი იმპერატორად აღიარეს. იმპერატორის ტიტული, რომაული წესების მიხედვით, მთავარსარდალს საკუთარი მეომრებისგან ეძლეოდა იმ შემთხვევაში, თუ კი იგი დიდ გამარჯვებას მოიპოვებდა პირდაპირ ბრძოლის ველზე. მან კი, როგორც უკვე ვთქვით, ისეთი ტომები დაიმორჩილა, რომლებიც რომის დაქვემდებარებაში ადრე არ იყვნენ. იმპერატორის ტიტული ნებას აძლევდა მას გადაეხადა ტრიუმფი, ამასთან, როგორც კი რომში შევიდოდა, მისი ტიტული ძალას ჰკარგავდა, რადგან ეს რესპუბლიკურ იდეალებს ეწინააღმდეგებოდა.

როდესაც კეისარმა ესპანეთი დატოვა და რომისკენ გამოემართა, საკონსულო კომიციები (ანუ, სახალხო კრებები) უკვე დაწყებული იყო. კანონის თანახმად, ტრიუმფის მომლოდინეს ქალაქგარეთ ევალებოდა ყოფნა, ხოლო ის, ვისაც კონსულობა უნდოდა, რომში უნდა ყოფილიყო და არჩევნებისათვის მომზადებულიყო, ანუ მას, ან ტრიუმფზე უნდა ეთქვა უარი, ან კონსულის არჩევნებში მონაწილეობაზე. ამიტომ კეისარმა თხოვნით მიმართა სენატს, რომ ნება მიეცათ მისთვის კონსულობა დაუსწრებლად მოეპოვებინა. ამის წინააღმდეგ კატონ-

მა გაილაშქრა და, როცა დაინახა, რომ კეისარმა სენატორთა უმრავლესობა გადაიბირა, დროის გაჭიანურების მიზნით მთელი დღე თავის სიტყვას მოანდომა. ამის გამო, კეისარი იძულებული გახდა ტრიუმფზე ხელი აეღო და კონსულობისთვის ებრძოლა.

ამ დახლართული და პოლიტიკურად არასაიმედო სიტუაციიც პირობებში კეისარმა ისეთი პოლიტიკური პარტია გაითამაშა, რომ პრაქტიკულად სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ისე, რომ კატონის გარდა ვერც ერთი სენატორი ვერ მიხვდა ამას. კერძოდ, მან მოახერხა მთელ რომში ყველაზე დიდი გავლენის მქონე პირთა, - პომპეუსისა და კრასუსის, რომლებიც დასანახად ვერ იტანდნენ ერთმანეთს, - შერიგება. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „კეისარმა ძველი მტრები მეგობრებად აქცია, მათი ძალა კი საკუთარ ხელში მოიმწყვდია და ამ, ვითომდა კაცთმოყვარული საქმით სრულიად შეუმჩნევლად სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა."

ამგვარად, პრაქტიკულად, ძვ.წ. 60 წელს შეიქმნა ე.წ. **პირველი ტრიუმვირატი**, ანუ სამი კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც რომაელებმა მალე **„სამთავიანი ურჩხული"** დაარქვეს. პირველივე შედეგი ამ ტრიუმვირატისა ის იყო, რომ მომდევნო წელსვე, ანუ ძვ.წ. 59 წელს, კეისარი კონსულად აირჩიეს. მან მომენტალურად ისეთი კანონები გამოიტანა განსახილველად, რომელიც, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - ვინმე უტიფარ სახალხო ტრიბუნს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე კონსულს. მართლაც, ხალხის გულის მოსაგებად კეისარმა მოამზადა **კანონპროექტი, - „ზოგიერთ ადგილ-მამულთა დაყოფა-განაწილების შესახებ,"** რომლის წინააღმდეგაც, ცხადია, სენატის წარჩინებულებმა მაშინათვე გაილაშქრეს. მაშინ კეისარმა დატოვა სენატი, გავიდა ფორუმზე, გვერდზე დაიყენა პომპეუსი და კრასუსი და ჰკითხა ხალხს, - იწონებდნენ თუ არა მის კანონებს, რაზედაც ხალხის მხარდაჭერა მიიღო, ხოლო

ტრიუმვირატის დანარჩენმა წევრებმა კეისარს მხარდაჭერა აღუთქვეს. უფრო მეტიც, პომპეუსმა დაუმატა, რომ „აღმართულ მახვილს არა მხოლოდ მახვილით, არამედ ფარითაც დაუხვდებოდა“, რამაც რომაელი წარჩინებულები ძლიერ შეაწუხა.

ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ის არის, რომ მაინცდამაინც გასაგები არ უნდა იყოს, რას ნიშნავს პომპეუსის მუქარანარევი სიტყვები, -„აღმართულ მახვილს ფარითაც დავხვდებიო!“ როგორც წესი, აღმართულ მახვილს მახვილითვე ხვდებიან და ფარი რა შუაშია, ცოტათი გაუგებარია?

ამის შემდეგ კეისარი კიდევ უფრო შორს წავიდა. იმისათვის, რომ ტრიუმვირატისათვის მეტი „სიმტკიცე მიეცა,“ პომპეუსს მიათხოვა თავისი შვილი იულია. ამ, სიბინძურის ტოლფასი, გარიგების შესახებ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ პომპეუსის მოღვაწეობის ანალიზისას და აქ აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ კატონის სიტყვებს დავამატებთ, რომელიც მან ამ გარიგებასთან დაკავშირებით ბრძანა, - „აუტანელი ამბავია მაჭანკლობის შემწეობით ძალაუფლების მოპოვება და ქალების საშუალებით პროვინციებისა და მხედრობის ერთმანეთისთვის განაწილეობაო.“ და კატონი, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ისტორიამ იმდენი მაგალითები იცის ასეთი გარიგებების შესახებ, რომ იგი უფრო კანონზომიერების ხასიათს ატარებს, ვიდრე ცალკეული შემთხვევების.

კეისრის ამ ნაბიჯმა პრაქტიკული შედეგი სულ მალე გამოიღო. დაქორწინდა თუ არა პომპეუსი, ფორუმი მაშინვე გაავსო მეომრებით და კეისარს საშუალება მისცა თავისი კანონპროექტები გაეტარებინა. პომპეუსის დახმარებითვე ძვ.წ. 59 წ. სა-

ხალხო ტრიბუნმა **პუბლიუს ვატენუსმა**, რომელიც კეისარმა მოისყიდა, კომიციებში გაატარა კანონი, რომლის თანახმადაც კეისარმა ხუთი წლის ვადით საგამგებლოდ მიიღო არა მხოლოდ მთელი გალია, ანუ, ტერიტორია, რომელიც გადაჭიმული იყო იტალიის საზღვრებიდან ჩრდილოეთ ზღვამდე და ატლანტის ოკეანემდე, არამედ ილირიაც. გარდა ამისა, მასვე გადაეცა ოთხი ლეგიონის ყოლის უფლებაც.

ყველაზე სამარცხვინი, ამ გარიგებაში ის არის, რომ კატონი, რომელმაც გაბედა (!) და ხმა აღიმაღლა ამ უკანონობის წინააღმდეგ (უკანონობის იმ გაგებით, რომ კეისრის კანონპროექტებს პოპულიზმის სურნელი ასდიოდა - თ.ა.), კეისარმა საპყრობილეში წააყვანინა იმ ანგარიშით, რომ იგი თხოვნა-მუდარით მიმართავდა სახალხო ტრიბუნებს, რომ არ ჩაესვათ საპყრობილეში, მაგრამ როცა დაინახა, რომ კატონი ხმის ამოუღებლად მიჰყვებოდა მცველებს, რითაც უკმაყოფილება არა მხოლოდ წარჩინებულებმა გამოხატეს, არამედ კატონის თვინიერი საქციელით აღტაცებულმა ხალხმაც, კეისარმა ერთ-ერთ სახალხო ტრიბუნს თავადვე სთხოვა კატონი ჩუმად გაეთავისუფლებინა.

ზემოთ მოთხრობილი ამბებიდან ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გავაკეთდეს. როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყო, უბრალოდ შეუძლებელია პატიოსანი გზებით ახვიდე სახელისუფლებო ვერტიკალის კიბეებზე. უფრო მეტიც, - იქ ასვლის იმდენი მსურველია, რომ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მხოლოდ მათი გვამების (სულ ერთია, ეს იქნება რეალური გვამები, თუ პოლიტიკური გვამები, თუ ორივე ერთად), როგორც კიბის საფეხურებად გამოყენების მეშვეობით, შეიძლება სახელისუფლებო ვერტიკალზე აღმასვლა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ მხრივ, არა თუ არაფერი არ შეცვლილა დღესაც, არამედ უფრო დაიხვეწა და გაფართოვდა პოლიტიკური და სხვა უბინძურესესი ხერხების გამოყენების არეალი.

ყველაზე უფრო სამარცხვინოდ მაშინდელ პოლიტიკურ ბატალიებში მაინც იმას მიიჩნევდნენ კეისრის თანამედროვენი, რომ კეისრის კონსულობის დროს სახალხო ტრიბუნად აირჩიეს სწორედ ის არაკაცი, რომელმაც „კეისრის საქორწინო სარეცელი და ღამის წმინდა ღვთისმსახურება შებღალა,"- ბრძანებს პლუტარქე. ჩვენი მხრიდან კი იმას დავამატებდით, რომ ცხადია ეს არჩევანი კეისრის თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა და, რადგანაც კეისრის ყოველი ნაბიჯის უკან პოლიტიკური მიზნები იმალებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამით კეისარმა ორი კურდღელი დაიჭირა, - რადგანაც ეს არაკაცი ლუკულუსის ცოლის ძმა იყო, ამით მან პომპეუსს ასიამოვნა, რომელსაც სერიოზული უთანხმოება ჰქონდა თავის დროზე ლუკულუსთან და მეორეც, ლუკულუსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და, როგორც ზღაპრული სიმდიდრის პატრონს, შესაძლოა მაინც გამხდარიყო სერიოზული პოლიტიკური ძალა.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ყოფილი პოლიტიკოსი, ისევე როგორ ყოფილი მხედართმთავარი, არ არსებობს, მითუმეტეს, როცა ფინანსურად ისე ძლიერი ხარ, როგორადაც ლუკულუსი იყო. კურდღლების დაჭერის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამით კეისრის სახელს, საკმაოდ ბევრი, ამ საქმეებში ჩახედული ადამიანების თვალში, სერიოზული ჩრდილი მიადგა, თუმცა პლუტარქე სხვაგვარად ამბობს, - მას ეს არაკაცი ციცერონის გასანადგურებლად სჭირდებოდა და კეისარი მანამ არ წავიდა თავის პროვინციაში, სანამ იტალიიდან არ გააძევებინა იგი, ანუ ციცერონი, სპეციალურად გამოცემული კანონის ძალით, ხოლო მის მდიდრულ სახლში, - ამ არაკაცმა კლოდიუსმა, რომლის თავხედობაც იქამდე მივიდა, რომ თავად ციცერონს გაუბედა და აკადრა რომიდან გაძევება, რითაც საკუთარი სახელი კიდევ უფრო დააკნინა და შეურაცხყო - გაბედა და საცხოვრებლად შევიდა.

ამ ამბების გამგონეს და შემხედვარეს, მხოლოდ ისღა შეიძლება აღმოხდეს ჩველებრივ რიგით მოკვდავს, - **ჭეშმარიტად უცნაურად ჩანს ჟამიდან ჟამამდე განგება შენი, არსთაგანმგებელო! მაინც, უფრო მიუწვდომელი, რადგან საბოლოოდ ყველას იმას მიუზღავ რასაც თითოეული ჩვენთაგანი იმსახურებს!**

როგორც კი რომში წარმოებული პოლიტიკური ინტრიგები თავის სასარგებლოდ დაასრულა, კეისარი თითქმის მთელი ათი წლით სრულიად სხვა ცხოვრებას მიეცა და, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - შემდგომი ომებითა და კელტების დასამორჩილებლად წარმოებული ლაშქრობებით კეისრის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო და ახალ საგმირო საქმეთა გზას დაადგა. მან დაამტკიცა, რომ იგი, ვითარცა მეომარი და სარდალი, არც ერთ სახელგანთქმულსა და დიდებულ მხედართმთავარს არ ჩამოუვარდებოდა.

მართლაც, - განაგრძობს პლუტარქე - ჩვენ რომ მას შევუდაროთ **ფაბიუსები, სციპიონები და მეტელუსები** (რომლებიც რომის ისტორიაში ცნობილი არიან, როგორც ნიჭიერი მხედართმთავრები და რომის ეროვნული გმირები), ან კიდევ მისი თანამედროვე და მასზე მცირე ხნით ადრე მცხოვრები პირები - **სულა, მარიუსი, ორივე ლუკულუსი** (აქ იგულისხმება ძვ.წ. 74 წელს კონსულად არჩეული ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი (რომელსაც ჩვენ ცალკე თავი მივუძღვენით და, რომელიც, ჩვენი აზრით არც ერთ ჩამოთვლილ მხედართმთავარზე ნაკლები არ იქნებოდა, მას რომ ისეთივე პოლიტიკური ინტრიგების ხლართვა შეძლებოდა, როგორიც, ვთქვათ, იგივე კეისარს) და მისი ძმა, 73 წელს კონსულად არჩეული, მაკედონიის მმართველი **მარკუს ლიცინიუს ლუკულუსი**, რომელიც უფრო ცნობილი იყო **მარკუს ტერენციუს ლიცინიანუს ვარონის სახელით**) და თვითონ პომპეუსიც, რომელიც სხვადასხვა ბრწყინვალე საომარ საქმეთა წყალობით მაშინ ცამდე აჰყა-

ვდათ ქებით, დავრწმუნდებით, რომ კეისრის საგმირო საქმენი ყველა მათ დიდებას აღემატებოდა.

პირველთ მან აჯობა იმ მიუდგომელი ადგილმდებარეობის დაძლევით, სადაც ომს აწარმოებდა, მეორეთ - დაპყრობილი ქვეყნის სივრცით, მესამეთ - ურიცხვი და ძლიერი მტრის დამარცხებით, მეოთხეთ - მოწინააღმდეგის ფრიად ველურსა და ვერაგ ხასიათთან შერკინებით, მეხუთეთ - ტყვეების მიმართ გამოჩენილი ლმობიერებითა და მოწყალებით, მეექვსეთ - საკუთარი მეომრებისადმი გამოჩენილი გულუხვობითა და გაღებული საჩუქრებით, ყველას ერთად კი იმით, რომ ყველაზე მეტი ბრძოლა ჩაატარა და ყველაზე მეტი მტერი მოსპო. სახელდობრ, **ათ წელზე უფრო ნაკლებ დროში, რომლის განმავლობაშიც იგი ომს აწარმოებდა გალიაში, იერიშით აიღო რვაასზე მეტი ქალაქი, დაიმორჩილა სამასი სხვადასხვა ტომის ხალხი და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრძოლა აწარმოვა სამ მილიონ კაცთან, რომელთაგან ერთი მილიონი ბრძოლის ველზე მოსპო და ამდენივე ტყვედ ჩაიგდო ხელში.**

მაგალითისთვის, მისი სამხედრო ნიჭის უბრწყინვალესი მაგალითია ძვ.წ. 51 წელს **ალეზიესთან** გალების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა, როდესაც 60 ათასიანი ჯარით დაამარცხა აჯანყებული გალიის 250 ათასიანი არმია და შეიპყრო ამ აჯანყების მეთაური, გალების ახალგაზრდა ბელადი **ვერცინგეტორიქსი**, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ძალზე მნიშვნელოვანია პლუტარქეს შენიშვნა კეისრისა და მის მეომრებს შორის დამოკიდებულების შესახებ. კეისრის მეომრები მამაცობითა და ამტანობით ყველასგან გამოირჩეოდნენ. თვით ისინიც კი, რომლებიც სხვა ლაშქრობების დროს არაფრით არ განსხვავდებოდნენ დანარჩენ მეომართაგან,

უძლეველ მებრძოლებად იქცნენ და კეისრის დიდების გულისათვის მზად იყვნენ ყოველგვარ საშინელ საფრთხეს პირისპირ შეხვედროდნენ. ასეთი მამაცობა და პატივმოყვარეობა კეისარმა მეომრებს, უპირველეს ყოვლისა იმით შთაუნერგა, რომ სამაგიერო პატივსა და ჯილდოს გულუხვად ურიგებდა (როგორ არ უნდა გაგვახსენდას დიდი რუსთველის სიტყვები, - **უხვსა ჰმორჩილებს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია**), მაგრამ ეს მაინც არ იყო უმთავარესი, რაც განაპირობებდა მეომრების მხრიდან კეისრისადმი ასეთ თავდადებას. ეკონომიკური თეორიის ტერმინით რომ ვისარგებლოთ, ეს იყო მოკლევადიანი პერიოდის ეფექტი, რაც განსაზღვრავდა ჯარისკაცების ასეთი ქცევის მოტივაციას, ხოლო გრძელვადიანი პერიოდის ეფექტი, რომელიც დიდად განსაზღვრავდა ჯარისკაცების ქცევას საერთოდ, ეს იყო კეისრის ხასიათის წარმოუდგენელი თვისება, რომ საკუთარი ნებით ჩაეგდო თავი ყოველგვარ საფრთხეში და არავითარი სიძნელის წინაშე არ დაეხია უკან. კიდევ ერთი შტრიხი კეისრის ხასიათის თვისებისა, რომლის შესახებაც პლუტარქე გვამცნობს, - კეისრის სიყვარული განსაცდელისადმი სრულიადაც არ აოცებდა იმათ, რომლებიც მის პატივმოყვარეობას იცნობდნენ, მაგრამ აკვირვებდათ ის ამტანობა, რასაც იგი სიძნელეთა წინაშე იჩენდა და რაც მისი სხეულის ძალ-ღონეს აღემატებოდა".

საქმე იმაშია, რომ კეისარი აგებულებით სუსტი იყო, ხშირად იცოდა თავის ტკივილი და ავი ზნითაც (ეპილეფსიით) იყო შეპყრობილი, თუმცა, როგორც სვეტონიუსი ამბობს, მას სულ ორჯერ ჰქონდა შეტევა. ამიტომ იგი მთელი ცხოვრება ცდილობდა ორგანიზმის გაკაჟებას, რასაც ხელს უწყობდა მუდმივი სამხედრო სამსახური, ხოლო ზომიერი ცხოვრებით და გაჭირვების გადატანით სენსაც ამარცხებდა, - ბრძანებს პლუტარქე.

როგორც მისი რწმუნებული რომში, **გაიუს ოპიუსი** გადმოგვცემს, სხეულის სუსტ აგებულებასთან ერთად მას გონების

გასაოცარი ბრწყინვალებაც ახასიათებდა, რაც იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მას შეეძლო ორი-სამი წერილი ერთდროულად ეკარნახა, ხოლო ბარათების საშუალებით მეგობრებთან ურთიერთობის დამყარება პირველად კეისარმა შემოიღოო, ვინაიდან გადაუდებელ საქმეებზე მოსალაპარაკებლად მოუცლელობის გამო მათთან პირისპირ შეხვედრის საშუალება ხშირად არ ჰქონდა.

პირველი ომი, როგორც ამას იულიუს კეისარი თავის **„გალიის ომის ჩანაწერებში"** მოგვითხრობს, რომელიც მას გალიაში ლაშქრობის დროს მოუხდა, ეს იყო **ჰელვეტებისა** და **ტიგურინების** წინააღმდეგ ბრძოლა. საქმე იმაში იყო, რომ მათ საკუთარი თორმეტი ქალაქი და ოთხასამდე სოფელი გადაწვეს და რომისადმი დაქვემდებარებული გალიის ტერიტორიაზე დასასახლებლად გაემართნენ. ამით მან კელტ-გერმანელ ტომებს -კიმბრებსა და ტევტონებს მიბაძეს, რომელთაც ძვ.წ. 113 წელს ნარბონის გალიისაკენ (ახლანდელი პროვანსი), რომელიც რომის პროვინცია იყო, გალაშქრება გადაწყვიტეს, რათა იქ ჩასახლებულიყვნენ. ლეგენდარულმა გაიუს მარიუსმა ჯერ ტევტონები შემუსრა ძვ.წ. 102 წელს, ხოლო შემდეგ, ძვ.წ. 101 წელს ვერცელესთან (ჩრდ. იტალიაში) კიმბრები დაამარცხა.

ჰელვეტები და ტიგურინები, რომელთა საერთო რაოდენობა სამას ათასამდე აღწევდა და მათგან თითქმის ორასი ათასი ბრძოლისუნარიანი იყო, სიმამაცით არ ჩამოუვარდებოდნენ კიმბრებს და ტევტონებს. კეისარმა ისინი ერთიანად შემუსრა და ვინც გადარჩა, ერთიანად შეკრიბა და აიძულა მიტოვებულ მხარეს დაბრუნებოდნენ და იმავე ქალაქებში დასახლებულიყვნენ, რომლებიც მათ დაანგრიეს. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა კეისრის შორსმჭვრეტელი ბუნება, - ამით მან თავიდან აიცილა იმის შესაძლებლობა, რომ გერმანელები არ ჩასახლებულიყვნენ ჰელვეტების და ტიურინგების მიერ მიტოვებულ მხარეში.

ის, თუ რამდენად დიდ როლს თამაშობდა მისანთა წინასწარმეტყველება საომარი მოქმედებებისას ბრძოლის საბოლოო შედეგზე, კარგად ჩანს გერმანელთა ერთ-ერთი ტომის, **სვებთა** ბელადის **არიოვისტის** მაგალითზე. კეისარი, კელტების გერმანელთა ტომების თავდასხმისგან დაცვის საბაბით, არიოვისტის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. მსტოვრების მეშვეობით რა შეიტყო, რომ მისან ქალთა წინასწარმეტყველებით, არიოვისტს ახალი მთვარის დადგომამდე ბრძოლა არ უნდა დაეწყო, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მათ პირველი დასხმოდა თავზე, რითაც აიძულა გერმანელები ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. ცხადია მისნობის ამბავი რიგითმა გერმანელებმაც იცოდნენ და ისინი დაბნეულად და გაუბედავად მოქმედებდნენ. როგორც ამბობენ, **კეისარმა ოთხმოცი ათასი ჯარისკაცი გაანადგურა ამ ბრძოლაში.**

ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც მას სხვა უდიდესი მხედართმთავრებისგან ხაზგასმით გამოარჩევდა, იყო მისი უკიდურესად გამძაფრებული ყურადღება რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი. მართლაც, ამ ბრძოლების წარმატებით დასრულების შემდეგ მან მხედრობა გამოსაზამთრებლად **სექვანების**, - ბელგთა გალიაში, კელტური წარმოშობის ერთ-ერთი უძლიერესი ტომის მხარეში დატოვა (ესეც მის დაკვირვებულობაზე მეტყველებს - თ.ა.), ხოლო თვითონ კი, იმ მიზნით, რომ რომში მიმდინარე ამბები მხედველობიდან არ გამოპარვოდა, **მდინარე პოს** გასწვრივ მდებარე ცისალპიურ გალიაში გადმოვიდა და აქ გატარებული დრო იმას მოახმარა, რომ თავის მომხრეთა რიცხვი გაეზარდა, - ბრძანებს პლუტარქე.

იგი თითოეულ სტუმარს აძლევდა იმას, რასაც იგი მოითხოვდა და რადგან კარგიც არანაკლები სისწრაფით ვრცელდება, ვიდრე ცუდი, მისკენ მთხოვნელთა და გვერდზე მდგომთა უსასრულო არმია გამოემართა. კეისარიც ყველას კმაყოფილს

ისტუმრებდა, ზოგს უკვე დასაჩუქრებულს და ზოგს იმედით აღსავსეს. მოკლედ, ამ ადამიანს უსასრულობამდე პატივმოყვარეობის უზარმაზარი ჭია ერთი წამითაც არ აძლევდა მოსვენების უფლებას და ამ ფიზიკურად სუსტ და ჯანმრთელობის მხრივაც არც თუ მთლად წესრიგში მყოფს, უზარმაზარი სულიერი ძალებით მუხტავდა.

შეუძლებელია, რომ ეს პომპეუსს ვერ შეემჩნია და, ამდენად, ვერ დავეთანხმებით პლუტარქეს იმაში, რომ იგი ამას ვერ ამჩნევდა. უბრალოდ, მას თავისი პერსონა იმდენად შეუდარებლად დიდად მიაჩნდა კეისრის პერსონასთან შედარებით, ყოველ შემთხვევაში თავიდან მაინც, რომ ამას ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა, ხოლო როდესაც შეამჩნია, ყოვლად უსარგებლო სიამაყემ უფლება არ მისცა, რომ ეს სხვასაც შეემჩნია, მითუმეტეს, როცა გარემოცვა სულ იმას უმტკიცებდა, რომ კეისარი მასთან შედარებით არაფერს არ წარმოადგენდა.

ამის პარალელურად კეისარმა კიდევ ერთხელ აჩვენა გასაოცარი სიმამაცე ბელგთა შორის უველურესი და უმამაცესი ტომის, - **ნერვიების** წინააღმდეგ ბრძოლისას. როდესაც კეისარი ლაშქრის დაბანაკებით იყო გართული, ისინი **სამოცი ათასი მეომრის** შემადგენლობით დაესხნენ თავს რომაელთა **მეშვიდე და მეთორმეტე ლეგიონებს** და ყველა ცენტურიონი ამოჟლიტეს. კეისარს რომ ფარისთვის ხელი არ ეტაცნა და წინა ხაზზე მებრძოლთა რიგების გაჭრის შემდეგ მტერს არ ჰკვეთოდა, ხოლო ამავე დროს, კეისრის საფრთხის დანახვაზე, მეათე ლეგიონი მაღლობიდან ძირს არ დაშვებულიყო და ბარბაროსთა რაზმები არ მიელეწ-მოელეწა, რომაელთაგან ძნელად თუ გადარჩებოდა ვინმე, - ბრძანებს პლუტარქე. როგორც ამბობენ, **ბარბაროსთა სამოცი ათასი მეომრიდან მხოლოდ ხუთასამდე გადაურჩა სიკვდილს, ხოლო მათი საბჭოს ოთხასი უხუცესი წევრისგან კი მხოლოდ სამი.**

ეს გამარჯვება, თავისი მნიშვნელობით იმდენად დიდი იყო, რომ როდესაც ამ გამარჯვების შესახებ სენატს ეუწყა, მან დაადგინა ღმერთების მიმართ სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ და თხუთმეტი დღის განმავლობაში დღესასწაულები გაემართათ.

ამ ამბების შედეგად, კეისრის გავლენა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაზე იმდენად გაიზარდა, რომ ამიერალპების ქალაქ **ლუკაში** გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც **ას ოცი ლიქტორი და ორასზე მეტი სენატორი ესწრებოდა, პომპეუსისა და კრასუსის ჩათვლით**, მოხდა თანამდებობების განაწილება. კერძოდ, გადაწყდა, რომ პომპეუსი და კრასუსი კონსულებად არჩეულიყვნენ, ხოლო კეისარს მხედართმთავრობის ვადა კიდევ ხუთი წლით გაგრძელებოდა. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი, ერთის გარდა, არავინ არ ყოფილა (კატონი წინასწარ გაგზავნეს კიპროსზე), რადგან კეისარმა წინასწარ მოქრთამა ყველა, ვინც კი წონადი იყო სენატში, და არა მხოლოდ ისინი, – ყველა, ვისი მოქრთამვაც კი შეიძლებოდა, კეისარმა მოქრთამა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა კეისარმა გერმანულ ტომებზე, რომელთაც გალების მიწის დაპყრობა სურდათ. როგორც კეისარი თავის **„გალიის ომის ჩანაწერებში“** აღნიშნავს, ამ გერმანელ ტომთაგან **ოთხასი ათასი (?)** გაჟლიტეს და მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილმა მოახერხა უკან გადასვლა. კეისრის უსაზღვრო პატივმოყვარეობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მდინარე **რენოსზე**, - საიდანაც გერმანელი ტომები გადმოვიდნენ და გალიაში შეიჭრნენ, - გადასვლა და მათ მიწაზე ბრძოლის გაჩაღება გადაწყვიტა, რითაც იგი პირველი რომაელი გახდა, რომელმაც ომის თეატრი გერმანელთა ტერიტორიაზე გამართა.

გასაოცარი ისიც არის, რომ მან მდინარეზე ხიდის გამა-

რთვა დაიწყო არა ყველაზე ვიწრო და ასაშენებლად მოსახერხებელ ადგილას, არამედ იქ, სადაც მდინარე ყველაზე უფრო განიერი და მძლავრი დინების მქონე იყო. კეისარმა მდინარის ფსკერზე ხის უზარმაზარი ხიმინჯები ჩაასმევინა, რისი მეოხებითაც დინების მიერ წამოღებული ძირკვებისა და მორების დარტყმის ძალა შეამცირა და ამასთან ხიდის აგება წარმოუდგენლად მცირე დროში, - სულ რაღაც ათ დღეში დაასრულა. ამ ამბების შემხედვარე გერმანელთა ყველაზე უფრო მოწინავე სვებთა ტომიც კი უღრანსა და ტყით დაფარულ ხეობებში გაიხიზნა. კეისარმა სვებთა ქვეყანა ცეცხლს მისცა, რითაც რომაელთა მარადიულ მოკავშირეთ მხნეობა შთაუნერგა და თვრამეტი დღის შემდეგ კვლავ გალიაში დაბრუნდა, - გადმოგვცემს პლუტარქე.

ამის შემდეგ კეისარმა კიდევ უფრო გასაოცარი ლაშქრობა მოაწყო. მან ძვ.წ. 55 წელს პირველი ლაშქრობა მოაწყო ბრიტანეთში, კუნძულზე, რომლის არსებობა-არარსებობის შესახებ გაცხარებული დავა მიმდინარეობდა იმდროინდელ მწერლებს შორის, ხოლო მომდევნო წელს კი მეორედ დალაშქრა იგი. მართალია, ღარიბ-ღატაკ ბრიტანელთაგან მან ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ წამოიღო ნადავლის სახით, მაგრამ მათი დამორჩილებით რომაელთა ბატონობა მანამდე ცნობილი სამყაროს მიღმაც გადასწია.

იქიდან გალიაში დაბრუნებულ კეისარს მეგობრებმა წერილობით აუწყეს, რომ მისი ქალიშვილი იულია, პომპეუსის მეუღლე მშობიარობას გადაჰყოლოდა. ამას ისიც დაემატა, რომ გალიის ტომები მუდმივი შფოთის წყაროს წარმოადგენდნენ. ისინი მუდმივ აჯანყებებს აწყობდნენ რომის ბატონობისგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთი ასეთი აჯანყება, რომელშიაც გალიის თითქმის ყველა ტომი მონაწილეობდა, **ვერცინგეტორიქსის** საერთო წი-

ნამძღოლობით, იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც რომშიც აღდგნენ კეისრის წინააღმდეგ. ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მან მტრის წინააღმდეგობა გატეხა და დაამარცხა კიდეც ისინი, თუმცა ომი ამით არ დამთავრებულა. ბრძოლაში გადარჩენილ ბარბაროსთა უმრავლესობამ თავიანთ ბელადთან ერთად თავი **ალეზიას** შეაფარეს, რომელიც თავის კედლებითა და შიგ ჩაკეტილ თავდამცველთა სიმრავლით აუღებელ სიმაგრედ ჩანდა, - ბრძანებს პლუტარქე. ამას ისიც დაემატა, რომ კეისარს ზურგიდან **სამას ათასამდე** იარაღასხმული უმამაცესი ტომებიც დაესხნენ თავს. არც ერთ ბრძოლაში არ გამოუჩენია კეისარს ისეთი სიმამაცე და ნიჭი, როგორიც ამ ბრძოლაში გამოაჩინა. მან ისე მოახერხა ბრძოლის წარმართვა, რომ ქალაქში ჩაკეტილ მტერს არ შეუმჩნევია, თუ როგორ შეება კეისარი გარედან მოზღვავებულ მტერს, ხოლო როდესაც გაიგეს დამარცხების ამბავი, უბრძოლველად დანებდნენ კეისარს. რაც შეეხება ვერცინგეტორიქსს, მან ყველაზე უფრო ძვირფასი იარაღი აისხა, ცხენზე ამხედრებული გამოვიდა ქალაქის კარიბჭიდან, შემოუქროლა იმ ადგილს, სადაც კეისარი იჯდა, ცხენიდან ჩამოვიდა, მთელი თავისი იარაღი ძირს დაყარა და კეისრის ფერხთა წინ დუმილით დაჯდა. მან კეისრის მიერ რომში გამართულ ტრიუმფამდე იცოცხლა...

როგორც კი ძვ.წ. 53 წელს მესოპოტამიაში **კარესთან** ბრძოლაში გაიუს კრასუსი უსახელოდ დაიღუპა, ხოლო მისი მხედრობა მთლიანად განადგურდა, ცხადი შეიქმნა, რომ რომისთვის ბრძოლას ორი ტიტანი შემორჩა, რომელთა შორის ბრძოლა გარდაუვალი იყო, ან კეისარი, ან პომპეუსი და, რადგანაც ორივეს პატივმოყვარეობა თავს გადასდიოდა, მათ შორის კონსესუსი რაიმე ფორმით, შეუძლებელი იყო.

კეისარმა კონსულობისა და თავის პროვინციებში პომპეუსის თანაბრად უფლებამოსილების გაგრძელება მოითხოვა. კეისარი თანახმა იყო იარაღი დაეწყო, ოღონდ იმ პირობით, რომ პომპე-

უსიც ასე მოიქცეოდა. როდესაც ამაზე უარი მიიღო, მაშინ კეისარმა ახალი წინადადება შესთავაზა სენატს. იგი ყველაფერზე იღებდა ხელს, ოღონდ მოითხოვდა მისთვის საგამგებლოდ გადაეცათ ამიერალპების გალია და ილირია ორი ლეგიონითურთ მანამდის, სანამ იგი მეორედ არ მიიღებდა კონსულობას.

როგორც სჩანს, კეისარმა კარგად იცოდა, რომ მის არც ერთ წინადადებას სენატი (და არა პომპეუსი, რომელიც პრინციპში თანხმდებოდა კეისრის ბოლო წინადადებას - თ.ა.) არ დათანხმდებოდა, რითაც მას ექნებოდა მშვენიერი მიზეზი რომისკენ წამოსულიყო თავისი მხედრობით. ასეც მოხდა, - იგი სულ რაღაც **სამასი მხედრით და ხუთი ათასი ქვეითი მეომრით** გამოემართა რომისკენ. კეისარი საომარი ქმედებებისას ყოველთვის ძირითად აქცენტს, გარდა სასწაულებრივი სიმამაცისა, მტერზე თავზარდამცემ სწრაფად თავდასხმაზე აკეთებდა და ახლაც ასე მოიქცა.

მდინარე რუბიკონზე გადასვლის წინ, კეისარმა, თავის თანამებრძოლებთან ერთად, ყოველმხრივ აწონ-დაწონა თავისი გადაწყვეტილება რომზე გალაშქრების შესახებ. მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი ის შესაძლო შედეგები, რაც ამ მდინარის გადასვლას მოჰყვებოდა და, რაოდენ დიდი უბედურების დასაწყისი იქნებოდა მისი ეს ნაბიჯი რომაელი ხალხისთვის. გარდა ამისა, მას წინა ღამით, - როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, - საშინელი სიზმარი ნახა, - თითქოს საკუთარ დედას ბუნებისგან აკრძალული კავშირით შეეუღლა. ცხადია, მისი სიზმარი ნამდვილად ასახავდა იმას, რაც რუბიკონის გადალახვას მოჰყვა და კეისარს წინათგრძნობამ ამჯერად არ უმტყუნა, რასაც ვერ ვიტყვით მისი მკვლელობის წინა დღეებთან დაკავშირებულ წინათგრძნობაზე, თუ ეს არ იყო მხოლოდ ბედისწერით გადაწყვეტილი.

საბოლოოდ, მხნეობამოკრეფილმა კეისარმა მხოლოდ

ერთი ლეგიონით, გადალახა მანამდე ყველასათვის უცნობი პაწაწინა მდინარე **რუბიკონი**, წარმოთქვა რა ისტორიული ფრაზა, როგორც ამბობენ ბერძნულად, - **„ანერიფთო კიბოს“**, რისი ლათინური შესატყვისია, - **„Alea iacta est“**, - **„არჩევანი გაკეთებულია“**, თუმცა, რატომღაც, ისტორიულად ლათინურ ენაზე დამკვიდრდა კეისრის მიერ ბერძნულად ნათქვამი ეს საკრალური სიტყვები, რითაც პრაქტიკულად, ძალაუფლებისთვის ბრძოლა სამოქალაქო ომის ფაზაში გადავიდა.

მართლაც, როგორც პლუტარქე ბრძანებს, - „მთელი რომი მოწინააღმდეგეთა ჟინმორეულმა ბრძოლამ და მოუსვენარმა ძალმომრეობამ მოიცვა.“ თავად პომპეუსიც საკმაოდ შეშფოთებული იყო არსებული სიტუაციით. მას ყოველი მხრიდან სთხოვდნენ პასუხს არსებულ მდგომარეობაზე და მოსვენებას არ აძლევდნენ. ერთნი ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან საკუთარი თავისა და რესპუბლიკის საზიანოდ კეისარი მეტისმეტად აღაზევა, ხოლო მეორენი ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან უარი სთქვა კეისრის კომპრომისულ წინადადებებზე, რომელსაც იგი სენატს სთავაზობდა.

იმდენად დიდი იყო საყოველთაო პანიკა, რომელიმაც რომი მოიცვა, რომ პომპეუსიც აჰყვა საყოველთაო მღელვარებას და მაშინვე გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომ იგი ტოვებს რომს და წინადადება მისცა სენატს, რომ მას გაჰყოლოდა, ხოლო ყველას, ვისაც სამშობლო და თავისუფლება ერჩია ტირანიას, აუკრძალა რომში დარჩენა.

ცხადია, პომპეუსის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება კეისრისადმი შიშით გამონვეული ნამდვილად არ იყო და ამას პომპეუსიც იტყვის მოგვიანებით. მან რომი დაინდო სისხლისღვრისაგან. და ამ დროს,... რითაც დავიწყეთ ჩვენი თხრობა კეისრის შესახებ, - კეისრის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი, გალიის მთელ ომებში მისი ლეგატი და თავდადებუ-

ლი თანამებრძოლი **ტიტუს ლაბიენუსი** განუდგა კეისარს და პომპეუსის მხარეზე გადავიდა. და ამ დროს კეისრის ჟესტი, ... მხოლოდ ბუმბერაზი ადამიანებისთვის დამახასიათებელი ჟესტი, - მიუხედავად ასეთი საქციელისა, კეისარმა მას მაშინ მთელი მისი კუთვნილი ფული და ავლა-დიდება გაუგზავნა, - ბრძანებს პლუტარქე.

კეისარმა პირველ რიგში მისი დაუძინებელი მტრის, **კონსულ ლუციუს დომიციუს აგენობაბრის** წინააღმდეგ გაილაშქრა, ვისი დანიშვნაც სენატს, კეისრის ნაცვლად, გალიის გამგებლად ჰყავდა განზრახული. კეისარმა, ქალაქ **კორფინიუმის** მახლობლად დასცა ბანაკი, სადაც აგენობაბრი **ოცდაათი კოჰორტით** იყო გამაგრებული. მდგომარეობა იმდენად უიმედო ჩანდა, რომ აგენობაბრი დანებდა, თუმცა თავის მოწამვლაც სცადა, მაგრამ ექიმმა მას საწამლავის ნაცვლად ძილის მომგვრელი წამალი მისცა და როდესაც სიკვდილის მომლოდინემ გაიგო, რომ კეისარი ტყვეებს არაჩვეულებრივი კაცთმოყვარეობით ექცეოდა, თავისი თავი გამოიტირა მის მიერ აჩქარებული გადაწყვეტილების მიღების გამო, ხოლო რა გაიგო არ მოკვდებოდა, გახარებული წამოხტა ფეხზე და კეისართან გაეშურა. კეისარმა იგი შეიწყალა და ამის მიუხედავად იგი ისევ პომპეუსთან გაიქცა.

ნამდვილად ძნელი ასახსნელია აგენობაბრის ასეთი საქციელი. თუ ეს ერთგულების დადასტურება იყო პომპეუსისადმი, მაშინ იგი ცუდი პოლიტიკოსი ყოფილა, ხოლო თუ კეისრისადმი განსაკუთრებული ზიზღით გამოწვეული ნაბიჯი, - იგი, ამასთან ერთად უმადურიც ყოფილა. ფაქტი კი ის არის, რომ როდესაც კეისრის ასეთი ლმობიერების ამბავი რომში შეიტყვეს, მოქალაქეებს შვება მიეცათ და ზოგიერთი ლტოლვილი უკან დაბრუნდა, - ბრძანებს პლუტარქე. ცხადია, კეისრის მხრიდან ესეც კარგად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ თავისი პოლიტი-

კური მიზნების მისაღწევად მას შეეძლო როგორც სულგრძელი ყოფილიყო, ასევე დაუნდობელი სიმკაცრეც გამოეჩინა.

დომიციუსის ჯარით კეისარმა თავისი მხედრობა შეავსო და იმ ლაშქრის შემოერთებაც მოახერხა, რომელიც იტალიის ქალაქებში პომპეუსისთვის იკრიბებოდა. ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარით კეისარი უკვე თავად დაიძრა პომპეუსისკენ, მაგრამ პომპეუსმა თავი აარიდა ბრძოლას და **დირაქიუმში** მოახდინა თავისი ძალების მობილიზება. ასე რომ, სულ რაღაც სამოცი დღის განმავლობაში, სისხლის ღვრის გარეშე, კეისარი მთელი იტალიის ბატონ-პატრონი შეიქმნა, - ბრძანებს პლუტარქე.

ამის შემდეგ კეისარი ესპანეთისკენ გაემართა, რათა პომპეუსის ლეგატები აფრანიუსი და გამოჩენილი რომაელი სწავლული, **მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ.წ. 116- 28წწ)**, რომელიც ძვ.წ. 49 წელს პომპეუსის ლეგატი იყო ესპანეთში, და რომელიც პომპეუსის დამარცხების შემდეგ შემოირიგა კეისარმა, ესპანეთიდან გაეძევებინა, იქაური ჯარები და პროვინციები დაემორჩილებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დაძრულიყო პომპეუსის წინააღმდეგ ისე, რომ ზურგში არც ერთი მტერი არ ჰყოლოდა.

აქ ხაზგასასმელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელის შესახებაც არა მხოლოდ კეისრის მეხოტბეები, არამედ პრაქტიკულად ყველა ისტორიოგრაფები, თავად პლუტარქეს ჩათვლით, დუმან და გაკვრითაც არ აღნიშნავენ, რომ ესპანეთის ომში კეისარი რამდენჯერმე დამარცხდა. გარდა ამისა, თავადაც მის პირად სიცოცხლესაც არაერთხელ შეექმნა საფრთხე და მისი მხედრობაც შიმშილის გამო სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა. თუმცა საბოლოოდ **ილერდასთან** პომპეუსის ლეგატთა ჯარი გაანადგურა.

ამავე წელს კეისარი სენატის მიერ, უფრო სწორად სენატის რომში დარჩენილი წევრების მიერ, დიქტატორად იქნა არჩეული. მან სამშობლოდან გაძევებული ხალხი უკან დააბრუნა, ხოლო სულას დროს უფლებააყრილ რომაელთა შვილები პატივში აღადგინა და ვალთა სარგებლის ნაწილობრივი გაუქმებით მოვალეთა მდგომარეობა შეამსუბუქა, - ბრძანებს პლუტარქე.

კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, დიქტატორად არჩევიდან თერთმეტი დღის შემდეგ, მან ამ არჩეულ თანამდებობაზე უარი განაცხადა, თავისი თავი, ერთ-ერთ სენატორთან ერთად, კონსულად გამოაცხადა და, ზამთრის ბუიანობის ჟამს, იანვრის თვის დამდეგს, **ექვსასი რჩეული მხედრით და ხუთი ლეგიონით პომპეუსის წინააღმდეგ გაემართა.**

გავიდა თუ არა იონიის ზღვაზე, კეისარმა **ორიკოსი** და ილირიაში მდებარე ბერძნული განათლების დიდი ცენტრი, მდინარე **აოეს** ნაპირზე მდებარე ქალაქი **აპოლონია** აიღო და ხომალდები ჩამორჩენილ მეომართა წამოსაყვანად ბრუნდიზიაში დააბრუნა. მალე ბრუნდიზიიდან ანტონიუსი ჩამოვიდა და თან მხედრობაც ჩამოიყვანა, რამაც საშუალება მისცა კეისარს პომპეუსი ბრძოლაში გამოეწვია.

პომპეუსს საკმაოდ კარგი მომარაგება ჰქონდა როგორც ხმელეთიდან, ასევე ზღვიდან და ხელსაყრელ პოზიციასაც ფლობდა, კეისარს კი თავიდანვე არ გააჩნდა კარგი მომარაგება, რამაც მისი ჯარი იმდენად შეაწუხა, რომ მიწიდან რაღაც ფესვებს თხრიდნენ, წვრილ-წვრილად დაჭრილს რძეში ურევდნენ და ამით იკვებებოდნენ.

როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, - პომპეუსის სიმაგრეებთან განუწყვეტლივ ხდებოდა ცალკეული შეტაკებები, რომელშიც ყოველთვის კეისარი გამოდიოდა გამარჯვებული, მა-

გრამ ერთ-ერთ ბრძოლაში იგი ისე სასტიკად დამარცხდა, რომ კინაღამ ბანაკი დაჰკარგა. ეს მოხდა საბერძნეთში, **დირაქიუმთან**, სადაც პომპეუსმა კეისრის ჯარი გააქცია, ხოლო თავად კეისარი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს საკუთარივე მედროშის მუხანათურად შემართული მახვილისაგან.

ისტორია ამ ფაქტის შესახებ მაინცდამაინც აფიშირებას არ აკეთებს, რათა არ დაიმსხვრეს მითი მისი დაუმარცხებლობის შესახებ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, - აქ კეისარმა ძალიან სამარცხვინო მარცხი იწვნია, - **მტერმა ოცდათოთხმეტი დროშა ჩაიგდო ხელში** და თხრილები დახოცილთა გვამებით გაავსო. ამ ბრძოლის შემდეგ კეისარმა საქმე საბოლოოდ წაგებულად ჩათვალა, მაგრამ პომპეუსმა, შეიძლება ითქვას, თავისი უკანასკნელი შანსი ხელიდან გაუშვა და ეს ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე არ მიიყვანა. უკუქცეული მტერი მისსავე ბანაკში ჩაკეტა და თავად უკან დაიხია. ამის შემდეგ კეისარმა ასეთი სიტყვებით მიმართა გარემოცვას, - **„დღევანდელ დღეს გამარჯვება მტრების მხარეზე იქნებოდა, უკეთუ გამარჯვების შემძლე ჰყოლოდათო.“**

ცოტა ძნელი წარმოსადგენია, საიდან უნდა სცოდნოდა პლუტარქეს რა ფიქრებში გაატარა ის ღამე კეისარმა, მაგრამ თუ მის ნათქვამს ვენდობით, კეისარი თავის თავს მართებულად კიცხავდა, როდესაც ეს წაგებული ბრძოლა მის უხეირო სარდლობას დააბრალა, რადგანაც იმის ნაცვლად, რომ ბრძოლა მახლობლად მდებარე ვრცლად გაშლილ ადგილსა და მაკედონიისა და თესალიის მდიდარ ქალაქებთან გაემართა, მან ბანაკი დასცა ზღვასთან, სადაც მტერი ყოველმხრივ ძლიერი იყო, ხოლო თვითონ კი სურსათის ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ, კეისარმა გადაწყვიტა ამ ადგილიდან აყრილიყო და სციპიონის წინააღმდეგ წასულიყო მაკედონიაში. კეისარს იმედი ჰქონდა, რომ იქ მიიტყუებდა პომპეუსს, სადაც უკვე ზღვიდან ყოველგვარი დახმარების გარეშე მოუწევდა მასთან

ბრძოლა, ხოლო თუ პომპეუსი არ მოტყუვდებოდა, მარტო დარჩენილ სციპიონს დაამარცხებდა.

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, არც თუ ისე იშვიათად, ისეთ დიდ მხედართმთავრებსაც კი, როგორიც კეისარი იყო, საკუთარ შეცდომებზეც უწევთ სწავლა. რომ არა დირაქიუმთან დამარცხება, ალბათ ასეთ გადაწყვეტილებას კეისარი არ მიიღებდა, ხოლო პომპეუსი ამ ადგილიდან არ დაიძვრებოდა, რადგანაც იგი კარგად იყო მომარაგებული სურსათ-სანოვაგით და ზღვიდანაც მუდმივი მხარდაჭერა ჰქონდა.

და, აქ, პომპეუსმა იმ დონის ფატალური შეცდომა დაუშვა, რომელიც მას არა მხოლოდ სამარცხვინო წაგების ფასად დაუჯდა (ცხადია, კეისართან წაგება სამარცხვინოდ ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც მას ყველანაირი უპირატესობა ჰქონდა კეისართან შედარებით... - თ.ა.), არამედ სიცოცხლის ფასადაც, - იგი გარემოცვის ნებას დაჰყვა და კეისარს დაედევნა.

თავად პომპეუსი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და ყოველნაირად ერიდებოდა ერთი ბრძოლით ომის ბედის გადაწყვეტას. იგი თავიდანვე იყო განწყობილი იმისათვის, რომ გადამწყვეტი ბრძოლის გაჭიანურებით დაესუსტებინა კეისრის ჯარი და ისედაც შეფერთხილი მტრის ძალები კიდევ უფრო მოექანცა, მითუმეტეს, რომ ხმები დადიოდა, -კეისრის ლაშქარში რაღაც გადამდები სენი მძვინვარებს, რომლის მიზეზიც უჩვეულო საკვებიაო.

პომპეუსს რომ სულის სიმტკიცე გამოეჩინა და გარემოცვის კაპრიზებს არ აჰყოლოდა, როგორც სჩანს იგი უბრძოლველად, სრულიად უსარგებლო ძმათა შორისი სისხლისღვრის გარეშე, როგორც ამას თავად პომპეუსისც ფიქრობდა, დაამარცხებდა კეისარს.

საბოლოოდ, პომპეუსი საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ კეისარს დაედევნა. ამ დროს კეისარმა გზის დიდი ნაწილი ძალიან მძიმე ვითარებაში გაიარა, ვინაიდან ახლახან განცდილი მარცხის გამო ყველა ალმაცერად უყურებდა და სურსათს არავინ არ აძლევდა. თუმცა, როდესაც თესალიის ქალაქი გომფი აიღო, მხედრობაც გამოკვება და სენისაგან განკურნა, რაშიაც, უნდა ვივარაუდოთ ბახუსისადმი ტრფიალს უნდა მიუძღვოდეს გარკვეული წვლილი. ამ ქალაქში იმდენ ღვინოს წააწყდნენ და იმდენს სვამდნენ, რამდენიც სურდათ, რამაც ორგანიზმი განკურნა დაუდგენელი სენისგან.

როგორც უკვე ითქვა, ისეთი ბუმბერაზი მხედართმთავრებიც კი, როგორებიც პომპეუსი და კეისარი იყვნენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ორაკულებისა, თუ სხვადასხვა მისანთა და მჩხიბავთა მიერ სამსხვერპლო ცხოველისა თუ ფრინველის შიგნეულობების მიხედვით ყოველი ბრძოლის წინ წინასწარმეტყველებას. როდესაც კეისარი ლაშქრის განწმენდის წეს-ჩვეულებებს ასრულებდა, მკითხავმა პირველი სამსხვერპლო ცხოველის შეწირვისთანავე განუცხადა, - სამი დღის შემდეგ მტერთან ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იქნებაო. კეისრის კითხვაზე, - ბრძოლის კეთილად აღსრულების შესახებ რამეს თუ ხედავდა, მკითხავმა მიუგო, - მაგ კითხვაზე შენ თავად უკეთ გასცემ პასუხსო. ხოლო ბრძოლის დაწყების წინა ღამეს, როგორც გადმოგვცემენ, თურმე (?) დაახლოებით შუაღამისას, როდესაც კეისარი საგუშაგოებს უვლიდა,ზეცაზე ცეცხლოვანი ჩირაღდანი გამოჩნდა. მან ჯერ კეისრის ბანაკის თავზე გადაიარა, შემდეგ იფეთქა, აელვარდა და პომპეუსის ბანაკში ჩავარდა. იმავდროულად პომპეუსი კი ბრძოლის გაჭიანურების მიზეზად იმას იყენებდა, რომ არც წინამოსწავების ნიშნები იუწყებოდნენ კარგ რასმე და არც პომპეუსის მიერ ნახული სიზმარი იუწყებოდა კარგ ბოლოს. მას ეზმანა, თითქოს რომაელები თეატრში ტაშს უკრავდნენ, - ბრძანებს პლუტარქე.

საბედისწერო ბრძოლა **ფარსალეს ველზე** გაიმართა. კეისარმა ლაშქარი სამ ნაწილად გაყო. შუა ნაწილის წინამძღოლად **გნეუს დომიციუს კალვინუსი** (კონსული ძვ.წ. 58 წელს, აზიის მმართველი, რომელმაც ძვ.წ. 48 წელს დაამარცხა მითრიდატე დიდის შვილი, პონტოს მეფე ფარნაკე - თ.ა.) გაამწესა, მარცხენა ფრთა მარკუს ანტონიუსმა დაიკავა, მარჯვენა ფრთას კი თავად კეისარმა ჩაუდგა სათავეში.

ის, თუ რა სტრატეგია აირჩია კეისარმა, რამაც გადაწყვიტა კიდეც, როგორც ბრძოლის, ასევე პომპეუსის ბედი, ჩვენ უკვე ვიცით, როდესაც პომპეუსის მოღვაწეობას ვაანალიზებდით. მაგრამ კეისრის ცხოვრების აღწერისას პლუტარქე ამ ფაქტს ცოტათი განსხვავებულად გადმოგვცემს. იგი წერს, რომ კეისრის მიერ მარჯვენა ფრთის ხელმძღვანელობამ, სადაც იგი მეათე ლეგიონთან ერთად იბრძოდა, გამოიწვია ის, რომ პომპეუსის ცხენოსანი ჯარი სწორედ მის საპირისპიროდ განლაგდა და მას - „შეეშინდა მოწინააღმდეგის ბრწყინვალე შეიარაღებისა და სიმრავლისა. ამიტომ ბრძანება გასცა უკანა რიგებში მდგომი რაზმებიდან ექვსი კოჰორტი ფარულად მასთან გადმოსულიყო. ეს ექვსი კოჰორტი კეისარმა მარჯვენა ფრთის ზურგში დააყენა და აუხსნა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როცა მტრის მხედრობა შეტევაზე გადმოვიდოდა.“ ანუ, ამ აღწერიდან გამოდის, რომ კეისარმა ეს შიშის გამო გააკეთა, მაშინ როდესაც პომპეუსის ცხოვრების აღწერისას პლუუტარქე ამბობს, რომ - კეისარმა დაინახა რა, რომ მხედრობა ძირითადად თავგადასავალთა მაძიებელი ახალგაზრდა პატრიციებისაგან შედგებოდა, ამიტომ გადმოიყვანა ექვსი კოჰორტა, რათა პომპეუსის მხედრობისათვი მათ როლები თეძოებსა და წვივებში კი არ ესროლათ, არამედ სახის არეში, რამეთუ ბრძოლაში გამოუცდელი მხედრობა სახეზე ხელებს აიფარებდა და მოწინააღმდეგეს ზურგს შეაქცევდა.

იერიშის დაწყების წინ პომპეუსმა თავის ფეხოსნებს უბრძა-

ნა ფხიზლად ყოფილიყვნენ და ერთ მტკიცე რიგად შემჭიდროებულთ მტრის მოწოლისათვის დაეცადათ, სანამ მოწინააღმდეგე ოროლის ტყორცნის მანძილზე არ მიუახლოვდებოდა მათ. ეს, კეისარს პომპეუსის მიერ დაშვებულ, კიდევ ერთ შეცდომად მიაჩნდა, რადგან მას უნდა სცოდნოდა, რომ თავიდანვე სწრაფად და ძლიერად მიტანილი იერიში დარტყმასაც ძალას აძლევს და საყოველთაო მღელვარე განწყობასაც აღგზნებას ჰმატებს, - გადმოგვცემს პლუტარქე.

აღარ გავიმეორებთ ბრძოლის ყველა დეტალს, უბრალოდ გავახსენებთ მკითხველს, რომ ბრძოლის ბედი პომპეუსის ბრძოლაში გამოუცდელი მხედრობის სილაჩრემ გადაწყვიტა. მათ ზურგი უჩვენეს მტერს და უკუიქცნენ.

დანარჩენი, უკვე ვიცით! ვიცით ისიც, თუ რა უსახელოდ დაასრულა პომპეუსმა თავისი სიცოცხლე!

ტყვედ ქმნილ მეომართა უმრავლესობა კეისარმა თავის ლეგიონებს შეუერთა. **მოკლულთა რაოდენობა ექვსი ათას ჯარისკაცს შეადგენდა**, ხოლო ბანაკის აღების დროს დახოცილთა უდიდეს ნაწილს მონები შეადგენდნენ, რომელთა რაოდენობაზე შესახებ თვითმხილველები არაფერს ამბობენ.

პომპეუსის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრიაში ჩასულ კეისარს **თეოდიოტემ** პომპეუსის თავი მიართვა, მაგრამ კეისარმა პირი იბრუნა და როდესაც პომპეუსის ბეჭედი აიღო ხელში, თვალებიდან ცრემლი წასკდა. მან პომპეუსის მეგობრები და ახლობლები, რომლებიც ქვეყანაში იყვნენ გაფანტულები და მეფის მიერ დატყვევებულები, ყველა შეიწყალა, რის შესახებაც ისტორიამ მისი ასეთი ფრაზაც შემოგვინახა, სადაც ძალიან ნათლად სჩანს კეისრის ამპარტავნობამდე მისულ პატივმოყვარეობასთან ერთად, ჩვეულებრივი ადამიანური ხასიათის თვისებაც, რასაც მისი თანამედროვენი **„Clementia“**-ს,

ანუ მიმტევებლობას, გნებავთ, გულმოწყალებას ეძახდნენ, - **„გამარჯვების ყველაზე უფრო დიდ სიტკბოს იმაში ვგრძნობ, რომ მუდამ დავიხსნა განსაცდელისგან ისინი, ვინც ჩემს წინააღმდეგ იბრძოდა.“**

ალექსანდრიაში გაჩაღებული ომი, ჩვენი აზრით გამარჯვებული, მაგრამ მუდმივი საომარი მოქმედებებით დაღლილ-დაქანცული მხედართმთავრის, ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებას მონატრებული მამაკაცის საქციელით უფრო უნდა აიხსნას, ვიდრე პირადი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილით, თუმცა ეს წამიერი სისუსტე, რაც **კლეოპატრასადმი** ამურული გრძნობებით იყო გამოწვეული, კეისარს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, ხოლო კაცობრიობას **ალექსანდრიის სახელოვანი ბიბლიოთეკის** განადგურებით, სადაც თავმოყრილი იყო ბერძნულ ენაზე, კაცობრიობის კულტურის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული საგანძური, რომელიც ძირფესვიანად დაიწვა, როდესაც ყოველმხრიდან ალყაში მოქცეული კეისარი იძულებული იყო ბრძანება გაეცა, რათა ცეცხლი ნაეკიდებინათ მტრის ფლოტისა და ალექსანდრიის ნავსადგურის შენობისათვის, რათა თავისი ჯარისკაცები ალყისაგან დაეხსნა.

საბოლოო შედეგი ამ ომისა ის გახლდათ, რომ კლეოპატრა ეგვიპტის დედოფალი გახდა და ცოტა ხანში კეისრისგან ვაჟი შეეძინა, რომელსაც **კესარიონი** დაარქვეს და რომელიც კეისრის მიერ მის მემკვიდრედ გამოცხადებულმა ოქტავიანმა **აქციუმთან** გამარჯვების შემდეგ მოაკვლევინა (!), ხოლო კლეოპატრას ძმა, **პტოლომეუსი** უგზო-უკვლოდ (?) დაიკარგა.

როდესაც კეისარი აზიაში დაბრუნდა, მას შეატყობინეს, რომ მითრიდატე ევპატორის შვილს ფარნაკეს დაემარცხებინა მისი ლეგატი გნეუს დომიციუს კალვინუსი, რომელიც მცირერიცხოვანი ამალით პონტოდან გაქცეულიყო. კეისარი

მყისვე დაიძრა მის წინააღმდეგ სამი ლეგიონით და პონტოს ქალაქ **ზელასთან** დიდი ბრძოლის შემდეგ მთლიანად შემუსრა მისი მხედრობა, ხოლო ფარნაკე პონტოდან გააქცია და ეს ყოველივე ისე სწრაფად მოამთავრა, რომ რომში სულ სამი სიტყვისაგან შემდგარი შეტყობინება გაუგზავნა თავის მეგობარ **ამანციუსს, - მივედი, ვნახე, დავამარცხე!**

მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს, თუ რას წარმოადგენდა იმ დროისათვის **პონტოს სამეფო**. როგორც პლუტარქეს ქართულად მთარგმნელი, ბ-ნი აკაკი ურუშაძე წიგნის ბოლოში დართულ შენიშვნებში მიუთითებს, - **ჩრდილოეთით მას საზღვრავდა ევქსინის პონტო, ანუ შავი ზღვა, დასავლეთით პაფლაგონია (მდ. ჰალისი), აღმოსავლეთით დიდი და მცირე სომხეთი და კოლხეთი (მდ. აკამფსისი, ანუ ჭოროხი), ხოლო სამხრეთით, - მცირე სომხეთი, კაბადოკია, გალატია (მდ. ანტიტავროსი და პარიადრი). პონტო მდიდარი იყო ხორბლით, ზეთისხილით, ტყით, მადნეულობით (მოიპოვებოდა რკინა, მზადდებოდა ფოლადი ხალიბების მხარეში, იქ, სადაც ახლა ისპირისა და გიუმიშხანეს საბადოებია). პონტოს ხალხი მრავალი ტომისგან შედგებოდა. კერძოდ, - ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ბექირები, ხალიბები, სანნები, სასპირები. ყველა ეს ტომი ქართველების წინაპარი ტომები იყვნენ.**

ფარსალესთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ კატონი და სციპიონი ლიბიაში გაიქცნენ და მეფე **იუბას** დახმარებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხედრობა შეკრიბეს. როგორც კი გაიგო ამის შესახებ კეისარმა, იგი დაუყონებლივ გაემართა ლიბიაში მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, კეისარი ორჯერ კინაღამ დამარცხდა მათ წინააღმდეგ გამართულ ლოკალურ ბრძოლაში და ამით გაამაყებულმა სციპიონმა გადაწყვიტა გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა კეისრის წინააღმდეგ. მან ქალაქ **თაფსუსის** მახლობლად განალაგა მეფე იუბასა და აფრანიუსის მხედრობა ერთმანეთისგან მოშორებით, ხოლო

თავად ზედ ტბის პირას დასცა ბანაკი. კეისარმა, მისთვის დამახასიათებელი გასაოცარი სისწრაფით გადაიარა ტყიანი და გაუვალი ხევები და სციპიონის მხედრობის ერთ ნაწილს ალყა შემოარტყა, მეორეს კი პირდაპირ შეუტია. მათი უკუქცევის შემდეგ მან სწრაფად იგო ხელთ აფრანიუსის ბანაკი და იუბას მიერ მიტოვებული ბანაკიც ერთიანად ააოხრა.

როგორც პლუტარქე ბრძანებს, - კეისარი, ერთ დღეში, სულ რამოდენიმე საათში, სამ ბანაკს დაეუფლა; ამასთან **მტრის ორმოცდაათი ათასი მეომარი მოსპო** (?), თვითონ კი მხოლოდ **ორმოცდაათამდე კაცი დაკარგა.** თაფსუსთან ბრძოლა ძვ.წ. 46 წლის აპრილში მოხდა. დაღუპულთა შორის იყვნენ რესპუბლიკელი კატონ უმცროსი, რომელმაც ტყვედ ჩავარდნას თავის მოკვლა არჩია, სციპიონი და იუბა, ხოლო ვინც გადარჩა, უმრავლესობა კეისარმა სიკვდილით დასაჯა.

აქ, რატომღაც, კეისარი მისთვის არადამახასიათებელი სისასტიკით გაუსწორდა დამარცხებულთ და ეს მაშინ, როდესაც ათასობით ელიტარული რომაელების წარმომადგენელი შეინყალა, ციცერონითა და ბრუტუსით დაწყებული. კატონის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, კეისარმა ცინიზმგარეული წუხილით თქვა, - **„ეჰ, კატონ, შურის თვალით შევცქერი შენს სიკვდილს, რამეთუ შენც შურით აღმიკვეთე შენთვის სიცოცხლის ჩუქების საშუალებაო“!**

ლიბიიდან რომში დაბრუნებულმა კეისარმა ხალხს ფრიად ქედმაღლური სიტყვით მიმართა თავისი გამარჯვებების შესახებ. ქედმაღლობისა რა გითხრათ, მაგრამ ის რაც მან გააკეთა, მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელს თუ შეედრებოდა თავისი მნიშვნელობით. კეისრის თქმით, - **„იმდენი მიწა-წყალი დავიპყარი, იქიდან სახელმწიფო ხაზინაში ყოველწლიურად ორასი ათასი ატიკური მედიმნი პური (ერთი ატიკური მედიმნი 52,53 ლიტრს უდრის) და სამი მილიონი საწყაო ზეითუნის ზეთი შემოვაო“.**

ამის შემდეგ, ძვ.წ. 46 წელს კეისარმა გადაიხადა ოთხმაგი ტრიუმფი, - **გალიის, ეგვიპტის, პონტოს და ლიბიის (ნუმიდიის)** დაპყრობის აღსანიშნავად. საზეიმო პროცესს წინ მიუძღვოდა **რაინის, როდანისა და ოკეანის** განმასახიერებელი ქანდაკებები, სამი ათასი ოქროს გვირგვინი, უამრავი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეულობა და ნაირ-ნაირი ძვირფასეულობა.

ეს ყველაფერი ისეთი პომპეზურობით ჩატარდა, რომ ყველა წინანდელ სარდალთა ტრიუმფს აღემატებოდა. ამის შემდეგ კეისარმა დიდი ჯილდოები დაურიგა თავის მეომრებს, ხოლო ხალხს ლხინი და სანახაობები გაუმართა. რომაელ მოქალაქეებს გაუშალა **ოცდაორი ათასი სუფრა ერთდროულად**, თითოეული სუფრა სამი კაცისთვის იყო განკუთვნილი (ცოტა მიჭირს სამკაციანი სუფრის წარმოდგენა - თ.ა.), ხოლო დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ქალიშვილის, - იულიას ხსოვნის აღსანიშნავად, კეისარმა გლადიატორთა ბრძოლები და ნავმაქიები (?) მოაწყო, - ბრძანებს პლუტარქე.

როგორც კი კეისარი მეოთხედ აირჩიეს კონსულად იგი ესპანეთში გაემართა პომპეუსის ვაჟების, **გნეუს პომპეუს დიდის** და **სექტუს პომპეუს დიდის** (სიტყვა „დიდი,“, ანუ ლათინურად „გნეუს,“ უნდა ვივარაუდოთ, რომ მემკვიდრეობით გადავიდა მამიდან შვილებზე - თ.ა.) წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთაც მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა დიდძალი მხედრობა შეკრიბეს და წინამძღოლობისათვის სავსებით შესაფერისი მამაცობაც გამოიჩინეს.

ბრძოლა მოხდა ესპანეთის ქალაქ **მუნდასთან, ბეტიკის ოლქში** ძვ.წ. 45 წელს. მათ იმდენად ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს კეისარს, რომ მან მხოლოდ დიდი ძალისხმევის ფასად შეიტანა გარდატეხა ბრძოლაში, როდესაც თავისი ჯარისკაცების რიგში შეიჭრა და ყვირილით მიმართა, - „თუკი

აღარაფრისა გრცხვენიათ, ბარემ ამიღეთ და იმ ლაწირაკ ბიჭებს მიმეცითო“.

ამ ბრძოლაში კეისარმა მტრის **ოცდაათ ათასამდე მეომარი შემუსრა, ხოლო თავად ათასამდე მებრძოლი დაკარგა.** ბრძოლის შემდეგ თავის კარავში დაბრუნებულმა კეისარმა, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, თანამებრძოლებს უთხრა, - **„მე ხშირად შემხვედრია ბრძოლა გამარჯვებისათვის, დღეს კი ჩემი საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ვიბრძოდი“!**

პომპეუსის უფროსი ვაჟის, გნეუს პომპეუსის თავი, ლეგატმა **კვინტუს დიდიუსმა** მიუტანა კეისარს, ხოლო უმცროსი ვაჟმა გაქცევით უშველა თავს.

ყველაზე შეუფერებელი საქციელი, რომელიც კი კეისარმა თავისი მრავალრიცხოვანი გამარჯვებების შემდეგ ჩაიდინა, ეს იყო ამ ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავი ტრიუმფის გამართვა. როგორც პლუტარქე ბრძანებს, - კეისარმა უცხო სახელმწიფოთა წინამძღოლები, ან ბარბაროსთა ტომები კი არ დაამარცხა, არამედ, რომაელთა შორის ყველაზე გავლენიანი, მაგრამ შემთხვევის წყალობით გაუბედურებული კაცის შვილები დახოცა და მისი გვარი ძირფესვიანად ამოჟლიტა. კეისრის ღირსებას ოდნავადაც არ შეეფერებოდა ის, რომ საკუთარი სამშობლოს უბედურებას ზეიმობდა. რომაელებს ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად იმიტომ აღიზიანებდა, რომ ადრე, საშინაო ბრძოლებში მოპოვებულ გამარჯვებას, არც მაცნეს საშუალებით და არც საჯარო წერილობრივი განცხადების გზით არ ატყობინებოდა.

საბოლოოდ, რომაელებმა კეისარი მთელი სიცოცხლის მანძილზე დიქტატორად აღიარეს. აქ ერთ გასაოცარ ფაქტზე გვინდა შევჩერდეთ, რომლსაც პლუტარქე ხაზგასმით აღნიშნავს. კეისარს იმდენი ახალი და საგანგებო რწმუნებები მია-

ნიჭეს, - და ამას მლიქვნელებზე უფრო კეისრის მტრები აკეთებდნენ, რომელიც ყოველგვარ ზომასა და გონიერების საზღვარს სცილდებოდა, - რომ კეისარი უბრალო ხალხისათვის აუტანელი და საძულველი გახადეს.

და, ეს დაემართა კეისარს, - ადამიანს, რომელსაც ყოველი სიტყვა, ყოველი ქმედება წინასწარ ჰქონდა გათვლილი და საერთო მიზნისათვის დამორჩილებული. როგოც ჩანს, ძალაუფლების მათრობელა სურნელი პოლიტიკურად ისეთი მაღალი ნიშნულის მქონე ადამიანზეც დამანგრეველად მოქმედებს, როგორიც კეისარი იყო და, მაშინ, რა გასაკვირია, რომ პოლიტიკურად უწიფარი და გონებრივადაც საშუალო გაქანების მქონე ადამიანს უარესი დაემართოს.

გასაკვირი ისიც არის, რომ თუ კი პირველ ჯერზე დიქტატორად არჩევისას, სულ რაღაც თერთმეტი დღის შემდეგ უარი თქვა ამ ტიტულზე, მერე რა დაემართა? ვერ დავიჯერებ, რომ კეისარი ვერ ხვდებოდა მოშურნეთა ამ ნაბიჯებს და მტერ-მოყვარეს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. ალბათ ის დაემართა, რაც ყველა მოკვდავს ემართება, - რაც არ უნდა დიდი პოლიტიკოსი იყოს, - **ძალაუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი ადამიანს ყველა საზრუნავს ავიწყებს და ყველა ცოდვას მიუტევებსო!**

ამ წინადადების მეორე ნაწილს, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის **დავით კასრაძის რომანიდან „კეთრი"** ავიღეთ, წინ წავუმძღვარეთ პირველი ნაწილი, - „ძალაუფლებისკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი," ხოლო მისი პირველი ნაწილი მწერალთან, იმდენადვე ამაღლებულია, რამდენადაც ჩვენს მიერ მოყვანილი ნაერთის მეორე ნაწილი, - „კოცნის სამოთხისეული ნეტარება."

საქმე იქამდე მივიდა, რომ გადაწყვეტილება მიიღეს კეისრის ლმობიერების, - ლათინურად **Clementia,** აღსანიშნავად

მოწყალების ტაძარი აეგოთ, რაც იმპერატორის კულტის დაწესებას მოასწავებდა. სენატის ასეთ ქმდებას თავისი გამართლება ჰქონდა, რადგან კეისარმა ომში მის მოწინააღმდეგე მებრძოლთა უდიდესი უმრავლესობა არა თუ დაინდო, არამედ ზოგი მათგანი დააწინაურა კიდეც, ხოლო ბრუტუსი და კასიუსი, რომლებიც მის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების მთავარი მოქმედი პირებიც გახდნენ, პრეტორებად გახადა. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ კეისრის თითოეული ნაბიჯი პოლიტიკური დატვირთვის მქონე იყო, ან მისი უპირატესობის მაჩვენებელი პატივმოყვარეობის დასტური. ალბათ ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ციცერონს, რომელმაც დაინახა რა, რომ კეისარმა პომპეუსის დამხობილი ქანდაკებები კვლავ კვარცხლბეკზე დაადგმევინა, განაცხადა, - **კეისარმა პომპეუსის ქანდაკებების აღდგენით საკუთარ ქანდაკებებს გაუმაგრა ძირიო.**

ახლა შევეცადოთ იმის ახსნას, გნებავთ გარკვევას, თუ რატომ აცხადებდა უარს კეისარი გარემოცვის თხოვნაზე, რომ თავის გარშემო დაცვა ჰყოლოდა. ამ საკითხზე მისი, ერთი შეხედვით, უპასუხისმგებლო განცხადება, ერთის მხრივ გაკვირვებას იწვევს, ხოლო მეორეს მხრივ აღტაცებასაც, რადგან ვფიქრობთ, რომ კეისარმა დანამდვილებით იცოდა, რომ მისი სახელი უკვდავებას იყო ნაზიარები და კაცობრიობის ისტორია მას მარადიული შარავანდედის უჭკნობი გვირგვინით შემოსავდა. კერძოდ, მან განაცხადა, - **„სჯობს კაცი ერთხელ მოკვდეს, ვიდრე ნიადაგ ამის შიშში იყოსო.“**

ბუნებრივად იბადება კითხვა, - მაშინ რა საჭირო იყო ამდენი წვალება, ამდენი ბრძოლა, ამდენი მსხვერპლი, თუ კი შესაძლებელი იყო, მისი სიცოცხლეც, ნებისმიერი რიგითი ადამიანივის სიცოცხლის დარად, შემთხვევითობის აუხსნელ და გაუთვლელ კაპრიზებს შეწირვოდა? ვფიქრობთ, მისი შორსმიმავალი და თეატრალიზებული სურნელით გაჯერებული

პასუხი, უფრო შთამომავლობისადმი განკუთვნილი მიმართვაა, საუკუნეებს შემდეგ დიდი რუსთველის მიერ ხატოვნად უკვდავქმნილი, -**„ სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!"** - და, თუ ეს ასე, მაშინ ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი გათვლაა. ამასთან ერთად იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ოქტავიან ავგუსტუსი, როგორც წესი, ათი პირადი მცველით იყო გარშემორტყმული, რომლებიც აგებულებით გოლიათებს ჰგავდნენ, თავადაც სამოსის ქვეშ მუდმივად აბჯარს ატარებდა და ვერავინ ვერ მიუახლოვდებოდა მას წინასწარი გაჩხრეკვის გარეშე, კეისრის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი უპასუხისმგებლოდ გამოჩნდება, მაგრამ ვინც იცნობდა კეისარს, ვინც იცოდა მისი ხასიათი, მიხვდებოდა, რომ იგი ამ საკითხს შთამომავლობის გადასახედიდან შეჰყურებდა.

ცხადია, კეისარი არ იყო ისეთი გულუბრყვილო, რომ ასეთი შესაძლებლობა დაეშვა, რისთვისაც, მისი აზრით ყველაზე საიმედო და მტკიცე გარანტი, ხალხის კეთილგანწყობილების მოპოვება იყო და ამას, გამუდმებული ლხინის გამართვითა და უფასო პურის დარიგებით ცდილობდა. გარდა ამისა, ჯარისკაცებს ახალშენები დაუარსა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი, დანგრეული და მიწასთან გასწორებული **კართაგენისა და კორინთოს** აღდგება-აღორძინება იყო. რაც შეეხება წარჩინებულთა ფენას, იგი ყველას რაღაცას ჰპირდებოდა და უარით არავის არ ისტუმრებდა. ზოგს კონსულობას, ზოგს პრეტორობას, სხვებს სხვადასხვა თანამდებობებს ჰპირდებოდა, ხოლო ყველას ერთად იმედს უნერგავდა და ყველანაირად ცდილობდა ხალხი საკუთარი ნებით ყოფილიყო მის მორჩილებაში. როგორ არ გაგახსენდეს, უკვდავი პოეტის უკვდავი სიტყვები, - **„უხვსა ჰმორჩილებს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია."**

კეისარი არა მხოლოდ გაკეთებული საქმეებით იყო გრანდიოზული პიროვნება. მისი სამომავლო გეგმებიც მისთვის დამახასიათებელი ჩანაფიქრის გრანდიოზულობით ხასიათ-

დებოდა, რისთვისაც საკმარისია თვალი გადავალოთ ამ უზარმაზარი პიროვნების პროექტების ჩამოვთვალს.

კეისარს განზრახული ჰქონდა პართების წინააღმდეგ გალაშქრება (არ ვიცი რატომ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ რომის მახვილისათვის კრასუსის სამარცხვინო დამარცხებით მიყენებული სირცხვილის ჩამორეცხვის განზრახვაც უნდა ჰქონოდა კეისარს), რომელთა დამორჩილების შემდეგ იგი აპირებდა პირკანიაში გადასვლას, შემდეგ აჰყოლოდა კასპიის ზღვის სანაპიროებსა და კავკასიას, შემოევლო ევქსინის პონტოსათვის და სკვითიაში შეჭრილიყო, აქედან გადაევლო გერმანიის მეზობლად მდებარე მხარეები, თვითონ გერმანიაც და კელტთა ქვეყანაზე გადავლით იტალიაში დაბრუნებულიყო. ამგვარად, კეისარს სურდა ისე შეეკრა რომის იმპერიის წრე, რომ იგი ყოველმხრივ ოკეანეთი ყოფილიყო შემოსაზღვრული, - ბრძანებს პლუტარქე.

რაც შეეხება მშვიდობიან და აღმშენებლობით პროექტებს, იგი კეისრის ღირსების საკადრისი მასშტაბებისა და დონის იყო. მან დაიწყო **კორინთოს ველზე** არხის გაჭრა, რომელიც სამხრეთ საბერძნეთს, - ე.წ. **პელეპონესს**, შუა საბერძნეთთან, - **ელადასთან** აკავშირებდა. მას განზრახული ჰქონდა ღრმა არხის გაჭრა, რომლითაც მდინარე **ტიბრი** ლაციუმში მდებარე ქალაქ **კირკეუმისაკენ** წარიმართებოდა და ზღვას ქალაქ **ტარაცინასთან** შეუერთდებოდა. ამით კეისარს სურდა რომში სავაჭროდ მიმავალი ხალხისთვის უშიშარი და ადვილად სავალი გზა შეექმნა. გარდა ამისა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა **პომენტუმისა** და **სეტიას** ირგვლივ მდებარე ჭაობთა ამოშრობა, რათა ეს მიდამოები ნაყოფიერ მინდვრებად ექცია და მრავალი ათასი ადამიანისათვის დასამუშავებლად გადაეცა. კეისარს სურდა ამოეყვანა მიწაყრილი რომის უახლოეს მიდამოთა სანაპიროებზე, რომელთაც უამისოდ ზღვა ჰფარავდა ხოლმე. მას ასევე უნდოდა მდინარე ტიბრის შესართავთან მდებარე

ქალაქ **ოსტიას** სანაპიროს მეჩეჩი და მიუდგომელი ადგილებიც ამოეწმინდა და იქ ნაოსნობისათვის ნავსადგურები და ხომალდთა მისადგომები აეგო.

ამას გარდა კეისარმა კალენდრის მოწესრიგებით და დროის აღრიცხვაში არსებული ცდომილების შესწორებით ბევრი უხერხულობა მოხსნა, რომელიც გამოწვეული იყო მთვარის თვეების წელიწადისადმი შეუთანხმებელი მიმართებით, ანუ მზის წელიწადზე გადასვლით, მანამდე არსებულ მთვარის წელიწადიდან.

კეისარს, როგორც სჩანს ერთპიროვნული მმართველობა უნდოდა, მაგრამ რომის რესპუბლიკური მმართველობის ხუთსაუკუნოვანი ტრადიცია ამას ვერ ეგუებოდა. მაშინ მლიქვნელთა განსაკუთრებულმა კასტამ, რომელიც კეისარს ერტყა ირგვლივ და რომელთა ნაკლებობას, ნებისმიერი ძალაუფლების პრეტენზიის მქონე პირი, არ განიცდის, ხალხში ხმა გაავრცელეს, რომ **სიბილას ორაკულთა** განმმარტებელი კოლეგიის წევრის განცხადების თანახმად, რომელიც სენატს კეისრის მომხრე ლუციუს კოტამ მოახსენა, - პართების დამარცხება სიბილას წიგნთა მიხედვით მხოლოდ მეფეს შეუძლია და ამიტომ კეისარს მეფის ტიტული უნდა მიეცესო. კოტას ამ განცხადებას მხარს უჭერდნენ მარკუს ანტონიუსი და კორნელიუს ბალბუსი, რომლებიც ალბადან რომში დაბრუნებულ კეისარს როგორც მეფეს, ისე მიესალმნენ. თუმცა გამწყრალმა კეისარმა განაცხადა, - „მე კეისარი მქვია და არა მეფეო," მაგრამ ხალხი მის სიტყვებს საყოველთაო დუმილით შეხვდა. კეისრისათვის მეფის უფლების მინიჭება, რესპუბლიკის მომხრეთა აზრით რესპუბლიკური კონსტიტუციის ძირფესვიან მოსპობას მოასწავებდა და რადგანაც სენატის უმრავლესობა ამ აზრს იზიარებდა, კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის იდეაც აქ ჩაისახა.

როდესაც შენი გარემოცვა იმას აკეთებს რასაც შენ ფიქრობ, მაგრამ ხმამაღლა არ ამბობ და ისინი ამას აკეთებენ, შენ, გარეგნული პროტესტის მიუხედავად, მათ ნებას დაჰყვები ხოლმე და ხელისუფალის სიძლიერის ერთ-ერთი მაჩვენებელი ასეთი გარემოცვის შექმნაა.

როდესაც სენატში კეისარს საგანგებო რწმუნებანი მიანიჭეს და მასთან კონსულები და პრეტორები გამოცხადდნენ, რომელთაც სენატის შემადგენლობა ახლდა თან, იგი ფეხზე არ წამოდგა და, მიუხედავად მისი მხრიდან საკმაოდ დემოკრატიული განცხადებისა, რომ - „საჭიროება მოითხოვს რწმუნებანი მომაკლოთ და არა მომიმატოთო," ყველა იქ მყოფზე და, მთლიანად ხალხზე, ძალიან მძიმედ და შეურაცმყოფელად იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ კეისარი სენატს ფეხზე არ წამოუდგა. მართალია, იმასაც ამბობენ, რომ კეისარს უნდოდა ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ მლიქვნელობაში დახელოვნებულმა კორნელიუს ბალბუსმა, რომელიც კეისარმა უზარმაზარი ვალებიდან ამოიყვანა თავის დროზე (მთელი ათას ხუთასი ტალანტი, რაც მაშინ წარმოუდგენელი თანხა იყო - თ.ა.), არ დაანება და მიმართა, - „განა არ გახსოვს, რომ შენ კეისარი ხარ?" და რა ექნა კეისარს, როცა ბალბუსმა ზუსტად ის უთხრა, რისი გაგონებაც მას სურდა?

კიდევ ერთი შემთხვევა, რამაც ბიძგი მისცა კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებას და მისი ბედის ტრაგიკულად დასრულებას, ე.წ. **ლუპერკალიების** დღეობა იყო. ასეთი ზეიმის დროს კეთილშობილი გვარისა და მაღალი თანამდებობის ბევრი ყმანვილი გაშიშვლებული დარბის ხოლმე ქალაქში და ყველა შემხვედრს ხუმრობითა და სიცილით ბეწვიან ტყავებს ურტყამს. მორბენალ ახალგაზრდებს თვალსაჩინო ღირსების ქალებიც კი განგებ ხვდებიან გზაზე და დასარტყმელად ხელებს უწვდიან, რადგან ამბობენ, რომ ეს ორსულებს მშობიარობას უადვილებსო, - გადმოქვცემს პლუტარქე. სატრიუმფო

სამოსელში გამოწყობილი კეისარი ოქროს სავარძელში იჯდა და ამ სანახაობას შესცქეროდა. წმინდა სრბოლის მონაწილე მორბენალთა შორის მარკუს ანტონიუსი იყო, რომელმაც ფორუმთან მიირბინა და დაფნის გვირგვინით მოკაზმული სამეფო დიადემა კეისარს გაუწოდა, რაზეც კანტიკუნტად გაისმა ტაშისცემა. კეისარმა გვირგვინი აირიდა, რაზედაც მთელმა იქ მყოფმა ხალხმა ტაში დასცხო. მეორეთაც იგივე სიტუაცია განმეორდა, რითაც კეისარმა ხალხის განწყობილება გაიგო და ბრძანა, რომ გვირგვინი კაპიტოლიუმში წაეღოთ. მცირე ხნის შემდეგ ხალხმა სამეფო გვირგვინით მოკაზმული კეისრის ქანდაკება დაინახა. მაშინ, **სახალხო ტრიბუნები ფლავიუსი და მარელუსი** მყისვე მიიჭრნენ ქანდაკებებთან და მათ გვირგვინები დახსნეს, ხოლო ის პირები, რომლებიც კეისარს მეფესავით მიესალმნენ, საპყრობილეში წაიყვანეს. ხალხი ტაშის გრიალით მიჰყვებოდა სახალხო ტრიბუნებს და სიტყვა „ბრუტუსს" სკანდირებდა, იმ ლუციუს იუნიუს ბრუტუსის პატივსაცემად, რომელმაც ვალერიუს ფალკუსთან ერთად, რომელსაც ხალხმა პოპლიკოლა, ანუ ხალხის მეგობარი შეარქვა, მეფე ტარკვინიუს ამაყი განდევნა, რითაც მონარქიული წყობა დაამხო და ძალაუფლება სენატსა და ხალხს გადასცა.

აღშფოთებულმა კეისარმა მარელუსსა და მის ამხანაგებს მათი წოდების ღირსება აჰყარა. ეს უკვე, კეისრის მხრიდან, აშკარად ნიშნავდა დიქტატურის დამყარების მცდელობისაკენ სწრაფვას. ამით აღშფოთებულმა ხალხმა დახმარებისთვის **მარკუს ბრუტუსს** მიმართა, რომელიც წარმოშობით ბრუტუსების სახელოვანი გვარის წარმომადგენელი იყო მამის მხრიდან, ხოლო დედის მხრივ სერვილიუსთა წარჩინებულ ოჯახს ეკუთვნოდა. ამასთან ერთად იგი იყო კატონის სიძე და დისწული.

როგორც პლიტარქე გვიამბობს, - კეისრისაგან მიღებულმა მრავალმა პატივმა და წყალობამ ბრუტუსს მონარქიის მოსპო-

ბის სურვილი შეუნელა. ფარსალესთან პომპეუსის უკუქცევის შემდეგ არა მარტო თვითონ იქნა შეწყნარებული კეისრის მიერ, არამედ თავისი შუამდგომლობით ბევრი მეგობარიც დაიხსნა და, რაც მთავარია, ფრიად დიდი ნდობითაც სარგებლობდა კეისართან. სწორედ იმ დროს, მეტად ბრწყინვალე პრეტორის წოდება მიიღო, ხოლო სამი წლის გავლის შემდეგ კონსულიც უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობას **გაიუს კასიუს ლონგინუსიც** ჩემულობდა, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ კარგი სარდალი იყო, კეისარს უთქვამს, - „კასიუსი საკმაოდ სამართლიანად იბრძვის ამ ადგილისათვის, მაგრამ ბრუტუსს მე მაინც ვერ ავუვლი გვერდსაო.“

ამის შემდეგ ხდება სრულიად უცნაური რამ! შეთქმულების მზადების პროცესში ბრუტუსი დააბეზღეს კეისართან. იმის მაგივრად, რომ ეს ფაქტი გადაესინჯა, მან ყურადღება არ მიაქცია ნათქვამს, ტანზე ხელი მიიდო და დამბეზღებლებს უთხრა, - „ბრუტუსი მოითმენს იმდენს, რომ ამ სხეულს არ შეეხოსო!“ ამით კეისარს, - როგორც პლუტარქე ფიქრობს, - ის უნდოდა ეთქვა, რომ მართალია ბრუტუსი თავისი სახელოვნებით ძალაუფლების ღირსი იყო, მაგრამ ამ ძალაუფლების გულისათვის უმადური და ფლიდი არ გახდებოდა.

გაოცებას იწვევს ამ საოცრად დიდი პოლიტიკოსის ასეთი, მხოლოდ უმწიფარი პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი განცხადება. ვის, ვის და, კეისარს, როგორ არ უნდა სცოდნოდა, თუ რას სჩადიოდნენ ადამიანები ძალაუფლებისათვის, ან თავად რა სიბინძურეები ჰქონდა ჩადენილი, და, ის სრულიად უპრეცედენტო შენყალებები, რომელიც მან თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ჩაიდინა, ესეც ხომ პოლიტიკური ნაბიჯი იყო, შესაძლოა გარკვეული დოზით მისი ადამიანობით გაჯერებული, მაგრამ ძალიან დიდი წილი, ეს მაინც პოლიტიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული. და, მითუმეტეს, როდესაც ამდენი მოწინააღმდეგე გყავს შენყა-

ლებული, მათი ქმედებები პერიოდულად მაინც უნდა გადაამოწმო, რადგან ყველა ხომ პლუტარქესავით არ ფიქრობდა, რომელმაც თავის დროზე, რომ არ ეკადრებოდა ისეთი განაცხადება გააკეთა, - „იძულებისადმი მორჩილება სამარცხვინო როდიაო."

ნამდვილი პოლიტიკოსი, რომლის საბოლოო მიზანს ძალაუფლების ხელში აღება წარმოადგენს, ასე არ ფიქრობს, და ვერც იფიქრებს, რადგან მხოლოდ ძალაუფლების მოპოვების ეს ყოვლისმომცველი მიზანი არის მისი ქმედების მამოძრავებელი, მასტიმულირებელი, საოცნებო და საბოლოო მიზანი; მიზანი, რომლის მისაღწევად იგი არავის და არაფერს არ ეპუება; მიზანი, რომლის გულისთვისაც იგი მზად არის დათმოს ყველა და ყველაფერი, - ცოლი, შვილი, მშობელი, ხალხი და მთლიანად ქვეყანაც კი. და, რადგანაც კეისარი ზუსტადაც ასეთი იყო, ამ სიტყვების კულიმინაციური გაგებით, ამდენად სრულიად გაუგებარია, მისი სიბრმავემდე დაუნახავი ნდობა, თუნდაც ბრუტუსის მიმართ, რომლის წინაპარი მონარქიის წინააღმდეგ მებრძოლი ტიტანი გახლდათ.

რიგი მოსაზრებების თანახმად კეისრის ასეთი სისუსტე ბრუტუსის მიმართ იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ იგი მისი ამურული ტრფობის ნაყოფი იყო და, ამდენად, როგორც შვილი, მისთვის ძალიან ძვირფას ადამიანს წარმოადგენდა. ალბათ ამიტომ, კიდევ ერთხელ უნდა დავეთანხმოთ იმ შეგონებას, რომ - **ალექსანდრე მაკედონელიც კი, რომელიც უზარმაზარი ფიგურა იყო, იგი ფეხებით მაინც მიწაზე იდგა.** და, ამდენად მასაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ჩვეულებრივი ადამიანისათვის დამახასიათებელი სისუსტე, თუ სისუსტეები არა. ჩავთვალოთ, რომ კეისარსაც ჰქონდა ეს სისუტე და ეს სისუსტე, მისი უკანონო შვილი, - ბრუტუსი იყო.

ცხადია, ამ დროს ბრუტუსი შეთქმულების არსებობის შე-

სახებ საქმის კურსში ნამდვილად იქნებოდა, მაგრამ თავად ჯერ კიდევ არ იყო მისი აქტიური წევრი და, ეტყობა შინაგანად თანაუგრძნობდა კიდეც მათ, რადგან კეისართან არ დააბეზღა შეთქმულები. შეთქმულებიც, ხედავდნენ რა კეისრის განსაკუთრებულ მზრუნველობას მისადმი, პირდაპირ ვერ უბედავდნენ ამაზე ლაპარაკს, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ იგი რესპუბლიკური იდეების მატარებელი იყო.

მაინც მინდა დავიჯერო, რომ კეისარი იმდენად დიდი პოლიტიკოსი იყო და იმდენი ოფლი, სისხლი და ენერგია დახარჯა იმისათვის, რასაც მიაღწია (თუმცა ზოგჯერ მისი ქარაფშუტული თავგანწირვა ხელჩართულ ბრძოლებში იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს მასში პოლიტიკოსი ქრებოდა და პატივმოყვარეობის დაუოკებელი სურვილი იღვიძებდა, რომელიც იმ მომენტში მთლიანად შთანთქამდა ყველა სხვა გრძნობას, - იგი ამ დროს ალექსანდრე დიდის წარმატებებს ებრძოდა), რომ არა მგონია ამას მხოლოდ მამობრივი გრძნობის გამო აკეთებდა. მან კარგად იცოდა, რომ მარკუს ბრუტუსი მისი ბიოლიგიური ნაშიერი რომც ყოფილიყო, იგი მაინც ბრუტუსების სულისკვეთებით იყო აღზრდილი და დემოკრატიული იდეები მასში ბავშვიბიდან იყო ჩადებული. ამიტომაც მოიღო მასზე ასეთი განსაკუთრებული წყალობა და სრულიად ახალგაზრდას პრეტორობა უბოძა, მომავალში კონსულად არჩევის პერსპექტივით და კასიუსზე წინ დააყენა, თუმცა კასიუსი ბრუტუსზე ნაკლები როდი იყო, რათა მისგან დავალებული ყოფილიყო.

ასე იყო, თუ ისე, ერთ მშვენიერ ღამეს, ტრიბუნა და სავარძელი, რომელზედაც ბრუტუსი, როგორც პრეტორი, სასამართლო საქმეებს იხილავდა, წარწერებით აჭრელდა, - **„შენ გძინავს ბრუტუს!“ , „არა, შენ ბრუტუსი არ ხარ!“**

იმის თქმა, რომ კეისარი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იყო შეთქმულებასთან დაკავშირებით, ცხადია არ შეიძლება.

მართლაც, ერთხელ, როდესაც კეისართან ანტონიუსი და დოლაბელა დააბეზღეს, შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, კეისარმა უპასუხა, - **„მე ოდნავადაც არ მეშინია ამ ჩასუქებული და გრძელთმიანი ხალხის, უფრო მეტი შიში იმ მჭლე და ფერმკრთალი ადამიანების მაქვს.“**

ამ ქარაგმაში, - როგორც პლუტარქე ბრძანებს, - იგი კასიუსსა და ბრუტუსს გულისხმობდა. მაშინ რაშია საქმე? თუ კი ასეთი ეჭვები ღრღნიდა, რა პრობლემა იყო მისი თავიდან აცილება? სრულიად უპასუხიმგებლო განცხადება იქნებოდა, რომ გვეთქვა, - ეს ბედისწერის განგებით ხდებოდა!

იმ მრავალრიცხოვან გამაფრთხილებელ ნიშნებს შორის, რომლებიც კეისრის ავბედითი ბედისწერის მომასწავებელ საოცარ შემთხვევებსა და სასწაულ მოვლენებზე მოგვითხრობენ ცნობილი გეოგრაფი **სტრაბონი (ძვ.წ. 66 - ახ.წ. 24 წწ)** და პლუტარქე, განსკუთრებით დასამახსოვრებელია ერთი მკითხავის, - სახელად **სპურინა,** გაფრთხილება, რომელმაც კეისარს ურჩია მორიდებოდა დიდ განსაცდელს მარტის თვის იმ დღეს, რომელსაც რომაელები **„იდებს“** ეძახდნენ, ანუ მარტის 15 რიცხვს და როცა ეს დღე დადგა, სენატში მიმავალმა კეისარმა გზად შემომხვდურ მკითხავს სალამი მისცა და ხუმრობით უთხრა, - აი, ხომ დადგა მარტის იდებიო!“, რაზედაც მან უპასუხა, - „დიახ, დადგა, მაგრამ ჯერ არ გასულაო!“

მარტის იდების წინადღით, კეისარი ვახშმობდა თავის უახლოეს თანამებრძოლ **მარკუს ლეპიდუსთან.** კეისარი სუფრასთან ჩვეულებისამებრ რომაელთათვის დამახასიათებელ ნახევრადწამოწოლილ მდგომარეობაში იყო და წერილებს ხელს აწერდა. რატომღაც ჩამოვარდა საუბარი იმაზე, თუ რომელი სახის სიკვდილი იყო ყველაზე სასურველი და კეისარმა ყველას დაასწრო და წამოიძახა, - „მოულოდნელი!“

15 მარტს, დილით, როდესაც მეუღლემ, **კალპურნიამ** ღამით ნანახი სიზმრის გამო კეისარს ხვეწნა-მუდარა დაუწყო, რომ გარეთ არ გასულიყო და სენატის სხდომა გადაედო, კეისარს გარკვეული ეჭვებიც აღეძრა და შიშმაც აიტანა. ამიტომ, როცა კეისარს მრავალი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, მკითხავებმაც ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველეს, გადაწყვიტა ანტონიუსი გაეგზავნა და სენატის სხდომა დაეშალა, - გვამცნობს პლუტარქე.

და, სწორედ ამ დროს, კეისართან მიდის **დეციმუს ბრუტუსი** (ძვ.წ. 84 – 43წწ), რომელსაც მეტსახელად **ალბინუსს** ეძახდნენ, - მარკუს იუნიუს ბრუტუსის ნათესავი, კეისრის ერთ-ერთი თვალსაჩინო სარდალი გალიის ომებში, რომელიც მარკუს ბრუტუსთან ერთად სათავეში ედგა შეთქმულებას და კეისრის მხრიდან ისეთი ნდობით სარგებლობდა, რომ ის მეორე მემკვიდრედ ჰყავდა ჩაწერილი ანდრძში, მისი დისწულის შვილის **ოქტავიანეს** შემდეგ, და დარწმუნება დაუწყო კეისარს, რომ სენატის სხდომის გადადება მათ აბუჩად აგდებას ნიშნავდა, მითუმეტეს, რომ „ყოველი სენატორი მზად არის იტალიის გარეთ მდებარე და რომისდმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში და აგრეთვე ზღვაზე ყოფნის ჟამს სამეფო გვირგვინის ტარების უფლება მოგცესო ... და, თუ მაინცდამაინც დღევანდელ დღეს საბედისწერო დღედ თვლი, მაშინ უმჯობესია შენ თვითონვე მიხვიდე სენატში და სხდომა გადადებულად გამოაცხადოო.“ ამ სიტყვებთან ერთად, დეციმუს ბრუტუსმა ხელი მოჰკიდა კეისარს და გარეთ გამოიყვანა.

როგორც პლუტარქე გვამცნობს, - ბერძნული მჭერმეტყველების ერთი მასწავლებელი, რომელიც თავისი ცოდნის წყალობით ფრიად დაახლოებული იყო ბრუტუსის წრის ზოგიერთ პირთან და ამიტომ შეთქმულების შესახებ ბევრი რამ იცოდა, მოახერხა და კეისარს წერილი პირადად გადასცა და თან მიაძახა, რომ წერილი პირადად წაეკითხა, რადგან მას შეეხებოდა

პირადად. საბოლოოდ, მხოლოდ ამ წერილით ხელში, კეისარი სენატში შევიდა, თუმცა ეს ფაქტი სარწმუნოდ არ ჩანს, რადგან ზოგი ამბობს, რომ მან ვერ მოახერხა წერილის გადაცემა, რადგან კეისარს ვერ მიუახლოვდაო. ასეა, თუ ისე, შეთქმულებმა ისე მოახერხეს, რომ ის ადგილი, სადაც მაშინ სენატი შეიკრიბა, ეს იყო პომპეუსის მიერ აგებული და თეატრისთვის განკუთვნილი შენობა, სადა თავად პომპეუსის ქანდაკება იდგა. სავსებით აშკარად ჩანდა, რომ შეთქმულთა განზრახვის აღსრულება აქ, სწორედ ამ ადგილზე, რომელიღაც ღვთაების კარნახით და მოწოდებით მოხდა, - ბრძანებს პლუტარქე.

როგორც კი შევიდა კეისარი შენობაში, სენატი ფეხზე წამოუდგა და ბრუტუსის გარშემო თავმოყრილი შეთქმულები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნაწილი კეისრის სავარძელს ამოუდგა უკან, მეორენი კი მის პირისპირ დადგნენ და კეისარს ერთ-ერთი პიროვნების შესახებ პატიების თხოვნა დაუწყეს. კეისარი სავარძელში ჩაჯდა და მათ თხოვნაზე უარი განუცხადა, მაგრამ ისინი კიდევ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას. კეისარი ამაზე განრისხდა და აბეზარი მთხოვნებლები სათითაოდ გაკიცხა. მაშინ, ერთ-ერთმა მთხოვნელმა, რომლის ძმის პატიების გამო დაიწყო ეს ყველაფერი და რომლის სახელსაც შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან იგი პიროვნულად არაფერს არ წარმოადგენდა, ორივე ხელი სტაცა კეისარს ტოგაში და კისერზე ჩამოაღლიტა. ეს უკვე თავდასხმის ნიშანი იყო. პირველად **სახალხო ტრიბუნმა პუბლიუს სერვილიუს კასკამ** დაჰკრა მახვილი კეისარს კეფაში. კეისარმა მის მახვილს ხელი სტაცა და შეჰყვირა, - „კასკავ, ვერაგო, რას შვრები!“

ამასობაში ყოველმა შეთქმულმა იშიშვლა მახვილი კეისრის მოსაკლავად და ისე შემოერტყნენ გარს, რომ საითაც კი არ მოაბრუნებდა თავს, ყველგან მახვილს აწყდებოდა, რომელსაც სახესა და თვალებში ატაკებდნენ. ყველა შეთქმული ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო კეისრის მოკვლაში,

ამიტომ ბრუტუსმაც დაჰკრა მახვილი ფერდში და როდესაც, როგორც ამბობენ, კეისარმა მახვილაღმართული ბრუტუსი დაინახა, ერთი კი აღმოხდა, - „შენც ბრუტუს?“ თავზე ტოგა წაიფარა და წინააღმდეგობა შეწყვიტა.

კეისრის გვამი იმ კვარცხლბეკთან დააგდეს, სადაც პომპეუსის ქანდაკება იყო აღმართული. ეს კვარცხლბეკი სულ სისხლით იყო შელებილი და ისე ჩანდა, თითქოს პომპეუსიც ესწრებოდა თავისი მტრის დასჯას, - ბრძანებს პლუტარქე.

შურისძიებაც ასეთი უნდა. მაგრამ, კეისრის მფარველი კეთილი სული, რომელიც სიცოცხლეში შემწეობას უწევდა, არც სიკვდილის შემდეგ ჩამოშორებია. იგი მისი მკვლელების შურისმაძიებლად გადაიქცა; იგი სდევნიდა მკვლელებს ყველგან, ხმელეთსა თუ ზღვაზე, და დაეძებდა მათ კვალს მანამ, სანამ არც ერთი მათგანი არ დარჩა ცოცხალთა შორის. მან სამაგიერო მიუზღო ყველა შეთქმულს და დასაჯა როგორც მკვლელობის უშუალო მონაწილენი, ისე ის პირნი, რომლებიც თავიანთი აზრებითა და განწყობილებებით რაიმე მონაწილეობა მიიღეს შეთქმულთა საქმეში.

ყველაზე საოცარი ბედი, რაც შეიძლება ადამიანს ერგოს, წილად ხვდა კასიუსს, რომელმაც სიცოცხლე მოისწრაფა სწორედ იმ მახვილით, რომელიც მან კეისრის წინააღმდეგ აღმართა, - ბრძანებს პლუტარქე. ისევ უნდა გავიმეოროთ, რომ ბედისწერის შურისძიება კიდევ უფრო საშინელი იყო. ფაქტია, რომ ამის შედეგად აღარ დარჩა არავინ, რომელიც რესპუბლიკური იდეებისათვის იბრძოლებდა, რამაც ოქტავიანეს გზა გაუხსნა ერთპიროვნული მმართველობისაკენ. ფორტუნა კი მის მიმართ იმდენა შემწყრანებული აღმოჩნდა, რომ იმპერატორადაც აკურთხა, თუმცა, მაინც მგონია, რომ ფორტუნასთან ერთად დიდი წვლილი თავად მასაც მიუძღოდა.

თავი მეექვსე
„ნარჩენი მოსახლეობა“

... ჩვენა ლტჩობაც გავწირა და ვაკეშაც, ჩვენა მტკიცე ტკბილი ნანინაი გიჟირებს ჩაძინებას, ჩვენი შინი წინაპრის მახვილი დაფნის ყელზე ჰკიდია, სანუკრიშვს გვჭირდა, ჩვენა შინი წინაპრის მაყბახარი ჭიასტავის ცხენს ლაშის ქალად ვაყვარა - შენიჩი ალაპაც ქვეყა, შენიხე გაბრისხებაც და შენიხის სალოცავი მაგვჭირი სიჭაბუკეა ახალა, ახლა ქობაქჩი ახალი, ჩვენთვის ვიდეც შეიძია გადაჩრინა შენი შვილი.

ოთარ ჭილაძე, „რკინის თეატრი“

დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობა რვა მილიარდამდე ადამიანს ითვლის. აქედან ორ მილიარდამდე ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებობს, რომელთა დღიური შემოსავალი ერთ დოლარს არ აღემატება და, ამასთან, მათი უდიდესი ნაწილი გასულია საზოგადოებრივი წარმოების სფეროდან. დაახლოებით ამდენივე, სიღარიბის ზღვარზეა და მათი შემოსავალი დღიურად ორ დოლარს არ აღემატება. დარჩენილი ოთხი მილიარდიდან, დაახლოებით სამი მილიარდის ცხოვრების დონე, კეთილდღეობის იერარქიულ საფეხურზე, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ დონეზეა, და, მხოლოდ დარჩენილი ერთი მილიარდი, რომელსაც სხვა სიტყვებით **„ოქროს მილიარდსაც“** უწოდებენ, ცხოვრებს მართლაც კარგად. ამ მილიარდიდან მხოლოდ და მხოლოდ ერთი მილიონი ოჯახი (ოჯახის რაოდენობა 10-15 ადამიანით შემოვსაზღვროთ, იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა ორი, ან სამი თაობა იყოს ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანებული - თ.ა.), ანუ ათი-თხუთმეტი მილიონი ადამიანია, რომელიც პრაქტიკულად მართავს

მთელს მსოფლიოს, რადგან მათ ხელში თავმოყრილია უზარმაზარი, როგორც მატერიალური, ასევე ფინანსური რესურსი.

ამის შემდეგ შესაძლოა ადამიანს დაებადოს აზრი იმის შესახებ, რომ დარჩენილი შვიდი მილიარდი შრომობს იმ „ოქროს მილიარდისთვის," და ესენი ყველა ერთად კი, თავის მხრივ, იმისათვის არიან დედამიწაზე, რომ იმ უმდიდრეს 15 მილიონ ბედის რჩეულთ (მაგრამ, მთელი სერიოზულობით ვიტყვით, რომ „არა ღმერთის რჩეულთ" - თ.ა.), ამ ულამაზეს პლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ჰქვია და, რომელიც, დიდი ვაჟასი არ იყოს, --„ერთთავად მტვირთველი არის საქმის კარგის და ავისა," მიწიერი სამოთხე მოუწყონ. მაგრამ საკითხი ასე ნამდვილად არ დგას.

საქმე იმაშია, რომ ამ 10-15 მილიონის ცხოვრების ზღაპრული მოწყობის უზრუნველყოფას სულაც არ სჭირდება დანარჩენი რვა მილიარდის შრომა. საუკეთესო შემთხვევაში, ის „ოქროს მილიარდიც" თავისუფლად შეძლებს საკუთარი თავიც უზრუნველყოს და მსოფლიოს მესაჭეებისთვისაც შექმნას სამოთხე დედამიწაზე, რისი მიზეზიც საწარმოო ძალთა განვითარების წარმოუდგენლად მაღალი დონეა, რაც შესაძლებლობას იძლევა ცოცხალი შრომით განივთებული შრომის იმ კოლოსალური მასშტაბებით მოძრაობაში მოყვანა, რომ ამდენი ადამიანის სიცოცხლე სულაც აღარ იყოს საჭირო მათი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ამ განცხადების საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისია. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთლიანი სამუშაო ძალის მხოლოდ სამი პროცენტი, და იმდენად დიდი მოცულობის პროდუქცია იწარმოება, რომ იგი მსოფლიოში ხორბლის და კიდევ სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორია.

რაც შეეხება დანარჩენ მოსახლეობას, დანარჩენები, ამ გამოთქმის მთელი ცინიზმის მიუხედავად, - **„ნარჩენებია."** ნარჩენებია იმდენად, რამდენადაც, როგორც უკვე ითქვა, მათ

ამდენი ადამიანი, საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ სჭირდებათ, ყოველ შემთხვევაში ისინი ასე თვლიან. და, რადგან „ნარჩენებია“, ისინი უნდა „გადაიყაროს“. მაგრამ ეს გადაყრა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა არ უნდა გავიგოთ, და ვერც მოხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, დღეს 21-ე საუკუნეა. ამისთვის სხვა მეთოდები მოიძებნა, რომელთაგან ზოგი ისტორიულად არსებობდა, ხოლო ზოგი მოგვიანებით გამოჩნდა და რაც ყველაზე უფრო ამაზრზენია, ამ, ე.წ. „ნარჩენების“ გადაყრაშიც დიდი ფული კეთდება, – ძალიან დიდი ფული.

წამყვანი ადგილი ადამიანთა „ნარჩენებად გადაქცევის“ პროცესში ნარკოტიკებს უჭირავთ. ვერ დავიჯერებ, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, ნამდვილად რომ უნდოდეთ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა, ვერ შეძლონ გაუმკლავდნენ ამ, ადამიანთა მოდგმის უსაშინლეს სენს. ნარკოტიკები ხომ ადამიანთა მოდგმის თანდათანობითი განადგურება – გადაგვარების მიზანმიმართული, პერმანენტული პროცესია და, თან ისეთი, რომ ამ სიბინძურის ორგანიზატორებისთვის ზღაპრული შემოსავლები მოაქვს. სწორედ ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს ბევრ დემოკრატიულ ქვეყნებში ამ სენის მიმართ დამოკიდებულების „ლიბერალიზაცია“ ხდება, რისთვისაც, ცხადია უამრავი სახსრებიც იხარჯება. უფრო მეტიც, მსოფლიოს „პროგრესული ძალები“ ნარკოტიკების მოხმარების სრულ ლეგალიზაციას მოითხოვენ და ეს მოძრაობა იმდენად წარმატებულია, რომ უნდა ველოდოთ, - მათი „გონივრული აზრი“ გაიმარჯვებს. შედეგად კი ვღებულობთ „ნარჩენების“ განადგურების უტყუარ გზას მათი, ანუ გასანადგურებელი „ნარჩენების“ სრული თანხმობისა და მათ მიერ ამისთვის წარმოუდგენლად დიდი სახსრების გადახდის პირობებში.

ცხადია, ეს მეთოდი არ არის ერთადერთი. რეზერვში კიდევ ბევრი გზა და საშუალებაა, რომელთაგან, ერთ-ერთი ყველაზე მუხანათური და ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის წინააღ-

მდეგ მიმართული არატრადიციული სექსუალური ცხოვრების პროპაგანდაა. ამ, ვითომდა პიროვნების სულიერი თავისუფლების უფლების ეგიდით, გაუკუღმართებული ცხოვრების უფლების ლეგიტიმაციის მოპოვებით, „ნარჩენების" თვითლიკვიდაციის ძალზე ეფექტური გზა იქნა გამოძებნილი და, რაც ყველაზე არსებითია, - ადამიანის პირადი თავისუფლების უფლების მოპოვების ეგიდით. აღარაფერს ვამბობთ გაეროს მიერ ნომერ მეორე უბედურებად შერაცხულ ტრეფიკინგზე, გაუთავებელ ლოკალურ ომებზე, რომლებიც იარაღით ვაჭრობის ბიზნესის მასაზრდოებელი წყაროა, აზარტულ თამაშებზე და საუკუნეების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარების მავნებლობაზე, რომლებიც, ზემოთხსენებულ მანკიერებებთან შედარებით, ქალწულებრივი უმანკოების გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ერთადერთი, რაც ამ პროცესში პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს, ის არის, რომ თეორიულად, ამ ბედნიერ, ე.წ. „ოქროს მილიადში" მოხვედრის შანსი ყველას ეძლევა, რაც, იმავდროულად წარმოუდგენლად დიდი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზებას და დაძაბვას მოითხოვს. ამასთან, აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის წარმომადგენელი ხარ. მთავარია შენ, იმ წარმოუდგელად შრომატევადი, გონიერების არც თუ მაღალი სტანდარტების პირობებში, ათასგვარი გამოცდებისა და ტესტირების პროცესში, შენი, ამ „ოქროს მილიარდისადმი" მიკუთვნების უფლება მოიპოვო და, შენი სამოთხე დედამიწაზე გარანტირებულია. ხოლო დანარჩენები, - ისინი განწირულები არიან დედამიწაზე უბრალოდ არსებობისათვის, თუ უფრო უარესი არა.

რაც შეეხება იმ „ოქროს მილიარდის" წევრებს (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ იმ ერთი მილიონი ოჯახის წარმომადგენლებს), ერთი საჯილდაო ქვა აქვთ, - მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, რათა მართონ მსოფლიო.

ჩვენი ნაშრომის მიზანს, როგორც მკითხველმა, ალბათ შენიშნა, იმის ჩვენების მცდელობა წარმოადგენდა, თუ რა ნიშან-თვისებებს უნდა ფლობდეს პიროვნება, რომ სახელისუფლებო იერარქიის სათავეში მოექცეს.

დღეს უკვე პრაქტიკულად წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც პიროვნება თავად, მხოლოდ საკუთარი ძალებით, ყოველგვარი ფინანსური, თუ სხვა სახის დახმარების გარეშე, აღწევდა სახელსუფლებო ვერტიკალის სათავეს. ცხადია, ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ მონარქიის შემთხვევას და სწორედ ამიტომაც მოვიყვანეთ მაგალითები ანტიკური ხანის დემოკრატიული რომის ისტორიიდან. თუ ძალიან სკურპულოზურად ჩავუღრმავდებით, პრაქტიკულად, არც არასდროს ყოფილა ასე, მაგრამ ძირითადად მაინც პიროვნული თვისებები იყო გადამწყვეტი. როგორც წესი, ის ვინც პირადი ღირსებების საშუალებით მოდიოდა ხელისუფლების სათავეში, ამის შემდეგ ხელისუფლების მემკვიდრეობითობა, როგორც წესი ორი გზით ხდებოდა, - ან მისი გუნდის წევრებს შორის მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა პირველობისათვის და ეს ბრძოლა ან ხელისუფალის აღსასრულისთანავე იწყებოდა (მნიშვნელობა არა აქვს, იგი ბუნებრივი გზით, თუ მკვლელობით ხდებოდა), ან, უკეთეს შემთხვევაში, ხელისუფალი თავად ტოვებდა მემკვიდრეს.

დღეისათვის ეს ასე არ არის. მცირე ქვეყნებისათვის ხელისუფლების სათავეში მოსვლის არჩევანი შიგნით არსებული პოლიტიკური ძალების მიერ პრაქტიკულად არ ხდება (ყოველ შემთხვევაში გარეშე ძალებთან შეთანხმების გარეშე), ხოლო დიდი ქვეყნებისათვის იქ არსებული პოლიტიკური და ფინანსური ძალების ბრძოლის შედეგად ხდება ხელისუფალის ხელდასმა, რომელიც ფორმალურად არჩევნების გზით ღებუ-

ლობს ლეგიტიმაციას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩრდილში მყოფმა ფინანსურმა, თუ სხვა ბიზნეს მაგნატებმაც დაიწყეს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა, რაც ერთობ საგანგაშოა, თუ საშიში არა, რადგან მათ მართვის იგივე მეთოდები გადმოაქვთ ხელისუფლებაში, რაც ბიზნესში ჰქონდათ, ამასთან, იმას არად დაგიდევენ, რომ ქვეყნის მართვას კი სრულიად სხვა მეთოდები და გამოცდილება სჭირდება.

მათ, ვისაც ხელისუფლების ვერტიკალის სათავეში მოსვლა უნდა, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას მოიხვედრონ თავი და იმ პიროვნებებისთვის გახდნენ მისაღები და საჭირონი, რომლებიც რეალურად მართავენ ქვეყანას და ამ დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მისაღებია იგი საზოგადოებისათვის. ასეთების მოსვლა ხელისუფლების სათავეში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი ასრულებენ იმას, რასაც საჭიროდ თვლიან მისი პატრონები. ცხადია, ეს ყველაფერი ზოგადი ტენდენციებია და არა ზუსტად გაწერილი ქცევის წესები და, ამდენად, გადახრები ამ ზოგადი წესებიდან ყოველთვის იარსებებს, მაგრამ მთლიანობაში დღეს ასე ხდება ძალაუფლებისათვის ბრძოლა.

პ.ს. ერთი საერთო ნიშან-თვისება, რომელიც ისტორიულად, პრაქტიკულად ყველა ხელისუფალისათვის იყო დამახასიათებელი და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ არც დღევანდელი ხელისუფალნი არიან გამონაკლისნი (თუმცა დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, თუ როგორ იქნება მომავალში, მაგრამ მაინც მგონია, რომ ასეც იქნება), ეს გახლავთ, - მისნებისა და სხვადასხვა მჩხიბავთა ნათქვამისადმი უსაზღვრო რწმენა, ამა თუ იმ მოვლენის, - ეს იქნება საომარი მოქმედებების, თუ პოლიტიკური ბატალიების, ქვეყნის განვითარების პროგნოზირების და სხვა, - მისთვის სასიკეთოდ დამთავრების პერსპექტივების შესახებ.

ამავე დროს, როდესაც მთელი სამყარო დაფუძნებულია ურთიერთ განმაპირობებელ მოვლენებზე, როდესაც ყველაფერი ურთიერთ კავშირშია და ურთიერთ დამოკიდებულია, რამდენად უცნაურია, რომ ალბათობის მთელი თეორია დაფუძნებულია იმ დაშვებაზე, რომ ხდომილობები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან.

ამ შეგონების შემდეგ, რატომღაც არ მესმის, როდესაც, არა მხოლოდ უკლებლივ ყველა ანტიკური ხანის გამორჩეული პიროვნებები, **თეზევსით და ალექსანდერე მაკედონელით** დაწყებული, და, დღევანდელი ადამიანების უდიდესი უმრავლესობით დამთავრებული, წარმოუდგენლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ, ე.ნ. **„ცრურწმენას."**

გარდა იმისა, რომ თავად ამ სიტყვის ეტიმოლოგია არ მომწონს, იგი, ჩემი აზრით, ოდნავადაც ვერ ასახავს იმ შინაარსს, რაც მისი მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება. ერთ, მეტად ცნობილ შემთხვევას გავახსენებთ მკითხველს, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ანტიკური ხანის ორი უდიდესი მხედართმთავრის, გაიუს იულიუს კეისრისა და გნეუს პომპეუს მაგნუსის გადამწყვეტი ბრძოლის წინ, ე.ნ. **„ ფარსალის ველზე,"** მკითხავმა, პირველი სამსხვერპლო ცხოველის შეწირვისთანავე განუცხადა კეისარს, რომ სამი დღის შემდეგ მტერთან ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იქნებაო და, კეისრის კითხვაზე, - ამჩნევს თუ არა ბრძოლის კეთილად აღსრულებას, მკითხავმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და უთხრა, - „მაგ კითხვაზე შენ უკეთესად გასცემ პასუხსო!"

თუ ეს ყველაფერი ფარსია და სწორი პასუხის ალბათობა ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა, მაშინ, პომპეუსმა, რომელმაც 1000 ციხესიმაგრე და 900 ქალაქი აიღო, 300 მეტი ტომი დაიმორჩილა, ერთი მილიონი ადამიანი ტყედ ჩაიგდო, მეორე

მილიონი კი ამოხოცა, ხოლო კეისარმა, ათ წელზე უფრო ნაკლებ დროში, რომლის განმავლობაშიც იგი ომს აწარმოებდა გალიაში, იერიშით აიღო 800-ზე მეტი ქალაქი, დაიმორჩილა 300 სხვადასხვა ტომის ხალხი და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრძოლა აწარმოვა სამ მილიონ კაცთან, რომელთაგან ერთი მილიონი ბრძოლის ველზე მოსპო და ამდენივე ტყვედ ჩაიგდო ხელში, რატომ სჯეროდათ ასე მისნების? და თუ მათ ისე სწამდათ, რომ არც ერთ ბრძოლას არ იწყებდნენ ცხოველთა შიგნეულობებით ბრძოლის ბედის მკითხაობის გარეშე, მაშინ რა უნდა ვთქვათ ჩვეულებრივ მოკვდავთა შესახებ?

თითოეული ჩვენთაგანი, რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის დადგომისას, რომელიც შესაძლოა წარმატებით, ან წარუმატებლად დასრულდეს და, რომლის შედეგსაც მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, წინასწარ რაღაც ისეთ ნიშნებს ეძებს, რომელიც მის შინაგან რწმენას გაზრდის მოცემული მოვლენის მისთვის სასიკეთოდ დამთავრების თაობაზე. არა და, ალბათობის ერთ-ერთი პოსტულატი ცალსახად ამბობს, რომ ერთი და იმავე ცდის ხდომილობების შესაძლო შედეგები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, ანუ, ერთი განმეორებადი მოვლენის შედეგი არავითარ გავლენას არ ახდენს და, ცხადია, ვერც მოახდენს, მეორე მოვლენის შედეგზე.

თუმცა, ძალიან ბევრ ადამიანს, მათ შორის მეც, მაინც სწამს (და არა, - სჯერა), რომ ეს ასე არ არის! მართლაც, იმის ალბათობა, რომ ჯეკპოტს მოიგებ, მიზერულია და თუ მაინც მოიგე, ალბათობის თეორია გვეუნება, რომ მეორეთაც მისი მოგების ალბათობა იგივეა, თუმცა ამას მთელი ჩემი „ინტუიტიური მე," ეწინააღმდეგება, მითუმეტეს, რომ ამ განცხადების ხმამაღლა თქმის უფლებას ისეთი დიდი მათემატიკოსების მხარდაჭერა უმაგრებს ზურგს, რომ ხმამაღლა თქმაც კი არ მინდა. ზუსტად ასევე, ომის დროს, თვითმფრინავებიდან გადმოყრილი ავიაჭურვების აფეთქების ადგილას წარმოქმნილ ორმოში

აფარებდნენ თავს მოწინააღმდეგე არმიის ქვეითები, რადგანაც „იცოდნენ," რომ მეორედ, იმავე ადგილად ჭურვის დაცემის ალბათობა, თუ ნული არა, ძალზედ ახლოს იყო ნულთან.

აი, სწორედ ასეთი შეხედულება ბადებს მისნობის არსებობას და მის პოპულარობასაც, როგორც ახლა, ასევე, მითუმეტეს ანტიკურ ხანაში. ანუ, თუ რაღაც მოვლენას, რომლის შედეგი ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, წინ უსწრებს მოვლენა (ვთქვათ, როგორც ეს ანტიკურ ხანაში იყო მიღებული, ცხოველთა, თუ ფრინველთა შიგნეულობების ზომა, ფერი და ა.შ), რომლის მოხდენის ალბათობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ მე მჯერა, რომ მისი მოხდენა, სასიკეთოდ წაადგება ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მეორე მოვლენის კეთილად აღსრულებას, მე კი შინაგანად მწამს, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთზე დამოკიდებულია და ერთის მოხდენა აუცილებლად გამოიწვევს მეორე მოვლენას, რის გამოც იგი ჩემთვის სასიკეთო შედეგით დასრულდება, ეს მე უდიდეს რწმენას მმატებს და შედეგზე ძალიან ხშირ შემთხვევაში, სასიკეთოდ მოქმედებს. თუ, მითუმეტეს ეს ყველას თვალწინ მოხდება, მაშინ ეს უკვე ერთი ადამიანს კი არ აღავსებს რწმენით, არამედ მთელს გარემოცვას, რაც თავისთავად დიდი პოზიტიური ეფექტის მქონეა და ვფიქრობ, ეს კარგად იცოდნენ როგორც ანტიკური ხანის მმართველებმა, ასევე იმ მისნებმა, რომელთაც პატივი ჰქონდათ მათი მომავალი განეჭვრიტათ ისე, როგორც ეს სუზერენს სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ, კატეგორიულად ვერ დავეთანხმები, რომ ამ ფაქტს ისეთი არაფრის მთქმელი სახელი ვუწოდოთ, როგორიცაა ბგერათა შეთანაწყობა, - „ცრურწმენა"! ეს უფრო „შინაგანი რწმენაა", ვიდრე „ცრურწმენა!"

ერთი მნიშვნელოვანი რემარკით გვინდა ეს ნაშრომი დავასრულოთ! მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლების მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე ამ სამმა დიდმა რომაელმა ბევრი,

ჩვენთვის, და არა მხოლოდ ჩვენთვის, მიუღებელი ქმედებები ჩაიდინა, მათ მიმართ, ისევე როგორც მათ მიერ ჩადენილი გმირობების მიმართ, აგერ უკვე ოცდაერთი საუკუნეა ინტერესი არ ცხრება. ამის ახსნა ძალზე ადვილია! მათ თავიანთი ქმედებებით, თავიანთი პატივმოყვრული მიზნების განხორციელებით, რომს საუკუნო დიდება შემატეს! აი, ეს გამოარჩევს ყველა დიდ ადამიანს, ყველა სხვა ორფეხა არსებისაგან, - შენი ქმედებებით ქვეყანას დიდება შემატო! ისინი ზუსტად ასეთი გმირები იყვნენ!

ლიტერატურა

1. პლუტარქე - „რჩეული ბიოგრაფიები“; ტ. 1; რედ. აკ. ურუშაძე. თბ., 1975 წ.

2. პლუტარქე - „რჩეული ბიოგრაფიები“; ტ. 2; რედ. აკ. ურუშაძე. თბ., 1987 წ.

3. ვერგილიუსი - „ენეიდა“; რედ. აკ. ურუშაძე. თბ., 1971წ.

4. კეისარი, გაიუს იულიუსი - „გალიის ომის ჩანაწერები“; (რუსულ ენაზე); მ., 1991 წ.

5. სანიკიძე, ლევან - „კესარიადა“; თბ., 1981 წ.

6. მაკიაველი, ნიკოლო - „მთავარი“; თბ., 1976 წ.

7. სტენდალი, ფრედერიკ „მოგონებები ნაპოლეონზე“; (რუსულ ენაზე); მ.., 1959 წ.

8. შექსპირი, ვილიამ - „იულიუს კეისარი“; თბ. 1959 წ.

9. ამირეჯიბი, ჭაბუა - „დათა თუთაშხია“; თბ. 1973-1975 წწ.

10. წერეთელი, მიხაკო - „ერი და საზოგადოება“; თბ. 1910 წ.

11. ქარჩხაძე, ჯემალ - „განზომილება“; თბ., 1991 წ.

12. წერეთელი, სავლე - „დიალექტიკური ლოგიკა“; თბ. 1965 წ.

13. ჯორჯაძე, არჩილ - „წერილები“; თბ. 1989 წ.

14. პაპავა, ვლადიმერ (ლადო). ნეკროეკონომიკის ზომბირება: გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე. თბ. 2010 წ.

15. დოლონაძე, შოთა - „ადმინისტრაციული მენეჯმენტის საუძვლები;“თბ. 2009 წ.

16. ბარათაშვილი ე., გრანგიშვილი არ., გასიტაშვილი ზ., კიკნაძე მ. - „რეგიონის მდგრადი განვითარების პარადიგმები“; თბ. 2013 წ.

17. ნაჭყებია, ზაური - „სამართებლის პირზე“; თბ. 2017 წ.

18. აქუბარდია, თამაზი - „ძალაუფლების ბედისწერიდან ბედისწერის ძალაუფლებამდე;“ თბ. 2017 წ.

19. აქუბარდია თამაზი - „ეკონომიკური კრიზისის-ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი;“ თბ. 2009 წ